



მნათობი



2006



2

მნათობი



ფელიციადი 82-ი
გამოდის 1924 წლიდან

№2

2006 წელი

გვმრალთა ასოციაცია „მნათობის“
ლიტერატურული ჟურნალი

ეთრნალი გამოდის საპატრიარქოსთან არსებული
სულიერების, კულტურისა და მეცნიერების
აღიორძინების ფონდის მხარდაჭერით

შინაარსი

კოეზია, კროზა, დრამატურგია

დავით თედორაძე – ლექსები	3
შოთა ზონიძე – ლექსები	9
ვახტანგ ასვლედიანი – ლექსები	13
თამაზ ჭილაძე – აჭარის მთები. ლექსი	15
მიხეილ მახარაძე – ტანსონი ართვინში. ესკიზი	16
ემზარ კვიციანიშვილი – დღიური	18
ნუგზარ შატაიძე – ორი ძალი. პიესა	30

ზოგონებები

ფრიდონ ხალვაში – ახმედ მელაშვილი. წინასიტყვაობა ემზარ კვიციანიშვილისა	38
--	----

კრიტიკა, მსებისტიკა

შორენა მახატაძე – „ტაო-კლარჯეთის გოგონი ვარ...“	56
ზურაბ კალანდიაძე – პოეტური ვარიაციები	65
კიტი მაჩაბელი – წინაპართა კვლის ძიებაში	68
მალხაზ ხარბაძე – თამაში ძერის ყანაში	77

შინაარსი
(გაგრძელება)



თარიღი

მეცხე მხე ჯანსუღ ჩარკვიანი - 75
ცისანა კვინტრაქე-გოქიაშვილი - ვით ცერზე შემდგარი ავაზა ----- 84

ახალი თარგმანები

არტურო პერეს-რევერტე - ღირსების სამე. მოთხრობა. თარგმნა
მანანა მიქელაძემ ----- 86

ხელოვნება

ლავა ჩხარტიშვილი - ბათუმის თეატრის ისტორია და დღევანდელობა --- 104
ლავარა ქიქილაშვილი - როგორ უყვარდათ საქართველოში წიგნი და
შეყრლობა ----- 115

მეცნიერება

გიორგი შაყულაშვილი - ბასიის ლიტერატურული ორიენტაციისათვის --- 121
ზურაბ ეპალაძე - ქრისტიანობა და ევროპული მეცნიერების გენეზისი --- 128

აკოლემიკა

გონდო არველაძე - დავიცავთ ქართული ეკლესიები ----- 133

ბიბლიოგრაფია

ანდრო ბუაჩიძე - კნუტ ჰამსუნი საქართველოში ----- 137

უცხოეთის კულტურული სიხსლევები. მასალა მოამზადა მანანა მიქელაძემ -140

აღმავიწყებელი

უკვდავებისთვის ვუოჟა
ცხრა ერს დავითის მეფობა!
მეფე
აფხაზთა,
ქართველთა,
კახთა,
სომეხთა,
რანთა...
სხვას,
სხვას ვის ქაუჯა
თუნდ შაშინ,
თუნდ სხვა დროს, ქართველთ გარდა!

დავითმა სმალდი იშიშულა,
მტერი გაფუჭდა შიშისგან!
გადაირბინა
ტაოსკარი
თურქის ღლაშქარმა,
ვით ტურის ჯოჯმა,
მუ ავაზის ღრუნით დამფრთხალმა.

უკვდავებულმა
სპარსმა
შარა გააფურანა
და გაიშალა,
აღორძინდა ქართველთ ქვეყანა!

აგო ტამრები,
ხანაცები,
გზები,
ხიდები...
კაი დრო იყო,
საქართველოს სცნობდნენ დიდებით.

უკვდავებისთვის ვუოჟა
ცხრა ერს დავითის მეფობა!



მომავლისთვის, წინასრისთვის

შურამ ზაძემს

რას ვულოდებოთ,
რას მოგვიტანს ეურება სულ წინ...
მშიერი — მტაცებელია,
მამლარი — მუნწი.

მე კალამს ვლოკავ,
შენ გაგჩრია კბილებში ფუნჯი,
შაინც ვაძეუობთ ჩვენი მოდგმით,
ჩვენი ხანჯლით.

რაკი სამშობლო დედინაცვლობს,
გახდა ურუ-მუნჯი,
უნდა ვიხაროთ ვეაველებით,
ზეცის სიღურჯით.

უწეროთ და ვხატოთ
მოშაულისთვის, წინაპრისთვის,
ხვალ რომ განჩნდება,
იმ ბიჭისთვის და იმ ქალისთვის...
უწეროთ და ვხატოთ, მეგობარო,
მხოლოდ ხვალისთვის.

თქვენ აქ რა გინდათ

გუროსაში ვახიზნულ
ქართველებს

თქვენ აქ რა გინდათ,
ბეგრული ქვეყნის
სიუვარულისთვის განქნილებო,
სამშობლო გიმობთ
უნამშობლოდ დარწმინდებო,
თქვენივე ნებით,
სხვათა სურვილით,
სიძულვილით ფარსმადღაერიდნო,
თქვენ აქ რა გინდათ?

თქვენ აქ რა გინდათ?
თქვენი ხული საქართველოს

ვლადიცივბა,
ცივია თქვენთვის ქალაქები
განათებული —
ნატურას რომ გისპობთ.

ვერ გვუვით,
ვერ იხწაულეთ ვერც ანგარიში,
ვერც სიძუნწე,
უვადრათობას ვერ შეეშვით,
გაუცხოების კარ-ფანჯრებიც
მინურეთ შმიშედ
და სამშობლოში დაბრუნების
შეკუურებთ იძვდს,
რაც კარგი არის უდავოდ და
გუარაუდეთ ღმერთი,
აქ ვერ ვხვამ წვრილს...

თქვენ აქ რა გინდათ?
თქვენი სული კასრს მოტკავეს ღენთის,
სულ მცირე წვენით
გადაბუკავეს აწმეოს და წარსულს,
მე თქვენს შესახებ გასეთში ვწვრდი —
ცრუმდით, ტკივილით,
განმორების ხასტიკი სვედით
მე თქვენს შესახებ გასეთში ვწვრდი.
თქვენს მომლოდინე საქართველოს
უმრება მკვრდი,
დაბრუნდით მალე,
სამშობლოში შეიკრან წრედი,
თუკი განაღვლებთ,
თუ გადარდებთ
სამშობლოს ბუდი,
დაბრუნდით მალე,
დაბრუნდით მალე!
საქართველოში
სიუვარულის შეიკრან წრედი!

ნონა ბაუმერს

მინდა მივუძღვნა ახლა ლექსი
 ნონა ბაუმერს,
 გერმანიის რმაღს,
 ქართველ დედას,
 ლამაზ ქალბატონს.
 მისი გულისთქმა
 მესმის და ვხედავ —
 ნონა თავისი ორი ვაჟით
 როგორ ამჯობს.
 ბიჭებს კი —
 ბიჭებს ავიწვევებთ ვნა ქართული
 და მამაც,
 მამაც, დარწმინილი თბილისს ვაგლახად.
 ნონას სსოყნაში
 ცუნამივით ბორჯავს წარსული,
 ასე უკულო, ბედოვლათი
 ქმარი სად ნახა...
 არც ახლა არის
 გულშევიდად და გულარხეინად,
 სკედით ნახსელეტი,
 ჩახვეული ფიქრის დეროში,
 დიასხლისი დიდი სანჯღის,
 სითბოს მძებნელი,
 სისმრუბით მოდის მიტოვებულ საქართველოში.
 სადაც თარეში
 არ დამთავრდა ემისარების,
 სადაც მოშმეთა მოხანმოზად
 სულშობაბერილი
 იყანგუბიან დუმილისკან
 დედოზარები.

.....
 ნონამ „ბორათი“ ქალაქები შემოგატარა,
 იხალისა და გუახალისა სულდათბილულმა,
 ჩვენ კი გუგონა,
 ჩვენ ვფიქრობდით —
 იწუთ ვალხობა
 აისბერგებსე აკიდულმა დიდმა ვინულმა.



ჩვენს კეთილ სულებს გაუმარჯოს

ქალბატონებო და ბატონებო!
მშებო და კოლეგებო!
არტისტებო!
ჩვენს კეთილ სულებს გაუმარჯოს...
ტყვეობაში ნამყოფ სულებს!
სომ ჯვარზე აცვეს,
სომ შხამი ასვეს,
სომ მშარი ადინეს,
სომ ათრიეს უღრანებში,
თქვით —
დაგელაღათ?!
დაგიჩლუნგდით?!
მზეს ვუღარ ხედავენ?!
დაკარგეს განა —
სინაზე მინდერის ვეაზიდის,
ღვთისმშობლის სათნოება,
შნის სითბო,
მადლი სიუვარულის,
მალა ქარის და
ერთგულების უსუნაესი ნიჭი?!
მოიძინაურეს?!
მოიადლაფეს?!
მოიღმურძლეს
ღროის კაცთმოძულე ბატონებმა?!
შეპვარეს განა —

ოქროს სურდო,
განძის ანთება,
ბრჭვეილა ქვების ტიფი და
მრუშობის განჯრენა?!
ასწავლეს განა —
მამულის განუქება,
ტყუილის ოსტატობა,
ოინაზობა და
სუსხიანი ღიმილით
განღვნილი ბაგის
უცოდველ ჰოზაში დაუენება?!
ასწავლეს განა —
წინაპართა სალოცავების შებიღწვა,
დედის ცრუმღმი მუილის ჩახრჩობა,
მკვლევლობის ფილოსოფია და
უსწებობის მარტივი თვორიები?
ქალბატონებო და ბატონებო!
მშებო და კოლეგებო!
არტისტებო!
ვერა, ვერ ასწავლეს,
და რაკი ვერ ასწავლეს,
ჩვენს კეთილ სულებს გაუმარჯოს —
შეუთვალა მიმინოსავეთ
გაუწვრთნელ სულებს!

მომღვრად ვერ გამოადგმები

როდესაც უმორჩილები
საოველთაოდ მიღებულს —
საუსშეს,
სადილს,
ვახშამს და
ქალიზ მადლს —
სიტკბოს დიდებულს,
მონანვენებლად
სწნობის
ნორმებში ნაწიკწიკებულს,
მომღვრად ვერ გამოადგები
ვრს — კალაღებულს სიბრძნითა,
ჩვენ საქართველოს სიუვარულს
უვარცმული კაცი გუიხსნიდა.

საირამე

გამოიდარა,
 ნისლეებს დაფენილს
 მიაციდლებენ შთის მწვერვალები,
 ვშურებიან წყაროებისკენ
 გაბეზრებულნი წვიმით ქალები.
 ვუცქერ და ვტკბები,
 ვტკბები და ვუიქრობ —
 ამათში რომელს შევეუარებდი...
 შენ რომ აქ იყო,
 შენ რომ აქ შევადგე,
 ამაფეთქებდნენ შენი თვალები.

ზებელა უფრო დიდხანს სძლებს,
 ვიდრე ბათუმში თოვლი,
 და მაინც,
 მაინც
 მიუვარს მზე
 უპირველესად უოჯლის.

მომწონს
 ქარების წივილი,
 წვიმაც,
 სეტყვაც და
 ბარდნაც...
 და მაინც დიდი ტკივილით
 დამამხო მზეზე დარდმა.

შზუო,
 ამოდი,
 გაბრწყინდი,
 გამათბე,
 გამალაღე...
 ბაღში ვდგავარ და
 დარდს ვვიდი,
 მუიდეული დამანახე.



ც ა

პოსეიდონი გამგებარა განსე,
ცამ გადამაღლა სადღაც ავარა
და ვარსკვლავები ქათქათა ტანსე
წითელანავით გამოაყარა.

მთვარე ხაღივით აზის ღოჯაზე,
ისე მუარად და ისე ამაუად,
თითქოს უფალმა ფარგლით მოსაზა
და ოქროს ფუნჯით მოაყარაუა.

ღ ა მ მ

ისე წახეედი, არ კითქვამს რამე,
სიბნელე ისეე აწეება კარებს,
მოყიდა შუქი და ბნელი ღამე
შავი ძაღლივით გააკგო კარეთ.

და გვიან, როცა ვიგრძენი დაღლა,
დაუზურე წიგნი, გამოვრთე შუქი,
ვირწმუნებ, დიდი ღმერთია შაღლა,
დამესიზმრები ამადამ თუკი.

ღ ე კ მ მ ბ ე რ ი

თეთრი ზერანტი ჩაიცვეს მთებმა,
მე ამ მთებს ახლაც იმედად ვუავარ,
ადამი ზის და ბუსართან თბება
და კვა იქვე უდუღებს ვაყას.

მიიწვეს კვამლი შაღლა და შაღლა,
უჩინარდება ცაში ნისლივით
და ზეობაში, მდინარის გაღმა,
დგკემბრის ცივი ქარი სინინებს.

მამის ღაპრება

მე ვეველაფერი კარგად შესმოდა,
 ისიც ვიცოდი, ვინ რას ფიქრობდა,
 ძვირფასი მამის კუბო ეწოდან
 ვუვლას ეგონა ცაში მიმქონდა.

კვლავ მივერავა მარტვა კვიმარტმა,
 ერთმა ვიცოდი, რასაც მპარაუდა,
 იმ დღიდან სულში ცეცხლმა იმატა
 და დიდი გული დაპატარადა.

ღმდის სურათი

გამომეცხადე, დედაე, სულმნათო,
 ჩამჭიდე ხელი და არ გამიშვა,
 საწოლთან მიდევს შენი სურათი,
 როგორც ჟანგბადით სავსე ბალიში.
 სიწმარში შენი ლამაზი ღანდი
 შემოდის ჩემთან და ღამეს მითევს,
 დღისით მიმზადებს ტემრიელ სადილს
 და ღვინოს მიდგამს სისხლივით წითულს.

საწოლთან მიდევს შენი ხატება,
 როგორც ჟანგბადით სავსე ბალიში,
 შენ იცი, მე რა გამიხარდება,
 ჩამჭიდე ხელი და არ გამიშვა!

გლობუსი

გათენდა. მიწას დაეცა ჩრდილი,
 სვეტიცხოვლის და უინწყვის ჩრდილი,
 უამარი ზღვიდან გამოდის დილით
 და დევებს სული უჭირაუთ კბილით.

არც მე ვასლავარ უაბანი სულაც,
 ზღაპრებში მცდ მუავს ჩემი ნიკორა,
 ვუუვრებ ჩემი პლანეტის სურათს,
 თითქოს მინდორში ბურთი მიგორავს.

ავღარი გზაზე

წამოგვეწია გზაზე ავღარი,
 უნებ დაგვატედა თავსე მუხივით,
 და ბნელი ღამე, როგორც აუთარი,
 ჩაგვსაფრებია უღელტეხილით.

თითქოს ხეობას ასადეს ხუფი,
 როცა მეტყუვის ქოხთან მიუვდით
 და ნესტიანი ასანთის ვუთი
 უბეში გვედო, როგორც იმედი.

თებერვალი

მინდოდა, მაგრამ ვერ დავეშაღე,
 გაუაღე კარი და თებერვალი
 შემომეჩხება, როგორც შევაღე,
 შემომანათა თვალი ქლვარე.

თოვდა და თოვლში არ ჩანდა კვალი,
 სამთარი თოვლის კაბას კერაუდა,
 თებერვალს ფართოდ გაუღე კარი
 და შევეფეთე თოვლის კელაპტარს.

ამოდის მთვარე

ამოდის მთვარე, მაგრამ ფეხს იორვეს,
 ამოდის მთვარე ნელა და მძიმედ,
 საკულდაკულოდ ვინასაუ ქვეითრებს,
 გაუთიშავი სინათლის იმედს.

ამოდის მთვარე, თბილი და წყნარი
 და მისი შუქით ქვეუანა ხარობს,
 მოვდინება აჭარისწვალადი,
 სიცოცხლისა და სინათლის წვარო.

იგნდი

მე მახსოვს რიგი ზურის და ნაუთის,
 ნაუთის და ზურის, მაქრის და ბრინჯის,
 ვიეიდე ნაუთი, წაწვიდე, ტაუთბი
 და ტაუზდი უფრო მშვიდი და დინჯი.

ვიეიდე ზური, ვიეიდე ფქვილი,
 ვიეიდე ჯაში და ღვინის თასი,
 ხელში მიჭირავს იმედის ქილა
 და უიმედო ცხოვრებით ვავსებ.





კველი იანვანა

დაიძინე, ჩემო თეთრო,
პაწაწინა მტრედო,
მამულს უნდა გაუხარდო
შვილი სანაქებო.

აკე, ცაცხვზე, იანვანას
მღერის დედა ჩიტიც,
მაღე ტკბილად დაიძინებს
მიხი მარჯალიტიც.

პაწაწინა საოცრებაე,
მზეო პაწაწინაე,
რა ღამაზად ილიმები,
რა სავეარლად ბრწეინაე.

გელოდება წუთისოფლის
კარგიცა და ავიც,
დაგიფარავს დედის ღოცვა
და მაცხოვრის ყვარი.

მსატჰრის სახელწონოში

ზურაბ ჯაბატაძე

მე შემოვიდვიარ და რაღაც ხდება...
თითქოს სამუაროს ეცვლება ფერი,
უკან რაც ეო, მკრთალდება, ქრება
და რაც წინ არის, ტირის თუ მღერის.

ზევარდმო ძალით შენი სამუარო
არ იცნობს ზღვარს და არ იცნობს ნაპირს,
იქნებ ქალია, მუნ რომ ვლამუარობს,
ან იქნებ გენი შორეულ ზაპის.

მოსრილი ზურგი, გვერდული მხერა,
გრძნეული ფუნჯი ტილოზე შფოთავს,



საქართველოს ბიბლიოთეკა

რადაც სხვა არის ფერიც და ბგერაც,
თავსე დიმილით დატყვევების შოთა.

მე შემოვიფიარ და რადაც სდება...
კრძობათა ბლონიდი ნისლდება თვალწინ,
მამულე ზე ფიქრი, მამულის ნება
კათოვს და განწვიმს, კათოვს და განწვიმს...

ახე მგონია, სამუარო
არის უკულოდ მშვიდი,
როცა ზღვისფერი ასული
ხურგს შეეაქვევს და... მიდის.

ცარიელებს სული და
ჩნდება ტკივილი დიდი,
როცა ზღვისფერი ოცნება
მიგატოვებს და... მიდის.

როცა გაქრება ვარსკვლავი,
შენს იმედად რომ თელიდი,
გგონია, თავად სიცოცხლეც
თავს განუბებს და... მიდის.

ბუღანშარომდე...

გულანშარომდე შორი შარაა,
გზაბაწარაა გულანშარომდე.
ვამს არ შეუდრკე, ბედს არ დანებდე,
უნდა გაუმლო გულანშარომდე.

ცხოვრების შენის განული ბილიკებს,
ტინდ დალოლაუდე, ტინდა ჩქარობდე,
ტრიკალობდე თუ ნიაჭქარობდე,
უნდა იარო გულანშარომდე.

ღმერთო ძლიერო, მომეცი ძალა,
ხმა შევაწიო შენს საჯალობელს,
მინდა მყარვიდე, მინდა მწუალობდე,
სულ ცოტა დაძრჩა გულანშარომდე.

აჭარის მთხზი

კამიკონიო, კამიკონიო –
თითქოს სიზმარში კმინავს კონიო.

ნაცნობი ქარი მკერდზე მეზღება
და ჩემს ფიქრებში ფათურობს წუნარი,
ელხადგურების ოსოფეხებით
ხვეში აბიჯებს აჭარისწვადი.

სად მომვლანდე, საიდან სადა,
ცეცხლმოდებული როგორ გადარნი!
ზის შენს ჩეროში დაღლილი საბა
და საქართველოს არწევს კაღთაში...

1957 წ.



ტაისონი ართვიში

გაზგირამი 2006

აიდას

„ვერც ის გამიგია, სწორად ვიქცევით თუ არა, როცა ცხოველებსა და ფრინველებს ადამიანურ გრძნობებს მივაწვრთ“.

პაღდუნ თანერო

სიცოცხლეს ხომ თვითდამკვიდრებისთვის შეუპოვარი ბრძოლა თან სდევს მუდამ, ზოგჯერ ღია, ზოგჯერ ფარული, ჯენტლმენურიც და ვერაგიც. უნებლიე ექვიც გიწნდება – სიცოცხლეს საერთოდ ერთი ძირი ხომ არა აქვს, მცენარეებსა და ცხოველებს თუ მის უმაღლეს გამოხატულებას – ადამიანს. იქნებ სულაც სიმარალეა დიდი ხნის წინათ დამკვიდრებული აზრი სულთა გადასახლების შესახებ. „ერთი ცოცხალი არსების ფიზიკური გარდაცვალების შემდეგ მისი სული სხვა ცოცხალ არსებაში გადასახლდება“, – ამბობდნენ ძველი ბერძენი მოაზროვნეები პითაგორა და პლატონი. თუმცა, რა შუაშია აქ პითაგორა ან პლატონი, როცა უბრალოდ ხართ ბრძოლაზე უნდა ვიამბოთ.

კაცმა რომ თქვას, რა უნდა უთხრა მკითხველს ისეთი, რაც არ გაუგონია, არ უნახავს, ან არ წაუკითხავს ხარზე, მის გაწეულ ტაპანსა და პატრონისადმი ერთგულებაზე. რამდენი რამ თქმულა მარტო ჩვენში ნიშასა და ნიკორაზე, მათ თანამომებზე. თუმცა, ყველგან ხარის საბოლოო ხვედრი ყასბის ბასრი დანაა. ჩვენთან, მაგალითად, ძნელად წარმოსადგენია დიდი წვეულება, სადაც სუფრას, როგორც წესი, მოხარშული ხარის ბეჭი არ ამშვენებს. თუმცა, ზოგჯერ ზოგიერთ ქვეყნებში „შელავაითც“ არსებობს, როცა ხარს მსხვერპლად წირავენ და მაშინ სარიტუალო ლოცვასაც არ ამაღლიან.

ხარზე საუბრისას, ესპანური კორიდას დავიწყება, უბრალოდ შეუძლებელია. სათანადოდ

ჩაცმულ-მოკაზმულ ტორეადორს უთანასწორო ბრძოლაში ბევრჯერ გამოუწვევია საგანგებოდ გამოზრდილი და დავემთლ-გავეშებული ხარი. ამ უთანასწორო ბრძოლის საყრდებლად შეკრებილი მიღეთი კი, თავისი განწყობით დიდად არ განსხვავდება რომელიც გლადიატორთა დაუნდობელი და სასტიკი ბრძოლის მაყურებლისგან. კიუნი და შეძახილები, თავდავიწყება და ბოლოს, როგორც წესი, ხარის უექველვი აღსასრული.

მაგრამ, მაღლობა ღმერთს, მხოლოდ ამით არ დაამთავრა ადამიანმა ხარებთან ურთიერთობა. აი, თუნდაც სულ სხვაა თავად ხარების ბრძოლა, ართვინში, კერძოდ ბაზგიერთში რომ იმართება „კაეკასორის“ დიდებულ დღესასწაულზე – ბრძოლა თანაბარ პირობებში, თანასწორთა შორის. ამ ბრძოლებისთვის საგანგებო არჩეა არის მოწყობილი. უსაფრთხოების წესებსაც იცავენ და „ჰა, ბურთი და მოედანი“. ერთი შეხედვით, ხარები მხოლოდ გარეგნობით განსხვავდებიან ერთმანეთისგან, მაგრამ ეს ერთი შეხედვით. მათ შორის ისეთი განსხვავებაა, ადამიანის ენა რომ ვერ აღწერს. ამ სანახაობის მომწყობთ, ყოველ შემთხვევისთვის, რამე არ შეევემლოს, წინასწარ დაუჭირაით თადარიგი და მებრძოლი ხარები დაუნობრავთ.

დანობრილი ხარები არჩნაზე ნაჯაფ და ჩია ქალებს შემოჰყავთ, მათ გამოზრდელ-გადიებს. არჩნაზე საბრძოლველად გამოსულ ხარებს კი, გამწვინონელ-პატრონი მამაკაცები ავულიანებენ და ბრძოლის ჟინს უღვივებენ.



ხარების ბრძოლისას, როგორც არენაზე, ისე ტრიბუნებზეც, ისეთი ჟინიანი აღტკინება, ისეთი დაუოკებელი ღელვაა, მოკრევთა ღასკვეკასის განთქმული არენაც შეიძლება დაგაჟნყოს.

ხართა ბრძოლას არც ფსიქოლოგიური მუხტი აკლია. ხარების თვალბეჭდში ბრძოლის ჟინიც ნათლად იკითხება და შიშაც. დგანან დამაბულნი, რქებდაღერილნი, თითქოს თავისთავსაც ამოწმებენ და ერთმანეთსაც. მოკლედ, ნამდვილი სიურპლასია, მთელი თავისი ხილლით.

ურთიერთშემოსმება მთავრდება და იწყება შეუპოვარი ბრძოლა. იმაბება ტრიბუნები. დამარცხებულები არენას ზედიზედ ტოვებენ და თანდათან მცირდება „ოქროს მაძიებელთა“ რიცხვიც.

აი, არენაზე შემოიჭრა ღია წითელი, თეთრ ღაქებანი ხარი, მეტოქის მოლოდინში ნახევარი წრე დაარტყა და აბღუშაპილივით შეწერდა, მიწას დაუბულარავა, თითქოს – და რქები შეამოწმა, რასაც თან ახლდა მხოლოდ ბულისთვის დამახასიათებელი, ზორხისმიური ხმა, ბლეილს რომ ეძახიან ჩვენში. თავი ასწია და იქით გაიხედა, საიდანაც მეტოქეს ელოდა. ლოდინი არ დასჭირვებია. არენაზე თავაწეული შემოიჭრა შავი ხარი – ერთბაშად ჯოღლისი, მაქს შმერლივინი, მუჰამედ ალი, როვი მარჩინაო, ფლოიდ პატერსონი, ბოლოს და ბოლოს, ტაისონი... თითქოსდა, ყოფილ თუ ჯერ კიდევ მოქმედ ფალაჯანთა სულები და ძალა გაერთიანებულყო მასში...

ღაიზმუვლა, მაგრამ რა ღაიზმუვლა, გეგონებოდათ, მოწმინდილ ცაზე მეზი გავარდაო. კაცი იფიქრებდა, „ცა გაიხსნაო“. უწოდოთ მას ტაისონი, თუნდაც იმიტომ, სრულიად რომ განსხვავებოდა ყველასაგან, თუმცა, სხვა ხარების მსგავსად, მასაც მწვანე ნიშნები ჰქონ-

და ამოტვიფრული. რას იზამ, ქალწულგულცივილიზაციას, ხარი კი არა, ღვამს იყვამუნე ანებიც გადართმონ.

ტაისონი არენაზე შემოიჭრა ბრძოლის ჟინით ანთებული, ამაყად მოაგლო თვალი იქაურობას, ელვის სისწრაფით მოსწყდა ადგილს და მოწინააღმდეგისკენ გაქანდა. ტრიბუნებს მანამდე არგაგონილმა, ენით აღწერელმა აღტკინების ტალღამ გადაუარა.

ორთაბრძოლა გაეცხარდა. ერთმანეთში აირია კიფინა, მოწონებისა თუ წაქეზების შეძახილები. მაგრამ ეს საერთო, მრავალხმიანი გნაისი მოულოდნელად ჩაცხრა – ადგილობრივი და სტუმარი მაღალჩინოსნებისთვის განკუთვნილი ტრიბუნიდან სრულიად განსხვავებული სიძლიერთა და სინაზით, აღტაცებითა და სიზარულით, გაკვირვებითა და განცვიფრებით შეზავებული, რაღაც ენით გამოუთქმელი შეძახილი გაისმა, უაღრესად მეტყველი, მრავალფეროვანი, და ყველამ იქითკენ მიაყრო მზერა. „გურჯი ხანუმი“, „გურჯი ხანუმი“ – აღმოხდა ტრიბუნებს. ყველანი კისერდაგრძლებულნი იფურებოდნენ მომხიბვლელი ქართული ქალბატონისკენ.

„ეს ხომ ჩვენებურია – აიღა!“, – სიამაყით გადაულაპარაკა შეშელმა ერდალმა გვერდზე მსხლომ თანამომბეებს.

ეტყობა, ტაისონმაც იგრძნო, როგორ გაუფასურდა ერთბაშად მისი მეომრული შეუპოვრობა, ძალა და სიფიქტი, და ჯიქურ გაქანა მეტოქისკენ, რომელიც ისე გაიპარა, ბევრმა ვერც შეამჩნია. მაგრამ ტაისონისთვის ეს გამარჯვება ვერაფერი ბედენა იყო, თუმცა, ისევე ამაყად თავაწეული გავიდა არენიდან, როგორც შემოვიდა. ოღონდ, ბრძოლის ჟინდამცხრალი.

ერთადერთი, ნამდვილად გამარჯვებული იმ დღეს გურჯი ხანუმი იყო.



საქართველოს
 სპორტული
 მემკვიდრეობის
 ცენტრი

დღიური

◆ ◆ ◆

30.10.1997. ამას რა დიდი მიხედვრა უნდა – რაც ხანი გემატება, თანდათან ფართოვდება და ღრმავდება, სულ უფრო ბნელი და სამიში ხდება მახსოვრობის ჩახეული უფსკრულები. ვინ მიაგნებს, რა ამოზიდავს იქ გადაცვივნილს და ჩაკარგულს. დაწოლილს, სანახევროდ ჩათვლემულს, წამოდგომა და გონებაში გაელვებულის ჩაწერა გიჭირს, ჩათბუნებული ხარ და სიზარმაცე ვეღარ დაგიძლევა. მერე, გაღვიძებისას, სანახევროდ გაგხდომია, რომ ასე დაჯერებულად მიენდო ვერავლად, მიპარვით შესუსტებულ მეხსიერებას. ის კი არადა, დღისით, როცა რაიმეს ჰყვები, ანდა თუ ვინმე ჩაგერთო და თხრობა შეწყვიტე, ძაფი გიწყდება და ვეღარ აგრძელებ დაწყებულს, მითუმეტეს, ადრე მოფიქრებულს და მოსაყოლად განზრახულს. რამდენჯერ ყოფილა, მოსაუბრისთვის მიკითხავს, რას ვამბობდიო. ამიტომ ძველი წესი, მცონარებას დაქვემდებარებული, როგორმე უნდა შეეცვალო, გადავახალისო. ბევრჯერ შეეუძაბე ჩემს თავს: გაერთილდი, მაშინვე დასწყვიდი კალამს, როცა კი ტვინში რამე გაფართოვდა. ამათა დაქინძრება, მოთენთვა, სიბერე, მთელი დღის ნაწონაღვეს, ყველაფერზე ხელს ჩაგაქინძრებს.

მეხსიერებაზე არაერთი ტრაქტატი თუ წიგნია დაწერილი, მაგრამ თუ თავად არა გაქვს გონება აღესილი და გაეარჯიშებული, იმათი წაკითხვა და დაკონსპექტება ვერაფერში წავადგება.

ძველმა ბერძნებმა, ცხრათაგან, ერთ-ერთ მუხად ტყვილად როდი შერაცხეს მწიგნობანი. ბევრჯერ აღუნიშნავთ, რომ მეხსიერების როლზე მეტყინიზმს კარგად იცნობდნენ და მარჯვედაც იყვნებდნენ ანტიკური ხანის მოაზროვნეები და მათ შორის, ცხადია, გამოჩენილი იყო არისტოტელე, ვისაც მოწინააღმდეგე არ დარჩენია ტვინის ყველაზე უფრო გადაქვსკენებული კუნძულიც კი. იცოდა თუ

სად, რომელ რიგში იყო „გახსენების საწყისი წერტილი“ და როცა მოეხსენებოდა, ყველაფერს ერთ წერტილში უყრიდა თავს, სადაც საჭიროდ ჩათვლიდა, იქ გაინავარდებდა. პლატონის მეხსიერება სად იღებდა დასაბამს, რა უჯრდმულებში ძვრებოდა და სადამდე აღიოდა, ამაზე მსჯელობას ვერ შეეცვები და ვერც გაეწვდები. ამის გამკეთებელი, ჩვენში, ორიოდე კაცი თუ მოიძებნება.

არსებობს აზრი, რომ ორატორები (მსახიობებზე არას ვამბობ) მთლიანად მეხსიერებაზე არიან დანდობილი, მაგრამ მისი ფლობა არც მწერლებისთვის (მხატვრებსა და მუსიკოსებსაც ნუ დავტოვებთ გვერდზე) არის უსარგებლო და მასწინარი. ასეთი რამეც კი გამოვონია, ადამიანი მეხსიერებააო. იმას რომ დაკარგავ, ვიპოვებ, შენით ჩაწევი სადმე გათხრილი ორმოში, ცოცხალი აღარც გეთქმის.

თავად გამომიცვია, ხშირად ხდება – როცა ვინმეს ჩემს დასაწერ, მოულოდნელად გამოვინახე ჩანაფიქრის უყვები, გზავდავს, ახალი მეტად მოხდენილი წერილმანები მებადება, ოცნებაში მოხაზულის გამამდიდრებელი. თუ დროზე არ ჩავინიშნე, მერე მოგვამა ჭირი, მცირე ხანში დავიწყების ლაში დაფარავს. ესეც არაერთხელ გამხდომია სანახევროდ. ქუჩაშიც შემართება – როცა რაღაც აზრი ან სტრიქონი მომდის, განაპირას გავდგები და ქალაქის ნაკუწზე ვიწერ ხოლმე. შეიძლება ეს უხერხული, უცნაურიც იყოს (ზოგჯერ ალბათ დასტეკენილის შთაბეჭდილებასაც ვახდენ), მაგრამ დაკარგავს, წამოჩენებულის საშუალო დაიწყებას, მაინც ასე მოქცევა ვიღაც. ერთხელ მოხული, იშვიათად განმეორდება. თუორიულად (პრაქტიკულადაც) ეს ვიცი, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგება, ვივიწყებ.

გამუდმებით ვფიქრობ რაიმე ჩასაქიდზე თუ ჩასაბლაუკებულზე, მთავსელები კლდემი ან ყინულზე საფეხურად რომ გამოჭრიან, ისეთზე



როცა წარმოსახვაში რამდენიმე სტრიქონი წამოიშლება, თანმიმდევრობის დაცვა ძნელია და აჯობებს, რითმიანი იყოს, რადგან რითმა საყრდენია, რაზედაც უნდა მოაბა თუ გამოაბა, ააგოს თუ დააშენოს დანარჩენი სიტყვები და ფრაზა ვაიმართება, განსაზღვრულ ყალიბში ჩაედება.

უკვე ვთქვი, სხეულში ღრმად გაბეჯდარი დაღლილობისა თუ სიზარმაცის გამო, ღამით, ადგომისა და სინათლის ანთების თავი არა მაქვს და ისევ მე ვისჯები. მშვენიერი რაღაცეები დამაკარგინა ჩემმა უნიათობამ, თუმცა რაც მაქვს, ის რაღაში გამოვიყენე?! მაინც არ ვკარგავ იმედს – ღროდადრო უტყველად გამოაშუქებს ჩემი მიძინებული, საბურველგადაფარებული მუხსიერება და, უბრალო კნჭებთან ერთად, თვალისმომჭრელად აბრიალებულ ძვორფას ჭებსაც ამოყრის. ნამდვილი საცოდაობა იქნება, როდისმე, თუნდაც ათასი წლის მერე, ეს შეუბრკავი, დაუღუშებელი სადინარი რომ გადაიკეტოს.

◆◆◆

24.06.1998. ყველამ იცის – ვერის ბლი ძველად სასაფლაო იყო. აქ ყოფინისას ადრეც გამხსენებია ნიკოლოზ ბარათაშვილის უბრწყინვალესი წერილი (6 აგვისტო, 1838 წ.), პოეტმა გიმნაზიის მეგობარს მიხეილ თუშანიშვილს რომ გაუკზავნა. იგი რუსულადღა დაწერილი. მივარისგან მკრთალად (ბუნდრად) განათებული სასაფლაო შავ-ბნელ, მისტორულ ფერებს აღძრავს და იქაურობას ბარათაშვილი „ზეციურ-მიწიერ სანახაობას“ და „მშვენიერ გამოგონებას“ უწოდებს. წერილის ფრაზებს ფორმულის პირდაპირობა და მოქნილობა ახლავს. სასაფლაომ გათამამებულ მოკვდავს, ღროდადრო, უნდა შეახსენოს საშუალო განსახევენებლის დანიშნულება, რომ ეს არის: „რეგემისცემა უბედურისა, ბედნიერების დასასურული“. ნიკოლოზ ბარათაშვილის ერთი ლექსი რომ არ ვაღაპრებოდიყო, მარტო ეს წერილიც იკმარებდა იმის დასტურად (იგი გენიალური ჯონ კიტსის ბარათებს ვეავონებს), თუ რამოდენა ნიჭის პოეტი მიუცეებოდა „მოსკოვის საგუშაგოსკან“ მიმაველ უკაცრიელ, იღვანელებით სავსე გზას ამ შორეული ზაფხულის დამეს.

ბაღად ქცეული ყოფილი სასაფლაოს ტერიტორიაზე რამდენიმე ცნობილი პიროვნების

საფლავი ღვთაება შემორჩენილი, ჩემი მოწაყფობისას (ბაღში „მატალოზე“ დავაფრებულდ და ფეხბურთს ვთამაშობდი), განაპირა, ამჟამად რკინის მესრით შემოკავებული მხარე წყალდიდობამ ჩააშვა, ალაგალაგ, მიწა დაიბზარა და გამოჩნდა ცალაღუწილ-გადამსხვრეული ჩონჩხები. მე იმ აპოკალიფსური სურათის სანახავად არ წავსულვარ. ვიღაცეებმა ოქროსფრად მოსირბული, ჯინჯილებიანი ეპოლეტებიც კი იპოვეს. სანამ მიწა არ მოასწორეს და მტკერის მხარე არ შემოლობეს, თავზარდაცემულს, იქეთკენ პირი არ მიქნია.

ახლა, როდესაც ჩემი ბიჭი კალათბურთზე დადის, ყოფილი აღბურთი კლუბის ნანგრევებთან მიხდება ბილიკის ვაკლა. იქ სანახევროდ მიწაში დაფლული, გრანიტის რუხი, დაყირავებული საფლავის ქვაა. საცოდაოდ ბერძენი ბიჭი დაღუპულა. ქვაზე ამოკვეთილია ტლანქი რუსული წარწერა (ორთოგრაფია ძველია), რომელიც უცვლელად გადმოვწერე: „Младенец Иоань (Папарогопуло) родился 29 сентября 1868 г. сканчался 6 января 1870 г.“

როგორც ვხედავთ, წარწერა უკიდურესად მშრალი, ტუნწია. ერთადერთი, ისიც აუცილებლობით გამოწვეული, სიტყვაა „Младенец“ – „ჩვილი“, რაც მიცვალებულისადმი გულდაწყვეტის, ემოციის მსგავს გრძნობას გამოხატავს.

ავღილი წარმოსადგენია, რა გულდამწველი იქნებოდა ახალგაზრდა დედ-მამისთვის პატარა ბიჭუნას (შეიძლება იგი ანთებამაც იმსხვერპლა ცივ ზამთარში) დაღუპვა და მერე მიწაში დაფლვა, რამოდენა გლოვა გაიმართებოდა იმით ოჯახში. ნათლისმცემლის სახელი დაურქმევიათ. საწყალს ორი წლისთვისაც ვერ მუღწევია.

წელიწადიც არ იყო გასული (25.05.99) როცა ატალახებულ ბილიკთან ჩაღლილმა ის ოთხკუთხედი ბრტყელი ქვა ვეღარ დავინახე და შევწუხდი. აღბათ წაიღეს და სადმე ხრამში გადააგდეს. ჩვენი ქალაქი ვეროპულად მოწესრიგებული რომ იყოს, აღბათ შესაძლებელი გახდებოდა ბავშვის მშობლების ვინაობის დადგენა, თუმცა ამას ახლა რა მნიშვნელობა ექნება, ჭერი გვეძვეცვა თავზე და ასეთი რამეებისთვის ვიღა მოიცილის. ასეთ შემთხვევებს ერთ აღრინდელ ლექსში „ედაგასული მწუხარება“ დავარქვი, თუმცა მე მუდამ ცუდ გზება-



ზე ვდგები, როცა ძველ თუ ახალ წარწერიან ლოდს დაეინახავ.

ეს კი შემძლია ვთქვა – ქვეყანაზე ერთადერთი ვარ, ვინც, იმდენი ხნის მერე, ვერის ბაღში, უპატრონოდ მივდებულ და ამოწრილ ქვაზე, ის წარწერა წაიკითხა, წუთისოფლის ამოუბაზუნდ დაღონებულმა, გადაწერა და, ბავშვის უღვლო სიკვდილის გამო, ნაგვიანვეი სინანულიც გამოთქვა, თუმცა ამით რაღას ვუშველიდი, ანდა შევეკვლიდი?!

◆◆◆

24.08.2001. გერცენს თავისი მეშუარების უბრწყინვალეს წიგნში მოხებნილი აქვს მეტაფორულად დახასიათებული მეტად მარჯვე და ადამიანური თვალსაზრისით, ძალზე დამაფიქრებელი წერტილი. იგი ასეთ რამეს ამბობს – მევის ტახტისკენ დაძრულ მამებელთა ნაკადს ქვემოდან თუ ახვდავ, იგი აღმავალ ბატონთა კიბეა, ხოლო თუ ზემოდან ვადმოხედავ, მაშინ ძირს ჩამავალ ლაქათა კიბედ გამოიყურება. ორ წყებდ მოძრავი, ორი სხვადასხვა რაკურსიდან დანახული ეს ნაკადი ძველისძველი და, როგორც ეტყობა, მარადიულია. ჩვენს, მრავალშრივ საეკლავლო, დრომც ხშირად ვყოფილვართ მომსწრენი, როცა, მაგალითად, დიდი თანამდებობის პირს ახლობელი უკვლავა, რა ვგვლეთა და ვნისაა გამართული, სასანამევილოდ მორთულ კიბებზე... გულისამრევი, საზიზარია მლიქნელთა მოვება, ისინი, რომელთაც ასე უცებ ეიოლებათ ერთი პატრონიდან და მარწყალიდან შორეზე, ახალმოვლენილზე, ვადართვა, ფეხების ლოკვა.

„ნამყოსა და ნაზრევის“ ავტორს დაუფარავად სხავდა ნიკოლოზ პირველი, დაისაჯა კიდევ მისგან, ახალგაზრდობაში. პირადდაც ჰყავდა ნანახი კარგად აღზრდილი (თუმცა პუშკინის პირად წერილებს რომ ახსნევიებდა თავის ვაშუშებს და მალულად კითხულობდა, ეს ვერაფერი ზრდილობაა), განათლებული, ეკატერინე შერის შვილიშვილი, ამზრენი დესპოტი. თუ კარგად მახსოვს, მის უსიამოვნო, უმეურ თვალებს ტყვიისა თუ კალისფერს უწოდებს. კაცზე, რომლის მიმართ ზიზლის გამოხატვა უნდათ, ასეთ რამესაც იტყვიან, თვეზის თვალები აქვსო.

ღვე ტოლსტოის (მედროვე, მაგრამ ნიჭიერი ალექსი ტოლსტოისგან გასამიჯნავად ზამი-

ატინი მას „ნამდვილ ტოლსტოის“ უწოდებს) გენიალურ „საჯი-შურატში“ ვხვდებით მკვლევ სიცხადით ჰყავს დახატული ნიკოლოზ პირველი და ეს პორტრეტი, უპირველეს ყოვლისა, თვალეზზე ვადატანილი ვერადლების გამო, რამდენადმე, გერცენისას მოვავკონებს. ტოლსტოი საგანგებოდ იმეორებს „უსიცოცხლო თვალეზიო“. გრძნობ, რომ იმ ახმას მბრძანებელში ადამიანური ცოტა რამ იყო. ტოლსტოის, საერთოდ, სრევადა ეპითეტების განმეორება. „ომის და მშვიდობის“ დამთავრების შემდეგ ხომ სიტყვა თავის თავზე – პომეროსი ვარო. სხვა თვისებებთან ერთად, ეს გვიგანტი მუდმივი ეპითეტებისა და მეტაფორებისკენ მიდრეკილებითაც ჰყავდა „ილიადას“ შემქნელს.

უცნაური და, რამდენამდე, ღიმილის მომგვრელიც არის, რომ ბაღჯაკს ნიკოლოზ პირველის ზელმწერილი ნებართვა დასჭირდა (პოლონეთი მაშინ რუსეთის მფლობელობაში შედიოდა), რათა, სეციციხლის მიწურულს, საყვარელ არსებაზე უმშეინიერეს პოლიონელ ქალბატონზე, ვველინა ვანსკაიაზე დაჭორწინებულიყო.

◆◆◆

15.09.2001. მშეინიერებას, სინახეს ათასნაირი გამოვლინება აქვს. უფრო ხშირად ეს ლეთიური მადლი ქალის სახით გვეცხადება. მარჯანიშვილის მოვდანზე, ახლობელთან ერთად, კაფეში ვიყავი და შემადლებულ ადვოლას ლუღს ვესამდიო. იქვე, ჩვენს დაბლა, ასეთივე პატარა შავიდახთან თეთრსახიანი, სუსტი, სანდომიანი გამომეტყველების ახალგაზრდა გოგო იჯდა. თფეშზე ყავის მუქი ნამცხვარი ელო და ვავასვე წრუპავდა. თვალი მისკენ გამექცა. სახის ნაკეთები უაღრესად დახვეწილი, კთილმოზობილური, კვყანური ჰქონდა. ასეთები მუდამ კარგ, არისტოკრატულ ოჯახებში არიან აღზრდილნი. შავი, მოკვლედ შეკრევილი თმაც ძალიან უხდებოდა. შავი, თხელი, მოკლესახელოებიანი, ზომიერად გულამოდებული ბლუზი და ტილოს ქვედატანი ეცვა. ამ სიშვეთა ფონზე, მადალი ველი ბროლივით უქათათებდა. გასრიალებული, წერილი, ვიშიანი წვივები უნებურად გტაცებდა მზერას, თუმცა მისი ფიგურა გამომწვევი, თინის აღმძრავი სულაც არ იყო. პირიქით, სულის დამამებელ სიმშვიდეს აფრქვედა და ამითაც



უფრო მიზიდვდა. ტრეფებზე მჭიდროდ შემოჭეროდა რბილი ტყავისგან შეკერილი შავი მუზები (ქუსლებიან ფეხსაცმელებში ასეთ ლალ არსებას ძნელად თუ წარმოიდგენდი). ვაკვირდებოდი და მინდოდა, რაც შეიძლება დიდხანს მჯდარიყო. ჩემს მეგობარს ტურებზე ღიმილი უკრთოდა, მაგრამ არაფერი უთქვამს. დარბაზის სვეტთან, აკვარიუმში, ზანტად დაკურავდნენ ვეება, შავ-შავი, ზაფერდოვანი, მუცელა თევზები; გამადიდებელი მუშის კედელს დინგებს აბჯენდნენ, პირს ფართოდ ამჩნენენ, ბალახში ამოჩრილ სიპ, მოშაფო ქვებს მათი განიერი, ასეთივე ფერის ფარფლები ეფინებოდა. რატომღაც ვიფიქრე, იმ გოგონას მასავით მინაზებულის, პერში მსუბუქად დარხებული და ნელ-ნელა გამდნარი მუსიკის პანავები უნდა ჰყვარებოდა. ვინატრე, ოცდაათი წლით ახალგაზრდა მაინც ვყოფილიყავი, მაშინ რაღაც აზრი ეწებოდა მასთან გამოლაპარაკებას და დაახლოებას; ალბათ კიდევაც შევეწყობოდი, არაფრით არ გამადიდებელი უსაშველოდ აწუნოლ ნურეებსაც დამილავებდა. ამასობაში კიდევაც წამოვდგა შავი, პატარა, დაკუთხული საფულე მხარზე გადაიკიდა და კაფედან ნისლივით გასრიალდა. ეს კი ვიცი – რამდენი ხანიც არ უნდა გავიდეს, სურათი, რომელიც ნალველმორეულმა ასე ნაჩქარევად აღწერე, ჩემი წარმოსახვიდან არასოდეს ამოიშლება.

ანდაზები და ცხონება

06.12.2003. ჩემთვის მიფიქრია – ანდაზების ხელოვნურად შექმნას არავითარი აზრი არა აქვს, ჩიბრკედელაობა, აზირებული სატყეველია. სიტყვის მასალად, ჰაბაჰად არ ვამბობ. კარგად მახსოვს, იყენე ამის მოწადინებელი ძალა ბრძენკაცები (ერთი მათვანი კიდევაც იკვხინდა სატყვევოდ, ათასზე მეტი ახალთახალი, ცინცხალი ანდაზის ავტორი ვახლავართო). რედაქციები აკლესული ჰქონდათ, რქებით აწვებოდნენ, იმდენს ახერხებდნენ, რომ დროდადრო ფურნალ-გაზთებშიც ატყვევებდნენ ანაზზე გაწყობილ, შავი პეტიტიტი ჩაწიკვიკებულ ანდაზებს, მაგრამ იმ აბლაუბიდან ფინცქვიც არ დარჩენილა, უკვალოდ აორთქლდა.

ანდაზები აუცილებლობამ უნდა წარმოშვას და მისი მთქველი სხარტი გონების პატრონი უნდა იყოს. ცნობილია თვალსაზრი-

სიც, რომ ანდაზამ, თავისებურად, რითვის გაქნასაც მისცა ბიძგი, როცა ლექსის სტრუქტურაზე ლავდებოდა. საამისოდ მრავალსაშუალოდ მოხმობა შეიძლებოდა, მაგრამ ერთიც საკმარისია: „აფრინე ალალიო, რაც არ არი, არ არიო!“. ეს მოვლენა, ანდაზების გართიმვა, თითქმის ყველა ენაში დასტურდება.

ბევრ ანდაზას საფუძველი გამოცვლებოდა და დავიწყებას მიეცემოდა, ხანგრძლივი ცხონებისეული გამოცდილება რომ არ უმაგრებდეს ზურგს. საკმაოდ დამაჯერებელი, ჭკუის სასწავლია, მაგალითად, ეს საყოფაცხოვრებო, პირდაპირი აზრით ნათქვამი ანდაზა – ბოზ დედამთილს რძალი არ გაუბოზდებაო. ასეთ დროს, გამოცდილი, კარგა მაგრად ნაბოზარი, ნახეხი და შეგერტყელი დედამთილი, ცხადია, თავისი ბოთე შეილის ღირსებას დარავჯობს და კეკლუც, სხვანაირად შემართულ რძალს ფხიზელ მშერას არ აცილებს, რომ საეჭვო არაფერი გამოეპაროს, სათვალთვალო არსების ნაბიჯიც არ დარჩეს ვერმოწმებელი. თუმცა, საბოლოოდ, ესეც შერ შეილის წამხდარ საქმეს. ამით გამგონე თუ მომწირე არავთხელ ვყოფილვარ. ძალიან მომწონს, ზნეობის ერთ-ერთ საყრდენად მიმანია კაცის ნაპუსზე შემგდები ანდაზა – მიბარებული მეგომაც შეინახაო (ამის დამწმენებელ მეტყველ შემთხვევაზე ქვემოთ მოგახსენებთ). საცოდავ დედაჩემს, ნინო იზნაძეს, ჩემგან და ჩემი ძმისგან ბევრჯერ გამწარებულს ხშირად დაუჩივლია – ღორმა თქვა, რაც შეილები მეყოლა, მას მერე სუფთა წყალი აღარ დამილევია. ამ ხატოვინად ნათქვამს იქვე დაატანდა, მეც სწორედ ასე დამეპართაო.

ზემოთ ნახსენები მიბარებულის ანდაზის გამო მაგონდება დედაჩემისავე მონაყოლი. სტუდენტობისას რუსთაველზე ოთახი ჰქონია დაქირავებული და ერთ საღამოს ვილაკეებს გაუქურდავთ. გადაჭოთებული რომ დახვდა კარადა და უჯრები, გულზე შემოყრია. მითხრა, ერთ ფოთელ ბიჭს ვიცნობდი, ჩემ ტოლს, სწავლაზე გულაცრუებულს, ინსტიტუტიდან გარიცხულს, ქურდების წრეში მოხვედრილს, კონდრა ჯალაღანისა. კითხვა-კითხვით მოეძებნე და შეგინილე, ასე დამეპართა და რა ექნა, ზაფხულში, არდადაგებზე, ფოთში რომ ჩავალ და იქნად დავბრუნდები, სულ აღარაფერი დამხვდება, თუ ძმა ხარ, მიშველე რაბე, გასაღებს





შენ დაგიტოვებ-მეთქი. გოგუცა (დედაჩემს შინაურობაში ასე ეძახდნენ), მაგაზე ნუ ვაგრობ, ყველაფერს მიეხედავო, დაუწყნარებია, კონდრას (პასპორტში, თუკი ჰქონდა, ალბათ, კონდრატე ეწერებოდა). მალე თურმე ის მოპარული ნივთებიც მოატანიხა ოთახის გამტეხებს. იმის შერე არხენიანდ ვიყავი, კონდრას წყალობით, ნემსიც არ დამკარგვია, სანამ იმ ოთახში მდგმურად ვიდექო. დაამთავრა ამბის მოყოლა დედაჩემმა. ამჟამად, არაა თქმა უნდა, ძველი ბიჭის, კონდრა ჯვალაღანის ძეალიც აღარსად იქნება (ვინ იცის, სად ჩაკვდა), მაგრამ მე არ შემიძლია მადლობელი არ ვიყო მისი, ვინაც იმდენი ტანჯვის მწახველ ჩემ მშობელს, ქალიშვილობაში, ასეთი რაინდული პატივი სცა, თავი დაამახსოვრა.

ქმრდაპატიმრებულ დედაჩემს, ზაფხულობით, შვილები მშობლიურ ქალაქ ფოთში ჩაყვავდით ღიზა ბუბასთან, სადაც ორ ოჯახად ცხოვრობდნენ გრიშა და ვანო ბიძა. მესამე ბიძა, კაკო იმნაძე, ბორის ჰაიჭაძის ახლო მეგობარი, ფეხბურთელი კაკო იმნაძე მამაჩემთან ერთად დააპატიმრეს და ისიც მასვეთ შორეულ გადასახლებაში იმყოფებოდა. სასჯელის მოხდის შემდეგაც არ გამოუშვეს და ნოვოსიბირსკშივე დაოჯახდა, მოგვიანებით დაუბრუნდა მშობლიურ კერას.

ფოთში მუდამ ყურადღებითა და აღერსით ვიყავით გარემოცულნი. ბებიანები ღიზა მახხულია, უსახლვროდ კეთილი ადამიანი, რომელსაც ცხოვრებაში მოძღურავე არავინ ჰყოლია, თავს გვევლებოდა. ერთ ზაფხულს დედამ ქალაქის ცენტრისკენ წაგვიყვანა. მოედინის ახლოს, სამახსოვრო სურათი გადავიღეთო. მაშინ სრული თხუთმეტი წლისაც არ ვიქნებოდი. ჩემი გამომანგარიშებით, 1950 წლის აგვისტო იდგა. ატელიეში ფოტოგრაფმა უარი გვითხრა სურათის გადაღებაზე, სადაც მიჩქარებოდა. დედაჩემს ძალიან დაწყდა გული. შერობის მეორე საათულზე მყოფი, ის იყო, უნდა გამოებრუნებულყავით, რომ თავის ძველ ნაცნობს, ბავშვობის ამხანაგს მოჰკრა თვალი. იმ კაცმა დიდი სიხარული გამოხატა – სად იყავი, გოგო, დაკარგული, რამდენი წელიაქვია, არ მინახიხარო. ჭიჭი თურქია აღმოჩნდა. როზროხა, მსუქანი, მწითური კაცი იყო. გადახეხილი აგურისფერი გლუვი სახე ოფლის წერტილი წვეთებით ჰქონდა დაცეკარული,

დროსტარების მოყვარულს. პურისმჭამელს ჰგავდა. ჩვენი გასაჭირი რომ ვერცხვამაშინევი მივარდა წასახველვლად გამზალსკენ. მჭობრაფს (ეტყობოდა, სახელი და გავლენა ჰქონდა ქალაქში და ალბათ რაიმე თანამდებობაც ეკავა) და ხელად დაითანხმა, საჭირო ფულიც თავად ჩაუწურთა ჯიბეში. აღერსიანად გადაგვისვა თავზე ხელი, სასახლო ბიჭები გყოლიო, უთხრა დედაჩემს და სამივეს დაგვემშვიდობა. შერე არსად შემხვედრა, გახსენებითი ხი შიირად მახსენდებოდა იმ ნაუცბათევი სიყეთის გამო.

სურათზე დედაჩემი და მე წინ ვსხედვართ. ჩემი საწყალი ძმა, ვახტანგი, თავზე გვადგას. ასაკთან შეუფერებელი ნაღვლიანი და ტკეპიანური თვალები უჩანს. თმა ორივეს დაბალზე, საზაფხულოდ გვაქვს შეკრეკილი. დედაჩემს გულამოდებული, თეთრად დაწინწკლული კბა აცვია (ალბათ კრეპდშინისა), საფეთქლებთან ჭადარაგარეულია. თუ კარგად დააკვირდები, მის სახეზე თავშეკავებულ და, ამასთანავე უზომო ტანჯვას ამოიკითხავ. ჩემ ძმასა და მე უჯრედებიანი ჩითის პერანგები გვაცვია. მე საულვაშე ოდნავად მაქვს შეღინდლული. ყმაწვილის ჰირობაზე მშვიდად ვზივარ – ვერ წარმომიდგენია, რამდენი უბედურება დამატყდება თავზე და რად უნდა ვიქცე. სწორედ ამაზეა ნათქვამი, სიბერემდე სიქაჩლეს მოელოდო. მაინცდამაინც ბერი ლოინი არც დამჭირებია, ასედაც მოხდა. ანკი რისი იმედი უნდა მქონებოდა წუთისოფლის გაუთავებელ ორმოტრიალში.

ანდაზებზე საუბრით დავიწყე და უანდაზოდ ვერ დავამთავრე ეს მცირე მოგონება. საკუთარ მწარე ბედს, ათასნაირად შეჭირვებულ თავს აღარ ვჩივი, ოღონდ ჩემი სამშობლო გადაურჩებოდეს ერთმანეთზე მიყოლებულ უბედურებათა ქარტეხილებს და როგორმე ფეხზე დადგებოდეს, გამოლიანდებოდეს. მეტს არაფერს ვინატრებდი. კარგა ზანია, საქაროველოს მძავრი შინაგანი წინააღმდეგობები ღრღინის და ზომაზე მეტად დავროვდნენ ნერვებდაწეწილი ადამიანები; დემგოგებიც, უზნეო, უპრინციპო არსებებიც ბლომად არიან, რაც ცხოვრებას გაუსაძლისს ხდის. მომავალი (ცხადია, არა ჩემი) მაშინებს, ძილს მართობს. ღმერთმა ქნას, ყველაფერი სასიკეთოდ შემოტრიალდეს.



ღიღიღი

22.09.2005. მტაცებელ ფრინველებს (მიმინო, შევარდენი, ქორი და მისთანანი) გარეგნობაც, ნაკეთიბიც განსხვავებული აქვთ და ფრენაც სხვანაირი იციან. განსაკუთრებულია მათი მოძრაობაც, როცა ხის წვეროზე ანდა ტოტზე ჯდებიან – რაღაცნაირად აცაცაცებენ ფრთებს და ფრთხილად, ფარფარით ეშვებიან, თითქოს საყრდენის მოსინჯვა უნდათო. დაჯდომის მერე, სხვა ფრინველებთან შედარებით, დიდხანს რჩებიან ერთ ადგილზე. ნისკარტებიც დიდ-პატარა, მაგრამ ბასრი და მოკაუჭებული აქვთ.

ყვეუი რა ისეთი მტაცებელია, ბაცაცობს ცოტ-ცოტას. კაკალს თუ მოწვევებს და ჩაბლუჯავს შემოდგომაზე, მაგრამ რანაირად ტეხავს ნაჭუჭს და შეეძცევა სანთელივით კრიალა ლებანს, ესაა გასაკვირი. ჰოდა, ყვესაც, ჰკუით, მიხვედრილობით გამორჩეულ ფრინველსაც თავისი თანდაყოლილი ხელწერა (უფრო ზუსტად რომ ითქვას, ფეხწერა) აქვს. ნაძვისა თუ კვიპაროსის კენწეროს ეტანება და იქ უფვარს მოკალათება, გამოსაჩენ ადგილზე დამჯდარი, ნელა ტოკავს, ირწევა. არც ისაა მოულოდნელი, დაიჩნავლოს კიდევაც.

ქორი, შუაგულ ქალაქში, ასე ახლოს არ ჩაგიჭოლებს. მალლა იცის ნებიერი ტრიალი და თანაც მარტომ არა, მოშორებით, მოზომოდ მანძილზე, შეწვეილე ახლავს, ერთად, ნარნარად რომ შემოხაზონ წრეები. აჩქარება და გაუინარებაც შეთანხმებულად იციან. მსიამოვნებს ხოლმე იმათი ცქერა.

სოფელს შემოწვეული ქორის ყოვლად თავხედურ დაცემას ქათმებზე ერთხელ შევესწარი ზემო იმერეთში, ასე, თხუთმეტი წლის წინათ. სახლის მახლობლად, სიმინდის ყანაში, განწირული, სასოწარკვეთის მაცნე კრიახი გავივინეთ. მასხინძელი, ჩემი გარდაცვლილი მეგობრის, თემო გრძელაძის ნათესავი, ორმოცდაათამდე წლის კაცი (უცნაური სახელი ერქვა, ვგონებ ოტული), თვალის დახამხამებაში გაიჭრა და ქორს, რომელიც წასალედა ბუბინდა, ბრჭყალავდა საკმაოდ მოზრდილ ვარიას, ის საცოდავი დაატოვებინა. მოიყვანა და გვიჩვენა – ფანჯისფერ ვარიას ცალი გვერდი გაწეილ-გასისხლიანებული ჰქონდა, მაგრამ ქორს გადაურჩა. მიწაზე დასშული გაიტრუნა,

ხმა აღარ ამოუღია, თუმცა გაელა მაინც შესძლო უზომოდ შინაგანმა.

ქათურის მახლობლად მდებარე და მალლობზე გაშენებული ის სოფელი – ითხვისი – ზღაპარით ჩამრჩა მეხსიერებაში. შუაღამოსას, ნაღვინვეზე გამოღვიძებული (სად გადამტყორცნა ქორის გახსენებამ), აივანზე ვიდექი და ოჭროთი დაფერილი სავსე მთვარის უსასრულობაში სრიალს ვაყოლებდი თვალს. უკეთესს სანახავს ვერც ვინაბტრებდი.

თემურს იმ ზაფხულს თან ახლდა ერთი ვაჭკაცი და კეთილი ჰიროვნება, მისი ახლო ნათესავი, ლულის შხრიდან, ბონდო კაპანაძე. შეძლებული, შარიანი მეწარმე იყო და სოფელში, სასოფლალის მისადგომთან, წამოწყებული ჰქონდა საკმაოდ შთამბეჭდავი ბაზილიკის აღდგენა-შენებლობა. ერთად დავათვალიერეთ იქაურობა. მკვიდრად შენდებოდა კედლები, ნათალი ქვებისაგან. ქველმოქმედმა დიდაძლი ფული შესწირა იმ ეკლესიას, მონაბეცეც და კურთხევეც ჰქონდა განზრახული. არ დასცალდა. თემურის გარდაცვალების შემდეგ ბონდოს უსიამოვნებები შეხვედროდა. ნათესავებს დიდ ვალში ჩავედოთ, მთელი ქონება დაეკარგა და ახლახან შევიტყვე შემადრწუნებელი ამბავი – ბონდო კაპანაძეს, სიცოცხლით სავსე, ხალისიან კაცს, დროსტარების, ლხინის მოყვარულს, თავი ჩამოუხრჩევა. ასეთმა რამებმა შეუძლებელია, გუნება არ მოგიშხამოს.

თავში მიმინო ვახსენე და უნდა ვთქვა, ეს სწრაფი ფრინველი ადრეც სხვანაირად მიხიდავდა; ერთ ძველ, ნადირობაზე დაწერილ შარიში საკმაო ადგილი დაეუთმე. ცოტა ხნის წინ, ჩემი ახლობლების ოჯახში შემთხვევით მოხვედრად მიმინოს ბარტყზე პროზაული ჩანარებითი ვაწყობილი ლექსების ციკლი დავწერე. „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოვაქვეყნე და ბევრი ვინმე შეეხმინა, ვფიქრობ, მოეწონათ.

ღიღიღი

05.08.2004. რამდენიმე დღის ამბავია და შთაბეჭდილება არ გამძლეება. ღამე იყო. ღია აივანზე ვიდექი. ეს არ დამიხშრებია, ნათელემილს რომ მომწვენიბოდა. ყველაფერი ცხადად ჩანდა. შევეცდები მიახლოებით, მკრთადად მაინც აღწერო უცნაური, უჩვეულოდ



ლაშაში და დაუეინყარი ზეზეული ხილვა. სურათი შემებლო განმეგრეო, გამეღრმაგებინა და რაიმე ღირებულის, მნიშვნელოვანის ბიბგი გახდებოდა, მაგრამ ახლა ამის დრო ნამდ- ვილად არა მაქვს.

ჩემ თავს ვხედავდი, ახლგაზრდას და ცის კრიალა თალიდან ნელი ფარფატიით დაშვე- ბულს, ლურჯად შემოსილს. მოძრაობა ფრე- ნას არაფრით გავდა. მაგრამ არც ის ვიცოდი, ფეხს რას ვადგამდი, რა მიკავებდა. წაუბორძ- იკებლად, ლაღად, წელში გამართული კი ჩამ- ოდილიდი და მიწას ეუახლოვებოდი, თითქოსდა ვეება სარკის წიაღიდან ამოტყორცნილი. ზურგს უკან უშველებელი, სპილენძის ფარივით გამოკვერილი მთვარე ლაღლაკებდა. ვგრძნობ რომ შემოეკრა უხილავ ხელს, მთელ სამყაროს დაუვლიდა მისი გუგუნი და ფრიალი. სალ- ვადორ დაღის გრძნეული ფუნჯი და კოსმი- ური შეფერილობის უმკვეთრესი საღებავები დაჭირდებოდა იმას, რასაც მე შევყურებდი.

ფართოდ გაშლილ ხელისგულებზე დაწყო- ბილი მქონდა და არ თავდებოდა დიდორნ- დიდორნი, ნამიანი, ოქროფერილი ფორთოხლე- ბი და იქეთ-აქეთ ვისროდი, ცის უსასრულო- ბაში ფენატკავდი, მიზაროდა მათი დარიგება. თან ვფიქრობდი, რა კარგი იყო ქვეყნიერებაზე ასეთი სრულყოფილი ნაყოფის აღმოცენება. მეძალბოდა იმის წარმოდგენაც, რომ თვი- თეული, ნოტიოდ მზინაევი და საამოდ დახ- ორკლიდი, ყვითელი ბურთი მანამდე ასეთივე ფერის ყვავილად იყო ტოტზე გამოტანილი და ელოდა მოკლე ყუნწის მომძლავრებას, ტკბილი, მხეგარეული მღვრიე წვენით ავსებას, სლიპინა თესლით მოკენჭვას, თეთრი ღერძის გარშემო ნეტარად მომრგვალებას. ისიც გავ- იფიქრე, რომ ჩემს ხელისგულზე დაგორებულ ფორთოხალს ედღამიწის მოხაზულობა ჰქონ- და და უფრო ამიტომაც მაჯადობოდა. საერ- თოდ, ვველანაირი ხილი მადლეუებს, მიხილავს და ეისურვებდი, ამ ცოდვილ მიწაზე არანაირი ცხოველის სისხლი არ დაღვრილიყოს ადამი- ანის გაუშაძლარი მუცლის ამოსაყორად. გაც- ილებით ნაკლები გასაქანი ექნებოდა ბოროტე- ბას, ამდენი უბედურება არ დატრიალდებოდა, კაცთა მოდგმა ნაირნაირ ხილსა და მცენარეუ- ლობას რომ დასჯერდებოდას.

რამდენჯერ შემთამაშებია ხელში პრიალა, მძამედ გაძტევილი ფორთოხალი და შემეგრძ-

ენია მისი სასიამოვნო, დაოქროვილი, ალაგ- ალაგ ამობურცული კანი. ყველაფერს წინა- ბრეველესად, ხილის ფორმას, მოყვანილობას გამორჩეულ ყურადღებას ვაქცევ და იმდენი რამე მაქვს დაწერილი ლექსად თუ პროზად, გულშემატკივარი პატრონი, ხელისწამოძკრე- ლი რომ მყავდეს, მოზრდილი და არც მთლად ურიგო წიგნი გამომივიდიოდა. ამას თავის მოსაწონებლად არ ვამბობ, სიმართლეა.

ბერი ახსნა და ჩაკირკიტება არაა საჭირო – ზემოთ ნახსენები მოძრავი ხილვა, ლამეუ- ლი ცის ფონზე, უთუოდ, გაახალგაზრდაების უმძაფრესი და თან განუხორციელებელი ნატკვრა. სიყმაწვილისდროინდელი სურათე- ბიც თითო-ოროლა შემომჩნა. ვიდეო-კასეტე- ბსა და სატელევიზიო გადაცემებზე ლაპარაკ- იც ზედმეტია. ბევრჯერ მთხოვეს, ლექსები ჩამეწერა, რამდენჯერმე დაპარებაც უნდოდათ ტელევიზიის თანამშრომლებს, მაგრამ ყოვე- ლთვის გადავდე, რაღაცეებს ვიმიზეზებდი. ამ- დენად, სასაყვედურო არაფერი მაქვს. ყვე- ლაფერი ჩემი ბრალია.

◆ ◆ ◆

04.05.2004. მწერებზე არაერთხელ დამი- წერია, მაგრამ ეს სულ სხვა რამ იყო და აღუნიშნავად ვერ დავტოვებ. შუალამდ გადა- ვიდა. გაცივებულს, ისევ სურდომწყრილს, აღარ დამძებნა და კეთილშობილი (საწოლთან ოცამ- დე წიგნი მაინც მიწვიდა, კვლავ მოვიძალე მცენი ჩვეულებას). ზუთი საათი იქნებოდა, საიდ- ანლაც მოფრინდა უცნაური, მოწითალო, ბუზ- ისმაგვარი არსება. ჩვეულებრივ ოთახის ბუზზე მოზრდილი იყო, ზოლო დიდ, აივნის მოაჯირე- ბზე გატრუნულ მინდვრის რუხ ბუზებთან შედარებით – პატარა. აგებულებით, შესახედა- ბითაც უცხო ჩანდა. დიდთვალებიანი, მკვიდრად მორგებული თავი უფრო მუქი ჰქონდა, მრგვა- ლი მუცელი კი – მწიფე წიწიბოსფერი; პაწია უკანალი ზემოთ აზნექოდა. აბრეშუმებით გამ- ჰჭვირვალე, ფაქიზი ფრთები ჭრიჭინასას უგავ- და, თოქცა ერთიხუთად მომცრო, ზურგზე სწორხაზობრივად დაწყობილი. არ მახსოვს, რომ მისი მსგავსი მწერი ადრე მენახოს. ვერ დავივიკრებ, ამხელა თვალების პატრონი ირ- გელივ კერაფერს ხედავდეს. ნეტავი რად ჯან- ვარ მის თვალში?! ტყუილად ხომ არ აცე- ცებს იმოდენა (სხეულთან შეფარდებით) ფა-



რანივით რგოლებს. მე თუ თვალთა ფსკერზე ჩაფენილი მაქვს ბადურა და ჯერ არ ამღვრევი საგნებისა და სინათლის ამრეკლავი ბროლი, ის წითლად შეფერილი მწერიც ხომ ცოცხალი არსებაა? ფრთები თუ მისცა, სიბრმავისთვის რატომ გაიძებნება შემოქმედი?

უცხო სტუმარი ერთხანს მაგიდაზე მიმოყრილ ქაღალდებს დაფუსფუსებდა. მერე (არ გაგიკვირდეთ!) ჩემი კალმის წვერზე დასკუბდა. რად მოეჩვენა, არ ვიცი. თანდათან გათამამდა, გამომინაურდა. ზურგი და უკანა ნაწილი გალაქულივით უბზინავდა. ოდნავადაც არ იწვევდა ზიზღს, რასაც სამზარეულოში, პურის ნაჭერზე მოლოდილად ბუზის ხილვა აღძრავს. ფრთხილად მოვიშორე. გვერდით დაცუქვდა და წინა, სახსრებში მოკეცილი უწერილეხი კიდურები ერთმანეთს ვაუსხვა, თითქოს ხელებს იბანსო. ცოტა ხნით გაუჩინარდებოდა და მერე ისევ წინ დამიჯდებოდა, შემეხო კიდევაც ხელზე. აღარ ვაქცევდი იმდენ ყურადღებას. კითხვა განვაგრძე და უეცრად გვერდიდან შემომახტა ლოყაზე. გვარიანად დამაფეთა. არაფერია დასამალი – ბავშვობიდან მეშინოდა, როცა საღამოხანს ზოჭო, ფარვანა ან ბუზი სახეში შემქნარცხებოდა. ვაღიზიანებულმა, ამასაც აუქუძიე. კეთილად განწყობილი კი იყო, ბევრს არაფერს მიშაუბდა, მაგრამ ცოტა აბუზარი კი გამოვდა. ეტყობოდა, მოწყინდა და გართობა მოიწადინა. დიდი ხანი არ გასულა, კომოდის მხრიდან კვლავ სწრაფად დაბრუნდა და თითქმის მისავე ფერის წიგნს დააჯდა, მწელად შესამწინვეი გახდა, როგორც იტყვიან, გარემოს შეხეხა. კი ვიფიქრე, დალოცვილს აქამდე როგორ არსად არ გადაგვეყარე-მეთქი, მაგრამ მე რომ არ მყავდა ნანახი, ეს ისეთს არაფერს ნიშნავდა. ვინ მოსთვლის, და აღნუსხავს, რამდენი ცოცხალი არსებისთვის არ მომიკრავს თვალი და არიან თავისთვის – დაფრინავენ, დასტან, ხოხავენ, ცოცავენ, ბობდავენ (უამრავი სახეობა, სამწუხაროდ, სამუდამოდ გაქრა, გადაშენდა).

ვერ ვიტყვი, რომ იმ ფლამა, ფართოთვალეუბა ბუნმა ძილი დამიფრთხო, ისედაც არ გვაფიქრებდნენ. ცქცის საათი სრულდებოდა, შუქი რომ ჩავაქრე და ჩემს აბურდულ ფიქრებს მიგნებდი. მაშინვე გადავწვეტი (რაიმეს დიდი ხნით გადაღება ცუდად მაქვს დაცდილი), გათენებულზე გამეცოცხლებინა მოულოდნე-

ლი დამეული სტუმრის იქეთ-აქეთ თავსოვლამხვევი წვევებუბა. ამის არდაწევრად მისი ივარგებდა, თუმცა რაც იმ წუთებში ვაქცევდა, მხოლოდ მიახლოებით თუ აღვადგინე. მაინც დავწერილმანდი, მეც იმასავით მივედმოვედე. მთავარი აზრის გამოტანა (სად უნდა შექმნა ასეთი აზრი) ყოველთვის მიჭირს. რა მექნა, ადრეც ვთქვი, ყველანაირად ვერიდებოდი. მისთვის ბუზიც არ ამოფრენია (თვითონ რომ ავაფრინე ერთი-ორჯერ, ეს რა გასახსენებელია, სხვა სულაც გასრისავდა, გაკვირვებულს ტკუცავდა იმ ეგზოტიკურ თავში). მთავარ აზრზე მთავარი ის გახლდათ, – ჩემგან სავსებით უნებელი, საღ-საღამათი წაივინდა, გაფრინდა. ღმერთმა დიდხანს აცოცხლოს, რამდენიც თუნდ ფერადი ბუზის კვლობაზე შეიძლება. ისე კი თავს მაინცდამაინც არ უფრთხილდებოდა, თამამად, მინდობილად იქცეოდა. ყოველთვის ჩემნაირი გულწივილი ხომ არ შეხვდება და, როგორც ვთქვი, შეიძლება რომელიღაც უხიავმა რაიმე ჩასცხოს იმ ნატყფად გამოყვანილ თავში და სული გააფრთხო ბინოს. წამით არ დაფიქრდება, არც მიხედავს, ჩვეულებრივი ბუზი იყო თუ არა (კაცის გარჩევა არ ხდება, კარგისა და ცუდის, ამასთანავე, სინდისგარეცხილები ბევრად უკეთ გრძობენ თავს, ხშირად განცხრომამაც არიან).

გამშორდა. წუხილი კი დამიტოვა – სიცოცხლის დარჩენილ, უბადრუკ წლებში შესაძლოა, მეტად ველარც ვიხილო. თვითონ რას გაგახსენდები!... ნეტაი შენ, ამის მეტი სადარდებელი თუ ქვეყნად არაფერი გაქვსო, გამკილავენ ვიეთნი და, აღბათ, მართალიც იქნებიან.

◆ ◆ ◆

30.05.2004. უსახლეროდ მივევარს მხატვრობა. ფერების საკმაოდ მსაფრი, გამოკვეთილი შეგრძნებაც მაქვს, მაგრამ ხატვით ვერაფერს ეხატავ. დაუოკებელი ფინი ოდნავ მაინც რომ მოვიკლა, დროდადრო ვცდილობ, მოძალეული სურვილი ხიტყვიერ გარსში მოვაქციო. რა დასამაღია და, წესიერად, მე რო მინდა ისე, ამის ვაკეთებაც მიძნულდება. რაღა დამრჩენია, როგორც იტყვიან, ჩემ ჭიას ვახარებ. დღევანდელი საღამოც ამის დასტურია.

იტალიური ვოთიკის მხატვრობიდან საუცხოოა იმები – პეტრო და ამროჯიო ლორენ-



ცეტი; დაბადების თარიღი ზუსტად არც ერთის არ იციან, გარდაცვალებით კი ორივე 1348 წელს გარდაცვლილა. პიეტრო ლორენცეტი დიდებულად იყვნენ – მწეანე, შავ, ცისფერ, ყავისფერ და მოწითალო ფერებს. მისი ფიგურები მკვეთრად გამოფიანდია, ქანდაკებათა იერი და გარშემოწერილობა აქვთ. იგი მძაზე ათი წლით უფროსი იყო და მასწავლებლობასაც უწევდა ამბროჯიოს, თვალნათლივი გავლენაც მოუხდენია მასზე. საბოლოოდ ერთმანეთისგან აშკარად განსხვავდებიან.

ფაილონის ენციკლოპედიაში (ეტყობა, სარწმუნო წყაროებს ეყრდნობოდნენ) პიეტროს დაბადების თარიღად 1380 წელია მიჩნეული, ამბროჯიოსი კი, შესაბამისად – 1390 წელი.

გრანდიოზულია პიეტრო ლორენცეტის „ჯეარცმა“ (1329), რომლის ერთგვარი გავლენა შეიმჩნევა ანტონიო პიზანელის უბრწყინვალეს, ყავისფერი ტონებით გაწყობილ ფრესკაში „წმინდა გიორგი და პრინცესა“ (1433-1438); მსგავსია ცხენოსანთა განლაგება და პოზები. ამაზე მსჯელობას, ცხადია, პროფესიონალი ხელოვნებთმცოდნეების დაკვირება და გამოცდილება ესაჭიროება. აღნიშნავენ ამბროჯიო ლორენცეტის ელვანტურობას, ფერთა სინაზეს. ერთი დახვედრითაც აშკარაა – იგი ძალზე პოეტური ბუნების მხატვარია. მშვენიერია, მზერას სიამოვნებს, ამშვიდებს მისი „ქალაქის ხედი“, რომელიც სიენას სამხატვრო გალერეაში ინახება (ლორენცეტები სიენას მკვიდრები იყვნენ). უზარმაზარი ფრესკაა „კარგი მმართველობის შედეგები“, რომელზედაც ქალაქისა და სოფლის სურათები, ფეფურათა რბილი მოძრაობები გასაოცარ პარმონიას ქმნიან. საეჭვოა, რომ ასეთი ყოფა და გარემო, აშინი ფერები ოდესმე განმეორდეს. აღტაცების გარდა არაფერი შეიძლება გამოითქვას ჯოტოს, დუროს, სიმონე მარტინის და სხვათა ფერწერაზე. ეს მთელი მსოფლიოს სიამაყე და სიმდიდრეა, არასოდეს რომ არ გახუნდება.

◆◆◆

23.07.2004. უსიამოვნო სინამდვილისგან თავის არიდებას რომ ხშირად ვლამობ, ჩემისთანა მოუხერხებელი არსებისგან, არ უნდა იყოს გასაკვირი. ეს ბევრს გაუკეთებია და ჩემზე ბევრად წარმატებულადაც. ყველაზე

გულდასაწყვეტი და დამთრგუნელი იმის შეგრძნებაა, როცა შევლას ვერც მთაწილ სამყაროში პოულობ, რაგინდ ფანტასტიკურიც არ იყოს იგი. ასეა. ზოგჯერ ხმანებაც კი დაუჯერებელია. აქროლება არა მარტო გაზისა და სითხის თვისებაა, ხილვებიც მკრთალებდა და ქრება. ამიტომ, ძილში მოღანდებასა და მის ჩანაწერს შორის დროის ხანგრძლივობა, რაც შეიძლება, მცირე უნდა იყოს. მოსათაგებელის გადაღება, გადავადება მუდამ სანაენებლად რჩება კაცს. ხანდახან (გაომნაკლისი თითქმის ყველაფერში იჩენს თავს), სიზმარში ნანახი მთელი ცხოვრების მანძილზე მიჰყვება ადამიანს, მეხსიერებიდან არ იშლება. ასეთი შემთხვევების არსებობას საეჭვოდ ვერავინ გახდის, არაერთგზის დადასტურებული ფაქტია.

წუხელ დიდხანს ვქანაობდი ერთმანეთში გადახლართული სიზმრების აფერადებულ ტალღაზე. უცებ, ქარმა დაუბერა და თუ რა იყო, მწვანე ტოტიდან ფრთხილ-ფრთხილად გადმოვარდა (ალბათ ფრენას სწავლობდნენ) ორი მოზრდილი ბარტყი და მხარზე დამებლაუჭნენ, შემკრთალ-აკანკალბულები. ხელებში მოვიტყეე ორთავენი, ვეფერებოდი, შავ-შავ, მრგვალად ჩაჯენილ თვალებს უკუაოცნიდი. ვფიქრობდი, სადმე უსაფრთხო ადგილას დამესვა საწყლები. ფუმფულა ზურგები უცნაურად, კლანდელი ხაზებით კქონდათ მოზატული; მცენარის ორნამენტს წააგავდა ის დახვეული სურათი. არცერთი ფრინველისა თუ პეპელას ფრთაზე არ მინახავს ისეთი რამე. თეთონ ბარტყები ნახავი თუ ნავეარი იყო ჩხართვისა და ლაფოსი. შეიძლება სხვა დეშის ჩიტიც იყო შერეული. სადღაც, მაღლა-მაღლა ავიოდი, უეცრად შევტორტმანდი და ბარტყებზე ხელი გამეშვა. ძირს ჩავიხედე და გული შემიქანდა. ასე, ოცდაათი მეტრის სიმაღლიდან ლიფტის მაღაროს ფსკერი ჩანდა, დამტკვრილი, ქალაქის ნაკუნებით, ნაფორტებით, ცელოფანის ნაირფერი პარკებითა და ნავით მოყვანილი. ყველაფერს ცხადად ვხედავდი, იქ ჩაკვივდნენ ბარტყები. მალე იქვე შემოძერა ხალაოიანი მუშა. ლიფტის მეთვალყურე თუ იყო. ჩაუძახე – მანდ ბარტყებია და ამოიფანე, ვითხამ ან კატამ არ შეჭმობს-მეთქი. ამომხედა, დამამშვიდა, მიხედვად, ნურაფრის გეშინიაო. მართლაც, ჩავედი და ბარტყები გვერდით ბალ-



ში დამშვდა გადაცენილი, შემოღობილში იყვნენ. ის მუშა და მე საკენკს ეუყრიდით, პურის ნამცეცებს. ჩემდა გასახარად, ჭამა დაიწყეს, მაგრამ საიდანლაც განზღა წითელი მამლის თავი (უტანო) და გამალეებით სანსლავდა დაყრილ პურს. რამდენჯერმე აუქუშში, იქაურობას მაინც ვერ მოვაშორე. არ შეშეპუა. სხვა ფრინველების კრიახი და გნიახიც შესმოდა. შევეწუხდი. მალე ის ბალი გაჭრა და სხვა სადინარზე გადაერთო ჩემი დამქული ხილვები.

ვითომ ყმაწვილი ვიყავი, ლურჯი, ტანზე კობხტად მორგებული პიჯაკი მეცვა და ვილაცას უნდა შევხვედროდი. ვამოჩინდა ჭროლათვალეობა, თხელი, ქერა გოგო, რამდენიმე ქალის ნაერთი. იმ ორი-სამი ქალის მიმართ არ ვიყავი გულგრილი. მომწონდნენ. ერთს ჩემი ცოლობაც უნდოდა, რომ დაეჭვრივდი, მერე შემოძოთავაზა, შენს გოგოს ბაკურიანში წაიყვან, დავასვენებო. არ გავატანე. სხვა შემთხვევებიც იყო. კონცერტზე უნდა წამეყვანა, ბილეთები აღებული მქონდა, მაგრამ შინ წერვები ამიშალეს. წრევა ამივარდა და დაეურეკე, რომ ვერ წავიდოდი. საერთოდ, ჩემი აბურდული მღვთმარობის გამო, იმ საკმაოდ სანდომიან ქალს თანდათან ვაყერივდი, ვიზოზინე და ის სხვა ჭერივ კაცს ვამეცვა ცოლად, ფიზიკოსს. შეხვედრისას მუბუნებოდა ხოლმე, შენი ლექსები და წერილები მე და ჩემს ქმარს მაღიან მოგვწონსო. ვერაფერს იტყვი, კარგი ნუგეშია. 7-8 წლის წინ შევხვდი, უკანასკნელად, რუსთაველზე, ფანიახს ფოტოატელეისთან და გული მიმიკვდა, ისე შეცვლილ-დამჭკნარიყო. რას უშერება ეს ოხერი დრო ქალის სილამაზეს. მე ვინც დამესიზმრა, ის თეოებათახთახებული კვიცივით იყო, თეთრად ხასხასებდა, ნესტოები ვნებისგან უფეთქავდა და ახალგამოღვიძებულზე ლექსივით რაღაც დავწერე, სათაურშივე ჩანს სინანული („რა დროს მომელანდე“). ასე ეხლართება ერთმანეთს სიზმარი და ცხადი.

ღ ღ ღ

25.08.2005. ზაფხულმა იცის მწერების უზომო რაოდენობით დაჩეკვა და შემოსევა. განსაკუთრებით სინათლეს ეტანებიან. ეს შემეძლო, არც აღმენიშნა. მიმედარი ვარ შუშაბანდში რკინის ოვალურ, შუაში მუშანასმულ

საყურნალე მავიდასთან. მამაჩემის მუტანელე ია. დიდი ხნის გარდაცვლილმე, ნუქნა/ჩხუფე, საემა, მეტალო-ქარხნის მთავარმა ინჟინერმა აჩიკო კვიციანიშვილმა აჩუქა. როგორ ვვიყვარა მე და მამაჩემს მტკვარვალმა, მის მყუდრო ოჯახში მისვლა, დინჯი მუსაიფი, კოდლი მასპინძლობა... სადღაა დღეს ისეთი აღამაინები?!

კვითხულობ, ფურცლებში ვიძირები. დამე დიდა და საიდანლაც მოფრინდა ოთახის ბუხისმავკარი, სიფრთიანაფრთებიანი, უღარესად ნატეფი არსება (ნეტავი მისი ფოტოს გადაღება შემეძლოს!). მონიკელეულ სალტეზე დაჯდა და დაიწყო ცოცვა. საცეცებთან ერთად, უჩანს პანია, სამკუთხა, ჭინჭულვას თავის მავკარი თავი, რომლის უკან, ძირში, უფრო დიდი და მრგვალი, თითქოსდა შავი ლაკით გულდავულ მოპრიალებული, სათადარიგო თეფა მიბმული. უკიდურესი სისუფთავის, სტერილურობის შეგრძნებას აღძრავს. ზიზღის ნატამალიც არ გინდებდა. ვინდა, მიეფერო.

ცნობისწავილიმა წამძლია და წინიდან მიუუახლოვე თითი. არ განძრეულა, სრულებით არ დამფრთხალა, მხოლოდ შეჩერდა. დაიცადა, აღბათ მავკარდებოდა, რას ვიზამდი, ნამეტანი მაიმიტი ჩანს. ხელი მოვაშორე და ნელი მოძრაობა განავრძო. სხვა ვინმე, ხერპე (განა ცოტანი არიან) დაუფიჭრებლად გასრესდა ანდა სრულებით არ მიატევედა ყურადღებას.

რატომ უნდა ვევეკონოს, რომ ამ საცოდავებს გონება არ აქვთ?! საკმაოდ საზრიანად იქეცივან. ცოტა ხნით ქვეშ მოექცა მრგვალ სალტეს. მერე ისევ ამოჭყო წამახული თავი. ნეტავი რას ჭამს და სეამს, პერს როგორ ისრუტავს?! ნუთუ ნესტოები არ ეჭება ცხვირზე ჩასვრეტელი, ორი თავის მფლობელს? მთლად პაწაწინტელა ტინი რომელში უღევს? გამაწამა ასეთმა უთავბოლო კითხვებმა. ენტომოლოგებს ეცოდინებათ, მაგრამ ამგვარი ცოდნისა ნაკლებად მეყრა, თანაც, რას მარგებს? მითუმეტეს, როცა ასეთ, თითქმის უსხეულ, უწონო ქმნილებას შევეურებ...

ვევლაზე მეტად სიბრაღულის გრძობას ვყვარ დამრიყვებული, არ მშორდება. ახლაც ასეა. ჩემ თავს ვერ მივხვდე. სხვებისთვის ბევრჯერ მიქნია სიკეთე, აღამაინების უმრავლესობას ვერ ვავაგებინე და ამ ქინქლას როგორ მივახვედრო, რა გულის პატრონი ვარ?



დემოკრატია იცოდეს, მაგდლობის მოსასმენად არასოდეს მქონია დატყვევებული ყურები.

ოციოდე წუთის მერე (ის უკვე გაფრენილი იყო, უფრო თვალისმომჭრელ სინათლეს მიაშურებდა), აღნავობით და ფერითაც მისი მსგავსი, მაგრამ ბევრად მომცრო მწერი მოფრინდა. უთუოდ წინას ქვესახეობა იქნებოდა და არა უშუალო ნამერი. ისეთივე აბრეშუმითი ხასხასა, გამჭვირვალე და სრიალა, ოღონდ ფაცილებით პატარა ფრთები ეწყო ზურგზე, ჭრიჭინას ფრთებივით უბზინავდა. მისი დაფრთხობა არ მიცდია. თითებშუა მოქცეული კალმის წვერი არ შევახე. ჩემი შეჩხიკინებადა აკლდა. შეიშლები – რამდენი ხასწაულის წარმომშობი და მეურვეა ბუნება! რამდენი ხანია ვცდილობ, შევადწიო მწერების იდუმალ სამყაროში, მაგრამ ჩემი მოწადინება ამაოა. რას ვიზამ, უნდა დავეკრდე ხვედრს, არც ისე იშვიათად რომ ვაკვირდები იმათ მიხერა-მოხერას, აფრენ-დაფრენას, ფუსფუსს (თავშივე ვთქვი, ეს, ცხადია, უფრო ზაფხულობით ხდება) და დაახლოებით მაინც შემოძლია ყოველივე ამის აღწერა.

კვლავ ზედაპირზე ვრჩები. ეს კოცტო წერს თავის ერთ მეტად ღრმააზროვან ესეში („სილამაზის გამო“) – თუნდაც დავუშვათ, რომ მწერებს თავიანთი საკუთარი შეხედულება გააჩნიათ, ზოგად კანონებს ეს მაინც ვერ შეცვლისო. თვითონ ჩვენ რისი აცილება ან შეცვლა შეგვიძლია? კისერწახრილები მიეყვებით ამაოების მოგუგუნე, აზრიალებულ დინებას...

◆◆◆


18.10.2005. 18 ოქტომბერი მართლაც რომ ღვთისმშობლის, კამკამა მშობი გადამრიალებული დღე გათენდა. უღრუბლო, იმდის ჩამსახველი. ასეთ დროს ვერც წარმოიდგენ, რომ ამდენი უბედურება, არც ისე იშვიათად, ციდან ატყდებით აღმჩანებს. დღევანდელი დღის ბრწყინვალეობა წუხანდელმა ღამემ შეამზადა, იგი მის წიაღში იშვა (სინოპტიკოსები ამბობენ, ამინდს დასაბამს შორეული ოკეანე აძლევსო. დაუეკრებიელი არაფერია).

ახლა მთავარ სათქმელს უნდა მივხედო – ანდამატებით მიზიდავს და ჩემს მოუსვენარ გონებაში ათასნაირ სურათებს წამოშლის ხოლმე ერთი უცნაური ვარსკვლავი (ნეტავი თვითონ თუ იცის თავისი გამორჩეულობა).

ცას ღრუბელი როცა არა აქვს გადაკრული, იმ ვარსკვლავს დიდხანს ვაკვირდები. მუდამ ხას, კარგა შემალბებული, იგივე მწერის მსგავსი ციმციმებს, დასავლეთის მხარეს და აბაზანის სარკმლიდან სუნთქვაშეკრული შევეყურებ. დანარჩენი ვარსკვლავები მომწვანო-მოწითალო-მოყვითალო, მკაცრად გამოკვეთილ წერტილებად აჩნია უკიდვგანო კაბალონს, ის კი დია ლურჯ, პაერში შეყვებულ მსუფებად გაშლიდა, თვალისმომჭრელად ბრჭყვიალებს, ოთხ თუ ხუთ მოკლე სხივად გატოტილი. გუგუნ-გრუზუნის ხმა რომ გესმოდეს და იქით ან აქით მოძრაობდეს, შეიძლება თვითმფრინავადაც ჩათვალო (ასეთ გაჩირადდნებულ, ასკოლის კუნწულასავით ასხმულ, ქალაქის ცენტრისკენ მომცოცავ თვითმფრინავზე ლექსიც მაქვს დაწერილი), მაგრამ ყოველამე ვრწმუნდები, იგი ვარსკვლავია, ციური სხეული და თანაც უძირო სიშავეში მიმოფანტული ვარსკვლავებისგან აშკარად განსხვავებული.

ერენესანის ეპოქის ერთი ნაკლებად ცნობილი იტალიელი მხატვრის (გვარი ადარ დამამასსოვრდა) ნამუშევრის საკმაოდ ხარისხიანი რეპროდუქცია, მინახავს. სიტლანქის, ერთგვარი არქაულობის იერი დაპკრავდა – მუქი შავი ცა მანათობელი, ფრთიანი, პაწია, სასაცილო ანგლოზებით იყო დაფარული. ოქროს ჩხირებივით სწორხაზოვანი და სხვადასხვა მხარეს მიმართული მეჩხერი სხივები თვალს სიამოვნებდა. იმ სხვანაირი მხატვრის და მასზე ბევრად ადრე, რელიგიური ექსტაზით ადგზნებული ნათელმხილველების და წინასწარმეტყველთა (იაკობ ბემეზე, ემანუელ სვედენბორგზე, ელვარდ შურესა და სხვა გამოჩენილ მისტიკოსებზე აღარას ვამბობ) წარმოსახვაში ალბათ ასეთი ვარსკვლავების ელვარებამ და დანახვამ გააჩინა ციურ მხედრობად და ძალებად შერაცხულ ანგლოზთა მწყობრი ხატი.

ერთი კი ცხადია – სანამ ვცოცხლობ, იმ ვარსკვლავის ჯადოსნურად მოლიცილივე ათინათს ვერ დავეხსნები, თუმც გამოიჭირდება – გულში ნავხელო დაუმრეტელი ნათელის წყაროს, სადანაც განგების ნებთ ამოზრდილი ის ზამბახისფერი სხივები, გარშემოწერულ სამყაროში, ჩვენდა გასახარად ვანფნინიან, გაოგნებულ მშერაში რომ აყვავდნენ. მათი მაცქერალი იოლად ირწმუნებ, რომ ხილული





სამყარო, მატერია მოლანდება და ყოველივე შეიძლება უსასრულოდ მცირე ტალღებამდე, თვალისთვის აუთვისებელ, შეუცნობელ ფერებამდე იქნეს დაყვანილი. ამაზე საგულდაგულო, თანმიმდევრულ მსჯელობას ეინშტეინისა და, თუნდ ზოგიერთთა მიერ ათვალწუნებული, ეან კოკტოს სიღრმე და ცოდნა ჭირდება. ისიც მინდა დაუფარავად ვთქვა — თუ ჩემი, ჯერ კიდევ გაუწაფავი ხელი რაიმე ღირებულს გამოიყვანს ქალაქის ფურცელზე, იმ უშორესი ვარსკვლავის ბრილიანტივით მკვრივი წახნაგებიდან აალებული და გამოსროლილი

სხივების უკუფენა იქნება. ეს რწმენა ბოლომდე შემრჩება. ჭკუიდან გადასუღადწანწანად მართადაც რომ ჩამთვალონ.

უნდა გამოეტყდე — რაღაც ნიშნით ნამდვილად ვარ ცრუმორწმუნე. ვარსკვლავების მიმართ, პატარაობიდანვე, აუხსნელი შიში მაქვს და რაიმეთი აფორიაქებულ-აწრიალებული (დღემდე ასეა) ხშირად, ცამოწმუნდილზე, ცალკე მოკაფე, შეგულებულ ვარსკვლავს მივწვდობი, უკმხელ ხვაშიადს და როცა ყველაფერი კეთილად მთავრდება, შემფოთება, ძრწოლა გადამივლის, ცისადმი მადლიერების გრძნობა მეუფლება.



წიგნის შესახებ

ორი ძალი

პარტოქმედიანური პიესა

მოქმედი პიესები:

ძარტველი ძალი - ორმოცდაათ წელს მიტანებული მახაღე

მისის ელიოტი - მიხრწნილი, ლოგინად ჩავარდნილი დედაბერი

სცენის ერთი ნახევარი წარმოადგენს შეძლებული ამერიკელის საბინებელ ოთახს, რომლის ფანჯარა ნიუ-იორკის უფსკრულივით თვალსაჩინოდ მუშავს ვადსურებს, კარი კი ტიხარს აქვს, სამხარეულოში გამოდის.

სამხარეულოს მეორე კარი ტუალეტში გადის. როდესაც ის კარი ღიაა, მოჩანს კაფულაგარული კედელი და პირსაბანი.

ფართო საწოლზე გაშლილ ქათამთა ქვეშაგებში ჩაკარგული მისის ელიოტი ზარს რეკავს.

ქართველი ქალი სამხარეულოში ფუსფუსებს: ელექტრონიკის ჩართვას, პატარა, მოკლეფეხება მაგიდა-ლანგარზე საუნიშეს აწვობს და თან წყლის ადუღებას ელოდება.

მისის ელიოტი ზარს რეკავს.

ქართველი ქალი ცხელი ფაფით პირმოღებულ თევზს გასაციებლად სულს უბერავს, ქაღალდის ხელსაწმენდს ლანგარზე ადგილს უკვლის. ისეთი ხალისით ირავება, გვერნებათ, სადაცაა დიდის წამოწმების.

მისის ელიოტი ზარს რეკავს.

ძარტველი ძალი: ახლავე!

წვადი რომ ადუღდება, ქართველი ქალი ფინჯანში რბიანი ფაფის ფხვნილს ჩაყრის, მღვდარეს დასხამს, კოვხით მოურევს და სანამ მაგიდა-ლანგარს აიღებდეს, სამხარეულოს სარკვეში იყურება, თმას ისწორებს და იღიმება.

მისის ელიოტი ზარს რეკავს.

ძარტველი ძალი: მოედივარ!

ქართველი ქალი ლანგარს იღებს და ტიხარს აქვს, საბინებელში გამოდის.

მოახლის დანახვაზე მისის ელიოტი ვერცხლის პატარა ზარს საბანზე მიადებს და შიშის ბარტყით აქვლოპინდება.

ძარტველი ძალი (გაბადრული სახით): ვუღ მორწინებ, მისის ელიოტი!

მისის ელიოტი სწორედ რომ შიშის ბარტყით აიღებს პირს და მოახლეს გახარებული სახით უწერებს.

ქართველი ქალი მაგიდა-ლანგარს ლოგინში ჩაუდგამს და წინ ჩამოუჯდება.

ძარტველი ძალი (აღერხიანი ხმით): აბა, ჩემო პატარა გოგო... ჩემი ვოგუცუნა... აი, შენი საყვარელი ფაფა მოგიტანე... ხო გიყვარს ფაფა? მითხარი, ხო გიყვარს?... გააღე პირი... აბა, გააღე... აი, ვერე!

მისის ელიოტი ხელოვნური კიბეებით გამოტყინულ პირს აფრქვს.

ქართველი ქალი ფაფას თევზთან კოვხით იღებს, გასაციებლად სულს უბერავს და აჭმევს.

ძარტველი ძალი: ჩემი ყოჩაღი, ჩემი ლამაზი და მშვენიერი გოგო... ჩემი კარგი ვოგუცუნა, ჩემი კოხტა, საყვარელი გოგო, ჩემი ცუგრუმულა... ჩემი ყოჩაღი და ღორმუცელა დრუნცა... ჩემი დრუნცები და დრანცები... ჩემი ოჭროს ბაჭია... ჩემი პატარა და ლამაზი ბაჭაჭუნა... აი, რა ძალიან კარგი და რა ძალიან ლამაზი გოგო ხარ... ჩემი საყვარელი გოგო...

მისის ელიოტი პირს ადებს.

ქართველი ქალი კოვხს სულს უბერავს, ფაფას აიღებს და აჭმევს.

მისის ელიოტი ეშმაკურად იღიმება.

ძარტველი ძალი (ფაფით სავსე კოვხს კვლავ პირთან მიუტანს): აბა, გააღე- გააღე, პირი საყვარელი...



მისი ელიოტი პირს აღარ უღებს.

ძართველი ძალი: ჩემი ლამაზი გოგო, ჩემი კარგი და ლამაზი გოგუცუნა... გააღე, გენაცვალე, პირი... გააღე!

მისი ელიოტი პირს არ უღებს.

ძართველი ძალი: გააღე, გოგო, პირი!

მისი ელიოტი უარს ნიშნად თავს აჭყვეს და პირს არ აღებს.

ძართველი ძალი: გააღე, შე ცულო, გააღე ბუთქა!

მისი ელიოტი პირს არ აღებს და ეს თანდათანობით რაღაც თამაშს ეშვავს.

ძართველი ძალი (სიცილით): გააღე პირი, შე საზიზღარო!

მისი ელიოტი პირს არ აღებს.

ძართველი ძალი: აბა, ჩემი გოჭი, ჩემი პატარა და ლამაზი გოჭი... აბა, გააღე— გააღე პირი, საყვარელო!

მისი ელიოტი პირს არ აღებს.

ძართველი ძალი (ლილინით): ბეკეკინა, ბეო, კარი გამიღეო, პირში ბღლაზი მიჭირაეო, მუტუებში რბეო...

მისი ელიოტი პირს არ აღებს და უარს ნიშნად თავს აჯობად აჭყვეს.

ძართველი ძალი: გამიღე, დედიკო, პირი, გამიღე!

მისი ელიოტი პირს არ უღებს.

ძართველი ძალი: გინდა, კურდღელზე გიმღერო? პატარა კურდღელზე, პატარა, პაწაწუნა კურდღელზე... მითხარი, გინდა? (მღერის) ეს პატარა კურდღელი ძლიერ აეად გაგვიხდა, არც სტაფილო ევაძა, ჩამოხმა და გაგვიხდა!..

მისი ელიოტი სიამოვნებისაგან იღიბება და პირს აღებს.

ქართველი ქალი ფაფას აჭმევს და როდესაც მისი ელიოტი პირს აღებს, უნებურად პირი თვითონაც ეღება.

ძართველი ძალი: აბა, ერთიც, ერთიც და მორჩა... აი, ყოჩაღ!

მისი ელიოტი კმაყოფილი სახით იღიბება.

ქართველი ქალი ქაღალდის ზედაპირზე დასერილ ტუჩებს და ნიკაოს მოწმუნებზე წერს რიანს ყვავს ახმევს.

ძართველი ძალი: ჩემი სუფთა გოგო... ჩემი სუფთა და კრიალა გოგო... ჩემი პრანკიკელა გოგუცუნა...

მისი ელიოტი კმაყოფილია, მისი ელიოტი იღიბება.

ქართველი ქალი წამოდგება.

ძართველი ძალი: ახლა მე წავაღ, კარგი? ახლა მე წავაღ და ყვავს მოვიდუღებ, შენ კი იწყევი აქ და მულწიკებს უფრეო— შენს საყვარელ მულწიკებს უფრეო— კარგად თუ მოიქცევი, მერე კიდევ გიმღერებ, კურდღელზე გიმღერებ... პატარა კურდღელზე გიმღერებ...

ქართველი ქალი საბინიდან პულტს იღებს, ტელევიზორს მიუშვებს და ჩართავს.

ტელევიზორიდან მულტფილის მხარული ხმები ისმის.

ქართველი ქალი მაგიდა-ღანგარი სამზარეულოში გააქვს.

მისი ელიოტი ტელევიზორს უყურებს.

ქართველი ქალი ჭურჭელს რევხავს, მერე სამზარეულოს კარდიდან ყვავს მოსადუღებელ ჯეზებს, შაქარსა და დაფუქლი ყვავს პაკეტს გამოიღებს.

მისი ელიოტი ტელევიზორს უყურებს.

ქართველი ქალი ელექტროქოქრას ჩართავს და თურქულ ყვავს იღუღებს. მერე მაგიდას მიუდგება, წინ ყვავს ჭიქას დაიდგამს, წინსაფრის ჯიბიდან სანთებლას და სიგარეტის ერთ ღერს ამოაძერწის და უკიდებს.

სამინებლიდან მულტფილის ხმები ისმის, მაგრამ მისი ელიოტი ტელევიზორს აღარ უყურებს — შეფითავს და ლოგინში მიუხვეწრად წრიაღებს.

ქართველი ქალი ზის და ნეტარებით ეწვეა, თან ყვავს წრუხავს.

მისი ელიოტი ზარს რეკავს.

ქართველი ქალი წამობტება, ნახევრად მოწვეულ სიგარეტს საფერფლეში ჩასრისავს და ნისლივით გაწოლულ კამულს ხელით ფანტავს.

მისი ელიოტი ზარს რეკავს.

ძართველი ძალი: მოვლივარ!

მისი ელიოტი ზარს რეკავს.

ქართველი ქალი ჭიქაში ჩარჩინულ ყვავს ერთხმად გადაკრავს, გადმოაბრუნებს, თეფშზე დადებს და საძინებელ ოთახში გადის.

მისი ელიოტი ლეკვით წამუტუნებს.



ძარბაზი: რა? რა გინდა? რა გინდა, მთხარი... ხო არ ჩაიფიცე? ო, შე საბავლო, ჩაიფიცე, არა?

მისი ელიოტი შესაბრალისად წაქეზდება.

ძარბაზი: ახლავე, დედიკო, ახლავე, გენაცვალე... ცოტა ხანს მოითმინე და ახლავე გამოგიცვლი!

მისი ელიოტი წკატუნებს.

ქართველი ქალი კომოდის უჯრიდან პამპრისის პატის იღებს. ხსნის და მისი ელიოტის საწოლთან იხრება.

მისი ელიოტი მზიარულად ტელახინებს.

ქართველი ქალი მოხუცს პამპრისს უცვლის და თან განწმენილად ელაპარაკება.

ძარბაზი: ეს არაფერი, ჩაიფიცე და ჩაიფიცე, რა მოხდა მერე... არაფერიც არ მოხდა... ახლავე გამოგიცვლი და ისევ ის გოგუცუნა იქნები... ჩემი კარგი და საყვარელი გოგო იქნები... (სველ პამპრისს ცელღონის პატის აგდებას) ახლა ეს ჩაიცივით და ისევ ისეთი სუფთა და კრიალა გოგო იქნები... აი, ასე... ჩემო ლამაზო, ჩემო მშვენიერი... ახლა საბანი დაიხურე და ტელევიზორს უყურე, კარგი? ოღონდ აღარ დამირეკო, აღარ დამირეკო, იცოდ!

მისი ელიოტი საიფიცებისკენ კრუტუნებს.

ძარბაზი: აბა, შენ იცი... შენ იცი ახლა!

ქართველი ქალი ცელღონის პატის იღებს და საწოლი ოთახიდან გადის.

მისი ელიოტი ტელევიზორს უყურებს.

ქართველი ქალი ტუალეტში შედის (კარს დასატივებს), ცელღონის პატის საწივში აგდება და ხელს იბანს. მერე ისევ საშარეულოში გამოდის, ფაისი ცარიელ ჭიქას იღებს, შიგ იყურება და თავს უსამართლოდ აჩვენებს.

მისი ელიოტი ტელევიზორის ვერანს უახრო სახით მისწერება.

ქართველი ქალი სკამზე შედგება, კარდის ოთახზე ხელს მოაფათურებს და სიგარეტის ღერს იპოვნის. მერე სკამიდან ჩამოდის, ჯდება, სიგარეტს მოუკიდებს და გააბლეს.

მისი ელიოტი კენესით გადმობრუნდება, ტელევიზორს ზურგს შეაქცევს და თვალს ხუჭავს.

ძარბაზი: (ფაისი ჭიქას იღებს და შიგ იყურება): ვაიმე, გზა არ ჩანს... (უფრო მეტი ვრავლებით აყივრდება) არა, არ ჩანს... მოიცა, ეს ხაზი? არა, აზრზე არა ვარ... ეს კი, მგონი,

ნანუკა... ჩემი ნანუკუნა... დედა, რამხელა მუცელი აქვს! ნეტა ეს გოგონა... რამხელა მუცელი ხომ არ არის?! ღმერთო... ოღონდ ეგ არა, ოღონდ ეგ არა და რა ვიცი... მოიცა, ეს გოგია?... არა, არა, რა უგავს გოგის... (ფინის) გოგის კი არა, ცხენს უფრო ჰგავს... არ ვიცი, აზრზე არა ვარ, ასეთს არავის ვიცი... ზურგზე დიდი ტომარა ჰკიდია... რა კარგი მაიკა ვუყვიდე და როგორ დამეკარგა... (პაუზა) გზა კი არ ჩანს... არა, გზა არ ჩანს... (ისევ ჭიქას ნახევარს, ვაკირვებული სახით) უი, ეს ხომ მისტერ ელიოტია (ფინის)! ჭირი მაგას, მე რას ამომდის ამ ყავაში, ვერ ვავიგე... კრეტინი... (აჯერებს) „ნოუ სმოქინგ, მისი ნელი, ნოუ სმოქინგ“... წადი, შენი!

ქართველი ქალი მისტერ ელიოტის უბრძულოდ ღრმად ნაფახს დაარტყამს.

ტელევიზორიდან მზიარული მუსიკა და მულტფილმის გმირების სტილი-კოსტის ისმის.

მისი ელიოტი ლოგინში საცქვოდ გატრუნდება.

ქართველი ქალი სიგარეტს საფერფლუსი აქობს, მაცივრის გვერდიდან დიდ ჩემოდანს გამოაბრუნებს, დააწვეს, საზურავს ახდის და შიგ იჭექება.

ძარბაზი: სად ჯანდაბაში წაგიღე... ნეტა იმ შალაზიაში ხომ არ დამჩნა? არა, არა... მაგრამ რო არ არი? დავინახე თუ არა, მაშინვე ვიფიქრე, გოგის მოუხდება-მეთქი... სულ ახალი მაიკა იყო, უხმარი... (ჩემოდანიდან ტანსაცმის ალაგებს, ათვლიერებს და სკამზე აწყობს) ეს ვიოს, ენაცვალოს იმას ბუბო... ეს კი - თუკლას... ნახე, როგორ დახატოს - სწორედ მისი თვალების ფერია... (ჯინსის შარვალს ამოიღებს და სკამის საზურავზე გადაიფენს) ეს ჯინსები - ნანუკას... მაგრამ ორსულად თუა, როგორ ჩაიცივამ? არა, არა, რა ორსულად, ღმერთმა დაგიფიქროს!... ნეტა ეს სეიტრი პატარა ხომ არ ექნება?... არა, ნამდვილად იმ შალაზიაში დამჩნა, იმ ოხერში... აი ეს კაბა აქ არის, იუბკაც, ჯეჰპრებიც და ტილოს შარვალიც, ერთად არ ვიყიდე? მაიკა კი არ ჩანს... (ტანსაცმელს ისევ უკან ალაგებს, ჩემოდანს კეტავს და მაცივრის გვერდიდან ფაისს) ჭირი ჩემს თავს, ჭირი!... ემ, დროა სადილი დაიწყო, თორემ ატივხავს სადაცაა ზარის რეკება... (საფერფლუსს სანაგვეში ჩააბრუნებს, გარეცხავს, მაცივრის კარს გამოაღებს და შიგ იყურება) რა ვქნა, რა ჯანდაბა გავაკეთო?... მომიკლა ამაზე ფიქრმა... ეს გატარებული ზორცი მაქვს... მოიცა, ხინკალი ხომ არ



მოვახვით უცებ, ა?... კარგი, გემრიელი ხინკალი... ოხ, რა ხინკალი იცოდა ჩემმა ცხონებულმა დედამთილმა! - წენიანი, თხელკანიანი... რომ ჩაებინავედი, წენი სახეში შემოვასხავდა!... ისე არც მე გამოძდის ცუდი, რა ვინდა... გიჟდება გოგი ჩემს ხინკალზე... მოდი, მართლა ხინკალს გავაკეთებ, რაც არის, არის! გატარებული ხორცი არის, ფქვილიც... მგონი, შავი პილპილიც უნდა იყოს სადღაც... (ახლა კრადის კარს გამოადებს) აი, ყოფილა, რა ვინდა! გავაკეთებ, ხინკალს გავაკეთებ!

ისმის ტელეფონის ზარის ხმა.

მისი ელიოტი უკრებს ცქიტავს. ლოვინიდან წამოიწვევს და სამზარეულოში გამავალ კარს გაფაციცებული სახით მიანერვება.

ძარბაველი ძალი (ყურმილს იღებს): პელოუ!- უი, ციცო, შენა ხარ, გოგო?... მე ჩემის მისტერ ელიოტი მეგონა... არაფერს, ხინკალს ვაკეთებ. შენ რას შერებ?

მისი ელიოტი ერთხანს უსმენს, მერე ამოიხრებს, დაწვება და თვალს დახუჭავს.

ძარბაველი ძალი (ტელეფონზე ლაპარაკს განაგრძობს): რა ბუნდირებაა, ძაზე უკვე თბილისში იქნება... შშურს, გოგო, რა კქა, ძალიან შშურს... არაფერი, რა უნდა გავატარო, ამასწინათ ტელეფონით ველაპარაკე, ფულსაც ყოველთვე ვუგზავნი და მეტი რა კქა... ეგენი რას ამბობენ?... ეს, ჩემო კარგო, რა თქმა უნდა, გული დაწყდებათ, აბა, ჩვენი სთნა მოვამაგიარებებს საღლა იშოვინან... რაღა დარჩა, თვენახევარში მეც წამოვალ... ხო, იმ თვის ბოლოს... (იენის) ჩემოდანი ჩალაგებული მაქვს უკვე... არა, ჯერ რა დროს ბილეთია... რა კქა, ცოტა კიდევ უნდა ვიჯახირო ამ დასაქცევში... აღარ შემძლია, ქალო, მაგრამ ორი კაპიკი ხომ უნდა ჩავიტანო სახლში?... იცოდე, ფრთხილად იყავი, გზაში არაფერი დაკარგო... მაგას ნუ იტყვი, გადასარევი მაიკა ვუყვიდე გოგის, მაგრამ სადღაც დამეკარგა... რა ვიცი, კი ვეღარ ვპოულობ და... აბა, კეთილი მე ზაერობა, გენაცვალებ, მომიკითხე შენები!

ქართველი ქალი ყურმილს დებს, მერე კარადიდან პლასტმასის ვაშს გამოიღებს. შიგ ფეჭალს ყრის, წყალს ასხმის და ცომის მოზელას იწყებს.

მისი ელიოტი უძრავად წევს, ეტყობა, ჩაებინა. ტელევიზორიდან მულტფილმების გმირების ხმები ისმის.

ძარბაველი ძალი: თვენახევარი... ეს, რას იზამ... (ცომს დასუნავს) ამათხანს, ჩო გემო არაფერს არა აქვს... ამასწინათ ნივეზიანი ბადრიჯანი რო გავაკეთე, ხო ნახე, რა სახიზღრობა გამოვიდა - ერთი ლუკმა ვერ ჩავიდე პირში... არადა, ნივოზი ნივოზს გავდა, ბადრიჯანი ბადრიჯანს და ზეთი - ზეთს... ბედზე, სწორედ იმ დღეს, მისტერ ელიოტი რომ არ მოსულიყო, გადასაყრელი გამიხდებოდა... (იენის) აუ, რას იღმურძღებოდა!... პირის გემო არა აქვთ ამ ოხრებს!

მისი ელიოტი იშშუშნება და თვალს ახლს. ერთხანს ვერ წევს, მერე საბანზე ხელს მოაფათურებს, ზარს პოულობს და რეკავს.

ძარბაველი ძალი (ცომან ხელზე დაიხუდავს): რა უნდა ეხლა, რა!

მისი ელიოტი ზარს რეკავს.

ძარბაველი ძალი (გალიზანებული): ხო ვაჭამე, ხო გამოუეცეკალებო არა? მეტი რა კქა?!

მისი ელიოტი ზარს რეკავს.

ძარბაველი ძალი: კიბი შენ!

ტელეფონში ხელს იძინს, იშრალებს და საწოლ ოთახში გადის.

ძარბაველი ძალი: რა ვინდა, მითხარი, აბა, რა ვინდა?

მისი ელიოტი უკრებს და მორცხვად უღიბს.

ძარბაველი ძალი (ღიმილით): რა იყო, რა მოგივიდა?

მისი ელიოტი შეწუხებული სახით უკრებს და თხელი, მოცხცახე ხელით რაღაცას ანიშნებს.

ძარბაველი ძალი (ახლავა მიხედება): რა, არი, ქალო, ჩაისვარე? უი, მომიკვდეს თავი!

მისი ელიოტი აღარ იღივება, წევს და მოახლეს გამოციებული სახით მისწერება.

ძარბაველი ძალი (ტელევიზორს გამოითავს): კარგი, არაუშავს, დაწყნარდი, ახლავე ჩაგბან და გამოგიცვლი...

ქართველი ქალი გადის, სამზარეულოს გაივლის, კარს გააღებს და ტელეფონში შვიის. იქადაც ერთხანს წყლის ჩხრიალი ისმის.

მისი ელიოტი კენებს.

ქართველი ქალი ტელეფონიდან დიდი ტამბით



თბილ წყალს გამოიტანს. ილიაში პირსახოცი აქვს ამოწრილი. საშარეულოს რომ გამოიღვინს, ნახევრად მოხვლილ ცოშს ჩახვდავს და საწოლ ოთახში შედის. მისის ელიოტი კრუსუნებს.

ძარბაველი ძაღლი: ხო, კარგი ახლა, კარგი, რა მოხდა მერე, ვის არ ჩაუსვრია...

ტაშტს იატაკზე დგამს. საწოლის ქვეშოდან ცელოფანის დაკვივლ ზეწარს გამოიღებს და მისის ელიოტს ქვეშ შეუფხვს. მისის ელიოტი ოხრავს.

ძარბაველი ძაღლი: რამდენჯერ უნდა ვითხრა, ზარი მანამ უნდა დარეკო, სანამ ჩაის-ვრი-მეთქი, მერე რო რეკავ, რა აზრი აქვს!...

მისის ელიოტი ოხრავს და ხუნმა რომ არ შეაწუხოს, ცხვირზე ორ თითს იჭერს.

ძარბაველი ძაღლი: ვაიძე?! რა არის ეს, რამ აგიშალა კეჭი?

ჭარბული ქალი დახვრილ სამკერსს პარკში აფდებს, მოხუცს ბანს. მერე პირსახოცით ამშრალავს, ცელოფანის ზეწარს საწოლქვეშ ინახავს და კომოდის უჯრიდან ახალ სამკერსს ამოიღებს.

ძარბაველი ძაღლი: ასეთი რამ აღარ ქნა, იცოდე! როცა მოვინდება, ზარი დარეკე და სუდნოს მოგიტან, ვაიძე?

ახალ სამკერსს აცმევს, საბანს ახურავს და ტაშტი ტუალეტში გააქვს. მისის ელიოტი კენჭით გადაბრუნდება, გულადმ წევს და თვალებამოშერბული ჭერს უყურებს.

ჭართველი ქალი ხელებს საწინთ იბანს, მერე საშარეულოში გამოდის, წვლიან ჭიჭის იღებს და საწოლ ოთახს მაშურებს.

მისის ელიოტი მის დანახვაზე ხმადალა კენჭის.

ძარბაველი ძაღლი (კომოდის უჯრიდან წამლის აბს ამოიღებს): აი, ეს დაღიე და დაიძინე, კარგი?... გააღე პირი!

მისის ელიოტი პარს მორჩილად უღებს.

ძარბაველი ძაღლი (წამალს ასმევს და საბანს ამოღებს): დაიძინე, შენი ხმა არ გავიფიქრო, იცოდე!

მისის ელიოტი ჩუმად უყურებს.

ძარბაველი ძაღლი (საშარეულოში გადის და ცომის ზელას განავრძობს): ღმერთო, რა დავაშავე, ეს რა დღეში ჩავყარდი... ჩემმა თანამშრომლებმა რო დამინახონ, დაიჯერებენ? სხედან ახლა და შურით სკდებიან, ჰგონიათ,

მართლა პუშკინტარული დახმარების დეპარტამენტში ვებუშობ... (ყავის ჭიჭის ჩემს ქვეშ მოგფურება) არა, ეს გოგო თუ მართლა ჩემს ქვეშ ლად არი, თავს მოვიკლავ!... ამორტი ცოდვააო... ვასაგებია, ბატონო, მაგრამ ათასი საშუალებაა, ათასი რამე - ცოტა იფრთხილონ, გენაცვალე. ვერე სად არი... მესამე ბავშვი უნდა კიდევ ჩემს ოჯახს?!... მარტო ეკლესიაში სიარული და პირჯერის წერა ხომ არ არის, ცოტა ხელიც ხომ უნდა გაანძრო... კაცი ხარ, ბოლოს და ბოლოს... არ ვიცი, არა, არავფერი არ ვიცი...

ისმის ტელეფონის ზარის ხმა. მისის ელიოტი თვალებს ახვებს, ლოგინიდან წამოიწევს და საშარეულოს კარს მაშურდება.

ძარბაველი ძაღლი (ცომან ხელზე დაიხვადვს და ყრმობს ორი თითით იღებს): ჰელიოუ!... (მომხაზველი დამხვით) გულ მორჩინე, მისტერ ელიოტ!... იეს... ეს... (ხალისიანად) ვერი გულ, მისტერ ელიოტ, ვერი გულ!... ისე... თენქ იუ, მისტერ ელიოტ!... იეს... გულ... ვერი გულ-ბაი, ბაი, მისტერ ელიოტ, თენქ იუ ვერი მარ!

მისის ელიოტი საშარეულოს კარს სასოწარკვეთილი სახით მიხვრება, მერე ღონეზბილი გადაწვება და თვალებს ზუჭავს.

ჭართველი ქალი ყრმობის დებს, წინსაფრის ჯიბიდან ცხვირსახოცი იღებს და ოფლით დაკვირულ შუბლს იშმრალავს.

მისის ელიოტი უძრავად წევს, სიციცხლის ნიშანწყალი აღარ ეტყობა.

ჭართველი ქალი ცომის ზელას განავრძობს.

ძარბაველი ძაღლი: ეს იციან... კი, ეს იციან... ამას ვერ დაუკარგავ... დღეს რა რიცხვია, ოცი, ხო?... რას ერჩი, როგორც კი გადამირიცხა, მაშინვე დამირეკა და შემატყობინა... არ არის ცუდი კაცი, არა... (აუზა) მაგრამ დედის ამბავი არ უნდა გკითხა?!... ერთხელ მაინც დაიტყვეს უფლიო... ემ, რა ჩემი საქმეა... (ყავის ჭიჭისკენ გაიხვდავს) არა, ესენი გადამრევენ, სამ შუბლს როგორი გაზრდა უნდა, არ იციან?! რომ კითხო, ვებუშობ, მეტი რა უქნაო!... მაგას წერა მუშაობა ჰგონია... აბლევდნ მარც რამეს... გააწვალა ის საწყალი გოგო... არადა, რა არის მაინც სიყვარული - „ჩუმად, დათუნას ძინავს, ჩუმად, დათუნა მუშაობს!“... გამაგებია ქალი! (აუზა) არა, ვერ გავიფე, ვაცემე, ვაჭმე, ცივ ნიავს არ ვაკარებ, ორ შვილს ეუზრდი და ახლა მესამეც არ მომიხდომა?!



წაუფვანე, ბატონო, ეგ შენი ცოლ-შვილი დე-
დაშენს, რომ გაუსქელებია ტრაკი და ენახავ
ერთი რამდენ ხანს შეგინახავთ... შარშანწინ
არ იყო, რო გამოაპანდურა თვენახევარში?...

მისი ელიოტი თვალს ახვალს და, თითქოს ვიდაცას
ქვბო, აქეთ-იქით იყურება.

ქართული ქალი ცოშ ხელს.

მისი ელიოტი ლოგინში წრიავლებს, მერე საბანზე
ხელს მოფათურებს. ვერცხლის ზარს პოულობს და
აქარუნებს.

ქართული ქალი თავს ასწევს და საძინებლის
კარს მაჩერდება.

მისი ელიოტი ზარს რეკავს.

ქართული ქალი შუბლშეკრული ირეცება.

მისი ელიოტი ზარს რეკავს.

ძარბაველი ძალი: გაგიხმეს ეგ ხელი!

მისი ელიოტი ზარს რეკავს.

ძარბაველი ძალი: სიკვდილი და არგა-
დარჩენა!

მისი ელიოტი ზარს რეკავს.

ქართული ქალი ტუალეტში ცოშინ ხელებს
დაიბანს და საძინებელ ოთახში შედის.

ძარბაველი ძალი: რა გინდა?

მისი ელიოტი ნუბდ უყურებს.

ძარბაველი ძალი: აბა, მითხარი, რა გინ-
და... მოგებზრდა არა, მარტო ყოფნა? არაუშავს,
ცოტაც მოითმინე და ისეთ ხინკალს გაჭმევ,
თითებს ჩაიკნენეტ!

მისი ელიოტი რაღაცას ანიშნებს.

ძარბაველი ძალი: დედა, გაგვიყვები
ახლა! (მეოდა და საბანს აუწევს) ფუჰ... ეს რა
გიქნია, ქალო, წელან არ გამოგიცვალე?! რა
მოგივიდა, რა ჭირი გეტაკა?!...

მისი ელიოტი პირგამებზელი უყურებს.

ძარბაველი ძალი: კიდევ უსინდისოდ რომ
მიყურებს... რა გინდა რა, გამაგებინე, დღემში
რამდენჯერ უნდა გამოგიცვალო!

მისი ელიოტი თვალს არ აცილებს.

ქართული ქალი ტუალეტში გადის, ტამბს ობლი
წვლით აესებს და საძინებელ ოთახში გამოიტანს.
იღლიამი პირსახოცი აქვს ამირილი. მერე საწოლის
ქვეშედან ცელოფანის ზეწარს გამოიღებს და მოხუცს
ლოგინში ჩაუფენს.

მისი ელიოტი პერს ცნობავს, სახეს ზახილი
მანჭავს და ცხვირზე ორ თითს წაიჭერს.

ძარბაველი ძალი: არა, ნამდვილად რა-
ღაცამ აწყინა... რა ჭამა ამისთანა, რა შენსკენ
ულმამა!... (მხრებში ხელებს ჩაადლებს და შესრულ-
რებს) მითხარი, რა ჭამე, შე ოხერო, რა!

მისი ელიოტი გაღახული ლეკვით წაუწავებს.
ქართული ქალი დახვრილ ჰამპერს პარკში დებს,
მოხუცს ბანს. ამრავლებს, ცელოფანის ზეწარს აცვავს
და საწოლქვეშ ინახავს, მერე კომოდის უკრას
გამოსწევს და იჭადან ახალი ჰამპერისს კაეტს
ამოიღებს, თან განწვევტილე ლაპარაკობს.

ძარბაველი ძალი: ახია ჩემზე, ახი... რა
მინდოდა, სად მოვეთეროდი, ვერ დავეტიე
ჩემთვის?... თავში ქვა ეხალათ და შეენახათ
ოჯახი, ორი უსაქმური რომ მიზის სახლში...
დაებერდი და ჭკუა ვერ ვისწავლე... ავიტებე
სულელივით - ამერიკა და ამერიკა... ესეც
შენი ამერიკა!... მოისპოს ამისი მოშეონი, რა
გამძლებს კიდევ თვენახევარს ამ დასაქვე-
ში... (პაუზა) არა, ისე რა მეგონა, აბა, დამსვამ-
დნენ ქალბატონივით და შემინახავდნენ?... არა,
ბატონო, ტყუილად ვინ რას მოგცემს... ამისი
შვილი? უიშეე! დადის და სულ აქეთ-იქით
იყურება, ხომ არაფერი დამიხარდაო!... (მისი
ელიოტს) გადმობრუნდი აქეთ!... გადმობრუნ-
დი-მეთქი, შე საზიზღარო!

მოხუცს ევაჯგურება და მის გადმობრუნებას
ცდილობს.

მისი ელიოტი უფროდ ისტერიულ კვილს
შორთავს, გადმობრუნდება, ქართულ ქალს ეცნა და
სახეს ფრჩხილებით ჩამოაკორტინს.

ქართული ქალი მიშისა და ტკავილისაგან
შეშვიერებს და უკან გახტება.

მისი ელიოტი ნიშისმოგებით უყურებს.

ძარბაველი ძალი (ლოყავ ხელის გულს
მიიღებს და მერე ზედ დაიხდევს): დედა, სისხ-
ლი... რა მიქნე ეს, რა?!... რა მიქნე... გაჭმევ,
გასმევ, ტურტლიან ნიფხვებს ვირეცხავ და
ეს რა მიქნე?!... მადლობის მაგიერია? ვერ
უყურებ ამ საზიზღარს, ამას?!

ქართული ქალი მისი ელიოტს მკლავზე
დააფრინდება, ჩქვტს და მერე ერთი კარგად ჩაუბნის.
მისი ელიოტი დასაკლავი გოკვიით ტყვიობს.

ძარბაველი ძალი: ჩაიწყვიტე ხმა! (ლო-
ყას ისინჯავს) არ არი ეხლა ეს მოსაკლავი?
(ტუალეტში გადის და სარკეში იყურება) რა მიყო,
ეს რა მიყო, ამ გათახსირებულმამა!...

ქართული ქალი ლოყას ჩამოიბანს და პირსახოცი





ერთხელად იმხარალებს. მერე ისევ სამხარეულოში გამოდის, სკამზე შედგება, კარადის თავიდან სივარტეს ჩამოიღებს და ნახევრად მოხედილ ცოშს დახედავს.

ძარბაზი ძალი: ვაი, ჩემს პატრონს, უბედურს, ამისი დრო იყო ახლა?! (მაგიდას მოუჯდება და სივარტეს მოუკიდებს) დედა, რა დღეში ვარ, ა?... ოხ, ვოგი, ვოგი... (პაუზის შემდეგ) რა ქნას იმ გოგამაც, სანამ სამუშაო პქონდა, ზომ დგებოდა დილის ექვს საათზე და ახლა რა ქნას... (პაუზა) ეხ, აღბათ, როგორ მოენატრა ჩემი ვაკეთებული ხინკალი!... რამდენი იარა, ხაწყალმა, ვინ აღარ შეაწუხა, მაგრამ არ არის ეს ოხერი სამუშაო და რა გინდა, რომ ქნა... არადა როგორია - იჯექი ამხელა კაცი სახლში და უფურე შშიერ ცოლ-შვილს... ჭურჭელს მაინც დაგირეცხავო... სულელი... ძლივს გამოვაგდე სამხარეულოდან... შეადარე ახლა ის და ამ გამოყრუებული დედაბრის შვილი ერთმანეთს... ვერ გაიფიქროთი ჯობია ეს ოხერი მაიკლი ჩემს ვოგის, ა? არა, რითი ჯობია - შეხედულებით, განათლებით, ზრდილობით თუ სიტყვა-პასუხით?... ორი წიგნი არ ექნება წაკითხული... ფული კი... ფული იმდენი აქვს, აღარ იცის, სად წაიღოს, მაგრამ მარტო ფულია, გენაცვალე? ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, დედა ზომ მაინც უნდა ვიყვარდეს, დედა!... ხომ ხედავ, სულ შენს გზას გამოსცქერის, შენზე ფიქრში ათენებს და აღაძებს... თვეში ერთხელ მაინც დანახვე, შე ოხერო!... წელიწადი და რვა თვეა, რაც აქ ვარ და რვაჯერ არ არის ნამყოფი... არადა, როგორ უხარია მისი მოხელა, შოშის ბარტყევით აჭვლოპინდება ხოლმე, ხელებზე სუნავს და ეფერება... არა, დედა მაინც დედა - რა ამერიკელი და რა ქართველი...

ისმს ტელეფონის ზარის ხმა.

მისი ელიოტი თვალებს ახელს, ღვიინდან წამოიწვეს და სამხარეულოს კარს გაუციცებული სახით მიმართდება.

ქართველი ქალი წამოხტება, სივარტეს საფურფლეში აქრობს, კეამლს ხელით ფანტავს და წვრილს იღებს.

ძარბაზი ძალი (დაძაბული სახით): პელოუ... (სახე მოკრძევა) უიმე, დედიკო, შენა ხარ?... რას შერებთი, შვილო, როგორა ხართ... მითხარი, ბავშვები ხომ კარგად არიან?... რას

მეუბნები, ვახსოვარ კიდევ?... ჩემი ბატონი, ჩემი ბატონები, ჩემი დრანკები და დრანკები... არა, არ ვიტყვებ, ნუ გეშინია... ფული ხომ მიიღეთ?... როგორ, კაცო, გასულ სამშაბათს გამოვაგზავნე?... წავიდე მამაშენი და აიღოს... რას შერება, როგორ არის... რა?... (აფლდუბა) რას მელაპარაკები! ვაიმე, ეს მინდოდა ახლა? უთხარი, ექიმთან მივიდეს, გაიგე?... რას ქვია, არ ვიჯერებს. უთხარი, აუცილებლად მივიდეს! იცი რა, მოდი, შენ თეთონი დაურეკე ლუიზას და მერე საავადმყოფოშიც წაყვი, თორემ, ხომ იცი მაგისი ამბავი, არ მივა და ვერცვებს - ვიყავი... ბავშვები დათოს დაუტოვე ცოტა ხნით, არაფერი უჭირს... ტელეფონის ნომერი ჩემს ბლოკნოტში იქნება... არა, არ ვწერეულობ, მაგრამ ექიმთან ხომ უნდა მივიდეს, არა?... ხო, მართლა, დათო როგორ არის?... ნუ გეშინია, დედიკო, ღვთის მაღლით ყველაფერი კარგად იქნება, აი, ნახავ, წიგნიც გამოვა და ყველაფერი. მე რა მიჭირს... გადასარეგად, დედიკო!... (შხარულად) არა, მართლა კარგად ვარ, ვზივარ ახლა სამხარეულოში და ფავას ვეახლები, აბა!... არაუშავს, ისიც კარგადაა... რას ამბობ, ვოგო, კნჭივითაა, რატო უნდა მოკვდეს - დამწვარი თითივით ვუვლი, ამას რომ რამე მოუვიდეს, ხომ დავიღუპეთ ყველა!... არა, კაცო, რას მპარაზებს, არის თავისთვის გუგულივით... ხო, გისმენ... თვე-ნახევარში, დედიკო, თვენახევარში, ჩემოდანზე ვზივარ უკვე!... (ღიმილი) რა იყო, მოენატრე?... რა?... (თანდათანობით სახე ეღრუბლება) როგორ თუ, ნუ წამოვალ... კი მაგრამ, რატომ?... მოიცა, რას მეუბნები... დედიკო, კი მომკალი!... რომელში?... შეექვს თვეში?... მერე ახლა მეუბნები მაგას?... (ტრილს აღარაფერი უკლია) გამანებე თავი, გამანებე... რაც გინდა, ის ქნით... (პაუზა) ნანა... ნანუკა, არ გეხმის, ვოგო?... რა არი, ტირი, დედიკო?... უიმე, არა, გენაცვალე, არა, შვილო, ხომ იცი, რომ შენთვის ახლა ნერვიულობა არ შეიძლება... კარგი, ხო, დაწყნარდი, რაც არი, არი... დაწყნარდი-მეთქი!... რა ქვია, ისე უცებ მომახალე, რომ თავი ვეღარ შევკაცე... კარგი, მამატი, დედიკო, მამატი... აჯოცე ბავშვებს ჩემს მაგიერ... მამაშენს უთხარი, ექიმთან მივიდეს... აუცილებლად მივიდეს, გაიგე?

ქართველი ქალი ვერმილს დებს, ჯდება, საფურფლეში ჩაჭვლებილ ნაწევს იღებს. ამწივებს და აკანკალებული ხელით უჯდება. ეწვეა და თან



მაცივარსა და კედელს შორის შედგმულ ჩემოდანს უყურებს. უცერად, ტირილი წასკდება, ნაშწეს საფერფლეში აგდებს და სახეს ხელისხეულებში ჩამოლავს.

ტირის, მხრები უცახცახებს.

მისის ელიოტი ზარს რეკავს.

ქართველი ქალი თავს ასწევს და საწოლი ოთახის კარს მიაჩერდება. სახე ცრემლით აქვს ჩამოსველებული.

მისის ელიოტი ზარს რეკავს.

ქართველი ქალი საბაზანოში შედის, პირს იბანს, იშრალებს და საწოლ ოთახში შედის.

მისის ელიოტი დარცხვნილი ღიმილით უყურებს.

ძართველი ქალი: ხო, რა გინდა!

მისის ელიოტი რაღაცას ანიშნებს.

ძართველი ქალი: რა გინდა, ქალო, რა?

მისის ელიოტი გაშხმარი, გამჟღავნებული ხელით რაღაცას ანიშნებს.

ქართველი ქალი ფრთხილად უახლოვდება.

მოხუცი ხელს მოკიდებს და ღოგინზე დაისვამს.

ძართველი ქალი: კარგი, მითხარი, ხო, რა გინდა...

უცერად, მისის ელიოტი ატირდება.

ქართველი ქალი გაოცებული სახით უყურებს.

მისის ელიოტი გულამომედარი ტირის და თან ხელზე უყურებს.

ძართველი ქალი: რა მოგტყდა, შენსაწი ყალო, რა ვატირებს, რა!

მისის ელიოტი გულამოსკვნილი ტირის და ხელისხეულებზე სუნავს.

ძართველი ქალი: კარგი, დაწუნარდი ახლა... დაწუნარდი, თორემ, იცოდე, მეც ვიტყრებ...

მისის ელიოტი ტირის და ხელზე კონენს.

ძართველი ქალი: ნუ ტირი, ჩემო კარგო... ჩემო ლამაზო... ნუ ტირი, გენაცვალე...

მისის ელიოტი ტირის.

ძართველი ქალი: ნუ ტირი რა, გეხვეწები... გინდა ვიმღერო, გინდა?... (მღერის) ეს პატარა კურდღელი, ძლიერ აეად ვაგვიხდა... არც სტაფილო...

სიმღერას წყვეტს და გულამოსკვნილი კეთილნებს. მისის ელიოტიც ტირის.

ძართველი ქალი (ტირილით): ღმერთო, რა დაგიშავეთ... ეს რა ხდება ჩვენს თავს, ღმერთო!

მოხუცს ჩაეხუტება და ტირის.

მისის ელიოტიც ტირის.

ერთმანეთს ეხუტებიან და ორივენი ტირიან.

შპრდა

ფრიდონ ხალვაში

ახმედ მელაშვილი*

მცირე წინათქმა

მემუარებთი ქართული მწერლობა არც ისე მდიდარია და, ამდენად, ძალზე გამიხარდა, როცა, ორი წლის წინ, ჩემმა უფროსმა მეგობარმა ფრიდონ ხალვაშმა მითხრა, გადაეწყვიტე, ჩემი ცხოვრების წიგნი დაეწეროს და სათაურიც შერჩეული მაქვს – „ომრი“ – აქარაში შემორჩენილი ეს სიტყვა ზედმიწევნით ზუსტად გამოხატავს იმ შინაარსს, რაც ჩაფიქრებულ წიგნს ეწეებაო.

ფრიდონ ხალვაშს დიდი და მღვღვარე ცხოვრება აქვს გამოვლილი, არაერთი ეპოქალური მოვლენის, ტრაგედიისა თუ სასიამოვნო ამბის მომსწრეა და დარწმუნებული ვიყავი, მის მიერ განცდილი და დამახსოვრებული უთუოდ მხურვალე გამოძახილს იპოვიდა მკითხველთა გულში. ფრიდონ ხალვაშის ცხოვრებაზე ბევრი რამ ვიცით მისი აღრიხდელი, სანახევროდ დოკუმენტურ მასალაზე აგებული რომანიდან „წყალს ნაფოტი ჩამოჰქონდა“, მაგრამ წინამდებარე წიგნში მეტი ინტიმურობითა და სიცხადით არის გადმოცემული მშობლიური გარემოს მადლი და ცხოველმყოფელობა. ზომიერად და მულამ თავის ადგილას არის გამოყენებული აქარული დიალექტის თავისებურებანი.

მომზიბლავე უშუალოებით, სახიერადაა მოთხრობილი ათასი მოულოდნელობით აღსავსე ცხოვრებაში გადადგმული პირველი ნაბიჯები, სიყვარულით შექმნილი ახალგაზრდა, პატიოსანი ოჯახის ფეხზე დადგომა, პირველი დაბეჭდილი ლექსების სიხარული, რის შემდეგაც ფრიდონ ხალვაშმა მტკიცედ დაიმკვიდრა ადგილი დიდ ქართულ მწერლობაში და გვიჩვენა მაგალითი იმისა, თუ როგორ უნდა ვთავაზნებოდეთ და ვუვლიდეთ ყველაზე წმინდა საუნჯეს – ქართულ ენას.

განსაკუთრებით შთამბეჭდავი, საინტერესოა ქართველ მწერალთა ჯგუფთან ერთად თურქეთში ჩასული ფრიდონ ხალვაშის შეხვედრები დიდ მამულიშვილთან ახმედ მელაშვილთან, რომელიც საქართველოს მტრებმა ვერაგულად მოჰკლეს. ადრე, საბჭოთა ცენზურის პირობებში, შეუძლებელი იყო იმ დეტალებზე საუბარი, რასაც „ომრის“ ავტორი ამჟამად ასე დაწერილებით გვამცნობს.

ასევე ბევრ საგულისხმოდ სიმართლეს ვგებულობთ შუა აზიაში გადასახლებულ, ჩვენდა სავალალოდ, გამუსლიმანებულ ქართველებზე (მესხებზე), რომელთა მიმართაც ადრევე იყო დაშვებული საბედისწერო შეცდომები (მათთვის თავიდანვე უნდა გაგვეხსნა ქართული სკოლები), დროულად ვერ ეუპატრონეთ და ბოლოს მათი შემზარავი ტრაგედიის მოწმენი გახდით. ერთი ტერინსული კაცის წამოსროლილი აბსურდული სახელწოდება „თურქი მესხები“, დემაგოგიის მიზნით, აიტაცეს ჩვენმა მოძულეებმა – უზბეკთსა და ყირგიზეთში გადასახლებულთა უმრავლესობა სისხლით, წარმომავლობით ქართველები იყვნენ და ცალკეულ შემთხვევებში მეტი წინდახედულობა და გონიერულობა რომ გამოგვეჩინა, მათი მშობლიურ წილში დაბრუნება შესაძლებელი იყო.

დასასრულ, ერთი მინდა აღნიშნო – ეს შესაშურად გულწრფელი წიგნი, ფრიდონ ხალვაშის ნაფიქრ-ნააზრევი, სიხარული თუ გულისტკივილი, მთელი საქართველოს საქირისუფლოდ და გასაგონადაა ნათქვამი.

* წიგნიდან – „ომრი“



თურქი ძართვანი თუ მუსლიმანი
ძართვანი?

მაისი ახალდამდგარი იყო, 1968 წლისა, მოსკოვიდან მიფრინავდით სტამბულში. შენ, ახმედ ოსკან-შელაშვილი, ახლაც თვალწინ მყავხარ. აი, გიყურებ. შენი ხმელი, ნაწყენი, ნატყენი, ჭავრიანი გამოხედვა, შენი სუსტი მხრები, წიგნებში და ნაწერებში ნასიარულევი ხელის თითები, შენი დაბეჭილი ხმა, შენი ქართული, იმერხეული, დაღარბებულ-ლი, დამეცხერებული, მაგრამ ხაოიანი, მკრე-ლი, ჩვენებური სიტყვები, შენი გვალიანი ბაგეებიდან რომ დასათესად გადაიჩიებულ სიმინდის კაკლებივით, იბნეოდა, აი, იმნაირს გხედავ, ახლა!

მიუხედავად იმისა, მაშინ კომუნისტური საქართველოდან ჩამოვედი შენთან, დარდი არც ახლა მაკლია.

თავისუფლებას ჩვენსას, დამოუკიდებელ დამოუკიდებლობას ჩვენსას, ტანჯულო ახმედ-ჩვენებურო, საუბედუროდ, ზეირიანად ვერც ვუვლით, ვერც ვპატრონობთ, შიგადაშიგ, მოაოვებულს გვართმევენ.

პო, დაახ, აი, თურქები ანუ გათურქებულ-ლი ჩვენებურები შემოგვესივნენ. აი, ის სულე-იმანი, სტამბულის რომელიღაც უნივერსიტე-ტის ლექტორი (იბახის, მეც აქარლები ვარო) ხულო-შუახეც ალარ ეშვება. აქარლები უნდა გადავარჩინოო, მუსლიმანობა გავუმაგრო, ჯამე-შედრესეები უნდა აფუშენოო. 360 მეჩე-თი მაინც სკირდება აქარასო, უთქვამს ნაქართველარ სულეიმანას. ჩემი ფულით მინდა აეგო, რამდენსაც შეეძლება, შეპირებია აქარას. აქარა, იმერხევი, ლახეთი, კლარჯე-თი სულმუდამ მუსლიმანი იყო, ამტყიცებს სტამბულელი ლექტორი. თქვენ გატყუებენ, თითქოს ოსმალოებმა ძალით გაავრცელეს აქაურობაში ისლამიო. არა, — ოსმალო ქეთიასშიც იყო, მაგრამ იქ მუსლიმანობა არააო.

ნეტა, შენ მყავდე ახლა აქ, ახმედ — ჩვენებ-ურო (შელაშვილო) და წარმომიდგენია, რანაირ პასუხს გასცემდი იმ სიძულვილის ტრიბუნს. მე და შენ, ერთად, კარგად გა-ვურეცხავდით ტენისა და ენას. აბა, ვინ ააშენა და ვისია იმავე ტაოში, იმავე კლარჯეთში, გინდაც აქ, აქარაში, ქრისტიანული — სახლ-

თა, იშვანი, ტბეთი, პარხალი, ბასიანი, ოლო-ისი, ბანა, შატბერდი, ოზიზ, მარაგალი, მარაგალი უთვლელი ქართული სალოცავები, ხიდები, ციხეები, სარწყავები და ბევრი, ბევრი რამ ქართველთა ყოფნით აღბეჭდილები. თვით ენაც ჩვენი, ქართული, ქოროხის ხე-რობაში დაიბადაო, — წერს კორნელი კეკელიძე, მაგარტონებზე ხომ ქოროხელები არიან, ვინ წააწერა იმ ტაძართა ვედლებს ქართუ-ლად ქართველთა სახელები?

შე უნამუსოვ, გადაგვარებულო, გაურ-ჯულებულო, უსწავლელო სწავლულო, რა გულით ხლართავ შხამიან ძაღვებით და რა სიძულვილით ბაღვებს ქსოვ? ერთხელ, მშვე-ნიერმა ქართველმა მუსლიმანმა, ჰაიდარ ზე-ნგინ-კორტანიძემ, სტამბულში, თავის სახლ-ში, მითხრა (გურამ ფანჯიკიძე იყო ჩვენ-თან ერთად), — აქარა და იმერხევი მერვე საუკუნიდამ მუსლიმანიაო, მაგრამ არ გავ-ჯავრებულვარ ამაზე (ჰაიდარისთანა ქართველი მუსლიმანობაში კიდევ ბევრი გვევადეს), უბრალოდ, მას ასე ასწავლეს და, ეტყობა, ეს ამბავი საამაყოდაც ჰქონდა. ნუ გაემ-ტყუნებთ. იცით, კიდევ რა გვირჩია ჰაიდ-არმა? — რათ გინდათ ასეთი განსხვავებული („არვისას, რომ არ გავს იმდგარი“) და მწე-ლი ანბანიაო. გადადით თქვენც ლათინურზეო. ოდნავ ჩამეცინა, თუმცა ისე არა, ჰაიდარს წყენოდა, მერე კი ვკადრე: ჩემო ჰაიდარ, შენ, აი, ამით, პირიქით, თავს უნდა იტყბდე, ფიქრობდე, რომ ხარ მსოფლიოში ამჟამად მოქმედ თოთხმეტ ანბანთა შორის ერთ-ურ-თის პატრონი: ქართული ანბანი ქართული ბგერის ორნამენტული ნახატია. მისი ჩუ-ქურთმული გამოსახულებაა. ასეთი, ერთი შეხედვით, რთული, მაგრამ ასეთი სადა, სიტყვის მუსიკას ასე ზედმიწევნით მისად-აგებული და ასე მარტივად (როგორც გამ-ოითქმება, ისე იწერება), სხვა ანბანი მსოფ-ლიოში თითქმის არც უნდა იყოს.

შენ-შეთქი, — ჰაიდარს ვუთხარი, — უნდა იცოდე, შენს თურქებს თავისი ანბანი საერ-თოდ არა აქვთ. ჭერ იყო, არაბულს იყ-ენებდნენ, მერე, ათათურქის ვეროპისკენ ლტოლვამ ლათინურზე გადაიფანა, ამათ-თვის აღვილია ანბანის გამოცვლა, ჩვენთვის — მწელი, ქართულ სიტყვას ლათინურ ასო-ნიშნებში გაუქირდება, სული შეეხუთება



(დიდ. მსოფლიო ძალაუფლების მქონე ლათინურ ანბანზე ასე მსჯელობა გეტუნტება, მაგრამ - ასეა).

ჩემთან კამათი არ გაუჩაღებია. საერთოდ, ამ თემაზე ხმაც არ ამოუღია. იწინება ჩამორჩენილ პროვინციულ პატრიოტად ჩამთვალა და, უბრალოდ, შემიბრალო. ჩემთან კეთილგანწყობილება რომ აღედგინა, საქართველოში თავისი ერთ-ერთი ყოფნა გაიხსენა, თბილისიდან ბათუმში მატარებლით მოვიდიოდიო, ჩემს კუბეში, ჭინაზე. ერთი ქართული მოლაპარაკეც არ შემხვდა. რაღა მექნა, ამოვიღე შენი ნაბუქარი წიგნი და, იმ ლამეს, დაძინებამდე, ლექსი „გენაცვალე“ ბოლომდე დავიზეპირეო, ჰოდა, ჩვენმა ჰაიდარმა, იმხელა ლექსი, თავიდან ბოლომდე, მშვენიერი არტისტიკით ჩააბუღებულა.

ჰაიდარი ჰაჯია. მექაში, მუჰამედის წმინდა ალაგები მოუნახულებია, იქ ულოცია. ლეინო (წინათ ხანდახან სვამდა) ახლა სულაც არ გამოაჩინა. ეს ამბავი ჩემთვის, რა თქმა უნდა, უცხო ანუ მოულოდნელი არ ყოფილა. გურამ ფანჯიქიძესთან ცოტა კი შემრცხვა (ეს მოგზაურობა 1993 წელს შედგა).

ჩვენ ოპერატორად და მძლოლად სერვეთ ვერძაძე გვახლდა. მთელი ის შეხვედრები და საუბრები სერვეთმა, როგორც ხშირად მარწმუნებს, ძალიან ზუსტად, კარგად გადაიღო (მასალა უნდა დამონტაჟდეს და საჩვენებლად არათუ საინტერესო, მგონი ძალიან სასარგებლოც იქნება).

ახმედ ჩვენებურო (მელაშვილი), შენთან საუბრით ვერ ვძლები. რამდენი ვისაუბრეთ მაშინ და მაინც ვერ ვთქვით ის, რაც ოდნავ მაინც შეგვიმსუბუქებდა გულისტკივილს, ჩვენი ეროვნული ბედისწყარის გამო.

მართლაც რა გვიჩიოს, რა დაგვემართა, რატომ დაგვსაჯა ასე განგებამ?! ილიას ჰკუეს და მართალკაცობას ვენაცვალე! (ილია-მართალი!) იგი თავის „ოსმალის საქართველოში“ წერდა - „უწარჩინებულესნი მამანი, საღმრთო-საერო თხზულებათა მწერალნი ჩვენი, ეხლანდელის ოსმალის საქართველოს შეილინი და მცხოვრებნი იყვნენ. ჩვენი სასიქ-

ადულო „ვეფხისტყაოსნის“ მოქმედი, შოთა რუსთაველი, იმ მხარის კაცი იყო“ - ესე იგი, მესხი იყო, ანუ „ოსმალის საქართველოს“ შეილიაო, ჰაიდარ აბაშიძე გამახსენა.

როცა გამოკვეყნდა პავლე ინგოროყვას გამოკვლევა-მტკიცება, შოთა რუსთაველის პერეთ-კახელობაზე, ჰაიდარმა წუხილითა და წყევით მორწყული წერილი მომწერა. ჭავჭავაძე, - როგორ შეიძლება, რუსთაველის მესხეთელობა წავგვართვას ვინმეო.

შოთას ჩვენებურობა (მესხეთ-აჭარა-ტაო-ჯარჯეთელობა), სამხრეთ საქართველოება, ჩვენ დიდად გვეხმარება, რათა თურქეთელ ქართველთა ეროვნული სიამაყე და თავმოყვარეობა გავამაგროთო. როცა გამუსლიმანებული ჩვენებურის გულში მაგრად იმკვიდრებს რწმენა, „ვეფხისტყაოსანი“ მისი კუთხის შეილმა დაწერა, რომ მას ამისთანა გენიალური ქართველი ჰყოლია წინაპრადო, იმ თანამემამულის მობრუნება დედასაქართველოსკენ უფრო გაადვილდებო, - ასე მწერდა ჰაიდარი.

უნდა ითქვას, - ახმედ მელაშვილმაც ძალიან იწყინა, შოთას არამესხეთელობის მტკიცება.

აი, დღეს, ამ დილით კი, მე ეს ფიქრი დამჩემდა: დღევანდელი თურქი იმდენ ჰკვას რომ მოაკრებდეს და, აჭარაში მუსლიმანობის აღდგენის ნაცვლად, პირიქით, თავის ტერიტორიებზე მცხოვრებ გურჯებს (თუ მათ ამის სურვილი ექნებათ), ძველქართული, თავისი მართლმადიდებლური სარწმუნოების დაბრუნება-აღდგენისკენ მოუწყობდეს, ან, უბრალოდ, ნებას დართავდეს (რაც, უნდა ითქვას, არაერთიარ შესაძრნეც ცვლილებათ თურქ მოსახლეობაში არ გამოიწვევს), ასეთი ნაბიჯი თურქეთს პროგრესული კაცობრიობის წინა რიგებში დააყენებდა.

ახმედ მელაშვილი

ახმედ მელაშვილი (დიდო ჩვენებურო)! წამოსვლის წინ, ოთარ გიგინეიშვილმა, შენი სახელი პირველად მიხსენა თბილისში. მე მაშინ ხომ ე.წ. უცხოელ თანამემამულეებთ-



ან კულტურული კავშირის აჭარის განყოფილების ხელმძღვანელობაც მეზარა. ჩვენ, რალიც-რალიცებს, მაინც, გულის კარნახით, ეროვნულს, ჩვენებურს, ქართულს, ამ ზღაფორითან, მაგრამ ბევრნაირად გამოსადგორგანოზაციისაგან, სახეირო რამეებს ვწუწავდით. თითო-ოროლა ჩამოსულ სტუმარ უცხოელ თანამემამულეს, მისი ძველი სამშობლოს ახლად გაცნობა-გაგებაში და მისი ჩვენებურობის გრძობის გაღვივებაში ისე ვეხმარებოდით, ისეთ ახალ-ახალ შეხვედრებს თუ ისტორიული ადგილების მონახულებებს, გულახდილ, ძმურ, ახლობლურ საუბრებს ვახერხებდით. და ყველაფერ ამას ისე ვაკეთებდით, ვითომ, „აგაგებე“ სულაც არ არსებობდა.

ჩემო ახმედ, თურქეთში მომავალ ქართველ მწერალთა იმ ჯგუფში ჩემი მონაწილეობის საჭიროება, პირველმა, ნოდარ დუმბაძემ გამოთქვა. სწორედ იმ დროს აღმოცნენ თბილისში, მაჩაბლის 13-ში მისული, როცა გასამგზავრებელი ჯგუფის კანდიდატები საბუთების სამზადისის უდაცფუცში იყვნენ. დამინახა თუ არა მწერალთა სახლში, ნოდარმა დამიძახა, — ე, ბიჭო, კაცი, რომელსაც იქ ბიძაშვილები ეყოლებოა. ბიძაშვილებიც და მამიდაც რომ იქ, მართლაც მყავდა. ამას, წინათ, ყოველთვის ვმალავდი. ერთი სიტყვით, წინადადებას დიდი სიხარულით დავთანხმდი. ჯგუფში, დაახლოებით, იყვნენ: ნოდარ დუმბაძე, იოსებ ნონეშვილი, ბესო ჟღენტვი, არჩილ სულაკაური, კარლო კალაძე, შეუღლებით, გურამ ბათიაშვილი, გივი გოგინაიშვილი (ვინ გამომჩინა?).

მოსკოვის თვითმფრინავი სტამბულში დაეშვა. არ ვიცო, ალბათ, ყველაზე მეტად მე ეძლეა, ახმედ ჩვენებურო! მიდღეში, ნახევარი საქართველოს დამპყრობელი თურქეთი ჩემში გულისმბუჯველ განცდას იწვევდა, მაგრამ სტამბულში ჩასვლისთანავე, როგორც კი წარმოვიდგინე, რომ ქართველობის კინალამ ნახევარი იმ ქვეყანაშია (მათ შორის, 150 წლის წინანდელი, აჭარის მოსახლეობის ნახევარზე კარგა მეტი იქ „მუჰაჯირად“ გადახვეწილია), თავი თითქოს მშობლიურ გარემოში ვიგრძენი.

მამიდა (ასიუ-ბიბი) თავის ქმართან, აზიზ-ჩაუსთან ერთად, 1929 წელს, სტამბულში

გამგზავრებულა გემით, აზიზი და მამიდა ასკერში მყოფი, 1918 წლის შემოსულა ბათუმში. იგი ქართველია, გვარად დიასამიძე. როცა თურქმა თავისი ასკერი გაიყვანა და წითელი ჭარი შემოვიდა, აზიზი ბათუმში დარჩენილა. არ გაყვა ასკერს უკან. აქ, თავისიანებთან გული გაუთბა და ისეთი შინაურულობა იგრძნო, თურქებს დაემალა, თურქს აღარ გაყვა. ჩაქვში, გასათხოვ მამიდაჩემს ასიეს, შეხვედრია, შეყვარებით ერთმანეთი და შეუღლებულან. 1929-ში კი, აზიზის მამას, სტამბულიდან მოუწერია, შვილო, მე დადებერდი, ამხელა სახლ-კარი მაქვს, დაბრუნდი, თვარა ყველაფერი ოხრად დამრჩებაო. ამდგარან და ესენიც, ერთი გოგოშვილით, აქედან გამგზავრებულან. ხოლო, უფრო ადრე, 1890-იან წლებთან ახლოს, მამაჩემის უმცროსი ძმა, აჭარიდან მიმავალ უამრავ მუჰაჯირობას თან წაუყვანია და იქ, სადღაც, გამოსახლებული, მრავალშვილიანი, ცხოვრობს. მას, ბიძაჩემს, იქ, ხოგობა უსწავლია და, სადღაც, იზმით-იზნიქის მხარეში, ჯამეშიც მსახურობს.

მაგრამ ყველაფერი ეს, ჩემთვის, ზღაპრად გაგონილს უფრო ჰგავდა.

სტამბულის აეროპორტში დავეშვით, სალამოვდებოდა, მაგრამ მაისი დღე, ჭერ მაინც სასიამოვნოდ ნათელობდა იქაურობაში. ვილა ოფიციალურები, შემოგვეგებნენ, მათ შორის, საბჭოთა საკონსულოდან ნოდარ კომახიძე იყო. დამხედურთაგან განცალკევებით, ერთი ფრთხილად ჩვენკენ მომზირალი, აჩრდილად მდგომი კაცი შევნიშნე. შევხედე, შემხედა. თითქოს დამალულად, კიდევ გამიღიმა. მომჩვენა, რომ მხოლოდ მე, განსაკუთრებულად, დამადგენა თვალები. გავიწიე მისკენ. თავდაც (კოჭლობით) რამდენიმე ნაბიჯი გადმოვდგა.

— შენ ფრიდონ ხალვაში ხარ? — თურქეთელ ქართველია კილო მეცნო (იჭაურ ჩვენებურებს, მაშინ, თქვენობით მიმართვა მაინცდამაინც წესად არ ჰქონდათ).

— კი, ფრიდონ ხალვაში ვარ-შეთქი, — გავეპასუხე გაკვირვებით. ხელი ჩამომართვა და, ისე, მოხვევასავით მომეღო.

— მე ახმედ მელაშვილი ვარ... მე შენთან ლაპარაკი მინდა. ახლა — არა... წაყვე ამათ და მე ვიცი პოეტელი, ჰაცხანა იყოთ და მოგნახავ მემრე...



იმ ერთ წამში, ჩვენ, ორივემ, გასაოცრად ერთად, შევნიშნეთ, როგორ ბეჭითად გვაკვირდებოდა რუსი, მოსკოველი „ლიტერატორი“ ლიპატოვი (ვითომ მწერალი), ქართულ ჯგუფს რომ გამოგვაყოლეს (აშკარად ვგრძნობდით, — ის „კავებებს“ კაცი იყო). დამზღღურთა შორის, ერთი, რუსულსმცოდნე თურქი (ქართულისმცოდნე არ მოიყვანეს, შეგნებულად), აშკარად ჩანდა, ახმელს აკვირდებოდა, ასე რომ, თურქი და რუსი, მაშინ გაერთიანდნენ, რათა არ დეჟუთო თურქეთის ქართველებთან საქართველოდან ჩასული ქართველების შეხვედრა. ახმედი მალე, კოჭლობით, იქიდან გაქარდა.

აი, ასე შეგხვდები პირველად, მე შენ, ჩემო ახმედ!

ავტომობილში, რომლითაც, ნელნელა, დიდი ქალაქის შუაგულისკენ მივყავდით, მე სულ იმ ბიჭზე, თვალნაღვლიან, პირხმელ, ფიჩხად მდგარ, ახმედ მელაშვილზე ვფიქრობდი. მახსენდებოდა, სხვადასხვა დროს ოთარ გაგინეიშვილის ნათქვამები, — იქ, ერთი ძალიან საინტერესო ბიჭია, ახმედო, — მიხსნიდა გიგინეიშვილი. რომელიც ისე წინდაუბედავად იქცევა, ისე გულუბრყვილოდ, ჭიჭურ იცის ხოლმე თავის ამოჩემებული ქართული რაღაც-რაღაც საქმეებით ხლაფორთი, შესაძლოა, მალე ჩავარდესო. ოთარმა საიდანღაც მგონი ზედმიწევით ისიც იცოდა, რომ თურქეთის უშიშროების ორგანოები ახმედ მელაშვილს გამუდმებით თვალყურს ადევნებდნენ (ამიტომ ჩვენდამი დამოკიდებულება, ძალიან რთულდებოდა).

მერე, სასტუმრო „კონ კენედში“, როცა ვიწვევი, თვალწინ ახმედ მელაშვილის სახე მიტრიალებდა. მინდოდა, იგი ჩემს რომელიმე ლექსში დამეხატა, მაგრამ მისი გმირული საქციელის საკადრისი იზნანად არაფერი გამომივიდა (მხოლოდ ხუთი წლის შემდეგ, როცა გემ „გიორგი ლეონიძეზე“, კაპიტნის თანაშემწე, შორეული ინდოეთის ოკეანეში, სინგაპურისკენ მივცურავდი, ჩემს ვეება კაიუტაში განმარტოებულს და ილუმიანტორიდან ზანდაზან მუქშავად მოლაპლაპე ოკეანის მომზიარას, როცა მხოლოდ მოგონებებით ხარ ცხოვრებასთან, სულისა და გულის მაამებლად, მოგონებაში ამისრულდა ახმედ მელაშვილის ჩვენება. ერთხელ,

ვითომ შევაჩერე და მასთან საუბარი წამოვიწყე და ეს საუბარი, მაშინ, ამომკრალ წიგნმად გამოვიდა, — „მუსა ბურხანული“ იქ, ერთგან, აი, ასე მივმართავ ახმედს:

ვერ გიპასუხებ... მაგრამ სულ თვალწინ გხედავ, — დათბარ შეუბნაღვლიანი, ერთი უბრალო კოჭლი კაცი ხარ და სხვას ასწავლი მაინც სიარულს.

დიახ, კოჭლმა ახმედ მელაშვილმა სხვას ბევრს სიარული ასწავლა! (ახლა, ისევ თურქეთს უნდა მივუბრუნდე)

მეორე დღეს, არ ვიცი, მგონი საღამომირად, სასტუმროში მელაშვილი დამეხატა, მითხრა, ახლა შენთან არ შემოვალ, არც დიდხანს გაჩერდები, — დამინახავენ და საქმეები გონჯა წამივავ, ამაღამ ბურსაში წავალ, მე იქ ვცხოვრობ. როის ჩამოხვალთ აქვენ ბურსაში, ვიცი. ჰად გაჩერდებით, ვეც ვიციო, მე და ჩემი იქაური ჩვენებურები დაგხვდებითო.

აი, იმ საღამოს, როგორღაც, მოვძებნე მამიდაჩემ ასიეს ძველი მისამართი, მამაჩემისგან ოდესღაც გადმოწერილი.

1935 წლის შემდეგ მისგან წერილი აღარ მიგვიღია. გადაიკეტა. ახლა იგი ოთხმოცდაათზე მეტისაა. შეიძლება ცოცხალია. მოდი, აქა ვარ და რამენაირად ვაცნობებ. მაღლს ვიზამ, მძიშვილი იქნებ შევხვდე-შეთქი. ავიღე ღია ბარათი (ღია ბარათის მიწერა ვამჯობინებ, თანაც თურქულად, თორემ საიდუმლო პოლიცია ქართულზე იკვივანებდა, სანამ რას წერსო, გაარკვევდა, ბარათს დააგვიანდებოდა) და თურქულადვე, რამდენიმე სიტყვით ავუხსენი ვინ ვარ, სად ვარ, სად ვიქნები. პატარა ქალაქ იზნიქთან ცხოვრობდა. ბურსას გზაზე. შენი მძიშვილი ვარ, ესა და ესა-შეთქი. ამ და ამ დღეს, ბურსას სასტუმროში ვიქნებით, — ვწერდი. მეტი არაფერი. გაეიტანე ეს ღია ბარათი და ჩაუფიქრე საფოსტო ყუთში. მერე, მალე, ეს ამბავი, სხვადასხვა შეხვედრებმა და იმის იმედის ნაკლებობამ, რომ მამიდაჩემი მართლა მიიღებდა, ან მართლა ცოცხალი იქნებოდა, ბარათის მიწერის ამბავი სულ გადამიქართულდა (ამ სიტყვით გამოხატავენ იქაური ჩვენები გადავიწყებას).



მეორე დილით „ჯონ კენედის“ წინ ვი-
ლაც სოლიდური პიროვნება გამოჩნდა. მორიგ-
ეს ხმაშალა შეეკითხა, საჭარბველოდან
სტუმრებში ერთი ხალვაში ყოფილა, სად,
რომელ ოთახშიაო. მაშინვე გავემართე მის-
კენ, მე ვარ ხალვაში-მეთქი. ქობულეთელი
ხალვაში ხარო? — მკითხა. ასლან ხარაზს
თუ იცნობთო, ჩემი შვილია. დიდი ქარხნის
დირექტორი ყოფილა... ასლან ხარაზი? ძალიან
ნაცნობი სახელია. ასლანი ხომ ჩემი მეზობე-
ლია. ერთ სახლში ვცხოვრობთ. დირექტო-
რია საყოფაცხოვრებო მანქანების ქარხნისა.

არ ვიცოდი, მამამისი თუ გაქცეული იყო.
ოცდათვრემეტში მიჭერდნენ და გამოვიკე-
ციო. ახლა, თუ დამებმარებით, მინდა ჩაე-
იღე ბათუმში. შვილი, ახლობლები ვნახოო.
დახმარებას შევპირდი.

მკითხა, ამ მწერლებში ჩემი უნივერსიტეტე-
ლი თანაკურსელი ბესო ელენტი ხომ არააო.
თურმე ბატონი ბესო ფინანსურ-
ეკონომიკურზე სწავლობდა. მათი შეხვედრა
ცრემლიან-სიცილიანი გამოდგა.

დაბრუნებულმა, სტამბოლელ ხარაზს
საბუთები გავეუბეთ, მოწვევა მოვეხერხე. და,
აი, ერთხელ, ბათუმში, მითხრეს, ასლან ხარაზს
მამა ჩამოვიდა სტამბოლიდან, მაგრამ ასლანის
დღემამ შინ არ შეუშვაო. ოცდათექვსმეტში,
ასლანზე ფეხმძიმე ქალი მიატოვა და სახლ-
ვარგარეთ გაიქცა. ახლა ეს არ აბატია ასლანის
დედამ. არ წასულიყო — დახვრეტდნენ. აი,
ასე გაიკოკა ამბავი. დადის დილ-დილაობით
ასლანის მამა თურმე საბავშვო ბაღში, ასლანის
შვილების სანახავად. მეტი ვერაფერს ვერ ხელება.
შევეწუხდი, ვკითხე ასლანს, რა ვქნაო. მე
აკვანში დამტოვა, თურმე ჩეკას გაასწრო,
მარა დედაჩემი ისე ნაწყვინა მამაჩემზე, მეუბ-
ნება, თუ შეხვდები, ხმას ნუ გამცემო. რა
ვქნა, მითხარიო, — შემივლა ასლანმა. მამამისი,
მეზედი თავის ძმასთან, იუსუფთან, იდგა.
ბევრი ვებეწვე და ასლანი დავითანხმე საიდ-
უმლოდ, მარტო თავად წამყოლოდა
იუსუფთან, რომ უნახვ მამას, ერთხელ მაინც
ჩვენებოდა. ავდივართ იუსუფის სახლის კბეზე
და, უცებ, მალლიდან ქალების კივილი მო-
ისმა. შევალეთ კარი და რას ვხედავთ, ასლა-
ნის მამა, მეზედი, შვილის სანახავად ორ-
მოცი წლის შემდეგ სტამბულიდან ჩამოსუ-
ლი, გულის შეტევით, აგერ, ამ წუთას, გათ-

ავებულა. მივიდა ასლანი, დაემხო მშრანელს,
ბევრი ეხვია. მამა, მამაო, იუსუფთან
მამამისის სხეული უკვე თანდათან ციფდ-
ბოდა.



ბოსფორზე, მაშინ, ხიდი ჯერ არ იყო.
ჩვენი ავტობუსი აზიურ ნაპირზე ბორანი
გადაიტანეს და ბურსასკენ გავემართეთ.



ბურსაში ჩასულვებს, სასტუმროსთან, იჭაუ-
რი ქართველები დაგვხვდნენ. დარჩეული
ბიჭები. ბევრი მათგანი გერმანიაში სამუშაოდ
ნამყოფი იყო და ამიტომ უფრო გავერო-
პელებულვები ჩანდნენ. მაგრამ მაინც უნდა
შევნიშნო, თურქეთელი ჩვენებურები (გლეხ-
ები, მუშები თუ ინტელიგენტ-მოსამახურეე-
ბი), საბჭოთა ჩვენებურებს, უბრალოდ, ში-
ნაგანი თავისუფლებით, თითქოს შესამჩნე-
ვად ჯობნიდნენ. ახლა ერთ საიდუმლოსაც
გავამხელ: მთელი ის გრო ხალხისა, ვინც
ჩვენ ბურსაში, ასეთი მონატრებული ცრემ-
ლებით, ინტერესით, ახლობლური გულითა-
დობით გვეხვეოდა, გვეალერსებოდა, ხომ
ყველანი აქარიდან ოდესღაც მუშაჯირად
გახიზნული იყო. მაგრამ აქ, ბურსაში, ისინი
მარტო აქარლები არ ყოფილან. ისინი
საჭარბველო-გურჯისტანიდან მოსულვები
იყვნენ. ჩვენ ქართველები ვართო. ჩვენ ამთ
ცხოვრება ვასტავლეთო (თურქებზე). ჩვენ
სიმინდი და ხეხილის დარგვა ვასტავლეთო,
ჩაცმა-დახურვა, სტუმარ-მასპინძლო ვასტავ-
ლეთო. სიმღერა ვერ ვასტავლეთო, — ეგენი
მაინც მათებურა უკაკანურებენო. უდაბნო-
ში გაწვარადინებულ ბულიან გზასავით
გულთავებელსო, ჩვენ ჩვენებურა, ხმების
გრებილებით ჩვენებურ სიმღერის ხალვებს
ვუქმავთო.

მუსლიმანობა სახელმწიფოობაზეც მაგარ-
ია. სახელმწიფოობა გარედანაა, გარეთაა.
რწმენა ალაჰისა — შიგნითაა, იმისი ემბო-
გლუჯა, შეცვლა, გადასხვაფერებ-გადაკეთება,
ანუ ქართლის, მართლარწმენის, დაბრუნე-
ბა, ამაზე ვითუქროთ ჯერ, — შენი ერთი,
შენი წარსულ-აწყო-მომავლით, ბაბა-ნენეს
სიტყვასთან, სისხლში, ხმაში, ხედვაში
აღვდგეთ, მერე ვილაპარაკოთ მაგისაო. ჰოდა,



მომწონდა ჩვენებურთა გადაჩენილი ჩვენებუ-
რობა. იქ, თავისი ანტიგლოტებიც, ლექსებიც
გამოაჩინეს. აი, ნახეთ, თბილისელი ჩემო
მშებო, რავარი ვყოფილვართ აქარლები, აქ,
ოსმალურში ჩაძირულიც მთავარი ძარღვით,
მინც კართველია. გულში, ჩემთვის, ჩუმიდ,
მიხაროდა, ვებენიერობდი, რომ ჩვენებურე-
ბი ასე კარგები, შუბლ და გულგაშლილები
ჩანდნენ, ნოდარ დუმბაძე ზშირად მომობრუნ-
დებოდა, - ფრიდონ, შენ რომ არ წამოგვე-
ლოდი, ამას ვერ ვიხილავდითო.

იმ დღეებში, თურქეთელ ქართველებთან
შებედრებმა, ჩემი ცხოვრება ძირფესვიანად
შეცვალა. თითქოს მომავალი საქართველო
დავინახე. რალაცა დიდი იმედეები, დიდი
ფიქრები ჩამისახლდა გულში და სულში.

დაახ, ემინ, დიდებული რამაა - შენიან-
ისადმი მშობლიურობის და სიყვარულის
გრძნობა! მე გგონი, ამ სიყვარულმა მოიყვან-
ა აქამდე ადამიანობა. მაგრამ, ამასთან ერ-
თად, სწორედ ეს „საკუთარი ხალხის სიყ-
ვარული“ ზოგჯერ, სხვათა სიძულვილამდეც
მისულა. რა ვთქვა ამაზე? მგონი გობს, ასე
შევეამდე. საკუთარის სიყვარული თუ გინდა
შეგერგოს, იმის დაფასებაც შეძელი, როცა
სხვას თავისი უყვარს, საშინლად არ უყვარს
თურქს ქართული. კიდევ ერთხელ ამას, ტყი-
ვლით ვიმეორებ.

იქ ქართველები თურქებზე მაგარი მუს-
ლიმანები არიან თურქეთში და იქაურ ისლ-
ამურ იერარქიაშიც მთავარი ადგილი უკა-
ვით, მაგრამ მათ შორის, ბურსელ ქართველ-
თა შორის, ყველაზე მეტად ახმედ მელაშე-
ვილი აქტიურობდა. მე ვგრძნობდი, რა თქმა
უნდა, რომ ადენი ჩვენებურის ერთად შეკრე-
ბის მოთავეც ახმედი იწებოდა.

ის ახლა შინ იყო და შინაურულადაც
იქცეოდა. ამასთან ერთად, ჩანდა, უფრო-
ბილდებოდა საქართველოდან მოსულებთან
ზედმეტ სიახლოვეს. იცოდა, - მას და ჩვენ,
ყველას, თურქის ფიზიკი თვალს გვიპყრებდა.

და, მინც, ახმედი ბურსაში, უფრო გახ-
სნილი, უფრო გამეღაწეებული და გაბედუ-
ლი მომეჩვენა. მთელი იქ მყოფი ჩვენებურო-
ბა მას ემორჩილებოდა, მას ეკითხებოდა, მას
უსმენდა. ამას ყველა სტუმარი იწებ ვერ
შენიშნავდა. ამას მე უფრო ვებდავდი.

ბურსელ-ინეგოლელი ჩვენებურები არ
მალავენ თურქების მიმართ თავიანთ „პაწაი“

დამცინავ დამოკიდებულებას. არაფერ მალა-
ვს, რომ ქართველთაგან უსწავლით ოსმა-
ლოებს ბევრი რამ სამეურნეო საქმეში.

სალამო ახლოვდებოდა. ჩვენი ბარგი სას-
ტუმროში შეზიდეს თუ არა, დამხვდურები
შემოგვესიენ, გვიხოვდნენ, - აგერ, ახლო,
ქართული სოფელია და გაჩვენოთ, გვინდო.
განახებთ, - ჩვენს სოფელში სულ ჩვენებუ-
რები ვართ, არცერთი კულიანი იქ არააო
(თურქს კულიანს ეძახიან არა ეშმაკურობის,
არამედ იმისათვის, რომ იმათ ჩაქურას, მარ-
თლაც, კულიანთი გვიდა უკანა ნაქუქნი).

ერთი ამერიკელი მანქანა გააჩერეს. ფარ-
თო იყო ძალიან. წინ, მძღოლთან, მე დამსვეს,
გვერდით ბესო ელენტი მომიჭდა (სამნი
მოვთავსდით). უკან ნოდარ დუმბაძე
მეუღლით. ვატყობ, მე მეწინავე მანქანაში
უწინდვარ. იქ, უკან, ახმედ მელაშვილი
ფუსფუსებდა, ვიცოდი, მას ჩემთან ყოფნა
ჭირდებოდა, მაგრამ რადგან ასე დავლაგდით,
მოვიდა, შეგვხედა, თავი კმაყოფილმა დამიკრა
და, მე უკან გამოგვებიო, მანიშნა.

ჩვენი მანქანა დაიძრა თუ არა, შუქფარი
წითლად აინთო, ამიტომ წუთით შედგა. წინ
ვიცქირები. ქუჩაზე ფეხით მოსიარულენი
გადადიან, და, ჩემდა გასაოცრად, იმდენ
მოსიარულეებში, ერთი მალალი, მხრებში
მოხრილი, ლეჩაქმობვეული, ხნიერი ქალი
დავინახე. ჩემი თვალი იმ მოხუც ქალს დაედევ-
ნა. ის რალაც ძალიან ნაცნობი მიხვრა-მოხ-
ვრით მიდიოდა. რალაცა მეცნო, რალაცა
მეახლოვა თითქოს. მამაჩემმა იცოდა ასე
კორწილით სიარული, როცა მზარზე სი-
მინდიან კოდშემოდგმული, წისქვილისაყენ
წავიდოდა. ეს ყველაფერი ხომ ერთ წუთში
ხდება. მაგონდება, სტამბულის სასტუმროდან
რომ მამიდას ღია ბარათი მივეწერე, ვაიმე! -
ქალი ჩემი მამიდა, ასიგ-ბიბი ხომ არაა!?

წამოვიწიე, მძღოლს ვანიშნე, გადამიშვი-
მეთქი, ბატონ ბესოს მუხლებზე გადავევლე
და გარეთ გავიქერი. გამიშვით, ახლობელია,
არ დამეკარგოს-მეთქი, - ვიძახდი.

ტროტუარზე ვდგავარ, ვხედავ ჩემი ლეჩა-
ქიანი, მოაბიჯებს აქეთ მომავლთა შორის,
შუაგულ ტროტუარზე გავიგვიმე, ზუსტად
მომავალ მოხუც ქალს დავემიზნე, გრძელი
ყავარყენი უჭირავს, წინ გაიხედავს ხანდახან,
- ალბათ სასტუმროსკენ იყურებ? გულში



და მთელ სხეულში, ყრუანტელთან ერთად, ბობოქრობს ტალღებადქცეული სიტყვები, — მამიდაჩემო, ასიე-ბიბი, ასიე-ბიბი. ცოცხალი ბიბი. ცოცხალი ბიბი!

ვდგავარ, როგორც მდინარეში, თითქოს წყალწალბებულს უნდა მივეშველო. — დატბვდე, ნაპირზე გაიყვანო და აი, მომავალს შეეჭებე. როცა პირდაპირ მომეყუდა, შედგა, შემხედა, უცნაური დაღლილ-დაკარგული თვალები მომეცხუნა თითქოს. გამოხედვაშიც მამაჩემი ამოვიკითხე. გულმკერდით მომედო და ჯობს ხელი უშვა, — შენ ხარ, კოე?! — ჩემთან (ესე იგი, ის, ბარათი რომ მომწერა, ჩემი ძმის შვილი, ის შენ ხარო). ჰო, მე ვარ-მეთქი, სწრაფად ჩავუფურჩულე, ხელები შემომიჭირა და ატირდა, ლოყა და შუბლი, მგონი ოფლით (იქნებ ცრემლითაც) მოსველებოდა.

იქვე იდგნენ ნოდარ დუმბაძე, იოსებ ნონეშვილი, ბესო ჯღნტი. მაშინ დავინახე პირველად, — ნოდარ დუმბაძის თვალში ცრემლი. მელაშვილიც იქ მოსულყო და, ისიც დაბნეული შემოგვეტეროდა. მას, ჯერ კიდევ, მგონი, სტამბულში გავუშხილე, მამიდას რომ მიეწერე.

მე, ასიე-ბიბი და ახმედი დავრჩით. სხვები „ქართულ სოფელში“ მაინც გაემგზავრნენ, ახმედი მეუბნება: ახლა უნახავ, მონატრებულ შენ ბიბის გულიანად დილაპარაკები ხომ? მომიცაით აქა, არაბას (მანქანას) დევკაებ და ჩემთან წიგნიყვან. პანა (სად უნდა) დააჩინო პორტელში ასე ხნიერი ქალიო. შინისკენ მიმავალნი, საღდაც, თავის ნაცნობ ფორტოგრაფთან შეგვაჩერა, სურათი გადავიღეთ.

ის სურათი ლამაზი და სვედიანი გამოვიღა.

მე და ახმედი

თქვენ არ იცნობდით, ის სხვა იყო, არ გავდა ყველას, — საღდაც აკრძალეს საქართველო, იქ იქართველა.

ეტყობა — ძალიან კმაყოფილია, მარტო რომ მომიხელთა. ეტყობა, — მცირე დროში ბევრის მოსწრებას აპირებს, ჩქარობს, ლელავს

(„მოსწრებას“ ანუ — თქმას). ისე ებავუნება მისი გული, ხმა თითქმის მუცელზეა და ბურსაში, მის ერთ განცალკევებულ ოთახში ვართ. კედლებზე — საქართველოს რუკა (რუკაზე, ალაგ-ალაგ, სამხრეთისკენ, მრავალი შემოხაზულებია, ფანქრით), თამარ-მეფის, რუსთაველის, ილია ჭავჭავაძის, ნოე ჟორდანიას და მისი მთავრობის წევრების, აგრეთვე — ფიროსმანის, ალექსანდრე ყაზბეგის, ვაჟა-ფშაველას სურათები. აქეთ, შუშე-ბიან კარადაში, კაიგაყოლა წიგნები ჩანს. ზოგი სქელ, ყუხაწე წარწერით იცნობა რა წიგნია. იქაც, — „ვეფხისტყაოსანი“, ილიას ტომები, „საქართველოს ისტორია“, ნოდარ დუმბაძის, ყაზბეგის, სხვა მრავალი ქართული წიგნი. იქვე ბევრი თურქულიცაა.

მეუღლე, ერეკლე (იგი ძველი ჭინჭარაძეა), ვაჟი იბერია, გოგო თამარი და მამიდაჩემი, იქითა ოთახში საუბრობენ. ცოტა ხნით ისინი ახმედმა იქ დატოვა. არადა, ასიე-ბიბის (მამიდას) ჩემთან ყოფნისთვის სული ელევა. რა ქნას! კაცებმა უნდა რაცხაბზე პაწაბან დევლაპარაკოთნა და ამიზა ყაირათინა ქნას.

პატარა მაგიდა სამუშაოდ გაუწყვიტა. იქეთ-აქეთ დასხვიულა წიგნები და ხელნაწერებიანი ყუბები.

ახმედი — ახლა მე პირველ სათქმელებს გეტყვი, თავიდან. მემრე, თუ მოვასტარით, რაცხაბები კიღონა გითხრა.

მე — კი, ახმედ ჩემო, ბედნიერი ვარ შენთან რომ ვარ. ძალიან გთხოვ, არ მომერიდო, არაფრის შეგეშინდეს. შენი ვარ, ეს იცოდე...

(წამოიწივს, ლოყას ლოყაზე მომადებს) ახმედი — აქ, მე ბევრი მტერი გიმიჩნდა... ამ სახლს ვჭირაობ, ჩემი არ მაქ ჯერ. ისე, არქიტექტი ვარ.

მე — წარმოშობით?
ახმედი — მე? პიდავრი ვარ? მე იმერხევიდან ვარ. ქართული კითხვა-წერა ბაბამ მასტავლა. იცოდა, იმან, ძველიდან... შენ ჩემი ხარ, ვიცი ეს. ბევრი ამბავები მინდა გითხრა... ჯერ, ჰო, — ჯერ, რა მინდა. წიგნი მაქ დაწერილი. ეფეიჭა მოზდილია წიგნი, — საქართველოზეა, „გურჯისტანი“ ჰქვია. აქაურებისთვის მინდა, შით ქართულიც იქნება ტექსტები, მარა, ისე, ამბავის მოყოლია თურქულაა. რა ვქნა აბა, აქაერმა ქართველ-



მა რომ ჩემსავეთ წაკითხვა ჩვენებურისა არ იტის.

მე — ძალიან სწორად გიქნია, — თურქულად! მთავრობა გამოცემის ნებას მოგცემს? (მაშინ, მე, საბჭოურ წესრიგს მიჩვეულს, ვერ წარმოემდგინა თუ ავტორის, თავისით, გამოცემელთან შეეძლო წიგნის გამოშვება).

ახმედი — ნებას კი, მარა თუ მემრე წიგნში რამე ნახა მისთვის მოუწონარი, აკრძალავს. ამიტომ, ფრთხილადნა ვიყო. მარა, ჯერ ერთი სხვა რამენა გაგანდო. გვინდა ეურნალის გამოშვება. ორ თვეში ერთხელ. ან სამ თვეში, რა ვიცი, როგორ მვაფერებთ. იმაშიც ქართული და თურქული ტექსტები ერთმანებს შეენაცვლება. მარა მინდა, ამ ეურნალს „ქართველები“ დავარქვათ, ან — „საქართველო“. შენ რას გვირჩევ.

მე — არ მგონია, ჩემო ახმედ, მაგ სახელით გაუშვან. ქართველები, საქართველო, — ამ სახელებს თურქი, რა ვიცი, ალბათ, ვერ შეეგუება; არ გაგაშვებინებს.

ახმედი ჩაფიქრდა. მალე, შეწუხებული, ისევ შემოიხედავს და...

ახმედი — კარჭი, რაცხას მოგუნახავთ სხვა სახელს. სწორ ამბობ, — სიტყვა საქართველო ამით ძლან. ისე დაბეჭდვით სტოკჰოლმში იწება დაბეჭდილი. იქ ერთი ჩვენებური გაცავს, კაი ბიჭია, „ჯუმპურიეთის“ წაგზავნილია სკანდინავიელებში, შანვერი ქვია, ქართულად — თევზაჭია.

მე — აი, შენ მაგ შანვერს ჩვენებური უწოდე, არა? აქაც, ბევრგან, ხშირად მესმის, ერთმანეთს აჭაური ქართველები, ჩვენებურს ეძახით. იწება მაგ ეურნალს „ჩვენებური“ დაარქვათ?.. მაგ სიტყვა ხომ იგივე ჩვენანს, ქართველს ნიშნავს. რა ვიცი, იფიქრეთ. უწყინარი და მისაღები იწება ხელისუფალისთვის ასეთი სახელწოდება, მგონია.

(ცხრა წლის შემდეგ, 1977-ში, სწორედ სტოკჰოლმში, გამოიცა პირველი ნომერი „ჩვენებური“. ეურნალი თურქეთში ჩაიტანეს და ჩვენებურებს ჩამოურიგეს. იგი დღესაც გამოდის, სტამბულში, და მისი რედაქტორ-გამომცემელი ოსმან მერჯანი, ოთარ იმედაშვილი არის). ამ ეურნალის სახელის დაბადების ისტორია ასე წერილად, არასდროს არსად დამიწერია. ეურნალი ახმედ მელაშვილის მიერ დაარსებულია, თავადაა მისი სულის-

ჩამდგმელი. ეს კარგად იციან თურქეთშივე ჩვენებურებმა, რაც კიდევ უფრო აქაურებს და ამალღებს მისი სახელის როლის და ავტორიტეტს.

ახმედი (მაგიდაზე დებს სქლად შეკონილ საქალადეს. გარედან „გურჯისტან“ აწერია თურქულად. სათაურქვეშ, რომელიცა ეურნალიდან ამოტრილი წმიდა გიორგის ცნობილი სურათია, ცხენზე ამხედრებული გრძელი შუბით გველეშაპს რომ ჰკლავს) — ეს წიგნი მოვამზადე. მალე მინდა, დაიბეჭდოს. მოლაპარაკებული ვარ. ფარას ერთი ჩვენებური გადაიხდისო. ნახე, გადამითვალეიერე, ეგება რამე ჩაუმატო.

მე — ეს დიღებულაია! გილოცავ და ვლოცავ ამ მადლიან წიგნს, ჩემო ახმედ! (ვფურცლავ. მთელი საქართველო შიგაა, სურათებით, ლექსებით, თარგმნით, დედნებით. ისევ უდაზღვევებრი.) ერთი რამე ვთქვით მე და შენ, ჩემო ახმედ. ეს სურათი, გარედან რომაა, წმიდა გიორგია, ხომ იცი? ეს ქრისტიანულია. შეიძლება ამის გამო აქ უსიამოვნება შეგემთხვას, მოდი, ეს შეგეცვალოთ. მუსლიმანურ ქვეყანაში ხარ და აქ დაბეჭდილ წიგნში, აჭაური ავტორის მიერ აშკარად ქრისტიანულის... ერთი სიტყვით, მიმიხვდები ალბათ, — წიგნს რამე სიგონჯე არ გადაეღობოს. აი, ამას ვივი.

იმშუშნება, ფიქრობს, ეტყობა, ჰკლავს დაუჭდა შენიშნა. დგება. თაროსთან უამრავ სურათებს იღებს. ეს სურათები სხვადასხვა ქართული გამოცემებიდან მოუგროვებია. ერთგან, „ქართლის დედის“ გამოსახულებამ გაიღვავა, თბილისის თავზე რომაა, იმ ქანდაკებისა.

მე — ჩემო ახმედ, იქნებ ეს სურათი მოვათავსოთ.

მგონი მეთანხმება, იმიტომ რომ სურათი ცალკე გადადო, დანარჩენი ამონაჭრებიც გამომიწოდა, სხვას ხომ არაფერს შემირჩევო. თუმცა ჩანს, თავადაც იგი მოეწონა, რაზეც წელან ვუთხარი.

ახმედი — ახლა, იმათ მოსვლამდი, ერთი საქმენა განდო. ეს საქმე, ჩემთვინ, სიკვდილსიცოცხლედ ფასობს. ესე იგი, ეს საქმე ან ერთს ნიშნავს, ან — მეორეს. მიგახტრენ ნეტაი?

მე — ძალიან კარგად მიმიხვდინე, ახმედ! (ის ლელავს. ძალიან განიცდის. ჰოკმანობს,



გამიზილოს თუ არა, რალაც მძიმე, იშვიათი, ხიფათიანი რამ სურს მითხრას, მაგრამ ვერ გადაუწყვეტია, გაამიზილოს თუ არა).

ახმედ ჩემო, ვიცი — გაწუხებს რაცხა, გიჭირს, ან გტანჯავს, ხომ? არ მომერიდო, ამისხენი. მე და შენ ძმები ვართ. ჩათვალე — ერთი დედ-მამის შვილები, შეფეცივით ერთმანეთს ეს ძმობა ჩვენი, მოდი, ორივე რელიგია მოვიშველიოთ ჩვენი ძმობის მლოცველად. ჩვენ, მე და შენ, ხომ, ისტორიულად, ქრისტიან მფარველობით გადარჩენილი საქართველოს შვილები, ბოლო სამი-ოთხი ასეული წელია, მუჰამედი დაგვეპატრონა. ისლამმა ცხოვრების ყადრი გვასწავლა, მაგრამ სხვა ცხოვრებისა. სამშობლო საქართველოს სიყვარული კინადამ ცოცხად გვითვალა. მეც ის მტკივა, ჩემო ახმედ, რაც შენ. მართალია, მე ქართულ საქართველოში ვარ, შენ — თურქულ საქართველოში ხარ, მაგრამ ორივე ერთნაირი უბედურებით დაბნეულები, ნელ-ნელა ვფიზღდებით, შინ ვბრუნდებით.

მე მარტო ჩემს თავს ვერ ჩავთვლი დაბრუნებულად, მთელ ჩემს კუთხესთან ერთად უნდა დაბრუნდეს. კუთხე კი, ჭერ, ნამდვილი, სულთერი, დაბრუნებისთვის მზად ვერაა.

ახმედი — (ღრმა ფიქრის შერე) მუსლიმანი ქართველები და ქრისტიანი ქართველები, იქ, საქართველოში, ერთმანეთთან კარგათ ვერ ხართ?

მე — როგორ თუ ვერ ვართ. ძალიან დიდებულად ვართ!

ახმედი — აბა ორი ჰუქუშეთი (მთავრობა) რათ გინდებიან, — ერთი თბილისში, ერთიც — ბათუმში?!

(ამ შეკითხვამ ჩამაჩუმა).

აღდა, რომელიღაც უნადუკი გაალო, რაღაცა ქინძებში შეხვეულ-გაყოკილი გამოიღო, ილღიაში ამოიღო, მოვიდა, ისეც თავის ალაგას მოეწყო, თქვა:

— რაცხას ახლა გეტყვი, ეს საუწუმარაა. ჩვენ შორის იყოსნა!

მე — (მიკვირს, ვიძახები) ასეც იქნება!

ახმედი — ანკარაში, ერთ საჰუქუშეთით (სამთავრობო) არქივში, მეგობარი მყავს. თურქია, კაი კაცი. ერთად ვისტავლეთ უნივერსიტეტში. იქ მუშაობს და, ძველ საქმიებში, საქართველოზე ოსმალურ ბევრ რაცხ-

აებს მიაგნო. სულ იქ, გურჯისტანის ოცდაათი ტომი მასალა ყოფილა, მხოლოდ საქმედ მიკროფირი ამუშულია, მანახვა და, ბოლოს, სულ მომცა ის მიკროფირი. შეთქმულმეტე საუწყუნის გურჯისტანში ოსმალთა ბატონობის წლების დავთრებია, საქართველოს მაშინდელი ყოფაცხოვრება ჩანს, რა დამიჭდა ეს, მე ვიცი, მარა მინდა, რაცხაფრათ თბილისში გვეტანო. მე იქ ამირან ცამციშვილს ვიცნობ, ისტორიის მეცნიერია. ე, იმას რომ ვახვედრო...

მე — ჩემო ახმედ! აი, მე აგერ ვარ. წავიღებ.

ახმედი — შენ?! როგორ გაბედავ ამის წაღებას? აქ რომ გევიგონ, მე მაშინვე გამინადგურებენ. შენაც ცული დღე დაგადგება. დაგიჭერენ და... რა ვიცი!

ფიქრობ: ერთხელ დამაკისრა ბედმა ასეთი რამე. გავერიდო? არა! რაც მომივა, მომივა. რა ღირებულებისაა, რაც იმ ფირზე? თუმცა რადგან იგი ახმედს ასეთი სიფაქიზით და გულისტგერით ამოდენა განძად დაუგულბია, — ვენდობი. ეტყობა, ძვირფასია და საჭირო საქართველოსთვის. რაგინდა მაშინ მომივიღე, ახმედს მაინც არ გავწირავ. მის სახელს არ ვახსენებ. თუ მე გამომიჭირეს აქა... საბჭოთა კავშირი თავის მოქალაქეს ვნახოთ.

მე — ნუ გეშინია. მოვახერხებ ისე, რომ საღსალამათი გავიტანო. გჭეროდეს, ახმედ, ჩვენებურო, — თავს გავწირავ. შენ კი — არ გაგწირავ.

ახმედი — (იღებს გაზეთებში გამოხვეულ და საკერავი ძაფით გამოყოკილ გორგვალს. იხებელა, პლანის შიგა ჭიბეში ჩაეტევა. ჩაეტევა კიდევ, მისია, ოდნავ ვტარება. პლანში მხარზე მოგდებულს ისედაც ვტარებ. ამას იქით კი სულაც აღარ მოვიცილებ. ჩაეტევენ ჭიბეში ძლივს. ახმედი „თოდს“ (საკეთი ჭინძისთავი) მაძლევს, რითაც ჭიბისპირს ვამაგრებ).

იგი ჩუმად შემომხედავს და კახანს ისე მაკვირდება, თითქოს ჩემში რალაც ახალი, მოულოდნელი აღმოაჩინა. მისი დარდიანი სახე მსუბუქმა გალიმებამ გაანათა. ეს გალიმება, მივხვდი, მე ჭილდოდ დავიმსახურე. არ ელოდა, რომ მე, საბჭოთა ქართული მწერლობის კაცი, „კვივი ომის“ საშინელ უნ-



დობლობისა და ურთიერთეჭვიანობის ეამს, ასე უბრალოდ, ასე ჩვენებურად, ვიკისრებდი იმ საშიში, თითქმის მოპარული განძის, სამშობლოში წამოღებას.

იმ წუთებში, ახმედს რომ შევხვდავდი, საკუთარ თავს ვუშვლდი, — მთელი მუსლიმური საქართველოს ტყვილი ამ ერთ კაცშია თავმოყრილი.

ჩვენ, საქართველოს ქართველები, რაგინდ ვიპატრიოტოთ, მელაშვილის გვერდით ველ-არაფრად გამოვჩნდებით.

უფრო გულახდილი ვიყო? — იქ, ბურსაში, იმ ერთი დამაბული საათის განმავლობაში, ახმედ მელაშვილისაგან საქართველოს სიყვარული უფრო მეტი ვისწავლე, ვიდრე მანამდე, — თვით საქართველოში.

ოთახის კარი გაიღო, იბერია და თამარი მიაკვივდნენ მამას. მე კი მამიდამ, — ასიე-ბიბიმ, — კვლავ ხელი შემომხვია და, — ეი, ჭოვ, გვეყენ ამდენი საუქმუბარო ლაპარაკი. ახლა ერთი მითხარი, რაფრათაა შემდეგეთი, ყველაძეფერი მითხარი... — გვერდით მივუჯექი. ამოთქვა და ამოთქვა. ტირილი, მაგრამ თვალზე კურცხალი გაშრობოდა, გამოგვალულიყო თვალის დუბებები. მშები, რძლები, იმათი შვილები, ბათუმი, სოფლები, და, ბოლოს, თავის მშობლების (ჩემი ბებია-ბაბუსი) საფლავებიც მოიკითხა.

მეხვეწა, როგორმე რესულას (ძმას) ისე მუწუწვევ საჭმე, ერთხელ აქ მოვდესო, მნახოსო, აპადა, ოთხმოცდაათი გვერბინე. ახლარანა გითხრა იცი? — ეს ძალვან დღისსომე: რაცხამფრათ წიმიყვით, აქ არ დამტოვოთ. მოვეკვდები და იქ, ბაბანენეს მიწაში ჩამფალით. აპა, იმას გეხვეწები მარტვაი. სხვა ააფერს...

მამიდას სახეზე, ნაოჭთა ღარებში თხლად ჩრდილები ჩაწოლოდა. ლეჩაქშემოხვეული სახე გოგენის რომელიდაც ტაიტურ ნახატს მაგონებდა. ბოლო წუთებში ის მხოლოდ მიტკეროდა და მისმენდა, თავად ხმას აღარ იღებდა. მას ჩემი ხმა უნდოდა. მისმენდა ისე, გეგონებოდა, ჩემი სიტყვებით შიმშილს იკლავდა.

გამომავლილოგაბა ბურსაში

ამასობაში, ბურსას გარეუბანის „ქართული სოფლიდან“ ჩვენი მწერლები და ბურსელი

ჩვენებურები ერთმანეთით დაბრუნდნენ. ნოდარ ღუმბაძე ყველაზე წინ შემოიჭრა, ასიე-ბიბის მივარდა და კიდევ ერთხელ მოეხვია. ბიბი მომობრუნდა, — ჭოვ, ე კაცი რაცხა ჩვენ ჭილაგიდან ხომ არაა. ჩვენ გვევს ძალიან, — ხომორი წარბები და ჰემ (თანაც) რაცხა ხისიზა პელებეთ (ნათესავია), ჰო?

— მაგი თიფლისელი დიდი მწერალია, ბიბიე. მაგის დაწერილს წვიციოთხვ და სიცილით გაგორდები.

- აბა მას ცრემლები რატომ აქ?
- შენ აატრიე, ბიბიე.

კარლო კალაძემ, ცალკე ამხვილისტყვებულმა, იქ მყოფნი გაამზიარულა. გაშინაურდა. აქო წელანდელი სოფელი და სულ იმას იმეორებდა, ღვინის მაგიერ მშვენიერი მაწონი როგორ ასევეს.

ბესო ჟღნტი ლაპარაკობდა გტაცებით. იოსები და მედიკო ხალიზაზე ისხდნენ ფემორთხმით და ყავას მიირთმევდნენ.

მამიდას ჩემს თავზე ჰქონდა ხელი შემოკერალი. ლოყა მხარზე მოედო, თითქმის ჩემს შიგნითა სიცოცხლეს უსმენდა, რათა შემდეგეთი უფრო ახლოდან ეგრძნო.

არჩილ სულაკაური და მისი მერი კედლებზე სურათებს ათვალეირებდნენ.

ყველანი ბავშვებითი გულაჩუყებულები, გახარებულები, ბედნიერები ვიყავით. სულ არ ვიცნობდით, ვისაც შევხვდით, მაგრამ თითქოს დიდი ხნის მონატრებულს დიდი ხნის შემდეგ შევხვდით და ეს მოულოდნელი შეხვედრა, ეს ჩვენთანის სახლი, საღდაც, ბურსაში, ასე ახლობელი, ასე ქართულად მორთული, ჩვენი ნახვის სიხარულით იყო გაბეჭვილებული.

ყველაზე ჩუმად ახმედი მეჩვენა. ის სიხარულით დაბნეული ჩანდა, თან ისიც ხომ იცოდა, ჩვენს შეხვედრას შორი-ახლოდან, რა უცნაურიც არ უნდა იყოს, თურქულ-რუსული უმიშროების თვალ-ყური დასდევს.

საქართველოს ქართველები, საქმელ-სასმელებით ნამეტნავად თავის მომწონენი (ზოგჯერ უზომოდ, მოუფიქრებლად, უმიზნოდ ვკოლგავთ და ვხარჯავთ ზორაგს. სასმელზე ხომ ჩვენში ზომი-წონის გრძობა აღარაა) უცხოეთში მოხვედრილნი (იქ ჩვენზე მეტი აქვთ, მაგრამ მომჭირნებენ და ამიტომ გეგონება შენდენიც არა აქვთ) გან-



ვიციდით უკმარისობას. ზიზის კუნჭულში მიბუშტულ გროშს დაეპარობთ და ებორიალობთ დამატებით რამე სასმელის მოსატანად. აჰ, თურქეთში, სხვა ამბავია. ჯერ ხომ მუსლიმანს ღვინო ისედაც ეკრძალება, უბრალოდ. ცოდვად ეთვლება დაღვება, ამიტომ სტუმართან მისი გამოტანა, ზმირ შემთხვევაში, არ მიაჩნიათ აუცილებლად. მეორეც, — ევრო-ამერიკული კულტურის გავლენითაც, ხელგამლილობა (ჩვენებური გაგებით) მიღებული არაა.

ამიტომ ჩვენ თვითონ მოვიჭექეთ. მე, მაგალითად, ბოთლი „ვარციხე“ ხელჩანთაში აღმომაჩნდა. ზოგი გარეთ გაძვრა და შემოიტანა. ასე რომ, მალე ახმედ მელანქოლის სახლში, ბურსაში, ქართული ქეიფისნაირი ქრიაშულიც კი მოვრთეთ.

— თქვენ, იქ, ბევრს სვამთ ხომ? — ჩუმად მეკითხება ახმედი და გადარეული შესცქერის კარლო კალაქს (იგი ზომა-წონით გჭაგრავედა), რომელიც, თითქმის ჩაისქიქისოდენა ჭურჭლით, კონიაქისაირ რომელიდაც სასმელს ეძალებოდა. როცა ერთ ყლუპს ჩიჩვირებში ჩააყუტყუტებდა, ტუჩებს მოილოკავდა და ორივე გაშლილ ხელს ვებრთოდა მუცლის მიწდორზე დაიტაშუნებდა და იტაურ ჩვენებურებს გადასაძებდა, — აი, როგორი მამლარია სოციალიზმი! — თანაც ბალანსავით ჩაიკისკისებდა.

გამთენია ახლოვდებოდა. წასვლაზე კი არავინ ფიქრობდა. არადა, დილაილუნზე, ავტობუსით, იზმირისაკენ უნდა გავემგზავროთ. ბოლოს, როგორც იქნა, ავიშაღენით და შვებით ამოიგენეშეს ქალებმა.

აღგა მამიდაჩემი, ხელი შემომხვია და გვერდით მიმაყენა. ფორცა-კაბაიჩლოლის შიგანგარებში რალაცის ჩიჩნა-ძებნა დაიწყო. თან ხმის კანკალით მუუბნება: — ჭოვ, იქ თურმი, სხვა დანაში წასულეებს ფარებს (ფულეებს) არ გაძლევენ და პაწინა მენა მოგცენა. — ამოკანკალა საიდანდაც და-გლურკული ლირები და დაწირებლი ჭალაღლი გამომიშვია. ჩემკენ გამოწვილი მისი ხმელი ხელი ჩემი ხელით ფრთხილად მოცქაქვე და გულისფიცარზე მივიღე.

— არა, ბიბიე, მე არ მიჭირს და ფარა მაგრადაც მომცეს. შესაბრალი ჰერ (სულაც) არ ვარ. უხმოდ ჩაიკისკისა და ერთხელ

(უკანასკნელად) ჩამიხუტა. ბაგეებზე ვუთრუნოდა, მოსველებული თვალები მუშუშუშუშუშუშუშუ და ველარაფერს ამბობდა.

ილუნზე ჩვენი ავტო ჭალაქს გაცდა, სარკემელთან ვიჯექი. ბურსა უკან რჩებოდა. მიწდვრებში გლჩები ამოძრავებულოიყენენ. ხენათესვა მთავრდებოდა. ერთ ალაგას, ტრიალ მოხნულ მიწდორზე, ხე დაეინახე. მალაღს და ოდნავ მოხრიღს, წვერში, ბუჯგად შერჩინილ მწვენეზე გვიანი ყვავილეები თეთრ ლენაჭად ებურა. ის ხე მამიდაჩემს ძალიან მიეამგვანე, ეს ლექსიც, ე, მაშინ, ავტობუსში დავიწყე. „ბურსას გადაღმა, ველზე ხე იდგა, მოხრილი, როგორც მამიდაჩემი...“. მოდი, სულ ალვადგინოთ:

მამიდა

*ჩვენ ერთმანეთი ენახეთ პირველად,
ბუერის თქმა გესურდა, თუმცა ვერ ვამბობდიო.
მხოლოდ იმდენი წლის შენახული
მერგო მდულარე მისი ამბორი.*

*ფოტოგრაფის წინ ერთად დავსტდით.
მიწას დასცქერის მამიდაჩემი,
გულთან რომ უფრო ახლო ვყოლოდი,
მზარზე დაიღო ჩემი მარჯვენი.*

*თართადა, ბორგავდა, ვერ ისვენებდა,
სურდა ხსენება იმ შორეულის,
სადაც დატოვა ხე მშობლიური,
ნაყოფმწიფე და არმოლეული.*

*რადანა მთუცა მისთვის იმედაღ,
ხელსა ეუბნედი მარტოს დარჩენიღს,
ბურსას გადაღმა, ველზე, ხე იდგა,
მოხრილი, როგორც მამიდაჩემი.*

მაისი, 1968



იზმირისკენ შარავზა ზღვისპირებს მიყვება. მე და არჩილ სულაკაური გვერდიგვერდ ვსტდევართ ავტობუსში. რამდენი წელია ვიცნობთ ერთმანეთს. ახლა კი ისე მელაპარაკება, ვითომ დღეს ვამიციწო, — რალაც სხვანაირი პატივით, ანგარიშით, მოფერებით. ეტყობა, თურქეთელ ჩვენებურთა ჩემდამი იმ დღეების დამოკიდებულებამ, ჩემი ახლობლების ნახვამ გული აუჩუყა. თავადაც რალაც სხვანაირად თბილი და ნაზი გახდა. შუადღეა. ეჩერდებით ზედ ზღვასთან. აგერ კადეა. უნდა ვისადილოსავით. ზღვის ხმაური სა-





სიამოვნო ფონადაა. ზალაში ჭერად ძველი სათევზაო ბადეებია გაჭიმული, რაზეც ზღვის სამყაროს ბინადართა ფიტულები გაფენილია. ერთ ალაგას, - დიდი ხმელი, ხუთქიმიანია. კაფეს პატრონი გვერდითაა. არჩილი მეუბნება, ეს, ალბათ (მალა იყურება), ზღვის ვარსკვლავია? თურქი ახალგაზრდა შემოგვეყურებს, ჰგონია, მას ეკითხებიან. ვცდილობ, თურქულად მოვახერხო არჩილის კითხვის გადაცემა. ზღვა - „დენიზ“, ვარსკვლავი? - „ილდიზ“ ვუბნები თურქს: „ბუ დენიზ ილდიზ დირ?“. ბიჭი მაშინვე შეწვიდა ბადის იმ ალაგს, სადაც ფიტულია. გაბია ბადე, ჩამოიღო ფიტული და გამოგვიწოდა. არჩილს ვუბნები, შენია-შეთი. ესხდებით სუფრასთან. ესადილობთ. მალე გზა გაავარძელეთ, ერთი გორაკისკენ აუხვიეთ.

აი, წმიდა მარიამის ეკლესია. პატარა გორაზე, რიყის ქვებით ნაგები. ჭრისტე რომ გვარს აცვეს, დედამისი, მარიამი, ფეხშიშველა აქეთ წამოსულა თავის მხლებლებით. ამ გორაზე შეჩერებულან სალოცავად. სასწრაფოდ ზღვისპირიდან შიშველ ხელებით მოკრეფილი ქვებით, აქ აუგიათ, აი ეს ეკლესია. სულ პატარა, უსახური, მაგრამ ძვირფასი, მადლმოსილი. სადღაც გულის სიღრმეში მესიამოვნა თურქთა ასეთი საჭკიოელი. ეკლესიასთან ათასობით ყავარჭენი ყოია. გეხსნან: როგორც კი მარიამმა ილოცა, აქვე, თავისით, მიწიდან გამოსკდა წყარო. იგი სასმელად შემოაშველა უფალმაო. მალე კი, ყველა დარწმუნდა - ეს წყალი სამკურნალოც ყოფილა. და, აი, ასობით წელია, ამ წყაროზე იკურნავენ თავს მთელი დუნისის საყარხეიბარნი. ყავარჭენებს ტოვებენ და სალსალამათნი შინ ბრუნდებიანო.

იზმირი. სიამოვნების ქალაქი. აქ ორი ფიჭვახსენება მიმეორდება. მუსტაფა ათათურქის სიტყვა ახალ მექლისში, მგონი 20-21 წელს (ათას ცხრაასის), სომეხთა ზოცვის გამო თქმული. სწორედ იზმირის ერთი ეპიზოდი ახსენა ათათურქმა. ჩვენი რევოლუცია ვერ საიმედოდ ვერ აკონტროლებდა ყველა ქალაქსო. იზმირის პორტში მომუშავე სომეხები, ღამით, მალულად, ნავით, რეიდზე მდგარ „ანტანტელი“ ინგლისის კრეისერამდე მიიპარნენ და მტერს იზმირში შემოუძღვნენო. აოხრდა ქალაქი, რაშიც იზმირელ სომეხთა

წვლილი დიდიაო, მაგრამ ჩვენ უნდა შევეწყვიტოთ სომეხთა დევნა-დასჯა, უმწუხლოო გაგვატყუენესო.

პეორე: მამაჩემის „ჩეთეში“ ასევე უფუნა. ერთ სახლთან, თურქი „ონბაში“ უბრძანებს (ართვინში სომეხებს დაეძებენ გასანადგურებლად), - აბა ნახე, ჭერში ხომ არ იმალებიანო. აფხოზდი კიბეზეო, მიყვება ბაბაი (მამაჩემი), - ვათვალიერებ, წყევლიადში, ერთ კუთხეში შეპეტილან ქალი, ალბათ, დედა, და ბავშვები. ბნელს იმათი შეშინებული თვალების ელვები ჰკვეთენ. მე კიბეზე უკან ვეშვები. თურქი ონბაშს მოვახსენე: იქ არავინ არაა!

იზმირიდან ანკარაში მივემგზავრებით. ხეთების მუხუშუმის შესასვლელთან ორი ქინდაცებაა, სამი ათასი წლისა. თიხისა. ერთს, წვეროსან, მოლიმარ ხეთს ყანწი უჭირავს, თითქოს გეპატივება სასმელზე, სადღეგრძელოს დასალევადა. ჩემში უცნაური, შორეული ასოციაცია ამ ქინდაცებებმა აღძრეს. ვწერ ლექსს. ის ყანწიანი თიხის წვეროსნები ჩემი ნათესავეები თუ პირდაპირი წინაპრები მეგონა.



ის ჩემი „პლაში“, ჯიბეში ჩატენილი „გორგვალაით“, როგორც ამდღმა დაარქვა, მხარზე ან მუხლებზე მიდევს. არ ვიცილებ, არადა, მისი თავის ეშში შედის, ირგვლივ ხეხილი, ყანა-ბაღა-ბოსტნები ყვავილობენ. პერი, თბილი ყრუანტელით გაჭერებულა. კინდამ ცხელა. ანატოლიის შიშველი, უსახური დუბე-მინდორ-ზეგნები გადავიარეთ, ზღვა დაეინახეთ. „ყარა დენიზ“ - შავი ზღვისკენ გადავეწვილ ფერღობებს კი, სულ ხშირ-ხშირად, აჭარულ-გურული ეზოყარები, ღობე-ჭიკრები, ბოსტან-ბაღები მოეხშირა. ერთგან, წყაროსთან შევედქეთ. იქვე, მალა, ყანაში ქალი თოხით ბრუნავს, ორი-სამი ჭლიკტიტველა ბაღანაც იქვე და-უფრუმელობს. არჩილ სულაყაური: - იქნებ იკითხო, ეს სახლ-კარი ჩვენებურის ხომ არაა?

ჩვენი საუბარი იქ, მალა, ბავშვებმა გაიგონეს და დედას მიცვიდნენ, - ნეე, ისე-გავ, ჩვენებურა ლაპარაკობენო. ამიტომ კითხვა აღარ დავკვირდა. ქალმა, ყანაში, თვასაბური შეისწორა და მორიდებით მიგვიპატიყა, -

მობრძანდით, პაწახან, ჩვენი თქვენი ვართ (მაშინ ეს ზღაპარს ჰგავდა, დღეს სხვაა)... ზემოთ, შემადლებულზე, — ოდა-სახლი, ნალია, იქით, ზევისკენ, — წისქვილი, აქით — ტურაბედულა... თავი მაკახელში მგონია.

მუჰაჯირები

*შინმოუსვლელი ბევრი ვიტყვით,
იყო ტაცება, ომი, სხვა ჭირი,
მაგრამ მუდამ სხვა სისხლისდენაა
საქართველოსთვის ეს მუჰაჯირი.*

*გზად, სტამბულს აქვთ, ენაზე სოფელი,
წისქვილი ზევში ისე გაჩრილი,
ვიცან აჭარა, ერთი ნაჭერი,
ცრემლით რომ რწყავდა იქ მუჰაჯირი.*

*ბაღში, ნენეს ბაღები ახლდნენ,
მათ მივესალმეთ ჩვენ რიგრიგობით,
იძახდნენ, — ნენე, გურჯები, ნენე,
ე, — ჩვენებურა ლაპარაკობენ.*

*სოფელი სულ გზად გამოეფინა,
სიმღერით, სევდით თუ გაჭირვებით.
— გვითხარით რამე საქართველოზე, —
გვთხოვდნენ პაწია მუჰაჯირები.*

*პირთ ჩვენი მთების ფერი ეფინათ,
თვალში ვჭედავდი ჩვენს ცას და
ღრუბლებს,
გზას ვკითხვ: გზაო, გამაგებინე,
ჩვენ ერთმანეთთან ხომ დაგვაბრუნებ?*

1968 წ.

ძართული ლეძის საღამო სტამბულში

წინ რომ საკმაო დრო მეგულებოდეს, სტამბულის იმ პოეტულ „ყენედიში“ ყოფნაზე მთელ წიგნს დავწერდი. ახლა მეჩქარება. პაიდა ზენგინი (კორტანიძე), პირველი სტამბულელი ჩვენებური, დღეების უკან, ბათუმში შემახვედრეს. ძველი მაკახელელია. ახლა ხუთნი მშანი, სტამბულში ცხოვრობენ. უფროსი ძმა, ხასანი, მშენებელ ფირმა „ქოროსს“ განაგებს. მთელი უბანი აუშენებიათ. ხასანის ტელეფონი ვიცი. დავურაკეე, გაიხარა. შეიძახა: — ფრიდონ?! ვიცი, ვიცი!

რომელ პოეტელში ხართ? მოვლენა, განაზრავ, იქნება?!

ე. რ. მ. მ. მ. მ.

— კი, კი, იქნება! — ვუბნებენ მისი სიტყვების მიხედვით. იმ მოკლე ნახევსას პაიდარი მომეწონა, თანაც მეთბილა მისი გულითადობა, მისი თავდაგერებული ჩვენებურობა. ისეთი რამეები მითხრა თავის სტამბულურ ცხოვრებაზე, მშებზე, იქაურ ქართველებზე, — წელში გაემართე, ვთქვი, — ამას ყველაფერს ახლოდან ვაჩვენებ მწერლებს. იმიტომ, რომ დაიჭრონ — მთლად ჩანებულელი არაა სული გამუსლი-მანებულ ჩვენებურებში.

(ნუ დაივიწყებ, — მე თითქმის ორმოცი წლის წინანდელს ვიხსენებ ამბავს. მაშინ ჩვენ თურქეთულ ქართველებზე მარტო ლეგენდები გაგვეგონა, ნამდვილის გაგებას რომელი ჩვენგანი გაბედავდა. სადღაც იმ ხანებში, ერთი თბილისელი კინოაქტორი (მატარაია) საფრანგეთიდან, ფრანგული პირადობის საბუთით, შევიდა თურქეთში და ქართულ ძველ ძეგლებთან მიახლოება შეძლო. გადაიღო საბჭოურ დროში პირველი ასეთი ფილმი. იქიდან რაღაც ნაწილის ჩვენების ნება დართეს. პოდა, იმის ნახვაზე ვტიროდით).

და, აი, ცოცხალი, ნამდვილი თურქეთელი ქართველი მოვიდა პოეტულ „ყენედი-სთან“ მაღალი, ღიმილშემსკდარი. დაგვინახა და მაშინვე, მგონი თურქთა გასაგონად, ხმადალი ქართულით გაგვესაუბრა. პირველად გვესმა იქაური ენის ძველადობას მიყოლებული ჩვენებური, უცხო, მაგრამ სასიამოვნო. შემოვიდა, თითო-თითოს მოგვეხვია. დააყოლა, — მე ფრიდონთან მუველ, პაპა თქვენ ყველაი ჩემი ხართ, ყველაი მენატრებით, ყველაი შინდოდით, გული აქვთ მეწიკებოდა. მოვბროდი, ვითამ სულთელ საქართველოსნა ჩაგებუტებოდი. რა კაიები ხართ, რა ძალიან შეხედულები. რა სიტყვები გაქვან. ჩვენ, აქა, იმდენ ჩვენებურ სიტყვას ვეღარ ვჭონიობთ. პაპა (მაგრამ) რაეარკ გვევინებთ ქართულს, მაშინვე სულგულში თავეებს წამოყოფენ ძველაი მიმოთესილი ხმები და ნათქვამები, ერთ-მანეთს მიაგორ-მოაგორებენ და მოკუჭკავ-მოამცრევენ, დაამურგვებენ სიტყვებად და ავლაპარაკებებით, ისე რომ ვეღარავინ გაგვაბუტებს.



დღესა, ჩემთანა წოვდეთ (წავიდეთ), ბაბანენე ბერები (მოხუცები) არიან და ძალვან შემეხვეწენ, ერთი ნამდვილი საქართველოს ქართველი დამანახვეთ და მისი გამაგონეთო.

მართლაც, სტამბულელ ზენგინ-კორტანინიებთან დაუფიქარი საღამო გამოგვივიდა. დიდ ოთახში ხუთი ძმის ოჯახები და ახლობლები შეიკრიბნენ. იმდენი სტამბულელი ქართველი მოვიდა, გახარებული და ერთგვარად დაძაბულებიც ვართ, ალაც ჩაის სმაც გაჩაღდა, მე, როგორც უფრო შინაური, შინაურების მაგიერ მიემართავ ბესო ელენტს: — ბატონო ბესარიონ, იქნებ ერთი ლექსის საღამო გავმართოთ და თქვენ წაიყვანოთ?! ყველას მოეწონა ასეთი წინადადება. ერთიმულში გადატამუნებაც გაისმა.

კორტანიე-ზენგინების დედ-მამა შუაში დაესვათ. დედას თითილაშემოვლებული თავსახურავი (იაზმა) გადაქეულად ეხურა. მამა, უცნაურად დაძაბული, თვალეში ჩაგვტყროდა თითოეულ ჩვენგანს და ჩვენგანის მიერ ხმამაღლა გამოთქმულ რაიმე სიტყვაზე ცრემლი მოაწვებოდა, ამიტომ მაშინვე დამუჭულ ცხვირსახოცს ხან ერთ თვალში ამოისევამდა, ხან მეორეში.

უცებ ხასან კორტანიე (ხუთ ძმაში უფროსი) ყურში ჩამწერჩულებს, — სტამბულის მერიც ჩვენებურიო (ე.ი. ქართველი) და ახლა ტელეფონით მელაპარაკა, მოსვლა უნდა, მარა... იმ დღეს (1968 წლის მაისის მგონი 15-20 რიცხვი) სტამბულში სასინჯი პირველი ტელეგადაცემა მოეწყო, რომლის ინიციატორი და მეპატრონეც ჩვენებურიო, — მომხაზარა ხასან ზენგინ-კორტანიეძე.

აი, ის საღამო, სტამბულში, ორი საქართველოს შეხვედრის საღამო იყო. დიახ, ნამდვილად ასეა!

ოციო, საოცარი რაა? — (აი, ახლა ვიმეორებ: თითქმის ორმოცი წლის შემდეგ ვლიარებ ამას). იქ, იმ საღამოს, ჩემი თბილისელები, მწერლები და ყველანი უფრო ახლობლები გახდნენ. იქ მყოფი მასპინძლობა, ასე გაუცხოებულ-გასხვავებულნი ჩვენებურობა ხომ პირადად ჩემი ლეიბლები იყვნენ. ამიტომ ყველაფერს შინაურივით მწვავედ განვიცდიდი.

ესე იგი, თითქოს თბილისელები ჩემს ოჯახში შეკრებილიყვნენ. მე ვლელაქვარ მუცხაყობდი, მე გტიროდი, მე ვზემოხლანქმსაჭეხიდი, მე ვქუხდი, მე სულ ახლო ვხედავდი წარსულს, მე შიგ ვიდექი აწმყოშიც, მომავალშიც. მე მიყვარდა ჩემი უბედურება, რომელსაც ახლა თითქოს ბედნიერების წუთები ღმერთმა უწყალობა.

ბესო ელენტი ამბობს: ფრიდონ ხალვაშო! აბა, შენ გახსენი შენი ლექსით ჩვენი საღამო. შენი სიტყვა მოუხდება და შეამკობს ახლა ამ შეხვედრას. შენც ხომ ერთი ამათგანი ხარ!

ავდექი და, აი-შეთქი, ვუთხარი იქაურ ჩვენებურებს, — თქვენი სახელით, მე ასე მიემართე თბილისს, საქართველოს დედაქალაქს. ის ხომ ჩვენი ყველასი დედაქალაქია! რამდენი ასწლეული უჩვენოდ იყო!

და წავიკითხე „მე არ ვიქნები შენი სტუმარი“. გაესინჯე, აჭარის გულიდან ამონახეთქი გრიგალი იმათ გულსაც თუ ააფორიექტბდა. თუ იგრძნობდნენ და თუ მიხედებოდნენ რაზეა ლაპარაკი, როცა ვამბობ — „მე ჭორობგაღმა ორი სოფელი დამჩრა ნახვევარ ქართლისოდენა“, ან — „რა გლოვად ვიყავ, რა დასანახი, ჭორობს მეწამულ ფერში უვლია, საქართველოში, ალბათ, კალმასი მიტომ სისხლისფრად დაწინწყლულია“, ანდა — „მე შენი მტკვარის ერთი ზვირთი ვარ და შენი ზეცის ერთი მერცხალი“. ქალები თვალცრემლიანები მეხეოდნენ, კაცები ყურში ჩამიფუჭუნებდნენ, — ეს რა კაი გითქვამს, სულ ტანში დამჭინჭრავი.

აღგა იოსები, ნონე შვილი. თავისი არტიტული ხმით მოქარგა ლექსი, ნოდარ დუმბაძემ ცნობილი ლექსი დუტუ მერგელისა წარმოთქვა. ზიბლი, შემართება გამოანათებინა ლექსს კარლომ. აკადემიური და დახვეწილი იყო არჩილ სულაკაური (მაგრამ, ჩვენში დარჩეს და, მრავალრიცხოვან მასპინძლობას უფრო იმის გამო ეტყობოდა ამაყობა, რომ, მე, სამუსლიმანო საქართველოს წარმომადგენელიც, თურმე, დიდი საქართველოს მწერლობაში გამოვჩენილვარ). აი, ამიტომ გულუკანკალებულნი მეხუტებოდნენ. მეორე ლექსად ჭერ კიდევ დაუმთავრებელი (ბოლომდე დაწერილი არც იყო) „მითხარ, როგორაა შემდეგეთი“ წავიკითხე. უნდა



გიობრათ, ეს ლექსი ჩემთვისაც სულ სხვა ქრუანტელით ფართქალებდა. იგი სინამდვილის ყველაზე მდულარე დულილიდან ამოყვავილდა.

*მიტხარ, როგორაა შემოღწეითი,
ჩემი სანატრელი საქართველო,
რამე იმნაირი გამაგონე,
გული დაკოდილი გავამთელო.*

*...ლექსმა არ მაკლია, მართალია,
მაგრამ სამშობლოთი ღარიბი ვარ.
ასე, ამნაირად, უსიკოცხლოდ,
მთელმა სიკოცხლემა გაირბინა.*

*მიტხარ, როგორაა შემოღწეითი, —
მცბეთა, ჭობულეთი, კაბაბერი,
იგი ნიადაგ თუ არ ვახსენე,
მაშინ ერთი წუთიც დამამერებს...*

აი, ეს მონაკვეთი უკვე მქონდა ფანქრით ჩაწერილი და იმ ჩაჩებულ-ჩაბუწკულ, აშვერილ-დაშვერილ (ავტობუსშიც ვწერდი) სიტყვათა ბუჭნარებში სიწრაფელუ-სინაღდემ ისე გამარონია, შეგონა, სტრიქონთა ფრთებმა პაერში ამოიეს-შეთიქი. „მემოლქეთი“ ნამეტანი ეახლოვათ ჩვენებურებს. დაღონებულნიც და ისე გახარებულნიც არასოდეს, არც-ერთი დარბაზიდან მე არ წავსულვარ.

ჯერ იქა ვართ, ზენგინ-კორტანიძეებთან... უკვე შევალამე იჩნებოდა. ხასანი, უფროსი ძმა, გუთხოვს გავყვით და დაეულოცოთ მომავალი „თეატრის“ საძირკველი. ეს თეატრი თუ საკონცერტო შენობა იქვე, საცხოვრებელი სახლის გვერდითაა. მას წინასწარ „ქორობი“ დაარქვეს. კორტანიძე-ზენგინები ხომ ქორობის შვილები არიან, და, აქ, სტამბულში, ყველაფერს, რაც გამძლე და სანახაობითია, მშობლიური მდინარის სახელს არქმევენ. ჯიბეებში საბჭოური ხურდა-შურდები მიმოვირანაწკუნებ და თითო-ოროლა გადავუძახებთ ღრამ ხანდაკემში, საძირკველად რომ ამოვთხარათ.

იმ დარბაზის გახსნა-პრეზენტაცია სუბიშვილების ანსამბლით უნდა ხასანს. ექვს თვეში ვამთავრებო. ილიკო სუბიშვილმა იცის და კიდევ ჩამოვაო, — სიხარულით გაბედნიერებული გვიყვება (მართლაც, ანსამბლი სუბიშვილებისა ჩავიდა, მაგრამ ჩეხოსლოვა-

კია-უნგრეთში საბჭოთა სამხედრო შევირის გამო სტამბულელმა სტუდენტმა, სტუდენტმა ხელოვნება“ მის ახალ თეატრთან არ მიუძვეს).

დასასრული

წამოსვლის დღევ გათენდა. სასტუმრო „ქენედის“ კაფეში ჩაის დასალევად შევდივით, აი, ერთადერთი მომენტი, როცა ჩემი მოუშორებელი ლაბადა ჯიბეში ჩატენლი „გორგვლით“, — რამდენიმე წუთით, ნომერში დამრჩა. ჩაის სმისას უცებ გამახსენდა. წამოვიკვირი, ოთახში შევვარდი, მაგრამ (საშინელება!) ჩვენი ბარგი უკვე გაეტანათ. ავტობუსი ეზოშია, აეროპორტში მივყევართ. იახიან, გვაჩქარებენ, ლაბადა? დერეფანში გავვარდი. საკიდარზეა, ვხედავ. მთელი ჩვენი რამერუშვები იჭვეა. დღეულისაგან სულისთქმა მიჭირს. მოვმუტე ლაბადის კალთები თავიდან ბოლომდე. გორგვლი აღარაა. გადარეგას თითქმის აღარა მაკლია რა (თანაც, ჯვრძნობ, ვშიშობ, — აი, აღზათ, საცაა, ვილაცა ხელს წამაგლებს და ბორკლსაც დამადებს-მეთქი). მარა რანდა ქნა. — სად გაიტყვევი, სჯობს, თავისუფლად ვიყო. არაფერი შევიძინო, თორემ, ე, შეხე, პოტელის მეპატრონე, ხომორულეაშა თურქი, მოაჭირზე იდაყვდაყრდნობილი ისეთი იდუმალი, ბინდიანი ექვით შემომტყირის... ამიტომ სჯობია, სწორედ მისკენ გავემართო, სანამ თავად გამოემართება ჩემკენ. სანამ გახსნიან, ნახვენ, გაერკვევიან, სჯობს თავად...

გულადღულებული, თანაც, ვითომ, სამართლიანად უცმაყოფილო იმით, რომ ჯიბიდან „სახსოვრად გადაღებული ფოტოფირი“ გამოჭრა, პირდაპირ მივაღდექი „ბაშბაქანს“ და ჩემი წყალწყალა თურქულით დავიწყე ჩივილი, ვილაცამ სუვენირი ჯიბიდან ამომაცალა-მეთქი.

— ფატიმა, ფატიმა! გადაუძახა დახვებულ კაბელებს იქით ვილაცას, პასუხს აღარ დაველოდე, ნერვიულობით აცუცხლებულ-აკანკალეებულნი, გადავევლე იმ კაბელების ხვეულს და ერთი ბუქულიაში შევიჭერი. აღზათ, დამლაგებლის სამყოფელი იყო. ქალი პატარა დგამზე რაღაცას ფურჩქნიდა. ჩემი გორგვლი ვიცანი. იმწამსვე ვეჭვარე, მოხვეულ-მოკოკილი ძაფები სანახევრად შეეჩონჩვილებია უკვე (აღზათ, შიგ რაღაც ძვირ-



ფასულობა ეგონა). ხელიდან გამოვვლიჯე, მადლობაც მივუგდე და გარეთ გამოვარდი. სანამ თვითმფრინავში აღვიღს დავიკაბებდი, სულ მელანდებოდა, ვიღაც მომდევდა. მოსკოვიდან ბათუმში კვირადღეს ჩავფრინდით. ვთქვი, ახალ კვირაში მწერალთა კავშირს მივადგე და იქ ერთ-ერთ თაკაყს გავუშხილო საქმის ვითარება და მერე ვნახოთ.

ორშაბათს, ბათუმის ბინაში, სამი კაცი მომადგა. რაღაცა ჩამოგიტანიათ სტამბულოდან, უნდა გადმოგვცეთ, ინაური ითხოვსო. გამიკვირდა. — საიდან გაიგეს? ვერ გაგატანთ, მე თვითონ ჩამოგიტან-მეთქი. არაო, დღესვე უნდა წავიდეთო. ავღვქი და თავთ გავეყვი. თვითმფრინავში, ბათუმ-თბილისზე, საყმაო ადგილები ჰქონდათ დაჯავშნული. აეროპორტიდან სამინისტრომდე, როგორც პატიმარი, მანქანის უკანა საჯდომზე, ორმა შუაში მომათავსეს და ასე მიმიყვანეს. ილიაში ამოჩრილი მელაშვილის გამოტანებული „გორგვალაით“, ასე, ჩემი ფეხით, მიმაფაცხადეს იქ, სადაც მიდღემში არც შემიხვდია. წინ შემიშვეს. მორიგე ოფიცერი წამოღდა. „ჩესტი“ გაქიმა და, მიბრძანდი, ამხანაგო ხალვაშ, — მიბრძანა. (ხალვაშ!) ის ორი, ვინაც ბათუმიდან წამომიყვანა, მადლა „ხაზინის“ კარებამდე მიმყენენ. კარამდე მომგება ინაური. დიდ პლიკონა-უთმო თავზე ლამპების სხივები უელავდა. მადლობა გამომიცხადა ასეთი „გმირობისათვის“. დაგვიტოვე, ვნახავთ რაა და ვისაც გინდათ, ჩვენ თვითონ გადავცემთო. ავუსხენი, ეს ძველია, ისტორიაა. არავითარი ახალი ინფორმაცია არაა, ორასზე მეტი წლის წინანდელია. იგი დოქტორ სერგი ჭიჭიას მე უნდა გადავცემ-მეთქი.

და, უცებ, მინისტრი მეუბნება, კარგი ლექსები გაქვთ, ვინ გითარგმნის? ჩემს ლექსებს? — გავიკვირე — მე თვითონ ვწერ, ქართულად-მეთქი. „გორგვალის“ ჭაფრს, სხვა ჭაფრიც მიემატა და...

ბატონმა სერგი ჭიჭიამ, რამდენიმე დღის შემდეგ, ბარათი მომწერა (იგი სადღაც ჩემს პირად ქალაქებში ინახება). მადლობას მწერს და მაცნობებს, რომ ეს ჭერუცნობი, დიდწინაშეწელოვანი მონაცემებია მე-17 საუკუნის საქართველოს შესახებო. შევისწავლი,

დავამუშავებ, ვთარგმნი და გამოვცემო (მასალა არაბული შრიფტით იყო შედგენილი). ასე უნდა ლი საუკუნის ოციან წლებამდე ქვემოთ წავიყვანო არაბულ დამწერლობას იყენებდა).



ახლა რამდენიმე წლით დაწინაურდები და საქართველოში მელაშვილის ერთ ჩამოსვლაზე ძალიან გაუღებარ, გულსატყვის მოგიყვებით. ზაფხულის კვირადღეა. შინ, ბათუმში, მარტო ვარ. ოჯახობა შეილებით სოფელშია. შუადღისას, ბუღვარისკენ გასასიერებლად წავედი. „ინტურისტში“ შევუხვე გაზეთების საყიდლად. კიბესთან მისვლამდე, გვერდით „ვოლგამ“ ჩამიჭრაო და, უცებ, უკანა შუშაში ახმედ მელაშვილი ვიცანი. ოდნავ შეჩერდა მანქანა „ინტურისტთან“, მეც ფეხს მოვუწქარე, მაგრამ, ჩემდა გასაოცრად, მანქანა აღვიღს მოსწყდა და ისევ ქალაქისკენ გასრიალდა. ვუქნიე ხელი, კიდეც ვუძახე, მაგრამ არათფერი. მივადექი მორიგეს, მითხრეს, — კი ოთარ გიგინეიშვილი ნომერშია და თურქეთიდან სტუმარია ჰყავსო. ტელეფონით დაველაპარაკე ოთარს (არ მოელოდა). საშინლად გაიკვირვა ჩემი ხმა. ბოლოს, ამოდი ჩემთანო. ავედი. არც გეგმავდა თურმე ჩემს ნახვას. ესე იგი, არავითარ შემთხვევაში არ სურდათ ჩემი და მელაშვილის შეხვედრა (ეს უცნაური სისულელე რას ნიშნავდა, ახლაც ვერ გამოიკვევია).

გამოდის რომ, ჩემი თავი კაცებმ ახმედ მელაშვილს დაუშალა ისე, რომ მე ამის შესახებ არც კი გამაფრთხილეს? თუმცა, რომ გავეფრთხილებინე, რაღა დამალვა გამოვიდოდა. ეტყობა — ისიც იციან, რომ ბურსაში, მე და ახმედ მელაშვილი, ერთად, მარტონი, დიდხანს რაღაცაზე ვსაუბრობდით და ისიც უშალვე გაიგეს, — რაღაც „გორგვალაი“ რომ გამომატანა, ავედი ოთართან. მეუბნება, — ახლა ქალაქიდან თანამშრომელმა დამირეკა, ფრიდონი დავინახე „ინტურისტთან“ და ამიტომ აღარ შემოვიყვანე სტუმარიო.

— დაჯექი. ახლა დაბრუნდებიან. უნდა მოკლედ გითხრა, — საქმისთვის საჭირო იყო, რომ ამჭერად შენ მელაშვილს არ უნდა შეხვედროდი. ჩვენ ახმედს ავუსხენით, რომ მოსკოვში ხარ. ამიტომ, გთხოვ, შენც ასე





თქვა. დღეს დაბრუნდი მოსკოვიდან... ასე სჭირდება საქმეს...

რომელ საქმეს უჭირდება ნეტავი ასე? ვინაა ის „საქმე“ და რა საქმე უნდა გააკეთოს ასეთმა „საქმეში“? და არის თუ არა ის „საქმე“ ჩემი ზიარიც?

ამასობაში ახმედი შემოიყვანეს. იგი მოვარდა და გულშეწუხებული გადამეხვია. როდის ჩამოდიო, მკითხა და ეშმაკურ-მალული თვალკჭრიალები ფანჯრით გარეთ გატყორცნა. ჩემთვის სახის ჩვენებას მოეროდა. ალბათ, პირზე ნამეტანი აშკარად ეწერა საქართველოს უსუსურობაზე წუხილი. მერე, მის ნომერში შევედით და დიდხანს ვისაუბრეთ.

თითქმის ატირებული მელანქოლიადა. რა სამწუხარო საქართველოა დღესო. ვის ზელშია საქართველოო. შენი თავი დამიმალეს. თბილისში მითხრეს, ხალვაში არაა ბათუმშიო. მე სხვას არავის დაველაპარაკე, გავაცხადე, შემახვედრეთ ფრიდონს-მეთქი.

ბოლოს ასე თქვა: აქედან მოსკოვით პირდაპირ პარიზში ვაპირებ, იქ ქართველებს უკეთესად ვნახავო. გულდაკოდლილი, ნაწყენი, ჭავრიანი მესაუბრებოდა, სერგი ჭიქია მართლა დიდი თურქოლოგია? — მკითხა შუა საუბრისას. სხვათა შორის, სერგის წერილს დიდხანს ვიბრუნებდი. მოვიძებნე, ვიპოვე, ვაჩვენე. ოი, ნენი! — როგორი შინაგანი ბედნიერებით ჩაიკითხა ის წერილი. უცებ სულ გამოიკვალა. — არ დამტყვენ, თვარა ერთორ დღეს ვიქნებოდი აქაო (ახლა ვფიქრობ: ხომ არ ეჭვობდა, რომ „გორგვალი“ არც ჭიქიაზე არ გადაცემულა?) ახმედი იმავე დღეს თბილისისკენ წაიყვანეს, საიდანაც მეორე

დღით მოსკოვს გაემგზავრა. ის ჩვენი უკანასკნელი შეხვედრა გამოდგა.

1980 წელს ერთ იალუნში, თურქეთში, საციონალისტებმა, ბურსაში, თავის ბინაში, ახმედ მელანქოლის ტყვია ესროლეს, ეს ტრაგიკული ამბავი ვილაცამ დღეებში შემატყობინა. მთელი თურქეთელი ქართველობა გლოვობდა. ისინი უმელანქოლიად თითქოს დაობლდნენ.

ვგლოვობდი მეც. არა, კი არ ვგლოვობდი, ყველა მის საუბარს სულ სიტყვა-სიტყვად, ვიგონებდი, გულში ვიკრავდი. მართლაც, რა უცნაურობაა. ახლობელი კაცი რომ კვდება, მასთან დაკავშირებული უამრავი რამ, კაკალ-კაკალ, უფრო მკაფიოდ ილვობებს, მეორდება.

— შენი სულის ჭირიმე, ჩემო დილო ჩვენებურო, ახმედ! — ვიძახი გულში. მარა ვილას გააგონებ, ის აღარაა. ლეჟსად მომივიდა სათქმელი, რათა მისთვის გამეშვილა ის, რაც ახმედთან ველარ მოვასწარი:

*მოკლეს ბურსაში, მელანქოლი, ახმედი...
 რა დროს
 მომიკლეს მშა და მომაკვეთეს მარჯვენა,
 ხალხო!
 მოკლეს, ძლივს ვიდექ ფეხზე, ცრემლით
 პირდაბანლი.
 ბევრმა ტყვიელმა გამიარა. ეს კი
 გამივლის?
 შენ არ იცნობდი. ის სტვა იყო. არ
 გაელა ყველას, —
 სადაც აკრძალეს საქართველო, იქ
 იჭრათველა...*



შოკენა მახაჩაძე

„ტაო-კლარჯეთის ბოკვერი ვარ...“

ფიქრები ზურაბ ბორბილაძის პოეზიაზე

„პოეზია მადლია, ნიჭია, ხოლო პოეტი ამ მადლით ცხებული კაციო“ – ბრძანებდა დიდი ილია. ეს მადლი, ეს ნიჭი უხვად დააბერტყა განგებამ ზურაბ გორგილაძეს, რომლის უმშვენიერესი პოეზიაცა და ცხოვრებაც სამშობლოს უანგარო სიყვარულის, გულწრფელობის, ნაღდი გრძობებისა და კაცურკაცობის ზეიმი იყო. მას არც ნიჭი უკვირდა ვისიმე და არც – უნიჭობა, არც ცუდი ლექსი და არც – შედეგრი, რადგან შესანიშნავად იცოდა, რომ მის სამშობლოში მთავარია:

„კაი ყმის ქუდი გებუროს,
კაი ყმის მოგცეს ძლა,
საქართველოში ლექსებით
ვის გააკვირვებ, ძმა!“

არც უცდია ვისიმე გაკვირვება. არც ყოველწლიურად იუბილეების მოწყობით, თუ საკუთარი ლექსების რეკლამირებით ყოფილა დაკავებული, არც ყალბი დიდება უტებნია და არც ძლიერთა ამა ქვეყნისათა ლიქნითა და ფერებით შეუბღალავს სახელი, არც კარიერისთვის წასულა საკუთარ სინდისთან დათმობაზე, რადგან იცოდა, რომ „ვრაგობა და ლიქნობა“ საკადრისი საქციელი არ იყო.

სამაგიეროდ, იგი უშურველად აფრქვედა თავის ირგვლივ ღიმილსა და სითბოს,

სიყვარულსა და სიკეთეს, გონებამახვილობის ფეიერვერკებს, უხვად ჩუქნიდა ყველას თავის გულს, მას ხომ სწამდა, რომ ამქვეყნად მხოლოდ მისი „გაჩუქებული გული“ დარჩებოდა.

ეს დიდი და მშურვალე, ყოვლისდამტევი გული პოეტის ლექსებში გადანაწილდა და ახლა ისინი გვათბობენ და გვაშენებენ, გვიადგილებენ საველ გზას და გვასწავლიან, რომ:

„სიძულვილის, თუნდაც, ზერზეტი,
სიყვარული სჯობს“.

ეწერებოდა და წერდა... არ ეტეოდა გულში სიყვარული და გრძობები უღამაზეს სტრიქონებად იღვრებოდა, აღარ აძლევდა საშველს საკუთარი ქვეყნისა და ხალხის ტყვილი და ისევ ლექსს შეათარებდა ხოლმე თავს, მას ანდობდა უღრმეს სევდასა და ნალღელს... ასე იქმნებოდა „ნენემ ღიმილიშა ქალი“ და „მეთევზე ბიჭის ბაღადა“, „პოიდა ნანა“ და „უმღერებელი მუხამბაზი“, „სულხან-საბა“ და „მინაწერი ფილმზე „ტაო-კლარჯეთი“...

„პოიდა ნანა“ XX საუკუნის ქართული პატრიოტული ლირიკის შედეგია. მასში დიდებულად ჩანს აპარელი კაცი თავისი უაღრესად კოლორიტული ზასიათით და სრულიად საქართველოს ერთგული შვილი, ვისთვისაც სამშობლო უპირველეს სიწმინდედ და საფიცრად ქვეულა.



„პოიდა ნანაში“ აქარული სიმღერების, იგავმიუწვედენელი მშვენიების „განდაგანასა“ და „ხორუმის“ მოტივებიც ისმის და „მრავალ-ჟამიერის“ ეჭოც გუგუნებს. ლექსის მკითხველისთვის საცნაური ხდება, რომ სამშობლოს განცდა სრულიად განსაკუთრებულია იმ კაცისათვის, ვის მამულშიც სამასი წელი გადამთელი ბოგინობდა, მისთვის მიწის ყველა გოჭი ბრძოლით შენარჩუნებულია, წინაპრების სისხლით გაპოხიერებულია, სალოცავია... ის, რაც სხვისთვის მხოლოდ „თვალსერი“ – მზერის დამატებობელია, მისთვის ტყვიელი და ჭავრია:

„პოიდა ნანა, ოპოი ნანა,
 ხულო, შუახე, ჭედიდანა,
 დედო დვინით დამემღერა,
 დიდგოროზი მთები თანა,
 მთები! – ვისთვის თვალსერი,
 ვისთვის ჭავრი შეგნიდანა,
 თეთრ პერანგებს ბრამში ყრიდნენ,
 შავს იცვამდნენ თანდათანა,
 ელდის კატარში მზე ყვალა,
 ელდის მორჭალზე მენჩქეი ყანა,
 გვანცას ლოცვებს ვაზის სულა,
 გორით-გორზე გადევანა,
 ვარჯანისთან, ნაჯვარისთან,
 დაჯვარული ჭებები წვანან,
 ჭებში ჩუმად დაჭეთიინებს,
 ჩემი დიდი ნენეის ნანა,
 დერდებს გულში ვიბეჭსნიდი,
 აქარელი ვიყავ განა!“

მკითხველის თვალწინ იშლება აქარის ბედუჯულმართი, სისხლიანი წარსულის ფურცლები. ლექსის კითხვისას ფიზიკურად შევიგრძნობთ, თუ როგორ უსაპნავენდნენ სხალთაში სხალთიხატებს ყულში კანაფს და ჩამოხრჩობილი ხატების მეტაფორა სიზმარეულ კომპარად აგვედვენება; ჩვენ ჰხედავთ, როგორ ანადგურებდნენ ქართულ სალოცავებს და მათ ადგილას ჭამებებს დგამდნენ, როგორ იკავებდა ვარდების ადგილს

ეკალ-ბარდები, როგორ ემსგავსებოდა კოხტა სოფლები „ზეაეის ნაძოვს“, *საქციმენაჟაჟი* ია, ჩვენ ვგრძნობთ, როგორ ცდილობდა დეშმანი, აქარელის სულში ცეცხლითა და მახვლით ამოეშანთა ყოველგვარი ქართული...

მკითხველი დაძაბული მიძვება სტრიქონთა მღელვარე რიტმს, შინაგანად ემზადება კიდევ უფრო მძიმე სურათის აღსაქმელად და ამ დროს, სრულიად მოულოდნელად ლექსში იჭრება მზიარული, საღალაბო ინტონაცია, გვესმის ლირიკული გმირის თვითირანიული, ტკბილ-შწარე ჩაცინება. ეს იმდენად გამაოგნებელ შთაბეჭდილებას ახდენს მკითხველზე, რომ მომდევნო სტროფით გამოწვეული ეფექტი ორმაგდება. ამ მატერული ხერხის მოშველიებით პოეტი რამდენიმე მიზანს აღწევს: ჭერ ერთი, მკითხველს სულის მოთქმის საშუალებას აძლევს, აძლიერებს შემდეგი სტროფის ექსპრესიულ ძალას, ცვლის ლექსის დინამიკასა და რიტმს, იგი ცვალებადი ტემპით იკითხება და საზეიმოდ ქდერს, ამალღებულია მისი პათოსი, ამასთან, მრავალი ასპექტით გვიხატავს აქარელი კაცის ფსიქოლოგიურ პორტრეტს:

„ბინოს თავში თაველი ვბილე,
 ჩოლოვის პირს ემარგლე ყანა,
 ჩოლოვს გაღმა გოგო იღვა,
 გულგუნდა და თვალმარყვალა,
 ღმერთმა რაფერ გადმომხედა,
 ღმერთმა რაფერ გამაბარა,
 – გოვ! კისერში ჩეგეფუნსზე, –
 ჩემებურა კვადრე მარა,
 გოგო რაცემ დააფეთა,
 გოგო ვინცემ გადამაღა,
 თაჩი ტარზე დაყუღებულს,
 ცამ სიცილი დამაყარა,
 შიგნი-შიგნი ჩევიფუღე,
 აქარელი ვიყავ განა!“

ამალღებულ-ტრაგიკული და საღალაბო-იუმორისტული განწყობილებების ეს ოსტა-



ტური მონაცვლეობა ემოციათა მრავალფეროვან გამას ქმნის, სტრიქონებს მეტ სიღბოსა და შინაგან სითბოს, მოჭნილობასა და გამომხატვლობას ჰმატებს:

*„სიზმარ-სიზმარ მიბრუნდება
შატბერდი და შორი ბანა,
იქ სანთლები ჩემისისხო,
ჩერეთ კიდევ არ ჩამქრალან,
მეყო ეამმა ეანგნაფლეთმა,
რაც დამძღლა და რაც დამგმანა!“*

თითოეული ფრაზა ზუსტია და მიზანმიმართული, გრძობა მართალია და დამაჩერებელი, ამასთან – საოცრად გადამღებო, ამიტომაც შეარხევს იგი ძალუმაღ ქართველი კაცის სულის სიმებს, ტკივილსაც აგრძობინებს და სიხარულსაც, სევდასაც და სიამაყესაც. ლექსის კითხვისას ვგრძობთ, თუ როგორი ტაქტით, ფაქიზად, მოყრძალებით ეხება ზურაბ გორგილაძე აქარელისათვის უმთავრეს საფიცარს – საქართველოს – სამშობლოს, მის ეროვნულ გრძობებს:

*„საქართველოვ, ჩემო დედავ,
ჩემი სუნთქვა გენაცვალა,
ჩემი ყველა მწუხარება,
მწუხარებაც გენაცვალა,
შენი სიტყვის სიცოცხლისთვის
ხიბაძირში კიდევ ვღვავარ,
შენი ჭერის სიმაღლისთვის,
მარადიდში ვრანდავ ყავარს,
შენი რჭულის საჯილდაოდ,
სხალთას ვრეკავ ზარებს მთავარს,
ერთ ძირ ვინაბს სულ გირგავდი,
კვლავ დავირგავ დღეს და
ბეალაც!
იდიდგულე, რომ ამფერი
აქარელი გყავდა განა!“*

ეს მოტივი კიდევ უფრო ძლიერდება ლექსში „უმღერებელი მუხამბაზი“. სულის

სიღრმემდე შეგვძრავს პოეტის შემოქმედებით ამოხეთქილი სტრიქონები:

*„ტაო-კლარჯეთის ბოკვერი ვარ ბლუზი
მეწვებით,
საქართველოში ქართველობას არ
ვიტყუებდი...“*

აქარული დიალექტიდან მოხმობილი ეპითეტი „ბლუზი“ დიდებულად ხსნის ლექსის ლირიკული გმირის ფსიქოლოგიას, თვალწინ წარმოგვიდგება სიბრაზისაგან აჯაგრული, ბეწვბაზლილი ლომის ბოკვერი, რომელსაც არ აქვს მოღუნების, დამწიდების უფლება.

ზურაბ გორგილაძის ლექსებში განსაკუთრებული სიმძაფრით იგრძობა უცხოეთში მცხოვრები ქართველების ნოსტალგია. მათი იარა მუდამ დიაა. დიდებულადაა ნაგრძობი და გადმოცემული საკუთარ ფესვებს ძალად მოგლუჯილი ადამიანების ტკივილი და სევდა, პოეტი მათთან სისხლისმიერ ნათესაობას გრძობს და ამიტომაც ასე მძაფრი და გულწრფელია მისი ემოცია.

ლექსში „მინაწერი ფილმზე „ტაო-კლარჯეთი“ გვესმის გაფრთხილება იმ „ვაი-პატრიოტთა“ მიმართ, რომლებიც სხვადასხვა კუთხისა და ტომის ქართველების ურთიერთდაპირისპირებულობას უწყობენ ხელს:

*„შინით რას მერჩი, ქართველო,
გარეთ გვყავს ვადასარჩენი!“*

„ვადასარჩენი“, „გადასარჩენი“ – ზარიეთი რეკავს ეს სიტყვა და მოგვიწოდებს ქართველთ: – გაუფრთხილდეთ ერთმანეთს, მოვეფეროთ თანამემამულეებს. ვაგრძობინოთ, როგორ გვჭირდება ერთობა და თანადგომა, სითბო და სიყვარული...

თანამემამულეთა სიყვარული კი განსაკუთრებული იცის აქარის მკვიდრმა, ეს შესანიშნავად ჩანს ზურაბ გორგილაძის ლექსში „სულხან-საბა“. პოეტი უაღრესი მოყრძალებით, თავყანისციემით ხატავს სამშობლოს შეწირული დიდი ქართველის, ერის მამის – სულხან-საბას პორტრეტს:



„არც არავს ჰგავს და არც ზღაპარს...
დამიდგება თვალწინ მკაცრი,
ჭრისტესავით ნაგვეში და ნაწამებში
ჭართველკაცი.“

ლონინი,
ლევდიანი,
კვეთიანი სიტყვის ღმერთი,
სამრგელო თუ ბალაგარი,
ოშკისა და ალავერდის.
მოგიზგიზე ბუხარით მომაცხუნებს
მისი წვერი,
მისი კალმის ფრთა დიდი გუთნეულში
გუგულს მიაჭებს,
მესმის მისი სუნთქვა ცხელი
თუ ზარების გუგუნია.“

მკითხველის თვალწინ საოცარი სიცხადით წარმოსდგება სულხან-შაბა — მშობელი ქვეყნის ნამდვილი „მოზარე“, რომელიც საქართველოს ბედუკუდღმართობამ, ქართლ-კახეთის სამეფოში ატეხილმა ქარიშხალმა ხან სად გადაისროლა, ხან კიდევ — სად; უფრო მეტი, ქართული მიწის მოტრფივალეს განსასვენებელიც უცხოეთში მიუწინა. უალრესად ზუსტი და ტყვადია პოეტის მიერ საბას მიმართ შერჩეული ეპითეტები. იხატება მკაცრი, თეთრწვერა მოხუცი, ვისი ცხელი სუნთქვა საუკუნეთა მიღმიდან ზარის გუგუნად, მძლავრ ექოდ მოდის შთამომავლობამდე, ვინც ქართველთათვის არასოდეს ყოფილა მარტოოდენ კარგი მწერალი, ვინც ხალხში გადავიდა „ზღაპრებად და ლეგენდებად“...

„დათოვლილი, დამეხილი, დასეტყვილი“ — ამ სამ სიტყვაშია ჩატყული სულხან-შაბას მთელი ცხოვრება, მეტიც, მისი თანამედროვე საქართველოს ტრაგედია, რომლის ყველაზე უფრო სისხლიანი აქტები ჩვენს კუთხეში გათამაშდა და ზურაბ გორგილაძეც ჩვეული ოსტატობით ხატავს „სისხლის ბუღში“ გახვეულ აჭარას, სადაც ყვაილთა ნელ-სურნელების ნაცვლად ღენთის სუნი ტრიალებდა, სადაც „სამ თვეს მაჭახლისწყალი

ზღვისკენ წითლად დიოდა“... ცხელი და დიდი ეპიპოეზის ეპოქა, როცა სულსა და გულს — ენასა და სარწმუნოებას — უტევდა, აჭარლები კი „საქართველოს უსაყვარლესს — ციხეებად ვედექით“, პირველი ვუშვერდით მკერდს ქვეყნისთვის მოღერებულ მახვილს, რათა „მტრის ხელებს საქართველოს სულში არ შეეღწია“... ასე იხატება სულისშემძვრელი სურათი:

„მე საავდრო ღრუბელივით დატუნძლიო
ვიყვ მაშინ
და მიზგითი მიძნელებდა ბატის ლიმილს,
ჭოხის ლამპარს.“

ზურაბ გორგილაძე კონტრასტის ხერხის ოსტატური მომარჯვებით ქმნის ძველი და ახალი აჭარის ფერწერულ სურათებს, მძაფრად გვაგრძობინებს შავნელი წარსულის კოშმარს და დედა-სამშობლოსთან დაბრუნებული კუთხის ზეიმს: აჭარაში ისევ იხარა ვაზმა, ისევ აყვავდა ვარდი, ისევ დაიფრქვა ლიმილი და აჭარელმა კაცმაც გულდიდად, ამაყად, თავმოშწონედ გაიარა საკუთარ მიწაზე; მან ბრძოლით მოიპოვა უფლება თავის სულიერ მოძღვართან ასე შეთამამების, ასეთი თანასწორი დიალოგის გამართვისა, ეს სულთა გადაძახილი იყო, წინაპართან უწყვეტი კავშირის დასტური: „საბა-სულხანის ბებერი ტაო ზომ დღესაც წამლად ატყვია გონიოს კედლებს“.

ზურაბ გორგილაძის პოეზიის ანი და ჰოე, მისი პანგების სათავე სრულიად საქართველოა, მისი წარსული, აწმყო და მომავალი — ესაა პოეტის მოწიწების, თავიანთციემის, რუდუნების საგანი, თუმცა საქართველოს მოფრებასთან, მის დაუშრეტელ საგლობელთან ერთად იქვე გაისმის გამაფრთხილებელი ხმაცა და მოწოდებაც პოეტისა „კუთხური მიძოლობის“ (ჩვენი ქვეყნის ყველაზე დიდი „ჭირთა-ჭირის!“) წინააღმდეგ:



„რომ კუთხური მიმოლობვის ლეღებს
გადაგარჩინო,
შენ იესე ხარ, შენ აესე, შენ ყველგან
ხარ საქირო...
რომ მთლიანი, ერთიანი სიყვარული
ვაშენოთ,
მაშ, ვიართო ზორუმით საქართველოს
გარშეშო!“

(„როგორც ზარზმა და ხახანი...“)

პოეტი, სრულიად სამართლიანად, ფიქრობს, რომ ყველა ეპოქაში „კართეშობა ღუპავდა ერს, ბერს და საქართველოს!“. ის კვლავ და კვლავ შეახსენებს „ყველა თახსირსა და უცხვირპიროს“. ვინც „თავად ასგზის მეტად ცოდვილი, მოშმის განკითხვის ცდაშია მუდამ“, რომელნიც

„მოუძღვებთან აენი აყვიად,
ათასი ჭურის მკერებელს და უბირს,
ვითომ ჩემს ხიბანს კაცო აკლია,
ვითომ გონიოს აკლია შუბლი!“

(„რა დროის იყო ეს საყვედური?“)

პოეტი ისევ და ისევ ახსენებს გაუყუღმართებულ აზროვნების მჭონეთ, „შადიმანისა და დავარის ნაშეერთ“, რომ „ტებლობა და სელოშობა იყო აჭარელის ქართველობის საწინდარი პირველი“ და სთხოვს, არ დაივიწყონ, რომ აჭარამ პირველმა მისცა საქართველოს „ღვთაებრივი ქრისტეს ჭვარი“.

ზურაბ გორგილაძის სამყაროს ქმნიან მშობლიური სოფლები, „სხალთის ტაძარი – მთებზე გაკრული ქრისტე“, „მარადილი! მარადილი! დაგლევილი, მარა ... დიდი“, ვლმინდერები, მთები, რაკრაკა ნაკადულები, მქუხარე ჩანჩქერები... ისინი პოეტის არსების განუყოფელი ნაწილია, ამიტომაც ასდის მუდამ მის ლექსს „საქართველოს სურნელი“, ამიტომაც ასე ამაყად აცხადებს:

„მხარია, საქართველოს საქართველო
ყველგან ქვეია.“

დიდი საქართველოს სიყვარული კი ეძღვან იწყება, სადაც პირველად უყვარულად „აიღგი ფეხი, ამოიღგი ენა და საიდანაც იწყება შენი მახსოვრობა“ (აკაკი), იმ ლელულურდანიდან იწყება, სადაც გაატარე ყრმობის უბედნიერესი წლები, საიდანაც უფრო ლამაზად მოსჩანს სრულიად საქართველო:

„ტენშენო და ჭვანას ქალავ, ვერნებო
და მოძურო,

რაც რომ ქვეყნად თავი მახსოვს,
ჩემს ძარღვებში მოგ ზაურობთ,
რაც რომ ქვეყნად თავი მახსოვს,
თქვენს მაგებთან მიცხოვრია,
აქ იწყება ჩემი ჭვარის და
ჭვარის ისტორია.“

(„როგორ შურდა“)

ბავშვობის შთაბეჭდილებანი ყველაზე მკვეთრია და განუმეორებელი, ფერადოვანი და ხასხასა, დაუფიწყარი და ხალასი, ალბათ, ამიტომაც ასე ხშირად იკვირებდა ზურაბ გორგილაძის ლექსებიდან მისი ბალობა და ისე ცოცხლად, ხელშესახებად იხატება მშობლიური სანახები, რომ ჩვენ ვხედავთ სოფლის ორლობეში ფეხშიშველა მოტანტალე ბავშვებს, ბაფთიან გოგონას, ასკინკლით რომ მიიჭარის სკოლისაყენ, ვწნოსავთ პანტაპიტნის ყვავილებს, უკან მოგვსდევს კულჭონჭალა ძაღლი:

„ბალა!.. ეს ჩემი ბატიმამული,
ლოდზე ჭვარი და მზე,
გ ზებზე ატმების აბღრიალება,
კვირტში ჩიტების რატ,
ვენახის ბური და მზურვალემა
გადამურდული მთეძს,
ჩემი წინაპრის ცხელი თვალებით
გამგელებული მღვებს.“

(„ხატიმამული“)

მიგნებული, ღრმიაზროვანი კომპოზიტია „ხატიმამული“ – ამ უმშვენიერესი, გულწრფელი, უშუალო ლექსის სათაური. მასში



იგრძობა სამყაროს პირველყოფილი აღქმის უმანკოება, გამჭვირვალეობა, სიფაქიზე, ხოლო თითქოს სულ უმნიშვნელო ყოფითი დეტალების საშუალებით მიიღწევა გასაოცარი ინტიმურობა.

პოეტი სევდაშეპარული ინტონაციით იხსენებს ბავშვობის უდარდელ დღეებს, სკოლის წლებს, როცა „კახიჭების მქაბე ვაშლები ასე კვეთავდნენ კბილს“:

„*იქ საფორჩხელას ჩონჩხლო ჩაგებში
ბვართული ბვართულუმს სულ,
გულს გადავარდნილს სიყრმის ბანგებში
შენთან მორბენა სურს...
მავრამ შორია... ო, რა შორია
ის გულიცა და დღეც,
მინც, შენს იქით არ მიცხოვრია,
ჩემო სურნალას ტყე.*“

პოეტის გულშიამწევდომი მოგონებები თითქოს ცრემლების მსუბუქე გამჭვირვალე ბლონდშია გაბვეული, იგი სათუთად ეალერსება დაუვიწყარ დღეებს, მკითხველი მის მოუშუშებელ იარასაც ეხება:

„*ვიხსენებ ცრემლით და გაბავშვებით
ტბილს, მწარესა და ტბილს.
ოჰ, თქვენთან დარჩა ჩემი ბავშვობა
სულ პირტიტველი ყრმის
და, საშუდამოდ გადადებული
ბოლო გამოცდა მის.*“

მოშიბლაგი ალიტერაციებით, ათ და ექვს-მარცვლიანი სტრიქონების რიტმული რხევით პოეტი ერთდროულად პლასტიკური მოქნილობისა და საგნობრივი სისავსის შეგრძნებას, მშვენიერ მელოდიას ბადებს, დეტალებით მდიდარ და დინამიურ პეიზაჟებს ხატავს.

უთქვამთ, პოეზია ამეტყველებული ფერწერაა – ეს სიტყვები ზუსტად შეესაბამება ზურაბ გორგილაძის ლექსს:

„*ებზე გადაკიდული ბორბოშულა
ხურჩინი,*

ყურმოჭარგულ ლეჩაქში გაყრუოტფულნი
ბინჯულნი მსენქა

*ნენე, ჩემი სოფელი... სამკედლოსთან
ცხენი!*

*კორდზე კლერტას კვირტები,
დაბუთილი ქუსლები,*

*კოჭზე სველი ბაწარი და წვივებზე
წინელა!*

*ნენე, ჩემი სოფელი... ყველი ერთი
წველა!*“

ამ სტრიქონების წაკითხვის შემდეგ შეუძლებელია დაგავიწყდეს პოეტის მშვენიერი ხილვები, მის მიერ უეცარ შუქში დანახული საგნები და სიტუაციები, ასე მიგნებული ყოფითი დეტალებით გაცოცხლებული აჭარული სოფელი:

„*ნალიასთან ფიჩხები, ირგვლივ ფქვილის
სურნელი,
გობზე ცომის ტყაპუნი და მდლთარის
თქეში,
ნენე, ჩემი სოფელი... ნაკრიკვრით
ხელში!
საფორჩხელას ღელეში ჩაცვენილან
ქინტები!
მღვრიე ღურღუმელებში გაჩხერილა
ლოჯო,
ნენე, ჩემი სოფელი... თორთქაშულა
გოგო!*“

ყველაფერი ეს პოეტის სულში ბრიალებს, იწვის, არასოდეს ამოიშლება მისი მახსოვრობიდან, გრძობებიდან, მავრამ ზურაბ გორგილაძისთვის ასე ძვირფასი და მოსაფერებელი, სათაყვანო და საფიციარი მხოლოდ აჭარა არაა, ასევე ეალერსება იგი მესხეთსა და სამცხეს, კახეთსა და გურიას, იმერეთსა და სამეგრელოს, მისთვის საქართველოს ყველა კუთხე ძვირფასია, მშობლიურია; ერთნაირად საყვარელია „ქოროხი – რგულით მქუტხარი“ და ენგური, რომელსაც „სამეგრელოს სევდა მთვარესავით მიაქვს“, აჭარული „გან-



დაგანას" ჰანგები და მეგრული „ნანა“ თუ „ოდოია“, ასე გულშიჩამწვდომად რომ მღერის „ტალხოშორი მეგრი“ თუ ცისფერთვალა ცირა, ამ სიმღერებისგან კი,

„როგორც წითელბატონები და მირონის წვეთა –
ტანზე აყრის საქართველოს ეს უკვდავი სვედა“

(„კობეა კობე“)

პოეტი უმღერის ჩონგურს – სამეგრელოს „სევედის თეთრ ქალწულს – სიცხიანს, ტანწერწერას, ცისფერთვალას – მის კალთაში მიბნედილსა და მოქურღლულს“, ესიზმრება ოჩოკოჩებში, ნოქალაქევის ქათქათა მთვარე, ცისფერი მათშალიები თუ ტყაშმაფას სასძლო...

მართალია, ზურაბ გორგილაძის ფიქრი და ოცნება ყოველ წამს სამშობლოს დასტრიალებს, მაგრამ ის გულაჩუყებული მიამიტი პატრიოტი ნამდვილად არაა, მხოლოდ ფორთოხლის ზევი, ქართული ღვინო და სუფრა, ხვესურული ხანჯალი რომ ჰყოფნის საამაყოდ, ის ფხიზელი მამულიშვილია, ვინც კარგად ზედას ქვეყნის სატყეარსა და წყალულებს, ოცნებობს უფრო მშვენიერ, უფრო თავისუფალ, უფრო ღირსეულ საქართველოზე:

„ვერ ვივარგე საქაშნიკელ,
ეს საფეკვიც არ ღირს მინდად,
რა ვნა, ჩემი საქართველო
უფრო სხვანაირი მინდა!
მესიზმრება, რომ მარანში
ტაო-ელარჯულ მტენებს ვზიდავ,
რა ვნა, ჩემი საქართველო
უფრო, უფრო ჩემი მინდა!“
(„მინც, მინც“)

მისი ლექსი ემოციათა და შთაბეჭდილებათა რთულ კომპლექსს მოიცავს, პოეტის სულიერი ცხოვრების მრავალ სფეროს წვდება. ზურაბ გორგილაძის სატრფიალო პოეზია განსაკუთრებული ენებიანობით, ენითა და

ტემპერამენტით გამოირჩევა. პოეტმა ამ ძველ და მარად ახალ თემას მისეულთა კონსერვირების, ეში და ხიბლი შესძინა, ახალი ხმა და მელოდია შეურჩია.

გავისენოთ, აწ უკვე სასიძლოდ ქცეული, ღამის გახალხურებული უღამაზესი ლექსი „ნენემ დიმიწინა ქალი“:

ვერ კიდევ სრულიად ყმაწვილი ბიჭის გულში პირველი სიყვარული გაკვირტულა. საოცრად ზალასი, სუფთა და გულწრფელია ეს გრძობა. გულთამხილავი ნენეც მიუხედა შვილს და ღირსეული ქალწული დაუწინდა, მაგრამ ვაჟი ვერ ფარავს მოუთმენლობას, ქარწილამდე დარჩენილი დღეები საუკუნეებად ეჩვენება და გულუბრყვილოდ შესჩივის დედას:

„გულბაღანი მერუყება,
ვერ ჩამატრობს დღვანის წყალიც,
ქარწილამდე თუ გავთავდი,
ნენი!.. რალთ მინდა ქალი!“

„ნენემ დიმიწინა ქალი“ მართლაც გამორჩეული, ლალი, სიცოცხლის დამამკვიდრებელი იუმორით ფრთაშესხმული, ღიმილიანი, აჭარელი ნენეს თვალების შუქით გასხივის ნებული ლექსია, რომელშიც გაზაფხული, სიცოცხლე, სიყვარული ზეიმობს. პოეტმა შეძლო ერთი ფრაზით დაეხატა ოჯახის დედაბოძი, მოსწრებული ვაჟით ამაყი და მასზე მზრუნველი დედა:

„ნენე ერთი შეფაშფაშლა,
მზეებით გვივსო თვალი.“

ლექსის ლალი განწყობილება ჩვენც გადმოგვედება და ვუერთდებით ნენეს სიხარულს, ჩვენც გველამუნება და გვათბობს მისი მზეჩამდგარი, მოალერსე თვალები, უსაზღვრო მადლიერების გრძობით გვეცემა გული და გვეჭრა, რომ სანამ ასეთი დედები არსებობენ, საქართველოში სიცოცხლის დღესასწაული კვლავაც გაგრძელდება, კვლავაც გაუმრავლდება ქართველ ერს პატიოსანი, ალალი,



სიყვარულის ღვთიური მადლით დაჭიდლოებული ქაბუჯები.

ზურაბ გორგილაძის სატრფიალო პოეზიის ლირიკული გმირი ავტორთან ერთად იზრდება. როგორც ვნახეთ, ის ჭერ ახლადშედგენილი ქაბუჯია, ვისაც პირველად აუქროლა გული სიყვარულმა, პირველად შეიცნო ქალი და აღმოაჩინა ეს გასაოცარი, მომაჭადოებელი არსება ღვთის ქმნილებათა შორის.

შემდეგ ჩვენ ვხედავთ ქალით არანაკლებ აღფრთოვანებულ შეუახნის მამაკაცს, არანაკლებ შეყვარებულს, რომელსაც ბევრი განუცდია, მრავალი სიბარული და იმედგაცრუებაც ჰქონია, ცოტა სევდაც შეპარვია, რადგან „ძველ ბურჯალებს ვეღარ დაპყრის კვესაბედი.“

თუმცა, საბედნიეროდ, ეს მინორულ-სევდიანი განწყობა დიდხანს არ გაპყვება პოეტს და აღიარებს, რომ:

„შემოდგომას სტანაირი აყვავება
სკოღნია,
სტანაირად ზეობს იგი, სტვა მანგით
და ტუმობითა,
და მეც!.. შემოდგომისფერი აყვავება
მომინდა.“

პოეტი ფიქრობს, შემოდგომის ასაკი მეტად აფასებს „მოკამყამე ღვინისფერი“ თუ „დალახვრული ციხისფერი“ სიყვარულის მშვენიერებასა და ხიბლსო. ამ დროს სულში რაღაც უცხო შუჭი იღვრება.

შემოდგომას ზამთარი და „სიბერის ლექსი“ მოსდევს. ლექსი ისევ იძენს ლალ, თვითთრონიულ ინტონაციას, იუმორის გრძობა არც აქ ლალატობს პოეტს, იგი თითქმის დასცინის მოახლოებულ სიბერეს, წლებს, რომელსაც მოუბრუნებლად მიაჭვთ მისი ახალგაზრდობა, როცა „რაც შეეძლო იჩხუბა და იანგლა და ითამადა“, უღობიერ დროს, რომელმაც მისი „განყი და სიგიჟე“

უბეში ჩაიხალა, რომელიც პოეტს სულ უმეზხში და შარიშურში“ დაეფანტა.

„ნეტა იმ დროს! შენს წამწამებს
რომ სცვიოდა ია მთების,
აწი გულის კულულებზე
ვეღარ დაგანიავედები.
დეიზღება, დეიყვლებს
ი ქიორაი კუჭულები,
მე კი ყირმიზ ყურის ძირში
ვეღარ ჩეგფეურჩულები...
ვაიმე! რაფერ გიბერდები
და.. რაფერ გინათესავდები!“

მაგრამ თუ ქალისადმი ვნებას დრო შედარებით აუფერულებს, იგი ვერაფერს აცლებს პოეტის უპირველეს და უმთავრეს გრძობას – სამშობლოსადმი ტრფიალს, მგოსანი ყოველ წუთს ეფერება, ეალერსება, ლოცულობს მასზე:

„ამ დუნაის შენს დირელთან
გორვა-გორვით მოვეციითაო,
ჩემი სულის კუჭული ბარ
არ იფიქრო, მოგწვევითაო...“
(სადმოვარდნილს ვოდერბოთ თუ...“)

სამშობლოსათვის მღერის პოეტი, უმშვენიერესი პეიზაჟები უნატიფეს სურათებად იშლება მკითხველის თვალწინ:

„წიფლი ფოთილ ლექსებს ვწერდი,
დამწიფებულ მოცვითაო,
პირქიკიკა ვარსკვლავები
სულ მთებზე გადმოცვივდაო.“

ზურაბ გორგილაძე ლექსში „გულის მოიხება“ წერს:

„შენ რომ მიაცილებ დალილ
საუჯუნეს, – გალაკტიონია,
გალაკტიონია ერთად მოხვეტილი
ჩვენი საუჯუნე“.

მართლაც, გალაკტიონმა დაიწყო და დაასრულა XX საუჯუნე, ის იყო გასული საუჯუნე



ნის პოეზიის მეტრი. ანელა, მოიძებნოს რითმა, რიტმი, მელოდია, ფერი თუ მხატვრული სახე, მისი ჯალოსური კალმის წვერიდან რომ არ გამოსულიყოს... გავა წლები, იქნებ, საუკუნეებიც – და ისევ, როგორც რუსთაველს შესთხოვდნენ მწერლები: „ჰე, რუსთველო, გეაჩეხები, რომე მომცე ნება თქმისა“, გალაკტიონსაც შესთხოვენი ლირიკოსები ლექსის დაწერის ნებას... მით უფრო დიდია დამსახურება და ტალანტი XX საუკუნეში მოღვაწე ქართველი პოეტებისა, რომელთაც შეძლეს გალაკტიონის ჩრდილიდან გამოსვლა და ქართული პოეზიის მზისთვის თითო ელვარე სხივის შემატება, ვინც მოახერხა საკუთარი ხმა და ინტონაცია, განწყობა და მსოფლშეგრმება მოეტანა ქართულ ლირიკაში. ამ ნიჭიერ შემოქმედთა ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელია ზურაბ გორგილაძე. მან განუმეორებელი, კოლორიტით სავსე სამყარო დაგვიტოვა და ეს შესძლო აჭარული დიალექტის ფორმების ზომიერი მოხმობითა თუ ჩვენი კუთხის მკვიდრთათვის დამახასიათებელი მეტყველების ინტონაციისა და რიტმის შემოტანით, ყოფის გარკვეული დეტალების გამოყენებით... ასე იქმნებოდა ზურაბ გორგილაძის „დიდქართული, აჭარული“ პოეზია, ასე იტყვა იგი „აჭარის დღესასწაულად“ (ფრიდონ ხალვაში).

ზურაბ გორგილაძემ, რამდენიმე წინაშე ამბობს, „სინაზე მირონივით აპყურა კაცთა სიყვარულს“ და ახლა უკვე შორიდან გვანუგეშებს, გვაღაღებს თავისი თბილი და ლამაზი პოეზიით, რადგან მასაც „ღვთის სტუმარივით მიადგა მარადიული სინაზე – სიკვდილი“... მგოსანმაც უდრტინველად ჩააბარა მას სიყვარულიანი და კეთილი სული...

მანამდე კი იგი ადამიანი იყო და არ შეეძლო მუდამ ბედნიერი ყოფილიყო: მასაც აწყენინეს, ისიც გააწბილეს, მასაც უღალატეს, თუმცა პოეტის ყოვლისმიმტვებელი გული ვერ გააცივს, ვერ ჩააჭრეს მასში ადამიანისა და ქვეყნის სიყვარულის ცეცხლი... ამ მარადიული ცეცხლის ნაპერწყმებად მოვიდა ჩვენამდე მისი „ოპოი ნანა“ და „უმღერებელი მუხამბაზი“, „ხატიმამული“ და „სულხან-საბა“, „ნენემ დიმიინშნა ქალი“ და „მეთევზე ბიჭის ბალადა“...

ამ ლექსებით გაგვიზიხლა მან თავისი სათქმელი, თავისი ემოცია და ტემპერამენტი და ერთი მარადიული ოცნება:

*„რაა ეს ლექსი, უკებ იფეთქებს
და გადაივლის ზევის ზავლით,
ღმერთო! – გონიოს ბებერ კიბეზე,
მუდამ მიცოცხლე თეთრი ყვავილი!“*



კოეჭური ვარიაციები

*„ჩემი გულია დღეს ეს შავი ზღვა
თავმიდებული აჭარის კალთებს“.*

გალაკტიონი

ქვეყნის რომელი კუთხიდანაც არ უნდა გამოხედო საქართველოს – მის წარსულს და აწმყოს, მის ბედს და იღბალს, მის ისტორიას და ლიტერატურას – ერთი და განუყოფელი სურათი გადაგვეშლება თვალწინ: ბრძოლა არსებობისთვის, ტრადიციების და წინაპართა ზნეობრივ-მორალური კოდექსის ერთგულება, მაღალი სულიერების პატივისცემა.

როგორი დატუცმაკებული და დანაწევრებულიც არ უნდა ყოფილიყო ეს ქვეყანა სხვადასხვა დროს, საკუთარ თავს მაინც ერთ მთლიანობად აღიქვამდა და ცდილობდა ჭრილობების მოშუშებებს. „მე არ ვიქნები შენი სტუმარი“-ო, – მიმართავს საქართველოს დედაქალაქს ფრიდონ ხალვაში და, მართლაც, თუკი ერთი ჩვენი მწერლის ნათქვამს გავიხსენებთ, ყველა ქართველი, სადაც არ უნდა ცხოვრობდეს, თბილისელია, რადგან თბილისი მისი ერთიანი სამშობლოს გულის გულია, ყველა ქართველის იმედია. თითქოს მთელი აჭარა ლაპარაკობს პოეტთან ერთად: „აჭარამ, ძლივს იგემა გემო მშობლიურ ერთან ერთად ყოფნისა, ძლივს ფეხზე დადგომა დაიწყო, ძლივს დამწიფდა ჩვენებურების გულსა და სულში წადილ-სურვილი და წყურვილი იმისა, რომ დედ-დასამშობლოსავით დაიბრუნოს დედაენაზე ამეტყველებული ის რწმენა-ლოცვა, რასაც მისი კუთხე ათას ხუთასი წლის მანძილზე უერთგულესად ემსახურებოდა“ (ხულოს სასულიერო სემინარიაში წარმოთქმული სიტყვიდან).

ქარგად წერს ზურაბ გორგილაძე:

*„რომ კუთხური მიმოღობვის ღვედებს
გადაგვარჩინო,
შენ იქაც ბარ, შენ აქაც ბარ, შენ
ყველგან ბარ საჭირო...“*

ამ ლექსში ავტორი იმ გამაერთიანებელ ძალაზე საუბრობს, რომელიც თავის გარშემო იკრებს მთელ ქვეყანას და მონოლითად აქცევს. იქნებ სხვა საჭირობორტო პრობლემებთან ერთად ეს საქართველოს მულტიპრობლემა იყო და არის კიდევ, მაგრამ დღევანდლობის კონტექსტში ამ სატყვიარმაც განსაკუთრებული შინაარსი შეიძინა. საქმე ისაა, რომ გლობალიზაციის განუჩრქველ და თავის წიაღში მოშქცევ გარეგან ძალას მხოლოდ ის ქვეყანა გაუძლებს, რომელსაც ერთიანობის შეგრძნება აქვს გამახვილებული. დაახლოებით ამასვე გულისხმობს დავით თედორაძეც, როცა ამბობს:

*„ეწეროთ და ვხატოთ
მომავლისთვის, წინაპრისთვის,
ხვალ რომ გაჩნდება,
იმ ბიჭისთვის და იმ ქალისთვის...
ეწეროთ და ვხატოთ, შეგვობარო,
მხოლოდ ხვალისთვის.“*

არ შეიძლება, აუღელვებლად წაიკითხოთ დავით თედორაძის ლექსი დავით აღმაშენებელზე – ქართველთა დიდ მეფესა და მარადიულ პატრონზე.

დღევანდელი მწერალი, მხატვარი, სულიერების სფეროში მოღვაწე ადამიანი ხვალ-ინდელ დღეზე უნდა ფიქრობდეს, არა იმიტომ, რომ უბრალოდ ხვალ-ინდელი დღე ტრივიალური გაგებით სჯობდეს დღევანდელს,



არამედ იმიტომ, რომ სწორედ სულიერი ღირებულებების შექმნა გადაარჩენს კრიზისულ პერიოდში ქვეყანას. სულიერება მიაგნებინებს თავის სახეს, თავის თვითმყოფად იერს, იმას, რაც განუმეორებელია და ერთადერთი. არადა, ქვეყნის შინაგანი მთლიანობისთვის მრავალი პირობა არსებობს და სწორედ მწერალმა უნდა გაეკვალოს ეს გზა.

რა თქმა უნდა, ყოველივე ამას რომ ვამბობ, ვგულისხმობ არა დეკლარაციულ მოწოდებებს, არამედ მხატვრულ ანალიზს. ცხოვრების ამა თუ იმ ეტაპზე, ქვეყნის ან ერის თვითგამორკვევის რთულ პროცესში პოეზიაც მონაწილეობს და მისი ზემოქმედების ძალა, თუმცა, ხშირად აუხსენელია, მაგრამ ექვემდებარება. ისევ ზურაბ გორგილაძის სტრიქონებს მოვიშველიებ:

*„საქართველოვ, ჩემო დედავ,
ჩემი სუნთქვა გენაცვალა,
ჩემი ყველა მქუთარება,
მწუხარებმაც გენაცვალა.“*

*შენი სიტყვის სიციცხლისთვის
ბნაბნარში კიდევ ვდგავარ,
შენი ჭარის სიმალლისთვის,
მარადიდში ვრანდავ ყავარს,
შენი რჩულის საცილდაოდ
სხალთას ვრეკავ ზარებს მთავარს.“*

ამ ლექსის ინტონაცია, უპირველეს ყოვლისა, სიწრფელეს ამჟღავნებს. ეს სიწრფელე გულგახსნილობა, ხალასი გრძობა მძაფრად აღიბეჭდა ლექსში. სიტყვის მაგია სწორედ იქ იჩენს თავს, რაც გულწრფელად არის ნათქვამი, ის მიალწვეს სხვების გულებამდვარასაკორველია, ამ გრძობასაც აქვს თავისი ემოციური ხარისხი, მეტნაკლებობა და სიმწვავე. პოეტიც იმას პქეია, ვისაც ამ გრძნეული მუხტის გადატანა ძალუძს სიტყვაში.

პატრიოტული ღირვია ზოგჯერ ტრაფარეტულ ელვრადობას იჩენს. არსებობს გარკვეული კლიშეები, რომელსაც პოეტები ვერ აღწევენ თავს. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს თემატური არჩევანი ქმნის ამ კლიშეს, თუმცა, ლექსის აკაცისებური გამჭვირვალეობა ყოველგვარ კლიშეს არღვევს. ზურაბ გორგილაძის ლექსთან ერთად, ამის

ნიმუშად გამოდგება ვახტანგ ანდუღიანის „ძველი იავნანა“:

*„დაიბნე, ჩემო თეთრო,
პაწაწინა მტრედო,
მამულს უნდა გაეზარდო,
შვილი სანაქებო.“*

*ავგ, ცაცხვზე, იავნანას
მღერის დედა ჩიტიც,
მალე ტყბილად დაიბნებს
მისი მარგალიტიც,
პაწაწინა საოცრებამ,
მზეო პაწაწინამ,
რა ლამაზად ილიმები,
რა ლამაზად ბრწყინავ.“*

ღირვია, რომელშიც ინტიმური გრძობეობა გამჟღავნებულია, რა თქმა უნდა; ერთ თემატურ ჩარჩოში არ ეტყევა, თანამედროვე პოეტური აზროვნებისთვის პატრიოტული თემატაც არ შეიძლება იყოს სწორხაზოვანი, რადგან ასეთი სწორხაზოვნება, უმეტეს შემთხვევაში, დეკლარაციულ ელფერს შეიცხენს. ისეთი თემატური დიფერენცირების აღმნიშვნელი სიტყვა, როგორიცაა „პატრიოტული ღირვია“, სადღესოდ უკვე კლიშეა, მაგრამ როგორც უკვე ვთქვით, ეს თავიდანვე თავსმოხვეული კლიშე და თემატური სწორხაზოვნება გაჭრება მაშინ, როცა ლექსი ლოცვასავით წრფელი იქნება. ანუ სხვაგვარად რომ ვთქვათ, ისეთი პატარა და მრავალტანჯული ქვეყნის შვილის (ცხადია, პოეტის) მიერ სამშობლოს თემაზე გულწრფელად ამოთქმული ლექსი, უკვე თავისთავადი მხატვრული ღირებულების იქნება.

აღამიანის ოცნების უფაჭიხესი ნიუანსებით, ამქვეყნისური არსებობის იდუმალეობათა ამოხსნის მძაფრი სურვილითაა აღბეჭდილი ლადო სეიდიშვილის, სანდრო ბერიძის, გემალ ჭაყლის, ვახტანგ ლლონტის, ამირან ხაბაზის და, რა თქმა უნდა, მათი უფროსი კოლეგის აწ განსვენებული მამია ვარშანიძის ლექსები. მახსენდება სანდრო ბერიძის სტროფი:

*„წვალეებით შუბლი რად დაიორთქლე,
სიზმარს ცხადი ცვლის, ცხადს კი
სიზმარი,“*



*შენ აღარ გახსოვს ადგილი თორემ,
გუშინ, რომ იღვტ, ისევ ის არი."*

მთა ზოიძის პოეზიაში ლირიკული მოტივებია მხატვრული ატმოსფეროს განმსაზღვრელი. აქაც ქართული ლანდშაფტია დახატული, ოღონდ აქცენტი მშობლიური გარემოს წიაღში მყოფი კაცის განცდებსა და განწყობილებებზეა გადატანილი. პოეტის ლექსებში ოსტატურად არის შეთავსებული სამშობლოს და მისგან განუყოფელი საკუთარი კუთხის ხილვით აღძრული აკვარელური განწყობილებები. ისეთი აზრი გეკმნება, თითქოს ეს პეიზაჟები პირველქმნილი სიხალისით და პატრიარქალური სისადავით სუნთქავს. პოეტი მხოლოდ შტრიხებს ავლებს, მხოლოდ ძუნწ მონახაზს გვთავაზობს იმ ჩანაფიქრისას, რომელიც უფრო ვრცელია და მრავლისმომცველი. ცხადია, ასეთი შტრიხებისგან უნდა შედგებოდეს ესა თუ ის პოეტური ციკლი:

*„ამოდის მთვარე, მაგრამ ფებს იორავს,
ამოდის მთვარე, ნელა და მძიმედ,
საგულდაგულოდ ვინაზე ქვითარებს,
გაუთიშავი სინათლის იმედს.*

*ამოდის მთვარე, თბილი და წყნარი
და მისი შუქით ქვეყანა ბარობს,
მოედინება აჭარისწყალი,
სიცოცხლისა და სინათლის წყარო.“*

გენრიეტა ქუთათელაძის შემოქმედებაში სამყაროს ფილოსოფიური ჰერმეტიციზმის სასწაულის ხილვაზეა აღმოცენებული, სამყაროს უსასრულობის და დაუსაბამობის შეგრძნება შიშადაც აღძრავს პოეტში, ოღონდ ეს შიში თავისებურია: პოეტს აშინებს უსასრულობის, ვარსკვლავებით მოქედილი ცის ველარხილვის წუთები:

*„აქ არყოფნის მყინვარებაში, ველარ
დაანთებ კოკონს ტრფობისას
და ვერ გაფანტავ ბურუსს ნაკრისფერს...
ვერ დაინახე აისს და დაისს
და ავადილებით ამოვსებულ კორდების
უბებს...“*

ჩვენი სამშობლოს უღამაზესი და უძვირფასესი კუთხის – აჭარის ლიტერატურული ცხოვრების მაგალითიც გვაჩვენებს და იმდენი გვავესებს, რომ ჩვენი მწერლობა ახალი უნიკიერესი პოეტებით მდიდრდება, თხუთმეტ-საუუროვან დიად ქართულ მწერლობას ახალგაზრდა მწერლების შუქი და ენერგია ემატება და ერთვის, მათთვისაც სამყაროს უსასრულობა, ცის სიღრმე და დაუსაბამობა სამშობლოს მიწიდან იწყება, ზღვის-სპირეთიდან არის დანახული, და ამ ხილვას სამშობლოზე ჩაფიქრებული ადამიანის იმედის სტენს აზრს.



წინაპართა კვალის ძიებაში

ყოველი ადამიანის ცხოვრებაში ღებება მომენტი, როდესაც შექმნილი ვითარება ცხოვრების ჩვეული წესისა და საკუთარი ღირსების შესანარჩუნებლად, განსაკუთრებულ ძალისხმევას მოითხოვს. ასეთი პრობლემის წინაშე აღმოჩნდი 1991 წლის დეკემბრის ერთი ავბედითი საღამოს შემდეგ, როდესაც ჩემს ბინაში გაისმა ტელეფონის ზარი და ჩემი უახლოესი მეგობრის თანაგრძობით გამთბარი ხმა გავიგონე, რომელშიც მოჭეწებითი სიმშვიდის მიღმა მელვარება და შესფოთება იგრძობოდა. მაშინ ჭალაქში მშვიდად მყოფი არაფინ მეგულებოდა და უცებ ვერ ჩავწვდი მისი აღელვების ჭეშმარიტ მიზეზს. იგი მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, რიყსთან ახლოს ცხოვრობს და მისი სახლიდან მთაწმინდაზე და მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე მშვენიერი ხედი იშლება. მეგობარი ფრთხილად შემიკითხა, ხომ არ ვიცი რაიმე ჩვენი ინსტიტუტის შესახებ (გ. ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი იმზანად ლესია უკრაინკას ქუჩაზე, პირველი სკოლის პირდაპირ მდებარე სახლში იყო განლაგებული). მშვიდად ვუპასუხე, რომ ახალი არაფერი ვიცი, იმედი მაქვს, რომ ყველაფერი კარგად არის. ამას მოჰყვა მრავალმნიშვნელოვანი პაუზა და საუბარი დასრულდა. მეორე დღიას თავზარდამცემი ამბავი შევიტყვე — ჩვენი ინსტიტუტი, რომელიც ახალი გადასული იყო ამ შენობაში, მთლიანად განადგურა ცეცხლმა. როგორც გაირკვა, წინა საღამოს ჩემი მეგობარი თურმე საკუთარი თვალით ხედავდა ცეცხლმოდებულ შენობას, მაგრამ მას არ ეყო გამბედაობა, ჩემთვის ასეთი ტკივილი მოეყენებინა.

ჩვენთვის, ინსტიტუტის თანამშრომლებსათვის, ეს იყო არა უბრალოდ რომელიღაც

თბილისურ სახლში გაჩენილი ხანძარი, არამედ კატასტროფა, ქართული კულტურისათვის მოყენებული უმძიმესი ჭრილობა. ფერფლად იქცა უმდიდრესი სახელოვნებათმცოდნეო ბიბლიოთეკა, ხელოვნების ისტორიკოსთა თაობების მრავალწლიანი შრომის შედეგად შექმნილი უნიკალური არქივი, ფოტოთეკა, რომლებშიც დაფიქსირებული იყო ოდესღაც არსებული და დღეისათვის განადგურებული ქართული ხუროთმოძღვრების უამრავი ძეგლი, დაიღუპა ჩვენი მრავალწლიანი ექსპედიციების არქივები, ძეგლთა ანაზომები, განადგურდა გამოსაცემად მომზადებული სამეცნიერო ნაშრომები, დაიწვა ჩვენს პატარა საინსტიტუტო მუზეუმში დაცული ხელოვნების ნიმუშები.

სასოწარკვეთილებამ მოგვიცვა. საჭირო იყო ამ უმძიმესი დარტყმის გადატანა და ზეალინდელ დღეზე ფიქრი. მაგრამ ეს ადვილი როდი იყო. უნდა მეპოვნა ის დასაყრდენი, რომელიც საამისო ძალას მომცემდა. თავში ერთი მხსნელი აზრი მიტრიალებდა, შინაგანი ხმა მეუბნებოდა: ნუ მიეცემი უიმედობას, გაიხედე უკან, წარსულში. ძნელბედობათა ეპოს, პირველ რიგში, ხომ მსხვერპლად ქვეყნის სულეერი კერები, ეკლესიამონასტრები იქცეოდა და ხალხი მუდამ პოულობდა თავის თავში ძალას, რათა თავიდან, საძირკვლიდან დაეწყყო აღმშენებლობა. ეს საყმაოდ საპატიო და პასუხსაგები ანალოგია იყო, მაგრამ არასაკმარისი იმისათვის, რომ უდრტივწვლად მიმელო ეს ფაქტი და მშვიდად გამეგრებლებინა ცხოვრება. საჭირო იყო, მომეძებნა რალაც დასაყრდენი, რომელიც დამეხმარებოდა, დაგბრუნებოდი ნორმალურ ცხოვრებას. ქვეყანაში დატრიალებულმა უბედურებამ ხომ ჩვენც პირდაპირ მიზანში ამოგვიღო.



სწორედ იმ დღეებში, როდესაც ვედი-
ლობდი, სახლში დარჩენილ ჩემს საექსპედი-
ციო დღიურებში და მასალებში მომენახა
რაიმე, რაც მუშაობის სურვილს დამიბრუნებ-
და, წავაწყდი ერთ პატარა გაყვითლებულ
ფურცელს, რომლის არსებობა აღარც მახ-
სოვდა. გასაგები რომ გახდეს, რას ნებდა
საქმე, დროში უკან უნდა დავიხიო და გა-
ვხსენო ჩემი სტუდენტობის შორეული წლები.
როდესაც სკოლის დამთავრების შემდეგ
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ისტორიის ფაკულტეტზე დავიწვე სწავლა,
უფროსმა ბიძამ, ცნობილმა ზოოლოგმა
ალექსანდრე მაჩაბელმა, ერთ დღეს გამიხმო
და გადმომცა პატარა სიფრთხანა ფურცე-
ლი მანქანაზე ნაბეჭდი რუსული ტექსტით,
საბუთი დათარიღებული იყო 1910 წლის 9
მაისით. ვიდრე საბუთის ტექსტს გავეცნო-
ბოდი, შევხვედი მის ბოლოში მოთავსებულ
ხელმოწერას და გაეოცდი — ზელმოწერა
ზუსტად ისეთი იყო, როგორც მაჩაბელის,
გიორგი მაჩაბლისა და თავად ჩემი ხელმოწე-
რა. მაგრამ ჩემგან ნახევარი საუკუნით
დათარიღებულ საბუთს ხელს აწერდა პაპა-
ჩემი. რაპორტში თურქეთში განლაგებული
კუხანის პოლკის ოფიცერი ილია მაჩაბელი
მიმართავდა პოლკის მეთაურს თხოვნით,
გამოეთხოვა ტფილისის სათავადაზნაურო
საკრებულოდან სათანადო დოკუმენტების
ასლები (მოცემული იყო საბუთების ზუსტი
ხაზონათვლი), რომლებითაც დასტურდებოდა
მისი წოდებრივი მდგომარეობა. შემდგომ-
ში, როდესაც მე ჩავერთე ძველი საბუთების
მოძებნაში, არაერთგზის შემხვედრია ჭართველ
თავადთა არაერთი ბრწყინვალე გვარის წარ-
მომადგენლის მიმართებით რუსეთის იმპერა-
ტორისადმი, სადაც უმორჩილესად თხოვდ-
ნენ დაედასტურებინა მათი წარმომავლობის
ჭეშმარიტება და პეტერბურგიდან, შორეუ-
ლი ჩრდილოეთიდან, რომელიღაც მეფის
ჩინოვნების კაპრიზზე დამოკიდებული იყო
სახელოვან მამულიშვილთა გვარის ღირსე-
ბის დასტურია ან უარყოფა. ასეთი, ერთი
შეხვედრით უბრალო მიმართებით გაცილებით
მეტს მეუბნებოდა საქართველოს ბედის უკუ-
ღმარათობის შესახებ, ვიდრე სქელტანიანი
ისტორიული თხზულებები, რადგან კონკრე-
ტულ ადამიანთა, ჩემს თანამემამულეთა
შეპირებებასა და პრობლემებს მაეცნობდა.

ამ პატარა, უმნიშვნელო, მაგრამ ჩემთვის
რალაც განსაკუთრებული მისტუტურე მნიშ-
ვნელობის მქონე ქაღალდმა, ძირბჭანს წყნარ-
სულიდან რალაც ნიშანი მომცა და მიზანი
მაჩვენა, რომლისთვისაც ღირდა გარგა. გამ-
ახსენდა, როგორ სათუთად გადმომცა იგი
ბიძაჩემმა, როგორი განცდით იგონებდა იმ
ავებდით დღეებს, როდესაც რეკოლუციის
შემდეგ, თავისი ექვსი შვილის ბედით შემ-
ფოთებული ბებიაჩემი ბუხარში დაუნდო-
ბლად წავაგდა სახლში არსებულ ძველ
საბუთებს, ძველ ფოტოებს, სადაც ოფიცრის
ფორმაში გამოწყობილი პაპაჩემის ერთ ფო-
ტოს შეეძლო სასიკვდილო განაჩენი გამოეტ-
ანა ოჯახისათვის. ჩემთვის ეს საბუთი იქცა
იმ საყრდენად, რომელსაც ინსტიტუტის ხან-
ძრით მოყვნიებული ტრავმა უნდა შეემსუბუ-
ქებინა.

ამ საბუთის სახით მე ხელთ მქონდა გზის
მანიშნებელი და დანაჩენი უკვე დროის
საქმე იყო. საქართველოს სახელმწიფო არ-
ჩივის წიაღში იმდენი საოცარი და საინ-
ტერესო რამ მოვიძიე, რომ რალაც მომენ-
ტში კიდევაც გამოილევა აზრმა, რომ ხე-
ლოვნების ისტორიის გარდა ჩვენს წარსულ-
ში კიდევ უამრავი საინტერესო რამ არის.
არტეში მუშაობამ, იქ მოძებნულმა მასალებმა
მკურნალის როლი შეასრულა და არა იმი-
ტომ, რომ გადიოდა დრო და ინსტიტუტის
დაწვით მიყვნიებული ჭრილობა შემდგომ-
და, არამედ იმიტომ, რომ წარსულთან ასეთ-
მა უშუალო შეხებამ მომცა ძალა, დამეძლია
დროებითი სისუსტე. ამ დროს მე ცოცხ-
ლად შევიგრძენი წარსულთან ჩვენი უმტ-
კიცესი კავშირი, მივხვედი, თუ რა დიდი
მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რა გიმაგრებს
ზურგს, როგორია ის ნიდავაგი, რომელზეც
აღიზარდ, ვინ არიან ისინი, რომელთა ღირსე-
ბის შელახვის შიშით შენ აიძულებ საყუ-
თარ თავს, შესძლო შეუძლებელი, მიადწიო
მიულწიველს. ყოველ შემთხვევაში, შეეცადო
ამას. რა დიდი მნიშვნელობა აქვს, როდესაც
შეგიძლია შენი ცხოვრება, შენი საქმიანობა
გაზომო იმ საზომით, რომელიც შენს
წინაპრებს ეხმარებოდა, ღირსეულად ეცხ-
ოვრათ და ეღვაწათ.

ისტორიული ფაქტების შეხსენება, მითუ-
მეტეს, როდესაც ეს რომელიმე კონკრეტულ
საგვარეულოს ან ოჯახს ეხება, თვითმიზანი



როდია. წარსულის მაგალითი დღევანდლო-ბისათვის და მომავლისათვის მყარ საფუძველს ქნის. საქართველოს ისტორია ხომ ძელობათა და განსაცდელთა უსასრულო წყებაა. და როგორი პარადოქსულიც არ უნდა იყოს, დღესაც, ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში, საქართველო კვლავ უძძიმეს ვითარებაში აღმოჩნდა. ამ მდგომარეობიდან გამოსავლის ძიებისას კი სასარგებლოა გავი-აზროთ ჩვენი ისტორიის ფაქტები დღევან-დელი გადასახედიდან, არა როგორც მოვ-ლენების უბრალო ჩამონათვალი, არამედ როგორც მოვლენებისა და ფაქტებისა ლოგიკური ჯაჭვი, რომლის ყოველი რგოლ-ის ღრმა ანალიზსა და ობიექტურ შეფასე-ბას მომავლის მშენებლობისათვის დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია.

ყოველი ოჯახი, ყოველი საგვარეულო თავის წიაღში ინახავს თავის თავგადასავალს, საკუთარ ისტორიას. ეს ისტორიები მით უფრო საინტერესოა, რაც უფრო ძველია ეს გვარი, რაც უფრო მჭიდროდაა იგი დაკავ-შირებული ქვეყნის ისტორიასთან. ეს გან-საკუთრებით ეხება საქართველოს ფეოდალურ საგვარეულებს, რომელთა ისტორია — ქვეყნის ისტორიაა. ჩვენი ისტორიის უკუღმართობამ გარკვეულად იმოქმედა ძველ საგვარეულო-თა ტრადიციების შენარჩუნებაზე — დროე-ბით თითქოს გაწყდა საუკუნეთა კავშირი. მაგრამ დღეს, საბედნიეროდ, ჟერ კიდევ შესა-ძლებელია, აღვადგინოთ მოვლენათა ჯაჭვი და თავისუფლად და დაუფარავად გავიხსე-ნოთ და ობიექტურად შევაფასოთ ეროვნუ-ლი ისტორიის მივიწყებული ფურცლები.

არქივში ჩემი ძიებები¹ უშუალოდ ჩემი ოჯახის წარსულთან დაკავშირებულ ფაქტე-ბის მიკვლევას ისახავდა მიზნად. ჩემს ხელთ არსებული პაპაჩემის განცხადება ზუსტად მიმოითვებდა, სად და რა საბუთისთვის უნდა მიმეგნო და მეც დიდის გულმოდგინებით ჩავეფალი უსასრულო „ცნობების“, განცხა-დებების, „გვართშთამომავლობის სტუმებისა“ და სხვადასხვა სახის ბიუროკრატიული ქაღალდების მორეკში, საიდანაც ნელ-ნელა იკვთებოდა XIX საუკუნის ქართლის ერთ-ერთი საგვარეულოს ისტორია, თავისი პრობ-ლემებით, მამულეებთან დაკავშირებული სირთულეებითა და ყოფითი ამბებით. ერთ

კერძო ოჯახთან დაკავშირებული ეს ისტო-რია შეიძლება იმდენად მნიშვნელოვანი არ არის ქვეყნის ისტორიისათვის, მაგრამ ჩემთვის ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან ცოცხლდებოდნენ და ზორცს ისხამდნენ ასი წლის წინანდელი ფოტოებიდან მომზიარალი სახეები. ჩემთვის განსაკუთრებით მნიშვნელო-ვანი იყო საბუთებს შორის მამახელთა გვარის გენეალოგიური ხის მიკვლევა, რომელიც 1820 წელსაა შედგენილი. ესაა „გუარით შთამომავ-ლობის სტემა თავადთა მამახელთა“, რომლის მიხედვით შესაძლებელია, მამახელთა გენეალო-გიას 1600 წლიდან მოყოლებული გაიყვენოს თვალი.

ჩვენს ცხოვრებაში არაფერი ხდება შემთხ-ვევით. ასე მოხდა ამჭერადაც. ჩემი გენეალოგიური „კვლევები“ ლიახვის ხეობაში მდგო-მარეობის უკიდურესად გამწვავებას დაემთხ-ვა. საქართველოში ლიახვის ხეობის აღსანიშ-ნავად სულ უფრო ხშირად დაიწყეს ტერმინ „სამამახლოს“ გამოყენება. ამან მოპირისპირე მხარის განსაკუთრებული გაღიზიანება გამ-ოიწვია. რუსულ პრესაში სულ უფრო ხშირ-ად ჩნდებოდა აღშფოთებული წერილები, რომელთა ავტორები „სამამახლოს“ ხსენებას აპროტესტებდნენ, თვლიდნენ მას რეალურ საფუძველს მოკლებულ და ახლახან საგანგე-ბოდ „შეთითხილ“ ტერმინად.

მე ვერ დავრჩებოდი გულგრილი ამ ცილ-ისმწამებლური გამოხდომების მიმართ. ამას დავმატა რუსეთის პრესისა და ტელევიზიის მასშტაბური ანტიქართული კამპანიის გაჩ-ალება. აგიტაციამ ნაყოფი გამოიღო და რუსულ პრესაში გაისმა რუსეთის კულტურ-ის მოღვაწეთა ხმები, რომლებიც ქართველთა ბრალს დებდნენ ოსების გენოციდში. მოთ-მინების ფიალა აივსო მას მერე, რაც „ქართველთაგან დაზიარული ოსი ხალხის“ დასაცავად ხმა აღიმალა სახელგანთქმულმა მეცნიერმა და მოღვაწემ, აკადემიკოსმა დიმ-იტრი ლიხაჩევმა. გაზეთ „იზუსტიაში“ დაიბე-ჭდა მისი „წერილი თბილისსა და ცხინვალს“, რომელშიც მეცნიერი გამოხატავდა თავის პა-ტივისცემას ქართველი ხალხისადმი, მაგრამ მაინც მოგვმართავდა როგორც აგრესორებს და კორექტული ფორმით მოგვიწოდებდა მშვიდობისაკენ. ეს იყო შესანიშნავი მაგალი-თი იმისა, თუ რა ძლიერი ძალაა პრესაში



მიზანმიმართულად ჩატარებული კამპანია, რომელიც მოქმედებს არა მხოლოდ საქმის არსში ჩაუხრებლად ხალხის ფართო მასებზე, არამედ ინტელექტუალებზეც, რომლებმაც კარგად იციან საქართველოს ისტორია, ქვეყანაში არსებული ვითარება, მაგრამ მაინც ექვეყნა ამ საინფორმაციო წინების ქვეშ. ასეთი მომართვა დ. ლიხაჩოვისაგან ორმაგად იყო საწყენი, რადგან იგი შესანიშნავად იცნობდა ქართულ კულტურას, კონტაქტები ჰქონდა ქართველ მეცნიერებთან. მისი ქალიშვილი, ხელოვნებათმცოდნე ვერა ლიხაჩოვა ჩვენი კოლეგა იყო, არაერთგზის ნამყოფი საქართველოში, იგი კარგად იცნობდა ქართულ ხელოვნებას და დიდად იყო დაინტერესებული ჩვენი ხელოვნების ძეგლებით. ამავე დროს, იმავე გაზეთში კვლავ იყო განმეორებული აღშფოთება ტერმინ „სამაჩაბლოს“ მიუღებლობის შესახებ.

ჩემს მოვალეობად ჩავთვალე გამოვხმაურებოდი ამ უსამართლო ბრალდებას და ღია წერილით მიემართე ბნ. დიმიტრი ლიხაჩოვს რუსული გაზეთის „ვეჩერნი თბილისის“ ფურცლებიდან (01.03.91). მე ვპასუხობდი ამ ცილისწამებებს, როგორც იმ საგვარეულოს წარმომადგენელი, რომელთანაც საუკუნეების განმავლობაში იყო დაკავშირებული ქართლის ამ ნაწილის ისტორია. შევეცადე, მოკლედ ამეხსნა შიდა ქართლში მიმდინარე პროცესები და შემოიღებინა რუსული პრესის სიყალბე და ტენდენციურობა.

რა თქმა უნდა, მე არ ველოდი არავითარ პასუხს „ღია წერილზე“, მაგრამ სრულიად მოულოდნელად, სხვა მხრიდან მას ძალზე ოპერატიული გამოხმაურება მოჰყვა. თბილისის საქალაქო გაზეთში ჩემი წერილის გამოქვეყნებიდან სულ რაღაც ორი კვირის შემდეგ მოსკოვის პოპულარულ ყოველკვირეულში „ნეკლია“ (18.03.91) დაიბეჭდა სპეციალური „ინტერესონდენტის ვრცელი წერილი „მჭევრები“, რომელიც, როგორც მრუდე სარკე, „ასახავდა“ საქართველოში მიმდინარე პროცესებს. წერილი ხსენების ღირსიც არ იქნებოდა, მაგრამ, სრულიად მოულოდნელად, მასში წაეწყვიდა ციტატას ჩემი „თბილისური“ წერილიდან და მის კომენტარს. ავტორი აცხადებდა, რომ ისტორიული ფაქტები, რომლებიც მე მომიყავს წერილში, „სასტიკი და

გულსატყენია“ და რომ პროტესტორ მამაბელს უნდა მოეხსენებოდეს, რომ შუა საუკუნეებში ადგილი ჰქონდა ხალხთა მიგრაციას და რომ „ქართველ ისტორიკოსთა ლოგიკიდან გამომდინარე, ყველას შეუძლია პრეტენზიების წაყენება მეზობლებისათვის“. „პრეტენზიული მეზობლები“, რაღა თქმა უნდა, ქართველები ვიყავით, რომლებიც თურმე „შუასაუკუნოვანი მეთოდებით“ ვმოქმედებთ ე.წ. სამხრეთ-ოსეთში.

თხოთმეტი წელიწადია გრძელდება ყოველად მიუღებელი სიტუაცია ლიხაჩის ხეობაში, იმ ტერიტორიაზე, რომელსაც ახლა „სამაჩაბლო“ მოიხსენებენ. მაგრამ ბევრმა როდი იცის, რომ ტერმინი „სამაჩაბლო“ ხშირად როდი იხმარებოდა საისტორიო წყაროებში. იგი გვხვდება ერეკლე II-ის თანამედროვის ომან ხერხეულიძის საისტორიო ნაშრომში (1795წ.). ამავე საუკუნის პირველ ნახევარში პაპუნა ორბელიანთან გვხვდება ტერმინი „მაჩაბლის ქვეყანა“. ამასთანავე გასათვალისწინებელია, რომ მაჩაბელთა სამფლობელოების საზღვრები დროთა განმავლობაში იცვლებოდა და სხვადასხვა ეპოქაში იგი განსხვავებულ ფარგლებში იყო მოქცეული. ამ ტერიტორიების ისტორიული საზღვრების შესახებ მნიშვნელოვანი ცნობებია შემონახული XV საუკუნის სიგელებში, 1770 წლის დემოგრაფიულ ნუსხაში, XVIII საუკუნის 70-იან წლებში კაკაასისა და საქართველოში ჩამოსული გერმანელი მეცნიერისა და მოგზაურის იოჰან ანტონ გიულდენშტედტის ნაშრომში („მოგზაურობა საქართველოში“).

ბოლოს და ბოლოს, ვინ იყვნენ მაჩაბლები და რა კვალი დატოვეს მათ საქართველოს ისტორიაში? ვინაიდან მდგომარეობა ყოფილ სამაჩაბლოში კვლავაც უკიდურესად გართულებულია, ალბათ საქირია, კიდევ ერთხელ გავიხსენოთ შიდა ქართლის ერთი ფეოდალური საგვარეულოს ისტორიის ზოგიერთი ფაქტი. რა თქმა უნდა, ჩემს მიერ არქივსა და სხვადასხვა საისტორიო თხზულებებსა თუ წყაროებში მოძიებულ მასალებს მაჩაბელთა საგვარეულოს შესახებ სრულენითაც არ აქვთ რაიმე საისტორიო ან სამეცნიერო პრეტენზია, მაგრამ მე ჩემს წინაპართა წინაშე თავი მოვალედ ჩავთვალე, შე-



ძლები დაგვარად შემგროვებინა ჩემთვის ხელმისაწვდომი საბუთები და შესაძლოა, ჩვენი წარსულის ეს აქაიქ მიმოფანტული ფურცლები ვინმესთვის საინტერესო აღმოჩნდეს, როგორც ქვეყნის ისტორიის განუყოფელი ნაწილი.

სინამდვილეში კი „სამაბელო“ ასე იწოდებოდა:

მაჩაბლების საგვარეულო აღმოსავლეთ საქართველოსთან, მის კონკრეტულ ნაწილთან — ლიახვის ხეობასთანაა დაკავშირებული. მაჩაბელთა და მათ მამულთა შესახებ საინტერესო ცნობები აქვს ვახუშტი ბატონიშვილს. მის ნაშრომში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“-ში ვკითხულობთ: „აქ (ლიახვის ხეობაში) აღაშენა ციხე მაჩაბელმან. შეუშურეს ურუმთა, რომელი იყო მალაღსა კლდესა ზედა“. აქ ლაპარაკია „ხეცა მუგუთისაზე, რომელიც ერთი ლიახვს“. მაჩაბლების შესახებ ვახუშტი ბატონიშვილი აღნიშნავს: „მაჩაბელი იტყვის ანაფისტომას, აფხაზეთიდან მოსვლას“.

მაჩაბელთა გვარის წარმომავლობას შეეხო აკად. ს. ჭანაშია ფიტარეთის ტაძრის წარწერასთან დაკავშირებით, ბარათაშვილთა გენეალოგიის კვლევისას. მკვლევარმა წამოაყენა შემდეგი მოსაზრება (აღნიშნა რა „საკითხის სირთულე“): X საუკუნის მეორე ნახევარში „იმერეთ-ამერეთის ყველაზე ჩრდილოეთით მდებარე გზაზე სდებიან ანჩაბაქნი... „ანჩაბაქის“ მიხედვით იქმნება ფეოდალური რეზიდენციის სახელწოდება „აჩაბეთი“, ხოლო ამ უკანასკნელიდან — ახალი სამფლობელო სახელი „მაჩაბელი“. ამ მოსაზრებას ეწინააღმდეგება VII საუკუნის სომხური გეოგრაფიის ცნობა ლიახვის ხეობაში აჩაბეთის ხევის არსებობის შესახებ, საიდანაც უნდა წარმოქმნილიყო საგვარეულო სახელი „მაჩაბელი“. ეს ცნობა ტოპონიმ „აჩაბეთის“ X საუკუნეში შექმნის ვარაუდს ეპის ქვეშ აყენებს.

ვახუშტი ბატონიშვილთან ვკითხულობთ: „თამარაშენს ზეით ერთვის თირის მონასტრის-ხევი. ამ ხეზედ, გორის ძირს, არს აჩაბეთი, სასახლე და ციხე მეფეთა“. ცხინვალის მახლობლად მდებარე თირის მონასტერი მაჩაბელთა საგვარეულოსთანაა დაკავშირებული. ღმრთისმშობლის სახელობის

ტაძარი XIII საუკუნეში აგებული, მონასტრის სამრეკლოზე მოთავსებულია მრავალი წარწერაში ვკითხულობთ: „საუკუნე მანანა სიაუშ და რატის; და: ასათს; და ხელს; და: მაჩაბელსა; და მშობელთა მათთა: შეუნდგენ ღმერთმან, ამინ“. იქვე ტაძრის გალავანში მაჩაბელთა საგვარეულო სასაფლაოა.

მაჩაბელთა გვარის წარმომადგენლები საუკუნეების განმავლობაში აქტიურად ჩანან საქართველოს ქართველიებიან ისტორიაში. საისტორიო თხზულებებსა და სხვადასხვა საბუთებში გაბნეული ცნობები ვერ ქმნის მათი საქმიანობის გაბმულ სურათს, მაგრამ ამკარაა, რომ ისინი მუდამ ჩართულნი იყვნენ ქვეყანაში მიმდინარე მნიშვნელოვან პოლიტიკურ და სოციალურ პროცესებში.

მოვიყვან ზოგიერთ ცნობას მაჩაბელთა მოღვაწეობის შესახებ საქართველოს ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე:

მაჩაბელთა შესახებ უძველესი ცნობა „ქართლის ცხოვრების“ მაჩაბლისეულ ნუსხაში გვხვდება. იგი ეხება მაჩაბელთა წარმატებულ მონაწილეობას თემურლენგთან ბრძოლაში. ისტორიკოსები ეჭვს გამოთქვამდნენ იმის გამო, რომ ეს ცნობა მხოლოდ ამ ნუსხაშია ნახსენები, მაგრამ არ გამოირცხადნენ ვარაუდს, რომ ეს ცნობა შენახული ყოფილიყო მაჩაბელთა საგვარეულოში და იქიდან მოხვედრილიყო საისტორიო თხზულებაში.

შემდეგი ცნობა XV საუკუნეს განეკუთვნება. ეს არის არადეთთან ბრძოლის ამბავი (1484 წლის 12 აგვისტო). ციციშვილებმა და მაჩაბლებმა გზა გადაუჭრეს ყვარყვარე ათაბაგს, რომელიც კონსტანტინე მეფეს ებრძოდა. „ქართლის ცხოვრებაში“ მოთხრობილია მაჩაბლისა და შალიკაშვილის ბრძოლის შესახებ.

არსებობს საბუთი (1514წ.), რომელშიც ნათქვამია, რომ მაჩაბლებმა ქართლის მეფეს დავითს ზემო ქართლში ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლაში დიდი დახმარება გაუწიეს, რისთვისაც მეფემ მათ ლიახვის ხეობაში აოფლები უბოძა („ხოლო მეფემან დიდი წყალობა უყო ბარამსა მაჩაბელსა და შვილთა მისსა ჟიხორას. მრავალი სოფლები უბოძა დიდ ლიახვზედა“).

მარაბდის ველზე შაჰ-აბას I-ის სარდლობით შემოსულ ყიზილბაშ დამპყრობთა



წინააღმდეგ ბრძოლაში (1625წ. 1 ივლისი) დაღუპულთა შორის ცხრა მაჩაბელი იყო.

XVI-XVII საუკუნეების სხვადასხვა ნუსხეებსა და გუჯრებში მაჩაბელთა ხსენება არაერთგვარადაა გვხვდება. ეს ცნობები იმ რთული და განსაკუთრებით აღსაქმე ეპოქის ქართლის სამეფოს ისტორიის საინტერესო ფურცლებს გვიწვდის. ასე მაგალითად, 1660 წლით დათარიღებულ კათალიკოს დომენტის გუჯარში ნათქვამია, რომ ბაადურ, ლომ-კაცა და ქაიხოსრო მაჩაბლები საფიცრის წიგნს აძლევდნენ კათალიკოსს, რომ „დღეის იქით არც ჩვენ გავეიდოთ ტყუილ და არც ჩვენს ყმას გავეყიდვინოთ“.

პაპუნა ორბელიანი გარკვეული ტერიტორიული ერთეულისთვის ხმარობს ტერმინს „მაჩაბლის ქვეყანა“: „მაჩაბელი კახ-ბატონს ახლდა, იმისის ჭაგით, ჩამოუყვანა ამილახ-ორმა ჭარი ლეკისა და მუდამ აოხრებდნენ მაჩაბლის ქვეყანას“.

პაპუნა ორბელიანსვე გიორგი XIII-დმი მიძღვნილი ნაშრომის დამატებაში მოცემული აქვს ქართველ წარჩინებულთა ნუსხა, რომელსაც იგი ამგვარად განსაზღვრავს: „გვამთა წარჩინებულნი გვარშთამოებითა საქმითა, სიტყვითა, ცხოვრებითა“. ამ ჩამონათვალში ნახსენები არიან: „ფარსადან მაჩაბელი, შინა ყმა მეფისა, ოსთა ჭარის მკრებელი და ხარკისა სახასოს მომგროვებელი“, „მარძიმ (მოკვდა ღრმად მოხუცი 1827წ. ახლდა მეფეს თეიმურაზს სპარსეთს) და ზაზა მიმბაში მაჩაბლები“.

XVIII ს-ს დასაწყისის ერთ საბუთში ნათქვამია, რომ ლევან მაჩაბელმა ვერ გადაიხდა ოსმალთა გადასახადი და იძულებული გახდა ყმები და მამულის ნაწილი მიეყიდა გივი ამილახვარისადმი. ყოველ ამგვარ საბუთში, კონკრეტული გვარის თავგადასავალში, მათი ცხოვრების ეპიზოდებში ქვეყნის საერთო ვითარება, ქართლის სამეფოს რეალური მდგომარეობაა არეკლილი.

მაჩაბლები განსაკუთრებით აქტიურები ჩანან ერეკლე II-ის დროს. ერთერთ ქრონიკაში („ფურცელანთებული ქრონიკა“) 1795 წელს ალა მამად ხანის შემოსევის შესახებ მონათხრობში კვითხულობთ: მეფე ერეკლეს „... ამ დროს მხარს უმშვენიერდნენ გალომებული ბატონიშვილები ვახტანგი და იოანე,

მაჩაბელი დავით...“. იმავე ქრონიკაში შემდეგ ნათქვამია: ბრძოლაში ^{დაღუპულნი} ~~დაღუპულნი~~ უძლოდა ხელში დაირით ვინმე მეფის კარზედ წარჩინებული მაჩაბელი და მშვენიერი საღვინო სიმღერით განამხნევებდა რაზმს სახელოვანი სიკვდილისათვის“.

ერეკლეს ეპოქაში მეფის ლაშქრობათა მონაწილე საისტორიო საბუთები არაერთხელ მოიხსენიებენ იესე მაჩაბელს. მას ხშირად ახსენებს პაპუნა ორბელიანი თავის თხზულებაში „ამბანი ქართლისანი“ („უთავეს ... მაჩაბელი იესე ზემო ქართლისა ჭარსა... და გაისტუმრეს იმერეთს“, „გაატანეს (დაქირავებულ ლეკთა ჭარს) ბელადად მაჩაბელი“, „იესე მაჩაბელი ერეკლემ ჩერქეზეთს გააგზავნა ჭარის ჩამოსაყვანად“, „მაჩაბელი იესე იმერეთს წასულიყო სალაშქროდ (მეფე ალექსანდრეს მისაშველებლად)“ და ა.შ.

მაჩაბლების გვარის წარმომადგენლები მოხსენიებულნი არიან გარეჯის მონასტრის შემწირველთა შორის (1794 წლის საბუთი).

ტიმოთე გაბაშვილი თავის „მიმოსვლაში“ მაჩაბლებს იერუსალიმის წმ. ეკატერინეს მონასტრის შემწირველთა შორის ასახელებს (1757წ.): „ესე მონასტერი ღედათა წმიდისა ეკატერინისი - ფანასკრტელისაციციმეფილისა ამილახვარისა და მაჩაბელთ მოხსენება მუნ არს“.

ემათაღმწერლის „ასწლოვანი მატინის“ (XIVს.) XVIII საუკუნეში შესრულებული ორი ნუსხიდან ერთი თეიმურაზისეულია, მეორე კი - მაჩაბლისეული, გადაწერილი 1736 წელს მოსკოვში გიორგი მაჩაბლის მიერ არჩილის ნაქონი ტექსტიდან.

XVIII საუკუნეს მიეკუთვნება წარწერა „დარეჯანიანის“ წიგნზე - „ეს დარეჯანიანი რავაზ მაჩაბლის ქალის თამარისა არს, ვინც ეს წიგნი გამოართვას, გაუწყრა ყოველ წმინდა“.

XIX საუკუნის საბუთებში შემონახულია საინტერესო ცნობები მაჩაბელთა შესახებ. მათი საშუალებით შესაძლებელი ხდება საუკუნის დასაწყისის საქართველოს მშფოთვარე ცხოვრებაში მაჩაბლების მონაწილეობის შესახებ გარკვეული წარმოდგენის შექმნა. ქრონოლოგიური თანმიმდევრობით მოვიყვანო ზოგიერთ ცნობას, რომელშიც საინტერესოდ ჩანს მაჩაბელთა ცხოვრებისა და



საქმიანობის ზოგიერთი მხარე, რომელიც ქვეყანაში მიმდინარე პროცესებთანაა მჭიდროდ გადაჯაჭვული.

ასე მაგალითად, საბუთებიდან ცნობილი ხდება, რომ 1801 წლის მანიფესტის წინააღმდეგ გამოსულ თავადთა შორის მიაბალებიც იყვნენ. მათ პროტესტს რეპრესიები მოჰყვა, დააპატიმრეს ქართველ თავადთა დიდი ჯგუფი, მათ შორის მიაბალები, ამირეჯიბები და სხვანი.

1809 წელს გენერალმა დიმიტრი ორბელიანმა ტრაპიზონელ შერიფ ფაშასთან მაიორი მიაბაელი გააგზავნა მოსალაპარაკებლად, რუსეთთან შემოსარიგებლად.

1811 წელს ლევან ბატონიშვილის (იულონის ვაჟის) აჯანყების დროს მის მხარეს აღმოჩნდა ქართველ თავადთა ჯგუფი. მათ ამბოხებული ბატონიშვილი ვერ გაწირეს, რისთვისაც დაისაჯნენ. „ლევანის მომხრეობისათვის ყმა-მამულ ჩამორთმეული მიაბალები, ამირეჯიბიანნი, ფავლენიშვილ-გედევანიშვილები და სხვანი“, – კეთილშობილ საბუთში.

რუსეთთან მიერთების შემდეგაც ქართველი თავადები თავისი მხედრული მოვალეობის ერთგულნი რჩებიან, თუმცა ახლა მათ, არც თუ იშვიათად, სამწუხაროდ, სამშობლოსაგან შორს უწევთ თავისი სამხედრო სამსახურის გაგრძელება. XX საუკუნის დასაწყისში პეტერბურგში გამოძველ პოპულარულ ჟურნალ „ნივას“ 1905 წლის მეოთხე ნომერში წავაწყდი ინფორმაციას რუსეთთაშორის ომის დროს პორტარტურში მიმდინარე საომარი მოქმედებების შესახებ. ტექსტს ერთვოდა იმ ოფიცრების ფოტოსურათები, რომლებმაც თავი ისახელეს პორტარტურის დაცვაში. ვაკეაქობით გამორჩეულ ოფიცერთა შორის გაცოცხლებმა ნაცნობი სახე დავინახე. ფოტოს წარწერა ახლდა: „აღმოსავლეთ-ციმბირის მე-13 მსროლელთა პოლკის პოლკოვნიკი, თავადი ი. ი. მიაბაელი, რომელიც დაიღუპა პორტარტურის ერთერთი უკანასკნელი დაბოძების დროს“. მე ვერ დავადგინე, ვინ არის შორეულ აღმოსავლეთში გმირულად დაღუპული თავადი მიაბაელი, მაგრამ დამაფიქრა მისმა გასაოცარმა მსგავსებამ ჩემს პაპას, პოლკოვნიკ ილია მიაბაელთან, რომელიც რუსეთთურქ-

თის ომში მონაწილეობდა. იმედგაქვეს, რომ მოვახერხებ არქივებში ი. მიაბაელის ქვეყნუბის დადგენას. მაგრამ აქცა ჩემთვის გაცხადდა ის ბედუჯულმართობა, რომელიც თან სდევდა საქართველოს ისტორიული არსებობის მთელს მანძილზე. და კვლავ დამაფიქრა იმან, თუ როგორ არ შეიძლება ნეიტრალური და არაფრისმთქმელი სიტყვის „ხალხის“ გულგრილად და მშვიდად ხმაჩება, როდესაც „ხალხი“ გულისხმობს კონკრეტული ადამიანების სიცოცხლეს, მათ განცდებს, მათ ტვივლს, ზოგჯერ ტრაგედებსაც, რომლებიც მისი ქვეყნის კატაკლიზმებს, მის ბედს ასახავს მინიატურაში. და როდესაც ვფიქრობო ვრთი საუკუნის წინათ საქართველოდან ათასობით კილომეტრის დაშორებით მებრძოლ კეთილშობილ ქართველ ოფიცერზე, რომელიც ბოლომდე თავისი სამხედრო ფიცის ერთგული დარჩა და განსასვენებელი უცხო მიწაზე ჰპოვა, გული მტკივა, რომ მისი შთამომავლები ასე ადვილად და ხელაღებით მსჯელობენ ისეთ კატეგორიებზე, როგორიცაა პატრიოტიზმი, მოვალეობის გრძნობა და სხვა და არც კი იწუხებენ თავს იმით, რომ დღევანდელი გადასახედიდან ობიექტურად შეაფასონ ჩვენი ახლო თუ შორეული წარსულის მოვლენები იმ კონკრეტული ვითარების გათვალისწინებით, რომელშიც უხდებოდათ ცხოვრება და საქმიანობა ჩვენს მამებსა და პაპებს.

მიაბაელთა საგვარეულოს იტორიას დიდი ყურადღება დაუთმო გიორგი ლეონიძემ ივანე მიაბალის გენეალოგიის კვლევის დროს. გასული საუკუნის 20-იან წლებში გამოქვეყნებული მისი წერილები მიაბალების შესახებ ბევრ საინტერესო ცნობას შეიცავს.

არქივში დაცული საბუთებიდან საქართველოს ერთი კონკრეტული საგვარეულოს ცხოვრებისა და საქმიანობის ცოცხალი სურათი ისახება, მით უმეტეს, რომ მას შეიძლება თვალყური მვიადგნოთ უწყვეტად რამდენიმე საუკუნის განმავლობაში. ყოველი საბუთი, ყოველი უმნიშვნელო ცნობა ცოცხლდებოდა ჩემს თვალწინ, რადგან ყოველი მათგანის უკან იდგა რაღაც მოვლენა, გარკვეული ადამიანების პრობლემები. და ყველაფერი ეს ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ თუ პოლიტიკურ მოვლენებსა და ფაქტ-



ბზე მიანიშნებდა. რად ღირს, მაგალითად, თუნდაც 1847 წლის 21 თებერვლით დათარიღებული ბესარიონ შიოს ძე შაბაბლის თხოვნა (რალა თქმა უნდა, რუსულად შედგენილი): „მსურს განვაწესო ჩემი ძე ზაქარია და მისწულეები ჩემი ივანე და გიორგი მჩაბალები სასწავლო დაწესებულებაში, რისთვისაც თითოეულ მათგანს უნდა ჰქონდეს მათი თავადური ღირსების დამადასტურებელი საბუთი. უმორჩილესად გთხოვთ, ტფილისის დეპუტატთა საკრებულოდან სათანადო მტკიცებულების მიღებას.“ თხოვნის ბლანკზე აღნიშნულია: „დღი ზელმწიფე იმპერატორი ნიკოლოზ პავლეს ძე, სრულიად რუსეთის საჰეთმპყრობელი, ზელმწიფე უმოწყალესი.“ როგორც იტყვიან, კომენტარები ზედმეტია. ზოგიერთ საბუთს კურორტული ხასიათი აქვს: 1831 წლის ატესტაციის ერთ-ერთი მინაწერზე ვკითხულობთ: „თ. გიორგი მჩაბაბელმა იცის რუსულად და ქართულად ლოცვა „მამო ჩვენო“, „მრწამსი“ და ა.შ.“

მჩაბელთა საგვარეულოსა და მათ მამულებთან რუსეთის მიმართების უადრესად მნიშვნელოვან ცნობებს მივაკვლიე XIX საუკუნის დასაწყისის რუსულ გამოცემაში, მრავალტომეულში „Акты, собранные Кавказской археографической комиссией“. ამ დოკუმენტებით ჩემი დანიტრეკისება გამოწვეული იყო არა ქართველ-ოსური ურთიერთობების ისტორიის შესწავლის სურვილით, არამედ წმინდა სუბიექტური მოტივებით, ჩემი გვარის წარსულისადმი ინტერესით. რუსული საბუთების გაცნობა აუცილებელი აღმოჩნდა იმის გამო, რომ ქართველი თავად-აზნაურობის ნაწილი, როგორც წესი, რუსეთის არმიაში მსახურობდა (ჩემი წინაპრებიც არ წარმოადგენდნენ გამონაკლისს) და ზოგიერთი კვალი რუსეთისაკენ მიდიოდა, რასაც ზემომოყვანილი ზოგიერთი ცნობაც ადასტურებს. „აქტებში“ მე მივაკვლიე მასალებს, რომლებიც ნამდვილად ღირსია იმისა, რომ ისინი შესისწავლონ და გააანალიზონ როგორც ქართველმა, ისე რუსმა ისტორიკოსებმა. მაგრამ ამისათვის ერთი პირობაა აუცილებელი: არა ფაქტების სუბიექტური ინტერპრეტაცია და მოპირისპიერ მხარის მაკომპრომენტარებელი მასალების ძიება, არამედ ისტორიული ფაქტების ქეშმარიტად სამეცნი-

ერო განხილვა, რაც სრულიად მკაფიოდ გამოაშკარავებს რეალურ ვითარებას მთავარი იყავნ მხოლოდ რამდენიმე ამონაწერს „აქტებში“ გამოქვეყნებული მასალებიდან.

გენ.-ლ. ლაზარევის პატაკი გენ.-ლუიჯი კნორინგის, 1801 წლის 6 მაისი, № 234. „ადგილობრივ თავადებს დაქვემდებარებული ოსები, ეურჩებიან რა მათ, ახდენენ (როგორც მე აღრევე მჭონდა პატაკი თქვენთვის მომზესენებინა) სხვადასხვაგვარ ძარცვასა და თავებდობას. და თუმცა ისინი ჩემგან არაერთგზის იყვნენ შეგონებულნი, მაინც, ამის შემდგომადაც ყურად არ იღებენ არც ჩემს შეგონებებს, არც მუჭარას, უფრორიგად განავრცობენ თავის სიშმაგეს. მთქვენი კეთილშობილებაც მოგახსენებთ რა ამას, პატაკი მექვს გთხოვოთ მითითება, ხომ არ ინებებდით, რომ მისი საიმპერატორო უდიდებულესობის ძღვევამოსილი ჯარის იარაღით დავამშვიდო ზემოხსენებულნი, რომლებზეც არავითარი შეგონება არ მოქმედებს, და დავსაჯო ისინი მათ მიერ ჩადენილი ყველა დანაშაულისათვის“.

ყოვლად უქვეშევრდომილესი პატაკი გენ.-ლუიჯი კნორინგისა 1802 წლის 26 მარტი, №8

„გენ.-მ. ლაზარევიმ საქართველოდან მიპატაკა ვასულე წლის დეკემბრის 20-ს, რომ ისეთის ხალხები, რომლებიც კავკასიის მთების ზეობებში, მდინარეების ფცისა და დიდი ლიახვის გაყოლებაზე ბინადრობენ, არიან რა ოდიტგანვე ქართველთა ქვეშევრდომობაში და ჰყავთ რა მეგვიდრეობით მიღებული პატრონები თავად მჩაბელთა საგვარეულოდან, მეფე გიორგის სიციოცხლის უკანასკნელ დღეებში ისეთ დაუმორჩილებლობასა და სიშმაგეს იჩენენ, რომ ამ თავადთაგან ერთი მოკლეს, და რაკი ამ ბოროტმოქმედებისათვის არ იყვნენ დასჯილნი, უფრო ლა გათავსდნენ და თავს ესხმოდნენ ქართველთა მამულებს, იტაცებდნენ ქონებას, ტყვედ მიყავდნენ და უცხოეთში ყიდდნენ იქაურ მოსახლეობას“.

ამ სტრიქონების კითხვა გარკვეული ისტორიული პარალელების გაგვლების სურვილს ბადებს, ორი საუკუნის წინანდელი მოვლენები დღეს განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს, რადგან მოვლენები ორასი წლის შემ-



დღე თითქმის ანალოგიური სტემით ვითარდება, ოღონდაც ერთი მნიშვნელოვანი კორექტივით – XIX საუკუნის დასაწყისში რუსეთის იმპერიის მალაჩინოსნები გულწრფელად თანაუგრძობდნენ კავკასიონის მთებიდან გადმოსული მძარცველებით შეწუხებულ ქართველებს და აქტიურად მოქმედებდნენ მათი კანონიერი უფლებების, მათი მამულების დასაცავად, ეზმარებოდნენ ახლადმიერთებულ ქვეყანას მის მიწაზე მშვიდობის დამყარებაში. პარადოქსულია, რომ XXI საუკუნის დასაწყისში იგივე რუსეთი ამავე ტერიტორიაზე „სჯის“ ქართველებს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მოპოვების, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის სურვილისათვის. ვგონებ, ეს ის შემთხვევაა, როდესაც ისტორია მშრალი და უემოციო ფაქტების კრებული კი არ არის, არამედ ცოცხალი, მფეთქავი, მღელვარე მოვლენების ასპარეზი, რომლებიდანაც დღეს გონივრული და ქმედითი დასკვნების გაკეთებაა საჭირო.

ჩემდა უნებურად, მაჩაბლების გვარის შესახებ ისტორიული ფაქტების ძიებამ დღევანდელი საქართველოსთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე პრობლემებთან მიმიყვანა. ეს საესებით ბუნებრივია, რადგან აღმოჩნდა, რომ ნებისმიერი ფეოდალური საგვარეულოს ისტორია ქვეყნის ბედობლა-თან ძალზე მჭიდროდაა გადაჯაჭვული. ის-

ტორიასთან უშუალო შეხებამ ბევრჯერამეზე ამიზილა თვალი, მაჩვენა, თუ როგორ შეიძლება გადასახედოდან და დღევანდელი პოზიციებიდან რა ძელია, ისტორიული ფაქტების შეფასებაში იყო მიუყვარძობელი და ობიექტური, რა სიფაქიზე და სიფრთხილეა საჭირო თუნდაც სულ ახლო წარსულის მოვლენების შეფასებისას. ჩემს მიერ მოძიებულმა ძალზე მოკრძალებულმა ცნობებმაც კი სხვაგვარად დამანახვა ჩემი წინაპრების ნამდვილი სახეები, ჩვენს მამა-პაპათა სირთულეებითა და განსაცდელებით აღსავსე ცხოვრების გზა. ძალისა და იმედის მომცემი აღმოჩნდა იმის შეგნება, რომ მაჩაბლები ღირსეულად იბდიდნენ ვალს ქვეყნის წინაშე.

ამასთან დაკავშირებით არ შემიძლია, არ მოვიყვანო ერთი შეგონება მარკუს ავრელიუსის „ფიქრებიდან“ (თარგმანი ბაჩანა ბრეგვაძისა): „თუ გსურს სიხარული მოუპოვო შენსავე თავს, გაიხსენე შენი ახლობლების სიჭველენი: ერთი საქმის სიყვარულით გამოირჩევა, მეორე – თავმდაბლობით, მესამე – სიუხვით, მეოთხე კიდევ სხვა რაღაცით. რადგან არაფერი არ გვანიჭებს ისეთ სიხარულს, როგორც სათნოება-სიჭველე, რომელიც ჩვენი ახლობლების სულში ბრწყინავს... ამიტომ ხშირად იფიქრე მათი სიჭველესათვის“. ჩემს შორეულ „ახლობლებზე“ ფიქრებმა სწორედ ასეთი სიხარული მომანიჭა.



თავაში ძერის ყანაში

სარიტიზმის სანასი

პირველად ვისკით საესე ბოთლი ძალიან პატარამ ვნახე, ერთმა ფოთელმა ნათესავემ გამოუგზავნა მამამემს. ეს ნათესავი შორეული ნაოსნობის გემზე მუშაობდა და ვინ იცის, რომელ პორტში დაითრია ეს მაგიურად მიმზიდველი, მანათობელი სასმელი. გასინჯვით გაცილებით გვიან გაესინჯე, ჩეკების მალაზიაში წაყიდი „ჰანდრიდ ფაიფერსი“ თუ „უაით ჰორსი“, ზუსტად არ მახსოვს. მოგვიანებით იყო ჭართულ ბაზარზე შემოყრილი იაფფასიანი ჩრდილოაფრიკული და პოლონური საწამლავე (რომელსაც, რატომაც ვისკი ერქვა), უცხოეთიდან ჩამოსული ვისკით ხელდამშვენებული მეგობრები, მოხდენილი ბოთლები, ცხრა ძმაზე გაყოფილი ბოლო წვეთები... მაშინ ვისკის სმას, ხუმრობით სპირტიზმის სეანსს ვეძახდით, ღინო თუ ტრადიციულად სისხლს ნიშნავდა, ვისკის – სულთან ვაიგვივბდით.

ბარები სახდელ ძვაბავთან

მახსოვს, ათი წლის წინათ, მე და ჩემს მეგობრებს ფშავში ერთი ძალიან უცნაური არაყი გვქონდა წალბებული. სახელწოდება ჩვეულებრივი ჰქონდა, ტრადიციული «Столичная»-ს მარკისა იყო, მაგრამ საქმე ის გახლდათ, რომ იარაღზე გარკვევით იკითხებოდა „საჭართველოს საპატრიარქო“ და ბოთლზე ჭერუბიმიც ეხატა მოტყინარე მახვილით. თავიდან გაგვიკვირდა, მაგრამ მალე გაგვახსენდა, რომ პირველი არყის სახდელი მანქანების გამოგონება სწორედ ბერებს მიეწერებოდათ და მსოფლიოში პირველი ცნობილი სახდელებიც მონასტრებში იყო.

ეს ყველაფერი გაგონილი გვექონდა და ვისკის წარმოშობაზეც ძალიან ბუნდოვანი წარმოდგენისა ვიყავით. არც ის ვიცოდით, რომ ვისკის სპეციალისტები მონასტრებიდან იწყებდნენ ამ ღვთაებრივი ელექსირის ისტორიას.

ველტი ბერები თურმე უმარტივესი სახდელი აპარატებით ხდიდნენ სითხეს, ვისკის ძირითადად სამკურნალოდ იყენებდნენ და ლათინურენოვანი მონასტრების Aqua vitae-სთვის (ბერები სპირტს „სიცოცხლის წყალს“ უწოდებდნენ) კულტურად uisge beatha დაურქმევიათ, ანუ იმდროინდელი ჭართულით რომ ვთარგმნოთ, „წყალი ცხოველი“. შემდეგ ამ uisge-ს კაი შორი გზა გაუვლია (uisce-fuisce-uiskie), ვიდრე Whisky-დ იქცეოდა, თუმცა დღემდე მაინც დარჩა ორგვარი მართლწერა ამ სასმელისა, Whisky და Whiskey.

როცა ბოთლზე Whisky-ს მოკრავთ თვალს, ე.ი. შოტლანდიურ ვისკიზე, ანუ სკოტზე საუბარი, Whiskey-ს კი ირლანდიელები წერენ (სხვათა შორის, ისეთი თავზეხელაღებული ირლანდიელი, როგორც ჯოისი იყო, თავის „ულისეში“ ვისკის შოტლანდიურ მართლწერას იყენებდა).

საერთოდაც, ნამდვილი ვისკი მხოლოდ შოტლანდიურია ან ირლანდიური და ეს ორი უძველესი სახეობა ისევე განსხვავდება ამერიკული ბურბონისგან ან კანადური და იაპონური ვისკებისგან, როგორც ვთქვათ, პომეროსის „ოდისეა“ – იმავე ჯოისის „ულისესგან“. თუმცა მოდით, ისევე შოტლანდიელებსა და ირლანდიელებს დაეუბრუნდეთ, რადგან ხალხს დღემდე ვერ გაურკვევია, რომელი ვერი უნდა მივიჩნიოთ „წყალი ცხ-



ოველის“ სამშობლოდ და ამის გამო დღესაც ბევრი დაობნე ხოლმე.

ირლანდიელები ჯიუტად ამტკიცებენ, V საუკუნეში წმინდა პატრიკმა ვასწავლაო ვისკის გამოხდა, თუმცა კი ავიწყდებათ, რომ თავად წმინდანი (ასევე ლეგენდის მიხედვით) გერმანიულ ტომებთან დაუფლებია გამოხდის ხელოვნებას. ამის შესენებას, რა თქმა უნდა ვერავინ შეხედავს ირლანდიელებს, მითუმეტეს, რომ მათ მიერ მოქმედებულ ინგლისელებს ამ ქვეყნის შეილები პრუსიელ ლორებსა და პანოვერელებს, ტუხვიპამია ნაბიჭვრებს ეხსენდნენ. საქმე ისაა, რომ ჭერ კიდევ გეორგ I-დან (1660-1727) მოყოლებული, კარგა ხნის მანძილზე პანოვერელითა დინასტია მართავდა ინგლისს. ირლანდიელები პანოვერელ პრინც ალბერტსა და დედოფალ ვიქტორიასაც დასცინობდნენ, რომელთა ქორწინების შემდეგაც, ბრიტანეთის სამეფო სახლის გვარი არსებითად გერმანული გახდა.

მაგრამ ამის მიუხედავად, ირლანდიელები მინც ფლობენ ორ მთავარ არგუმენტს, რომლებიც უმნიშვნელოვანეს მოვლენებს ემყარება ვისკის ისტორიისთვის: 1. ევროპაში ყველაზე ძველი სახდელი ქარხანა ირლანდიული Old Bushmills-ია, რომელიც 1608 წელს აუშენებიათ (სოფელ ბაშმილში იმის კვალიც არსებობს, რომ ვისკის აქ 1494 წელსაც აწარმოებდნენ) და 2. სრულყოფილებამდე, ვისკის სახდელი აპარატი, ანუ ისეთი, რომელსაც დღესაც იყენებენ მთელს მსოფლიოში, ირლანდიელმა ენეას კოფიმ მიიყვანა. მის გამოგონებას 1830 წელს Coffey Still ეწოდა და ამ აპარატმა რობერტ სტეინის (რა თქმა უნდა შოტლანდიელის) აპარატი გააუმჯობესა.

ისე შემომხედა, მხოლოდ ქალებმა რომ იციან ხოლმე. ამ მშერაში ერთდროულად ირონიაც იყო და დაღლილი სიბრძნეც. ნეტავ როგორ იყურებანი ასე, რომ მიინდომო, ვერც მიბაძავ და თანაც სულ ერთია, რა ასაკისა არიანი.

ეს სიბრძნე ეტყობა, სისხლში აქვთ გამჯდარი, დაბადებიდანვე სისხლში აქვთ.

- მართლა ასეთი სულელი ხარ? — აი რა მიპასუხა.

ხელი მზარზე დამადო — ისე წამიერად, თითქოს ორი მეგობარი ვიჯექით და მშვიდობიანად ესაუბრობდით — შემდეგ მკერდზე და მუცელზე ჩამოაცურა, ჯინსების ქამარს სწორედ იქ მისწვდა, სადაც ლითონის ბალთას „ლევისი“ ეწერა და ამ ქამრით ნელა, ძალიან ნელა საწოლისაკენ გამქაჩა. თანაც ისე ყურადღებით და ცნობისმოყვარეობით შემომცქეროდა, თითქოს ერთობოდა. ამასთანავე ისეთი მშერა ჰქონდა, როგორც გოგონას, ვინც იცის, რომ თავს ზედმეტის უფლებას აძლევს.

- ეს სად ისწავლე?

- ტელევიზორში, — გულიანად გაიცინა. მეც გამეცინა. ასე ჩახვეულები ზეწრებზე გადაკოტრიალდით და... ალბათ თვადაც ხედებით. ძალიან დინჯად და ფრთხილად ექუცოდი, არ მიხდოდა, დამფრთხალიყო. შემდეგ ფართოდ გახელილი თვალები დავინახე და მიხევედი, რომ ჩემზე მეტად ეშინოდა, ნამდვილად შემინებულნი იყო და თანაც

ისე მებლაუჭებოდა, თითქოს ჩემს ჯგუფს: შემდეგნადა არავინ ჰყავდა. პოპ-მუსიკის მუსიკის. მაშინ გულ-გვამი გადამიტრიალდა, მაგრად მოვეხვეე და რამდენადაც შემძლო ნაზად ვაკოცე. სულ შემინოდა, არაფერი ვატყინო-მეთქი. ნაზი და რბილი ტუჩები ჰქონდა. ასეთი ჯერ არასოდეს შემხვედროდა და ცხოვრებაში პირველად ვიფიქრე, ჩემი უბედური დედაბერი იმ თავისი ზეციდან თუ მხედავს, ამისთვის ვერ გამიბრაზდება-მეთქი.

- ნაწილი, — ჩემად ჩაეწურჩულე.

ტუჩებზე ღიმილი გაუკრია, ეს ჩემი საკუთარი ტუჩებით ვიგრძენი, თვალები კი ბინდში ისევ დაეჩინებით შემომცქეროდნენ. და მაშინ, უცებ ყველაფერი გამახსენდა: სეუტის ყაზარმაში ერთხელ სასწავლო ყუბარა როგორ გასკდა, ელ-პუერტოში კინალამ როგორ მომკლეს, რადგან ერთ ახგარს უკანალი არ დავუთმე, საჭესთან ერთხელ როგორ ჩამეძინა ტალავერის შემოგარენში და სასწაულით გადავრჩი. ეს ყველაფერი ერთად წამოტივტივდა და გავიფიქრე, გავიმართლა, ძალი მანოლო, ძამიკო-მეთქი! გავიმართლა, რომ ცოცხალი დარჩი, რომ სხეულიც შეგრა, გრძობებიც და ვენებში სისხლიც დაგირბის, რადგან ამას ხომ ვერ განიცდიდი, რასაც ახლა განიცდი და რასაც აწი ვეღარავინ წაგართმევს-მეთქი. ყოველივე ნაზი, ცხელი და ნოტიო გახდა, მე კი სულ ვფიქრობდი, არ მოდუნდე, დროზე მომორდი, სანამ ზამბარა აიწყვიტავს, მანამდე მომორდი, შარს არაფერს გადაჰქიდო-მეთქი. მაგრამ მსგავსი არაფერი დამჭირვებია, რადგან სწორედ ამ წუთში კარზე ბრახუნე გაისმა, შუკი აინთო და შემობრუნებულმა პორტუგალიელი აღმეიდას დაღრევილი სახე და ჩემს თავზე აღმართული ბარკალას მუშტი დავინახე.

გონს იატაკზე მოვედი: პირველ დამხობილი მთლად შიშველი ვეგდე (სწორედ ასეთ პოზაში მომისწრეს) და საფეხქლებში სისხლი ფეთქავდა. ცალი თვალი ჩუმად, ფრთხილად გავახილვე და ნატის მინი ქვედა კაბა და მის ქვეშ, რა თქმა უნდა, წითელი ტრუსი დავინახე. ნატი სკამზე იჯდა და სივარეტს



აბოლებდა. აღმოვიდას ხელები ჯიბეებში ისე ჩაეწყო, როგორც ბოროტმოქმედებს კინოში იღებენ-ხოლომე, გაღიზიანებული იცინოდა და ოქროს კბილი უბრწყინავდა. საწოლზე ბარკალა მუხლებზე იდგა და გოგონას დარაჯობდა. გოგონას კი მკერდი უთრთოდა და თვალები საზარელი შიშით ავსებოდა. აი ასეთი სურათი დავინახე. არ ვიცი, სანამ გონდაკარგული ვიყავი, რა ილაპარაკეს, მაგრამ რაც მაშინ გავიგონე, სუსტი ნერვებისთვის განკუთვნილი ნამდვილად არ იყო.

- თავი მომჭერი, - ეუბნებოდა პორტუგალიელი აღმეიდა გოგონას. - მე სიტყვის კაცი ვარ, შენს გამო კი გამოდის, რომ მაქსიმო ლარეტესათვის მიცემული სიტყვა დაეარღვიე... რა ვქნა ახლა?

გოგონა თვალს არ აშორებდა, არც ხმას იღებდა. ერთი ხელით მკერდს იფარავდა, მეორეთი კი დანარჩენს.

- რა ვქნა ახლა? - სასოწარკვეთით და ამასთანავე მრისხნედ ჩაილაპარაკა პორტუგალიელმა აღმეიდა და საწოლისკენ დაიძრა. გოგონა აწრიალდა და ბარკალამ თმით დაითრია, რომ არ განძრეულიყო.

შევაძწინე, რომ მაგრად არ დაუთრევიდა. კი არ მოქანა, უბრალოდ დაიძირა. როგორც ჩანს, თავს უხერხულად გრძობდა, მიშველს რომ ხედავდა და გოგონას შხერას თვალს არიდებდა.

- იქნებ ლარეტე ვერც კი მიხვდეს, - ჩაურთო ნატიმ. - მე შემოძლია ამ ძუქნას თვალთმაქცობა ვასწავლო.

პორტუგალიელმა აღმეიდამ თავი გადაიქნია.

- დონ მაქსიმო სულელი კი არ არის. გარდა ამისა, აბა ამას შეხედე.

ბარკალას გოგონა ისევ თმით ეჭირა. დაზაფრული, ფართოდ გახელილი თვალებით იყურებოდა და ამას არც მალავდა. მიუხედავად ამისა, თავი ისე გაიქნია, თითქოს, არაო, ამბობდა.

ნატი, რა თქმა უნდა, მაგარი ქალი იყო, მაგრამ ბუნებით ისეთი ახვარი გახლდათ, როგორც ზღაპრის ყველა ბოროტი დედინაცვალი. გოგონას უარით გაკოფებულმა ისე შეივინა, ყველა მძლოლი უკან ჩამოიბრუნა.

- თავში აუვარდა ამ ძუქნას, - ისე გამოსცრა, თითქოს შხამს ანთხედა.

შემდეგ წამოდგა, ქვედაწელი გაისწორა, საწოლთან მივიდა და გოგონას ისეთი სილა გააწნა, ბარკალამ ძალაუწებურად თმას ხელი გაუშვა.

- გველო, ძუქნავ, - ჩაისისინა მან. - ცამეტი წლისა უნდა მომეგდო თქვენთვის გასაქმად.

- ეგ არ უშველის საქმეს, - უკიდურესი სასოწარკვეთით ჩაილაპარაკა პორტუგალიელმა აღმეიდა. - ლარეტესაგან ფული ავიღე და ახლა ღირსებაყრილი ვარ.

წარბები ტრაგიკულად შეკუმუნა, ოქროს კბილიც კი დაბნულად უკიაფებდა. ბარკალა თავის ფეხსაცმელებს მიშტერებოდა. ეტყობა, რცხვენოდა მისი ბოსი ღირსებაყრილი რომ იყო.

- მე სიტყვის კაცი ვარ, - გაიმეორა პორტუგალიელმა აღმეიდა. ისეთი დათრგუნული იყო, კინაღამ ავდექი და მხარზე ხელი მოუეთათუნე. - ახლა რაღა ვქნა?

- ეს ნაძირალა დაკოდე, - შესთავაზა ნატიმ. ამ კეთილ სულს მხედველობაში, როგორც, ჩანს მე ვყავდი და მეც ვილაცის მხარზე ხელის მოთათუნების სურვილი მაშინვე გამოქრა. „იფიქრე, - შევეძახე ჩემს თავს, - იფიქრე როგორ გამოძერგე, ძამიკო, თორემ შენი კვერცხებისგან ბრელოკს გააკეთებენ.“

ცული ის იყო, რომ იატაკზე თავკვე და თანაც შიშველი ვეგდე. ასეთ სიტუაციაში კი აბა რას მოიფიქრებ.

პორტუგალიელმა აღმეიდამ ჯიბიდან მარჯვენა ხელი ამოიღო. ხელში დანა ეჭირა, ზამბარანი, ლამის ნახევარი მეტრის სიგრძის დანა. ასეთი დანა კაცს გულს გაუხეთქავს, მაშინაც კი, როცა გახსნილი არ არის.

- ამ ძუქნას დალი უნდა დავასვა, - თქვა მან.

სიჩუმე ჩამოწვა. ბარკალა კვლავ უხერხულად იქექავდა. ნატი კი პორტუგალიელ აღმეიდას გაოგნებული მიაშტერდა.

- დაღი? - ჩაეკითხა იგი.

- ჰო, სიფათს გავუღამაზებ, - ოქროს კბილი დამცინავად და ამასთანავე გაბედუ-



ლად აკაიფდა. — ერთხელ გადავსერავ და მოჩნება. შემდეგ დონ მაქსიმო ლარეტესთან მოვართვე, ფულს დავუბრუნებ და ვეტიყვი: შემარცხვინა და დავსაჯე, ახლა თუ გინდა უფასოდ ისიამოვნე-მეთქი.

- დაირეხე? — თქვა ნატიმ. — საქონელს გააფუჭებ. თუ ლარეტესთვის აღარ ვარგა, სხვებისთვის ხომ გამოდგება. ამ ტუქნას სიფათი ყველაზე დიდი კაპიტალია.

პორტუგალიელმა აღმეიღამ ნატის შეურაცხყოფილი ღირსებით საცხე მხერით შეხედა.

- არაფერი გესმის, ქალო, — ამოიხზრა მან. — ეს ღირსების საქმეა.

- სულელი ხარ და მეტი არაფერი. ამას თუ დაასახიჩრებ, ფულს პაერში გადაყრი.

პორტუგალიელმა აღმეიღამ ჯერ კიდევ გაუხსნელი დანა პაერში ასწია და ამ კახისკენ ნაბიჯი გადადგა.

- ენას კბილი დააჭირე, — ახლა ოქროს კბილი მუქარით ელაგდა, — ან ამოგადრობ მაგ ენას.

ნატიმ ჯერ დანას შეხედა, შემდეგ ცხოველების თანამგზავრის თვალებს და იმ ინსტინქტმა, რომელიც ზოგიერთ ქალს და თითქმის ყველა კახას აქვს, უცებ უკარნახა, რომ სათქმელი აღარაფერი ჰქონდა. მაშინ მხრები აიჩნა, ისევ ჩამოვდდა და ახალ სიგარეტს მოუკიდა. პორტუგალიელმა აღმეიღამ კი დანა საწოლზე, ბარკალას გვერდით დააგდო.

- დასერე, — უბრძანა მან. — შემდეგ კი ამ ახეარს დავკოდავთ.

ალბასეტე, ინოქსი

ბარკალამ, ამ ვეებერთელა მძორმა, დაკეტულ დანას შეხედა და შეყოვნდა.

- დასერე, — გაიმეორა პორტუგალიელმა აღმეიღამ.

ბარკალამ ხელი დანისკენ გაიშვირა და ისევ შეყოვნდა. ეს დანა იმ შავ და შხამიან უხსენებელს გავდა, თეთრ ზეწერებზე რომ გართხმულიყო და მას დარაჯობდა.

- დასერე-მეთქი, გითხარი, — ხმას აუწია პორტუგალიელმა აღმეიდან. — მარცხენა

ლოყა გადაუსერე, თავიდან ბოლომდე გადაუსერე.

უშველებელი ხელით ბარკალამ მუწუკებიანი ნიკაპი მოიქექა, ჯერ დანას შეხედა, შემდეგ გოგონას, კედელს ზურვით მიყრდნობილი დაზაფრული რომ შესცქეროდა და უცებ თავი გადაიქნია.

- არ შემიძლია, უფროსო.

შერცხვენილ სპილოს დაემსგავსა. ღორის სიფათი ყურებადმე გაუწითლდა. ვინ იცის, იქნებ ცხოველებში პირველად სინდისმა შეაწუხა. აბა, ენდე ამის შემდეგ გარეგნობას-მეთქი, გაეფიქრე, თურმე ამ ვეებერთელა ხორცის ნაჭერში რაღაც ადამიანური ცოცხლობდა.

- როგორ თუ არ შეგიძლია?

- რა ვქნა, არ შემიძლია. აბა, შეხედე, უფროსო, სულ მთლად ბავშვია, — პორტუგალიელი აღმეიდას ოქროს კბილი დაბნეულად აკაიფდა.

- რასაც გუუბნები, ის გააკეთე, — დაიყვება პორტუგალიელმა. მაგრამ ბარკალა საწოლსაც მოშორდა და დანასაც.

- ძალიან მწყინს, — ისევ გადაიქნია თავი. — მაპატიე, უფროსო, მაგრამ ამ გოგონას სახეს ვერ გადავუსერავ.

- დედიკოს ბიჭო, ახვარო, — ზიზღით ჩაილაპარაკა ნატიმ. — ამხელა მოიყარე და დედიკოს ბიჭი ხარ.

როგორც ხედავთ, ნატი სიტუაციის განსატვირთავად მუდამ მზად იყო. პორტუგალიელი აღმეიდა კი ამ ღროს ნიკაპს იქექავდა, ხან გოგონას შეხედავდა, ხან თავის დაცვას და როგორც ჩანს, ახლა რა ვქნაო, ფიქრობდა.

- მართლა დედიკოს ბიჭი ხარ, ბარკალავ,

- ბოლოს და ბოლოს ჩაილაპარაკა.

- როგორც იტყვი, უფროსო, — უპასუხა მან.

- შენ რა კილერი ხარ! დისკოტეკაში შევიცარად უნდა მუშაობდე და ეგვიც არ გამოგივა.

ბარკალა განაწყენდა და თავი დახარა.

- კარგი, ბატონო, ვერე იყოს.

პორტუგალიელი აღმეიდა დანის ასაღებად საწოლისკენ გაემართა. ერთი ღრმად



ამოვიხრე, ძალიან ღრმად და თავს შევუძახე, ეს ღამე ფეხების გასაფშეკად სხვაზე ნაკლები არაფრით არაა-მითქი. იმიტომ, რომ არსებობს წუთები, როცა მამაკაცი სიკვდილის შესახვედრად თვითონ უნდა წავიდეს. ასე რომ, ყველაფერს მივაფურთხე, ასევე დედიშობილა წამოვხტი, პორტუგალიელ აღმეიდას საწოლისკენ გზა გადავუკმე და პირდაპირ სიფათში ველეწე, თანაც ისე მოხერხებულად, კედელსაც კი გაანგრევდა. პორტუგალიელი არ წაიქცა, მაგრამ ფეხები გაუბლანდა. ნატი აკივლდა, ბარკალა შეყოყმანდა, მე კი ხელი დანას დავტაცე და ოთახში ისეთი ამბები დატრიალდა, ზეცასაც კი დაცხა.

- მოკალი! მოკალი! - კიოდა ნატი.

ღილაკს დავაჭირე, დანის ჩხაკუნით ყურში მუსიკასავით ჩამესმა და ჩემს ხელში ალესილი დანისპირი აღმოჩნდა. ბარკალამ, როგორც იქნა, ჩარევა გადაწყვიტა და ჩემსკენ დაიძრა, მაგრამ დანა ცხვირ-პირთან, პირდაპირ თვალებთან მივაყენე. მახსოვს, რატომღაც დანის ტარზე ამოტვიფრული წარწერა: „ალბასეტე, ინოკის“ წავიკითხე. ბარკალა ისე შეჭერდა, თითქოს ვერ კედელს შესკდომოდა და მეც კიდევ ერთხელ, დღეს უკვე მეორედ, იგივე ადგილზე ამოვცხე. იგი იატაკს დასჯდა და განაწყნებული აქნესდა. თითქოს მობეზრებოდა, ასე ცუდად რომ ვაქცეოდა.

- გაიჭეცი! - შეეძახე გოგონას. - მანქანაში ჩავეცი!

ის კი ველარ დაეინახე, გოგონას გავაგონე თუ არა, რადგან ამ დროს ნატი და პორტუგალიელი აღმეიდა ერთად მომაწყლნენ. ნატის ხელში თავისი ფეხსაცმელი ეჭირა წვეტიანი ქუსლით და მთელი ძალით მიჭევიდა. პირველად ამცდინა, მეორედ კი წვეტი პირდაპირ ხელში, მხრის ქვემოთ მოშხვდა. ძალიან მეტკინა! უფრო მეტკინა, ვიდრე ყურში მოხვედრილი აღმეიდას მუშტი, ამიტომ დანა ნატისაკენ რაღაც თავისთავად შებრუნდა და სახე გადაუსურა.

- დამხერა! - აკივლდა ეს კუდიანი. - დამამხინჯა!

სახეზე სისხლი ღვარად ჩამუყვირდა და მის პულსსა და პომადას რტყნაყნაყნა მუხლებზე დაეცა, ქვედატანი სულ აეჩქრა, მკერდი დეკოლტედან გადმოუცვივდა, მოკლედ უფასო ცირკი იყო. ახლა აღმეიდამ მომიქნია მუშტი, მაგრამ ამაცილა - სულ ცოტათი, რაღაც ნახევარი სანტიმეტრით ამაცილა - შემდეგ იმ ხელზე მიკბინა, დანა რომ მეჭირა. მეც კბილებით ყურზე ჩავაფრინდი და თავი აქეთ-იქით მანამდე ვიჭეიე, სანამ სიმწრისაგან არ აღმუკვლდა და ხელი არ გამოთავისუფლა. დანა საძვარ მოუქნე, მაგრამ ვერ მოვარტყი. შემდეგ გამოვქანდი და თავი რაღაცნაირად შივ ცხვირში ველეწე. მისი ოქროს კბილი ჯანდაბისკენ გაფრინდა და თავადაც ზედ გადაეშხო ნატის, თავის სისხლიან ხელებს რომ დასცქეროდა და გადარეულივით გაკიოდა.

- ახვარო! ახვარო!

ისევ დედიშობილა ვიდექი, თავი მიგუგუნებდა და თვალები ამჭრელეობდა. ასეთ სიტუაციაში, აბა, თავს კარგად როგორ ვიგრძნობდი. მაინც შევაძმნე: გოგონას უკვე ჩაეცვა და თავის ზურგანთიანად კარისაკენ ტყეიასავით მიქროდა. ამიტომ ამ „მოშხილავ“ წვეილს მეც თავზე გადავახტი, სკამს, რომელზედაც ადრე ნატი იჯდა, ხელი დავტაცე და საცოდავ ბარკალას, ის-ის იყო წამოღვომას რომ აპირებდა, თავში ვთხლიშე. მადლობა ღმერთს, სკამის ზურგი ხელში შემჩნა. ამ ზურგით ნატის თავსაც ტაფასავით „მივუაღერესე“. ეს ახვარი დედაკაცი ხომ სხვებზე უკეთ აზროვნებდა. შემდეგ ამ მშვენიერი სურათის დასათვალიერებლად დრო აღარ დამიკარგავს, სასწრაფოდ ჯინსებში ჩაეძვერი, მისიურსა და ბოტასებს ხელი დავტაცე და მანქანისკენ ისარივით გაფრინდი.

კაბინის კარი გავაღე თუ არა, გოგონა გვერდით მომისკუბდა. ნარბენს მკერდი უორთოდა. მანქანა დაეჭოქე და მისკენ გავიხედე. თვალები უბრწყინავდა.

- ნაწილო, - ვუთხარი მე.

პირველი სიჩქარე ჩაერთე და „ვოლვო“ მოსეზე გამოვიყვანე. იმ ნახვერტიდან ნატომ რომ „მანუქა“, სისხლი ღვარად მდიო-



და და მთელ სვირინგს ფარავდა. გოგონა გადმოიხარა, წელზე ხელი მომხვია და ჭრილობას კოცნა დაუწყო. მაგნიტოფონში „ღოს ჩუნგიტოსის“ კასეტა ჩაერთო, უშველებელი მანქანა კი ჩვენს წინ გადაჭიმულ ასფალტზე პირდაპირ საზღერისკენ, ზღვისკენ გავაფრინო.

„ღლისით არ მეტხოვრება,
ღამით ეს რა ძელია...“

უკვე თნდებოდა, მე კი ყურებამდე შეყვარებული ვიყავი. დროდადრო, ანთებული ფარებით, ან შიდა რადიოქსელით ჩემი კოლეგების სალაშს ვიღებდი.

„ლაპარაკობს კარმონის ნინძა. ამბობენ, „ხალისიან სატყუარაში“ დიდი ჩხუბი იყო და ტრამაღლის მარტოხელამ თავი კარგად გაართვაო, წარმატებას უსუსრვებო.“

„ლაპარაკობს კარტახანელი ხინესი. ეს წუთია, ჩვენს წყვილს მოგკარი თვალი. გვერდით ჩამიქროლეს. როგორც ჩანს, კარგად არიან.“

„სარკეში გხვდავ, მარტოხელავ, და გზას ვითმობ... ოპო! ეს რა მარმელადი დაგი-თრევია! ჩვენისთანა გაღლეტილებისთვისაც დაგეტრევიან რამე, პა!“

- შენზე ამბობენ, - ვუთხარი გოგონას.

- ვიცი.

- ტელესერიალს ვგვართ, არა? ყველა ჩვენზე წუხს, ჩვენ კი მიეჭრიაართ და მიეჭრიაართ. უფრო სწორად, - ვთქვი და საჭე მოსახვევისაკენ მოვაბრუნე, - ამერიკულ კინოს ვგვართ.

უკან სარკეში გავიხედე. არაფერი მოგვედგა. ზომ არ მოგვეშენენ?

შემდეგ აღმივიდას ოქროს კბილი და ნატის კივილი გამახსენდა და მეტი არაა ჩემი მტერი, არ მოგვეშენენ-მეთქი, გაფიქრე. თვალღია ძილი კიდევ დიდხანს მომიწევს.

- პო... მართლაც კინოს გავს, - გავიმეორე მე.

თავი მართლაც კინოს თავგადასავალში ვდურთე. წარმოადგენა არ მქონდა, ან მე, ან გოგონას წინ რა გველოდა, მაგრამ ფეხებზე მეკიდა. გოგონამ კი ჩემი ჭრილობა კიდევ ბერჯერ დაკოცნა, შემდეგ ტუჩებიდან სისხ-

ლი ცხვირსახოცით მოიწმინდა და ნაწილ-ვირსახოცითვე მკლავი შემსხვავდა.

- საცოლე თუ გვავს? - უცებ შემეკითხა.

გაოგნებულმა შევხედე.

- საცოლე? არა მყავს. რატომ მეკითხები?

გზისთვის თვალი არ მოუშორებია და მხრები ისე აიქეჩა, თითქოს ჩემი პასუხი არ აინტერესებდა. შემდეგ კი, უცებ ქვეშევემად შემომხედა, ისევ მხარზე, ნახვევის ზემოთ მაკოცა და ცხვირსახოცი კიდევ უფრო მომიჭირა.

- პირატების ცხვირსახოცია, - ისე მითხრა, თითქოს ეს ყველაფერს ამართლებდა.

შემდეგ დასავლეთზე წამოწევა, თავი მუხლებზე დამიღო და დაიძინა. მე კი გზის გაყოლებით ჩამწკრივებულ კოლომეტრების სახომ ბოძებს შეეცქეროდი და ვფიქრობდი, რა საცოდაობაა-მეთქი, შზად ვარ, ჯანმრთელობაც და თავისუფლებაც დაეთმო, ოღონდ ამ სატვირთო მანქანას დაუსრულებლად მივაქროლებდე, სანამ რომელიმე უღაბურ კუნძულს არ მივაღწევ-მეთქი.

უკანასკნელი ნაპირი

- ზღვა, - წამოიძახა ნაწილმა და პორიზონტის ნაცრისფერ ხაზს დაფინებით მიაჩერდა.

მაგრამ ეს ზღვა არ იყო. უბრალოდ ორი მდინარე, ტინტო და ოდიელი, ერთმანეთს უერთდებოდა და უქლევს რომ შემოვუარეთ, უცებ გამოჩნდა. ერთხელ კიდევ გოგონა აიმონტში წამოხტა და ზღვად ახლა გუადინა ჩათვალა. მოკლედ, როცა, ბოლოს და ბოლოს, ზღვას ნამდვილად მივუახლოვდით, გოგონა გვარიანად გაბრაზებული იყო. ცხოვრებაში ზომ ყოველთვის ასეა: ოცნებობ, ოცნებობ მთელი თექვსმეტი წელი და როცა, ბოლოს და ბოლოს, ავიხდება, ისეთი სულაც არ აღმოჩნდება, როგორსაც ვლოდი. გაბრაზდები კაცი, აბა რა მოვივა!

- ჩემი აზრით, ეს ზღვა დიდი ნაგავია, - ბუზღუნებდა გოგონა. - ეს რ.ლ. სტივენსონი ნამეტანი აზვიადებს. კინოებიც ასეა.



- ეს ზღვა არ არის, ნაწილო. ცოტა მოი-
ცადე. ეს მხოლოდ მდინარეებია.

წარბები გაჯიუტებული ბავშვით შე-
ყარა.

- მდინარეა თუ რაღაცა ჯანდაბა, მაინც
ნავაგია.

აი ასე, მდინარეების გასწვრივ საზღვარს
მივალწიეთ და ველა-რეალ-დი-სანტა-ანტო-
ნიოში მშვიდობიანად გადაგვეყოთ. უცებ
გოგონამ ნამდვილი ზღვა დაინახა და ეს რა
მდინარეაო, იკითხა. მე კი ფარსის მოსეს
ტავირასაკენ ვაკუყვეი. იქ, ფართო სანაპიროს
უკიდევანო ქვიშარზე (ასეთი ადგილები
სამხრეთში ბევრია), სატვიროთო მანქანა გა-
ვაჩერე და გოგონას მხარზე ხელი დავადე.

- აი, ესაა ზღვა!

და უცებ მომინდა, სამუდამოდ ისეთი დამე-
მასხოვრებინა, როგორც მაშინ, ჩემი „კოლ-
ეო-800 მაგნუმის“ კაბინაში იყო. გოგონა
გატრუნული იჯდა. მისი ვეებერთელა და
ისეთი მუქი თვალები, რომ შივ ჩახედვაც კი
თაგბრუს მახვევდა, ქარით აფრიალებულ
ქვიშარს და ქაფმორეულ ტალღებს შესც-
ქვროდა.

- მგონი, შემოიყვარდი, - ისე მითხრა, რომ
ზღვისთვის თვალი არ მოუშორებია.

- კარგი ერთი, - ჩავიბურტყუნე. რაღაც
ხომ უნდა მეოქვა.

მაგრამ პირი გამოშრა. ერთი სული მქონ-
და, ავტირებულიყავი, სახე მის თბილ ყელ-
ში ჩამემაღა და საკუთარი ჩრდილიც კი
დამევიწყებინა. ახლა იმაზე ვფიქრობდი, ამ
წუთებამდე ჩემი ცხოვრება რა არარაობა
იყო.

უცებ ყველაფერი გამახსენდა, წამიერად
თვალწინ გადამეშალა - რეისების დროს
განცდილი მარტოობა, გზისპირა სამიკიტ-
ნოებში, ბენზინგასამართ სადგურებთან ასევე
მარტოდმარტო დაღუული ორმაგი ყავა,
სამხედრო სამსახურისას, სეუტში, ასევე
მარტოობის შეგრძნება და ელ-პუერტო-დე-
სანტა-მარიაში, მეგობრების მუდმივი მარ-
ტოსულობა, წელიწადნახევარი მეც რომ
ვიზიარებდი. უფრო ნასწაველი რომ ვყო-
ფილიყავი, ალბათ, „მარტოობის“ უღლებას
დავიწყებდი. მაგრამ, ჯანდაბას, მხოლოდ ზნა

შეიძლება აუღლო, ცხოვრებას კბი-რესთან
შეაუღლებ. წყველი ცხოვრება და წყველი
მარტოობა, გავიფიქრე მე და უცებ სული
გამითბა: რაღაც ისეთი ვიგრძენი, როგორც
ბავშვობაში დედა რომ გვეწერება და ისე
კარგად ხარ, ევკვადაც ვერ ხვდები: ეს მხ-
ოლოდ დროებითი სულის მოთქმაა, სანამ
შეგცივდება და შეგეშინდება.

- აბა, აქ მოდი!

ცხვირსახოცით შეხვეული მკლავი გოგ-
ონას კეფაზე შევაველე და ჩემსკენ მივიზ-
იდე.

ისეთი პატარა და სუსტი იყო და
საწოლში ახლადგაღვიძებული ჩეილი ბავშ-
ვის სურნელი ასლიოდა. უკვე გითხარით,
უსწავლელი ვარ-შეთქი. მაინცდამაინც ვერც
გრძნობებში ვერკვევი, მაგრამ ამჯერად მიეხ-
ვდი: სწორედ ეს სურნელი - ან მოგ-
ონებები, ეს წუთია რომ წამოიშალა -
ჩემი სამშობლო, ჩემი მეხსიერება იყო. და
თუ გნებავთ, ერთადერთი ადგილი ვახლ-
დათ, სადაც დაბრუნება და სამუდამოდ
დარჩენა მინდოდა.

- ახლა სად წავალთ? - შემეკითხა ნაწ-
ილი.

ეს მრავლობითი სიტყვა მომეწონა.
ჩ ვ ე ნ წ ა ვ ა ლ თ! კარგა ხანია
მრავლობითი რიცხვით არავინ დამლაპარ-
აკებია.

- ჩვენ წავალთ?

- პო. მე და შენ.

რ.ლ. სტივენსონის წიგნი კაბინაში, მის
ფეხებთან ევლო.

დიდი, შავი თვალების შუაში ვაკოცე. ეს
თვალები ახლა ზღვას კი არა, მე მიყურებდნენ.

- ნაწილო, - ვუთხარი მე.

შიდა რადიოქსელიდან ჩემი ესპანელი თუ
პორტუგალიელი მეგობრების ხმები ისმო-
და; ერთნი მარტოხელასა და მარმელადს
მოკითხვას უთვლიდნენ, მეორენი, ახალი ხომ
არაფერიაო, კითხულობდნენ. გზების რისხ-
ვამ, ფარულმა კოლეგამ, ტავირისკენ რომ
მიემართებოდა, სანაპიროზე შეჩერებული
„ეოლოვ“ იცნო და ისეთი ხმაურით მოგვე-
სალმა, თითქოს რომელიმე ტელესერიალის
გმირებს ესალმებოდა. რადიო გამოერთე.



ნაცრისფერი დღე იდგა, ქვიშარს დიდი ტალღები ესთეებოდა. მანქანიდან გამოვძვერით და ნაპირისაკენ წავედით. ჩვენს ირგვლივ ჭივილ-ზივილით თოლიები დაფრინავდნენ. ისეთი ცივი ხმით გაჰკოდნენ, რომ გოგონამ მონუსხულივით შეხედა. ადრე ეს ფრინველები ცოცხლად არასოდეს ენახა.

- რა კარგები არიან, - მითხრა მან.

- ოხრები არიან, - აეუხსენი მე. - გემის ჩადირვის შემდეგ ვადარჩენილ კაცს ვასაბერ ნავში წამით რომ ჩაეძინოს, ეს ოხრები მაშინვე მოფრინდებიან და თვალებს ამოკორტნიან.

- კარგი ერთი!

- მართალს გეუხსენი.

სანდლები გაიხადა და წყალთან მივიდა. ტალღებმა ფეხები მოულოკეს, ქაფით შემოსეს, შხეფებისაგან კი კაბა დაუსველდა და თეძოებზე მიეკრა. გოგონამ ბედნიერი სიცილით გაიცინა, ხელები წყალში ჩაყო და სახეზე და კისერზე მიისხა. წამწამებზე წვეთები დაეკიდა.

- მივეარხარ, - როგორც იქნა ამოვთქეი, მაგრამ ქარმა, სახეში ქაფსა და მარილს რომ გვაყრიდა, ჩემი სიტყვები შორს გააფრიალა.

- რა? - შემეკითხა გოგონა.

თავი გავიქნიე და გავიღიმე.

- არაფერი.

ერთმა მალაღმა ტალღამ თავზე გადაგვიარა და ასევე სველები ერთმანეთს გადავეხვიეთ. სველი კაბის ქვეშ ძალიან თბილი იყო და ჩემს მკერდში ჩაგრული ცახცახებდა. ეს ხომ ჩემი სამშობლოა-მეთქი, ისევ გაიფიქრე. მე ხომ ჩემს სამშობლოს ვეხვევი-მეთქი და იმ წუთში ისევ გამახსენდა, ამხანაგები ელ-პუერტოს ცხაურის ზემოთ ცის ოთხკუთხედ ნაჭერს რომ შესცქეროდნენ: გამახსენდა დაცვა, აჩოს მთაზე წამოჭიმულ კოშკზე მარტო რომ იდგა და ჩახმახს ცდუნებასავით დაჰყურებდა: გამახსენდა ორმოცტონიანი მოხეტიალეები ფერადი ჟურნალების მთელ გვერდებზე გამოხატული, ნაირნაირი ლამაზმანები, საჭის ორივე მხარეს რომ მიემარებინათ და ამ ხარს

თქვენ ვიძღვნიოთ, კოლეგებო-მეთქი, ჩემთვის ჩაველაპარაკე.

სიხარულით

შემდეგ შემოვბრუნდი, გზას გავხედე და „ვოლვოს“ გვერდით შავი, გრძელი და კუბოსავით ავისმომასწავებელი მანქანა დავლანდე. ერთ ხანს გაჩერებულ, ცარიელ კატაფალკს თვალმოუშორებლად შევცქეროდი და მშვიდი, ღრმა დალილილობის გარდა, არაფერს ვგრძნობდი. ჰო, თვინიერი დალილობა დამეუფლა. ნაწილი ისევ მკერდში მჟავდა ჩაგრული. რამდენიმე წამი ჭაფითა და მარილით ვაგვერებულ ჰაერს ღრმად ვისუნთქავდი და ვგრძნობდი, ჩემს მკერდზე მიგრული გოგონას სველი, გახურებული სხეული როგორ ცახცახებდა.

სისხლი მარღვებში წელა ფეთქავდა: პუ-პუ-პუ, პუ-პუ-პუ.

- ნაწილო, - ვთქეი უკანასკნელად.

და ვაკოცე. ისე წელა, დაგვიძვინებით ვაკოცე, თითქოს პირი თავლით ჰჭინდა სავსე, მე კი ფუტკარივით მივეწეებე. შემდეგ მოვიმორე და უკან, წყლისკენ ფრთხილად ვუბიძგე. მერე ხელი ჯიბეში ჩავიფავი და დანა ამოვიღე - ალბასეტე, ინოკსი - ნაწილს ზურგი შევაქციე და მასა და იმ სამ ფიგურას შორის ჩავდექი ქვიშარით რომ გვიანლოვებოდნენ.

- გაუმარჯოს, - თქვა პორტუგალიელმა აღმეიდაი.

ცხვირი მონგრეული ჰქონდა, ოქროს კბილიც აკლდა, ამიტომ მისი ღიმილი რადანაირად ჩამქალი და ბილწი იყო. მის უკან გაწეწილი და შეუღებავი ნატი მოიძურწებოდა. სახეზე პლასტიკები და მარლა ეკრა, ხელში კი ფეხსაცმელები ეჭირა, რათა ქვიშაზე უფრო მოხერხებულად ევლო. სულ ბოლოს თავშეხვეული და თვალბდალილაგებული ბარკალა მოაბიჯებდა. ნაძირალების იმ ბანდას ვაგდნენ, მძიმე ღამე რომ გამოუხტათ და მართლაც ასე იყო. ამაზე მძიმე ღამე მათ არასოდეს ქონიათ.

და, რა თქმა უნდა, ერთი სული ჰქონდათ გამსწორებოდნენ.

დანის ტარს ხელი მოუჭირე. მისი ლამის ნახევარმეტრიანი პირი ნაცრისფერ ელვასავით გამოხტა და ზეცაში აირეკლა.



მარჯვენა ხელში ზამბარამ გაიჩხაკუნა, მაშინ მარცხენა ავწიე, ცხვირსახოცი მოვიღლე და სვირინგი გამოვჩინე. „ნაწილი“ – სწორედ ჭრილობის ქვეშ ეწერა. გოგონა ზურგიდან მჭიდროდ მეკვროდა. ტალღები ნაპირს ღრიალით ეხეთქებოდა. მარილიანი ქარი გოგონას თმას უფრიალებდა და მისი წვერები სახეზე მეხებოდა.

ჩემი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი წამი დადგა. აქ, ზღვის ამ ქვიშნარში, ახლა მთელი ჩემი ცხოვრება იდგა და უცებ მიეხვდი, რომ მთელი ეს წლები, თავისი კარგითაც და ცუდითაც, მხოლოდ ამისთვის ვიცხოვრე, მხოლოდ ამისთვის ვემზადებოდი. უცებ მიეხვდი, რატომ იბადებიან და კვდებიან ადამიანები, რატომ არიან ყოველთვის ისეთები, როგორც არიან და არა ისეთები, როგორც

უნდათ რომ იყვნენ. შემდეგ პორტუგალიელი ალმეიდას თვალები დაეშინა და შავი პისტოლეტი დაეინახე და ისევ მიეხვდი, რომ ყველა ქალი, ნებისმიერი ქალი, თავის სხეულში და თაფლივით ტუჩებში შენივე პატარა ნაწილს რომ ატარებს, შენი წარსულია, შენი მესხიერება! სისხლისა და ხორცის ნებისმიერი მშვენიერი ნაწილი, კვლავ რომ შეუძლია აღორძინოს ის გრძობა, როცა სულ პატარა, ცხოვრების წინაშე შიშს ღედის მკერდზე მიკვრით ახშობდი, ერთადერთი სამშობლოა, რისთვისაც შეიძლება კიდევ მოკვდე და კიდევ შეაკვდე.

ამიტომ, დანის ტარს ხელი მოეუჭირე და პორტუგალიელი ალმეიდას შესახვედრად ისე დავიძარი, როგორც ნამდვილ მამაკაცს შეეფერება.

თარგმნა
მანანა მიქელაძემ

მთარგმნელისაგან

ესპანელი მწერალი არტურო პერეს-რევერტე 1951 წლის 24 ნოემბერს ქალაქ კართაგენში დაიბადა. ახალგაზრდობაში აკვალანგით იყო გატაცებული. 1970 წელს ნათობმზიდ ტანკერზე მუშაობდა. შემდეგ გახეთ „უებლო“-ს რეპორტიორი გახდა და აფრიკის მრავალი ქვეყანა მოიარა. ამის შემდეგ ტელევიზიის სამხედრო კორესპონდენტად დაიწყო მუშაობა და რეპორტაჟებს ბოსნიიდან გადმოსცემდა. პირველი ყურადღება მისმა რომანმა „ფარიკაობის მასწავლებელი“ (1988წ.) მიიპყრო, მაგრამ ნამდვილი წარმატება მწერალს რომანმა „ფლამანდიური დაფა“ (1990წ.) მოუტანა. ამ რომანს საფრანგეთში, როგორც საუცუესო დეტექტივს, გრანპრი მიანიჭეს. მისი ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული რომანის, „დიუმას კლუბი, რიშელიეს აჩრდილი“-ს მიხედვით რეჟისორმა რომან პოლანსკიმ მისტიკური ფილმი „მეცხრე კარიბზე“ გადაიღო. არტურო პერეს-რევერტეს კალამს ასევე ეკუთვნის რომანები: „ტყავი დოლისათვის ანუ სველიური ზიარება“, „კაპიტანი ალატრისტე“, „სამხრეთის დედოფალი“ და „კამანჩების ტერიტორია“, რომელიც სამხედრო კორესპონდენტის თვალთ დანახულ ბოსნიის ომს აღწერს.



ლასა ჩხარტიშვილი

ბათუმის თეატრის ისტორია და დღევანდელი

მორეალური წარსულიდან

თეატრალური ხელოვნება ბათუმში თავისი არსებობის 125 წელზე მეტს ითვლის, თუმცა მისი ფესვები უფრო შორეული წარსულიდან იღებს სათავეს. ბათუმიდან 10 კილომეტრის დაშორებით აფსაროსის ციხეში საუკუნეებით ადრე თმართებოდა თეატრალური სანახაობანი, V საუკუნეში ბიზანტიელი ისტორიკოსის პროკოფი კესარიელს აქ უკვე თეატრონის ნანგრევები და ხვდებოდა. ვონიო-აფსაროსის ციხე-ნაგრძლის ხელმძღვანელები, არქეოლოგები შოთა მამულაძე და ამირან კახიძე ბოლო პერიოდის გამოკვლევების საფუძველზე თვლიან, რომ ვონიოს თეატრონი ტიპური რომაული თეატრონია, რომელიც შიპოდროსთან ერთად რომაული ახალშენების აუცილებელი ატრიბუტი იყო. არქეოლოგები დაბეჯითებით აღიარებენ ამ თეატრის არსებობას და ასკვნიან, რომ იგი ნაშენი იყო სხა და ქვის მასალით, ციხის გარეუბანზე, რომლის მეცნიერული შესწავლა და გათხრების წარმოება დაგეგმილია 2008 წელს. ვამედოვნებთ, რომ აღმოჩენილი მასალა ბევრ ახალ და საინტერესო ინფორმაციას მოგვაწვდის ამ თეატრის შესახებ.

თეატრალური ბათუმი
სტანისმომხარებასი პერიოდში

დრამატული თეატრალური ხელოვნების განვითარება ბათუმში უშუა-

ლოდაა დაკავშირებული აჭარის დედასამშობლო საქართველოსთან დაბრუნების უმნიშვნელოვანეს მოვლენასთან. ილია ჭავჭავაძისა და მისი თანამებრძოლების მიზანი იყო ახლადშემოერთებული მუსლიმანი ქართველების შერწყმა დანარჩენ საქართველოსთან და ეს სწორედ ქართული სიტყვის მადლით, მისი ძალით უნდა განხორციელებულიყო. ამიტომაც იყო, „მუდმივი დასის“ პირველი გასტროლი ბათუმიდან რომ დაიწყო. ამ კონკრეტულ ფაქტს დიდი ეროვნული მნიშვნელობა ჰქონდა, რომელმაც ბიძგი მისცა ადგილობრივ სცენისმოყვარეებს, გაემართათ ქართული თეატრალური წარმოდგენები. 1879 წლის ივლისში ილია ჭავჭავაძის მიერ აჭარაში დაარსებული პირველი ქართული სკოლის შენობაში, ბათუმის პოლიცემისტერის მეუღლის ქეთევან ყურულის ხელმძღვანელობით და მეცენატობით „გამართა ქართული სცენა“, წარმოადგინეს ზურაბ ანტონოვის კომედია „განა ბიძიამ ცოლი შეერთო?“, რომლის შემოსავალი მთლიანად ქართულ სკოლას გადაეცა.

აჭარის მოსახლეობაში საოცრად ჩქარა დაიწყო თეატრალური კულტურის მნიშვნელობის გათვითცნობიერების პროცესი. თეატრი შეიჭრა ადამიანთა ყოფაში, გახდა მისი სულიერი ცხოვრების ნაწილი, გამრავლდნენ ერთუზაბატები, არტისტული ნიჭით გამოირჩეული ადამიანები.



ყოველწლიურად მდიდრდებოდა რეპერტუარი, თბილისის თეატრებში დადგმული ახალი პიესა ბათუმის თეატრშიც პოპულარობა ადგილს. სცენის-მოყვარეთა წარმოდგენები საოცარი პოპულარობით სარგებლობდა, დიდი ყოთნტერესი მაყურებელში, ბათუმში წმირად ჩამოდიოდნენ ქართული თეატრის თეატლსაინო წარმომადგენლები არა მხოლოდ გასტროლებზე, არამედ სამოღვაწოდ. მტკიცე ყოთ მათი სურვილი, ადგილობრივი მოსახლეობის კულტურული აღზრდის იდეისათვის დაეჭირათ მხარი. განსაკუთრებული აქცენტი პატრიოტული ხასიათის პიესებზე კეთდებოდა.

XX საუკუნის დასაწყისის ქართულ-მა თეატრმა მხარი აუბა ევროპულ და რუსულ თეატრში მიმდინარე ინტენსიურ ძიებებს და დაიწყო მოვლენათა ალტერნატიული კუთხით აღქმის არცთუ მარტივი პროცესი. საზოგადოებაში გაჩაღდა ცხარე დისკუსია თანამედროვე ხელოვნებაზე, მისი ინტეგრაციის პრობლემებზე ევროპულ კულტურასთან. მართალია, საბჭოთა ხელისუფლება ოფიციალურად დამყარდა საქართველოში, მაგრამ ჯერ არ ყოთ დაწესებული ცენზურა ხელოვნებაზე. ხელოვანები ჯერ კიდევ არ ყვნენ იდეოლოგიური წნეხის ქვეშ მოქცეულნი. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში არ ებრძოდნენ ე.წ. „ფორმალისტურ ძიებებს“ და ცნობილი თქმების ასლებური, თუნდაც არატრადიციული ინტერპრეტაცია არ იწვევდა სასტიკ პროტესტს. ასე გრძელდებოდა თორმეტი წლის განმავლობაში, 1933 წლამდე. ვოდრე არ შეიქმნა ერთიანი სარეპერტუარო პოლიტიკის მაკონტროლირებელი „მთავლიტი“. ამიტომაც თეატრში მოღვაწე ახალგაზრდობა ახმეტელის მეთაურობით ფრთებს შლის და გასაქმნს აძლეებს თავის შესაძლებლობებს. სან-

დრო ახმეტელის ირვლიე მეთაურობა პროგრესულად მოაზროვნე საზოგადოება: მხატვრები, მუსიკოსები, პოეტები, მწერლები, კრიტიკოსები. ერთად სტუმრობენ საქართველოს მთასა და ბარს, ზღვისპირეთს, თავიანთ შემოქმედებას აცნობენ მათ. განსაკუთრებული აქცენტი მაინც ბათუმზე კეთდება, ახლად შემოერთებულ საქართველოს ძირველ ნაწილზე. იმხანად ბათუმი იქცა პატარა ზღვისპირა ევროპულ ქალაქად (მაშინ ხომ ბათუმში „პირტო ფრანკო“ ყოთ). მკვიდრი მოსახლეობის დიდი ნაწილი ჩართული ყოთ ამ საერთო ერთვულ კულტურულ მართონში. ხელოვნება, განსაკუთრებით კი ქართული თეატრი (მაშინ ბათუმში ერთდროულად მოღვაწეობდნენ სიმზური, ბერძნული, სპარსული, რუსული, საოპერო და ქართული დრამატული თეატრები), ხდება მათი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი ნაწილი, ჯერ კიდევ მაშინ, როცა აჭარაში მცხოვრებთა თითქმის აბსოლუტური უმრავლესობა მუსლიმანური რელიგიის მიმდევარია, თეატრმა შეძლო ამ მენტალიტეტის მსხვრევაში მნიშვნელოვანი როლის შესრულება.

პროფესიული თეატრის
დაარსება

1932 წელს, როცა ახმეტელის ხელმძღვანელობით ბათუმში საგასტროლოდ იმყოფებოდა რუსთაველის თეატრი, გაჩნდა იდეა, რუსთაველის თეატრთან არსებულ სტუდიას მოემზადებინა ადგილობრივი საშინაობით კადრები, რომელიც საფუძველს ჩაუყრიდა მუდმივმოქმედ პროფესიულ დასს. ამ საკითხზე მოლაპარაკებას ახმეტელთან გამოიწინა ქართველი მოღვაწე შემედ აბაშიძე მართავედა. მისი ერთვული აზროვნების და შორსჭყრეტის ლოგიკური გამოვლინება ყოთ რუსთაველის თეატრის სტუდიაში ახალგაზრდა აჭარელითა ვაგ-



ზაგნა. შემოგომში ამ სტუდიის მსმენელი, უფრო მოგვიანებით კი, გამოჩენილი არტისტი მურაბ (მურად) ხინკაძე თავის მოგონებებში წერს: „შემდეგ აბაშიძე მანამდეც ცნობდა ანტიტელის, თბილისში არაერთხელ შესვედროდნენ ერთმანეთს, სტუდიაში ჩვენი სწავლის პერიოდში იგი ხშირად ჩამოდიოდა ჩვენთან და ანტიტელის ეტყოდა: – აბა შენ ციცი, ჩემი ხაშა. ჩემი შეილება შენთან არიან და კარგად მოუარე... გვეყო ვასტროლები, ახლა საკუთარი თეატრი მოგვიარს, მაგრამ ციცი ჩემი ხაშა, პირველი პიესა აქარის ცხოვრებიდან უნდა დაიდგას. ხომ ციცი, აქ ქართულ სიტყვას რა ძალია აქვს?“. რუსთაველის თეატრის ვასტროლების მსვლელობის დროს გამოცხადდა კონკურსი სტუდიაში მისაღებად, რომელშიც მონაწილეობდა სამოცდაათი ახალგაზრდა. ეს მათი მხრიდან გამომდინარეობდა იყო, რადგან მშობლებს ეუცხეობოდათ მსახიობის პროფესია. კონკურსზე აყენებ ციციცი, რომლებსაც მცირეოდენი სამსახიობო გამოცდილება ჰქონდათ, მათ შორის იყო თხოვე კობალიძე. კონკურსის შემდეგ შეირჩა 21 ახალგაზრდა: ნინო ფხაკაძე, ნუნუ თეთრაძე, ალექსანდრა გარნელი, ლილი აფხაზავა, თხოვე კობალიძე, თხოვე კობალიძე, ვრიგოლ კობახიძე, ხასან მეგრელიძე, ვიორგი ახვლედიანი, სულეიმან თურმანიძე, ქსედ ციციძე, ისკანდერ კაიკაციშვილი, ალექსანდრე სარჯველაძე, მიხეილ წიგნაძე, ილია ბაკურაძე, ხასან ვერძაძე, დურსუნ თხელიაშვილი, თმერ ხალვაში, ხასან ბეჟანიძე, მურად ვოვიტიძე, ასლანტ ბოლქვაძე და სულეიმან კახიძე. სტუდიელებს ნამდვილად გაუმართლათ, რადგანაც ასწავლიდნენ ისეთი მოღვაწეები, როგორც იყვნენ სანდრო ანტიტელი, აკაკი ფაღავა, შალვა აღსაბაძე, პავლე ბერაძე, თეატრის ისტორიას უკითხავდით გერონტი ქიქოძე, ხოლო ქართულ

ენასა და ლიტერატურას ^{მ. წინაშე} ტინე გამოსაურდია და ^{მ. წინაშე} ახალგაზრდები გულმოდგინედ შეუდგნენ სწავლას, რამაც დაადებითი შედეგომ გამოიღო და აისახა კიდევ თითოეულის შემდეგ კარიერაზე.

კურსდამთავრებულებმა თავიანთი პირველი სპექტაკლები რუსთაველის თეატრში წარმოადგინეს. ბათუმში დაბრუნებამდე გ. მდიანის „ბრმა“ და „ალკაზარი“ და კ. ვოლდონის „სასტუმროს დიასახლისი“ თეატრის რეპერტუარში დარჩა და თითქმის ერთი წლის მანძილზე თბილისელ მაყურებელს ხაშუალება ჰქონდა, ენახა სტუდიელთა სპექტაკლები. პირველი სპექტაკლი, რომელიც რუსთაველის თეატრის სცენაზე წარმოადგინეს, ვოლდონის „სასტუმროს დიასახლისი“ იყო. რეჟისორმა დიმიტრი ალექსიძემ ეს პიესა შეარჩია, ერთი მხრივ, იმიტომ, რომ ეს გახლდათ ახალგაზრდებისთვის ცდა კლასიკური შემკვადრეობის ათვისებისა. ვოლდონი თავისი პერსონაჟებით იძლეოდა იმპროვიზაციის საშუალებას წასაითთა მრავალფეროვანი წარმოჩენისთვის, მეორე მხრივ, პიესა საინტერესო იყო შინაგანი დინამიკური, ინტიმით, ღირსეულ, უადრესად ცოცხალი, მოძრა პერსონაჟებით. ყველაფერი ეს ხელს უწყობდა ახალგაზრდა მსახიობებს უნარიანობისა და ნიჭის კარგად გამოვლენისთვის. 1936 წლის 5 აპრილს გამართა პრემიერა, რასაც დიდი წარმატება მოჰყვა. სულმოუთქმელად ელოდნენ ბათუმში ახალი პროფესიული თეატრის დასთან შესვედრას. პრემიერიდან ათი დღის შემდეგ, გაზეთ „საბჭოთა აქარისტანში“ (1936, №87) გამოქვეყნდა სტატია, მასში ბათუმელებს ამცნობდნენ რუსთაველის თეატრის სტუდიელთა წარმატების ამბავს. სპექტაკლი გამოვიდა მშური, ხიცოცხლით და სხალისით აღსავსე.



წარმატებას შემდეგი გამარჯვება მოჰყვა. გიორგი მდივნის თანამედროვე თემაზე შექმნილი ბეისის „ბრმა“ წარმატება ერთდროულად განაპირობა თუხუფ კობალაძისა და მერაბ ხინიკაძისადმი დაკისრებული როლების უბადლო შესრულებამ. როცა სპექტაკლის წარმატებაზე საუბრობდა ბრეხა, არავინ აღნიშნავდა ახმეტელის დეაწლის ამ საშვილიშვილო საქმეში, არც შემდეგ აბაშიძეა მოხსენიებული სადმე, ისინი ცხეში იგებენ სტუდიელთა წარმატებების შესახებ და როცა 1937 წლის 18 მარტს საზეიმო ვითარებაში დიდი ზარზეიმით გაიხსნა „აქარისტანის სახელმწიფო აკადემიური დრამა“, მისი შექმნელები დახვრიტეს! მძიმე და დიდი იყო ცენზურის წნეხი. ახალგაზრდები სასტიკად გააფრთხილეს, ტაბუ დაედოთ თავიანთი მასწავლებელის ხსენებაზე. თეატრის გახსნის დღეს, გაზეთ „საბჭოთა აქარისტანში“ (1937, 18 მარტი) მოწინავე გვერდზე იბეჭდება სამი გამორჩეული, წარმატებული სტუდიელის: თუხუფ კობალაძის, მერაბ ხინიკაძისა და ნუნუ თეთრაძის საოცრად შშრალი მისაღებები. თუხუფ კობალაძე გვერდს არ უკლავს რუსთაველის თეატრის და ცდილობს, როგორმე გამოხატოს პატივისცემა იმ ადამიანებისადმი, ვინც ამ თეატრთან იყო დაკავშირებული. „ჩვენ აქარლები, ქართველი ხალხის რვილი შვილები, ქართველი ხალხის ხორცი ხორცი თავანი, სისხლი სისხლთავანი, — მსახიობებად მოგვაშადა რუსთაველის თეატრმა, რომლის მთელი კოლექტივი შეუნელებლად დაგვტრიალებდა თავზე, მშობლიური სიყვარულით ზრუნავდა ჩვენი მოშადადებისთვის“. სტუდიელები სანდრო ახმეტელის მსოფლომხედველობით იყვნენ ნახაზრდიოებნი, ყალობდებოდნენ გამრულ-რომანტიკული, პერიოკული თეატრის პრინციპებით და მათგან არაერთი ამ თეატრის გამორჩეულ ვარ-

სკლავად იქცა. მათ არასდროს წავლათ მათ თეატრის დაშვანდრებულ პრინციპებისათვის, და არა მარტო ხელოვნებაში, არამედ საზოგადოებრივ ცხოვრებაშიც. ბათუმმა დააწყო თეატრალური ქალაქის წესით ცხოვრება, მაყურებელი ბევრს მოელოდა ახალი დასისგან.

ბათუმის თეატრი ცდილობდა, ფეხი აეწყო დედაქალაქის თეატრებისთვის, რაც გამოთხატებოდა ძირითადად სარეპერტუარო პოლიტიკის, კონცეფციის იდენტურობაში. ბათუმის თეატრის სცენაზე იდგებოდა დედაქალაქის თეატრებში პოლიტიკურად აპრობირებული ბეისები. იყო უმნიშვნელო გადახვევებიც. ბათუმის თეატრს ერთდროულად რამდენიმე ფუნქცია დაეკისრა: უბრველეს ყოვლისა, მაყურებლის იდეურ-პოლიტიკური აღზრდა, ვერაფერ ვაბედავდა ამ გზიდან გადახვევას, და გამორიცხული იყო რისკის ფაქტორი, 1937 წლის რეპრესიებით გამოწვეული შიშის სანდროში რამდენიმე ათეულ წელს გრძელდებოდა, ამიტომაც თეატრი შეძლებისდაგვარად ცდილობდა, შეესრულებინა მთავრობის შეკვეთა, იდგებოდა კონიუნქტურული სპექტაკლები, მსახიობებიც ვერ ქმნიდნენ მნიშვნელოვან მხატვრულ სახეებს, რადგანაც დრამატურული მასალა ზშირად მხატვრულ საფუძველს იყო მოწყვეტილი.

ბატუმის თეატრის
მწიკრი

ქართულ საბჭოთა თეატრს არაერთ თემაზე ჰქონდა აკრძალული საუბარი, უფრო მეტიც, არსებობდა საა ბეისებისა და დრამატურებისა, რომელიც სამ ჯგუფად იყოფოდა, არსებობდა ბეისები, რომლის დადგმაც საბჭოთა სცენაზე დაუშვებელი იყო და არსებობდა აუცილებლად დასადგმელი ბეისები და მსოფლიც, რომელითა დადგმა აკრძალული არ



ყოფი, მაგრამ არც მისი განხორციელება იყო სასურველი. ასეთი დრამატურგების რიგში იყო სოფოკლეს, ბედისწერის თემა აღინაშნებდა საბჭოთა მთავრობას და არც სოფოკლეს პერსონაჟები ეხატებოდა დიდად გულზე, სოფოკლე სიმსიეთ ადამიანს აგვიწერს, როგორც ის უნდა იყოს. იდეალური ადამიანების წარმონაჩენი მთავრობის კულტურის პოლიტიკის მიზანი კი იყო, მაგრამ არა კლასიკური დრამატურგიიდან, მას აკმაყოფილებდა თანამედროვე საბჭოური ბიუსების გმირების პარაში სცენაზე, თუმცა უცხოეთის დახანაზად გარკვეულ კლასიკოსაც აძლევდა ვზახ მისკოცა.

არჩილ ჩხარტიშვილის მიერ ბათუმის თეატრში სოფოკლეს ტრაგედიის დადგმა გაბედული ნაბიჯი იყო. დღეს უფრო კარგად ჩანს, რა ქვეტექსტი იდო სპექტაკლში, რომელზედაც თვალის დახევა საბჭოთა ხელისუფლებამ. სპექტაკლის ხანგრძლივი სიცოცხლე სცენაზე არა მხოლოდ მაღალმხატვრულმა ხარისხმა უზრუნველყო, არამედ მოსკოველი მწერლების დელეგაციის ვიზიტმაც, რომელთა უმრავლესობამაც მხარი დაუჭირა სპექტაკლს.

„ოიდიპოს მეფის“ პრემიერა 1946 წლის 27 ივლისს შედგა, ომის დამთავრებიდან ერთი წლის შემდეგ. ოიდიპოსი, როგორც მხატვრული სახე, გმირია, თავისი ხალხისთვის, მისი კეთილდღეობისთვის თავდადებული ნამდვილი რაინდი. ეს იდეა წინა პლანზე პქონდათ წამოწეული სპექტაკლის ავტორებს. მის უკან კი ბევრი საყურადღებო მომენტი იყო კოდირებული. არჩილ ჩხარტიშვილი იუსუფ კობალაძესთან ერთად დიდხანს ემზადებოდა ანტიკური ტრაგედიისათვის, თბილისიდან მოწვეული ჰყავდათ ანტიკური ხელოვნების სპეციალისტი, პროფესორი პავლე ბერაძე, რომელმაც რამდენიმე ლექცია ჩაატარა ანტიკური კულტურა-

სა და ხელოვნებაზე, ისტორიაზე დასი დიდხანს ვადიოდა რეპერტორში. თამდენიმე თვის გადაბმულმა და შეუწყვეტელმა მუშაობამ თავისი სახურველი შედეგი გამოიღო, ბათუმის თეატრში დაიდგა სპექტაკლი, რომელმაც შეძლო, აკლამარაკებინა მისკოცა, ისწრებოდა სტატეების ციკლი ბათუმურ ოიდიპოსზე. სპექტაკლის წარმატება უზრუნველყო რიგების ზუსტად განაწილებამაც (კრეინტი - პ. თწკირველი, ტირეზია - გ. ასულედიანი, ქერუმი - ა. შველაძე, აიკასტე - ნ. ფხაკაძე, მწყეში - გ. თხაიშვილი).

იუსუფ კობალაძის ბრწყინვალე შესრულებასთან ერთად, მაყურებელს ხაზლავდა ტრაგედიის რეჟისორული გააზრება. სპექტაკლში ყველაფერი - მუსიკა (გ. კორშონი), მხატვრობა (გ. ცენტრიაძე), ერთ იდეას ექვემდებარებოდა, მაღალი ოსტატობით იყო დადგმული მასიური სცენები. ამ სპექტაკლით კიდევ ერთხელ დაამტკიცა რეჟისორმა, რომ მასიური სცენების დადგმის დიდოსტატი იყო.

არჩილ ჩხარტიშვილის ტრიუმფალური სპექტაკლის მაშინ პრინციპული მნიშვნელობა პქონდა. ავტორები ცდილობდნენ, წარმოეჩინათ, როგორია იდეალური ადამიანი და იდეალური მეფე. ეს ორი ცნება სპექტაკლში არ გამოირიცხავდა ერთურთის, პირიქით, მტკიცე ურთიერთმიმართებაში იყო ერთმანეთთან. ავტორები იზიარებდნენ მოსაზრებას: როგორია ადამიანიცაა, ასეთივე მეფეა და მისგან გამომდინარე მორალური კოდექსი ბატონობს სახელმწიფოში. იუსუფ კობალაძემ მაშინდელ საზოგადოებას და ხელისუფლებას აჩვენა, როგორია ადამიანი (პირველ ყოვლისა) და მეფეა ოიდიპოსი. მისი დანაშაულის და ცოდვების მუხედავად, სინანული და თანაგანცდა უნდებოდა მაყურებელს. ამის მიღწევა რთულიც იყო და სარისკოც. ეს ამოცა-



ნა იუსუფ კობალაძემ წარმატებით დაძლია. გარდა ამისა, ათვისტური საზოგადოება არ სცნობდა მას, როგორც ასეთს. ამიტომ ვასაგებია, რომ სულ სხვა განზომილებასა და შრეებში უნდა შევღწეოთ თეატრს, რათა ახლებური ინტერპრეტაციებით წარმოესახა იგი. სწორედ ამაზე მოუთხოვდა აკაკი ფაღავა, როცა „საბჭოთა ხელოვნებაში“ (1957, №2-3) წერდა: „ა. კობალაძემ როლის საფუძვლად დაუდო სიფთკლეს ფრაზა, მე ასეთ ადამიანებს ვქმნი, როგორც ისინი უნდა იყვნენო. დიდად ნიჭიერმა მსახიობმა კობალაძემ, სპექტაკლი პატრიოტული სულისკვეთებით გაშქვალა, თიდიპოსის სიყვარული ხალხისადმი, მისთვის თავდადება მსახიობს ასე რელიეფურად აქვს წინ წამოწეული, რომ მაყურებელი ნათლად ხედავს, თუ როგორი უნდა იყოს ხალხის მმართველი, მისი ნამდვილი მსახური“. ამკარაა, რომ სპექტაკლი ბევრ ასეთ ქვეტექსტს შეიცავდა, რომელზედაც საუბარი საბჭოთა კრიტიკაში არსად არ არის, ზოგიერთმა ცნობილმა თეატრმცოდნემ და თეატრის მოღვაწემ, რომლებმაც საჯაროდ გამოთქვეს თავიანთი აზრი სპექტაკლზე, შეგნებულად დახუჭეს თვალი ასეთი პასაჟების წინა პლანზე წამოწევისაგან, რომლის დერძეც იდგა სპექტაკლი.

სპექტაკლზე თავისი აზრი გამოთქვეყნა ლევინძაც გაზეთ „მოსკოვის ამბებში“ (1948, 27 ივლისი), რომელიც არჩილ ჩხარტიშვილის თხოვნით ჩამოფრინდა ბათუმში. როგორც თავად „აღიარა“ ერთ-ერთ ინტერვიუში, სკეპტიკურად შეხვდა რეჟისორის შიპატიკებს, „წარმოადგინეთ ჩემი აღტაცება, თიდიპოსი წარმომადგა მთელი თავისი სურათშულობით, შესაძლოა ტექსტი ცოტათი შეცვლილი იყოს, მაგრამ რეჟისორმა შეძლო ანტიკური ბიუისთვის თანამედროვე სული ჩაეღვა, იმ ვაგებით, რომ ბედისწერის ტრაგედია ვადაიქცა ადამიანურ ტრა-

გედიად, ტრაგედიად შეცვლილი ჰუმანური ადამიანისა, რომელიც მოვიდა სიძაროლის დასანახად, სპექტაკლში ძალიან ბევრი შთამბეჭდავი ფრაგმენტი იყო, იგი მიდიდა დიდი სიციხეველით“. კომისიის წევრებმა საქაროდ ხცნეს, საბჭოთა კავშირის თეატრალურ საზოგადოებას სპეციალურად შეესწავლა სპექტაკლი და პრემიაზე წარედგინა იგი. მხეილ შშვიდობაძე, რომელიც ახლოდან აკვირდებოდა პროცესებს, 50 წლის შემდეგ დაწერს („პირსიპირ“, 1997, აგვისტო): „როგორც კი კომისიამ საქაროდ სცნო სსრკ-ს თეატრალურ საზოგადოებას სპეციალურად შეესწავლა სპექტაკლი და პრემიაზე წარედგინა იგი, დაიბოლმწნ პროფესიონალები, მოსკოვს აწვეუბდნენ, კობალაძე დიდი მსახიობი არ არის და თიდიპოსი შემთხვევით გამოუვიდაო, სტალინური პრემიების კომიტეტიდან ჩამოვიდა თეატრმცოდნე მხეილ გროგორიევი, საკმაოდ უცნაური საბაბით, ენახა, რომ „მსახიობს ასე კარგი თიდიპოსი შემთხვევით არ გამოსვლია“. იმ დღეებში სპექტაკლი არ ვადიოდა და „მოკვეთილი“ ანახეს, თითქოს ყინული ვალხვა, როცა გრიგორიევი „მოკვეთილი“ ნახა, დარწმუნდა, რომ ქეშმარიტად დიდ მსახიობთან პქონდა საქე“ (თუმიცა, ჯემაღ ჩხეიძის წყაროთი, გრიგორიევი სპექტაკლი ნახა და ანგარიშიც დაწერა თიდიპოსზე, ამასვე ადასტურებს თეატრმცოდნე ვასილ კეკაძე). ბუნებრივია, გრიგორიევი, რომელიც ვასაკრიტიკებლად ჩამოვიდა, სპექტაკლს აუცილებლად ნახავდა, ტყულის თქმას ვერ ვაბედავდა, მით უმეტეს, ამის არანაირი სურვილი არ პქონდა, პირიქით, დაინტერესებული იყო, მოეძებნა საბაბი იმისა, რომ ეთქვა „სპექტაკლი მართლაც სუსტია“. გრიგორიევი აღფრთოვანებულ იდარჩა კობალაძის თიდიპოსით. მან მოსკოვურ ინგლისურენოვან გაზეთში



„მოსკოვის ახალი ამბები“ (1948, 27, 08) სტატიაც კი დაწერა ბათუმის თეატრის სპექტაკლზე. ვროფორიევი უფრო პოლიტიკურ დატვირთვას აძლევდა პატარა სანაწესადგურთა ქალაქში ასეთი სპექტაკლის დადგმის ფაქტს. დასკვნაში ნათქვამი იყო: „კობალაძის და ჩხარტიშვილის ოდიბოხის ებრძვის არა მხოლოდ ბუდისწერის იდეას. აქედან გამომდინარეობს რაინჰარტისა და ჩხარტიშვილის დადგმების ფინალის შორის არსებული განსხვავება. მოხის მთელი სპექტაკლის მანძილზე ქანდაკებასავით ასახელებდა ოდიბოხის. იგი ბოლომდე უმობრად იყო და მხოლოდ მამიკასა და უესტებს მიმართავდა, კიბით ძირს ჩამოვიარდებდა და იკარგება. კობალაძის ოდიბოხი კი, პირიქით, განწმენდილი, სპექტაკლის ბოლოს ზევით მიემართება“. სოფოკლეს „ოდიბოხს შეფე“ თრთოულ წელზე შეტ ხანს დარჩა მოქმედ რეპერტუარში.

„ოდიბოხს შეფეს“ საყოველთაო წარმატების შემდეგ თეატრის სარეპერტუარო პოლიტიკაში შევიდა ვარკვეული ცვლილებები, თეატრის ხელმძღვანელობა გუხს თანამედროვე დრამატურგიაზე იღებს. თმის პერიოდში და შემდგომ ხატქოთა დრამატურგიაში მნიშვნელოვანი მხატვრული ნაწარმოებები არ შექმნილა. ამ პერიოდის თეატრში ადგილი დაიკავა უმნიშვნელო და უმხანარო, დაბალი მხატვრული ღირებულების პატარა ბიესებმა. ცუნზურა კვლავ მძლავრად მუშაობს. თეატრი უნდა ემსახუროს ხალხს, მაშასადამე, პარტიას, თუმცა იდეურად უნტერესო ბიესების გვერდით მაინც იდგმება თანამედროვე უცხოური დრამატურგიის რამდენიმე ნიმუში, თღონდ ხატქოური კონცეფციით. ასეთი იყო მაგალითად, ფედერკო ვარსია ლორკას „სისხლიანი ქორწილი“, რომელმაც გამორჩეული ადგილი ვერ დაიმკვიდრა ბათუმის თეატრის რეპერტუარში.

ბათუმის თეატრი XX საუკუნის 60-იან წლებამდე

აგრძელებდა პატრიოტულ თემაზე შექმნილი ბიესების დადგმას, სპექტაკლები „ხატქოთა ხალხის გმირულ წარსულზე“ საბატოთ ადგილს იჭერდა თეატრის რეპერტუარში, ვროფოლ ბერძენიშვილის „დაჭრილი არწივი“ დიდხანს იყო რეპერტუარში.

XX საუკუნის 60-იანი წლებიდან ქართულ თეატრში მოდის რეჟისორთა ახალი თაობა: რობერტ სტურუა, თემურ ჩხეიძე, ვიზო ჟორდანიია, ლევან მირცხულავა... მათ მოაქვთ თავიანთი ხედვა მოგლენებისადმი, ცდილობენ, დაამკვიდრონ ახალი თეატრალური აზროვნება. ბათუმის თეატრის გაუმართლა იმ მხრივ, რომ ამ თაობის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელი, შემდგომში გამთენილი რეჟისორი ვიზო ჟორდანიია იგზავნება საშხატვრო ხელმძღვანელად. თუკი რუსთაველის თეატრში მკვიდრდებიან რობერტ სტურუა და თემურ ჩხეიძე, მარჯანიშვილის თეატრში — ლევან მირცხულავა, ბათუმის თეატრში გაყო ჟორდანიია ამკვიდრებს თავის რეჟისორულ ხელწერას, თეატრი ეთხოვება ძველს. ზოგიერთი ძველი თაობის მსახიობი მტკიანეულად აღიქვამს თეატრის განახლების საკითხს, ზოგი ეწინააღმდეგება კიდევ ახალი დროის მოთხოვნებს. თუსუფ კობალაძე იმ პერიოდის თეატრის ერთ-ერთი ბედნიერი გამთხაკელია იყო, რომელიც ახალგაზრდა თაობის რეჟისორთა ინტერესების „ორბიტაში“ მოექცა, თუსუფ კობალაძე უშუალოდ იყო ჩართული შემოქმედებით პროცესებში, ცდილობდა, მხარი დაეჭირა ახალი თეატრისათვის. მართალია, იგი ახმეტელის თეატრალური ესთეტიკის ტიპური წარმომადგენელი იყო, მაგრამ ბევრს მუშაობდა საკუთარ



თავზე, რათა თავი დაეღწია იმ ესთეტიკისაგან, რომელზე დაყრდნობით მან მიადგინა შემოქმედებით მწვერვალებს, ამის გამო ის ახალგაზრდების „ვუნდში“ აღმოჩნდა და სწორედ მათთან ერთად შექმნა არაერთი საინტერესო მხატვრული სახე, რომელთა შორისაც უპირველესია ვაჟა-ფშაველას მოტივებზე შექმნილი პიესა „მინდია“ (ინსცენირების ავტორი ვიორჯი ხალუქვაძე), რომელიც ვიხო ფორდანიამ დადგა. „მინდია“ დღემდე რჩება მნიშვნელოვან გამარჯვებულ ბათუმის თეატრის ისტორიაში. სპექტაკლის წარმატება ერთდროულად განაპირობებდა კარგმა ინსცენირებამ, გონივრულმა რეჟისურამ და სცენოგრაფიამ, რომლების ზუსტად გათვლილმა განაწილებამ. ვიხო ფორდანიამ ამ სპექტაკლით შეეცადა, ერთ სცენურ სიბრტყეში მოეცია გამრულ-რომანტიკული სულისკვეთება და ღრმა ფსიქოლოგიზმი. ამის მიღწევა რთული იყო, თუმცა ამოცანა წარმატებით დასძლიეს სპექტაკლის ავტორებმა.

XX საუკუნის 60-70-იან წლებში გამრულ-რომანტიკულ თეატრს ჩაენაცვლა ფსიქოლოგიური თეატრი. მწვერლობასა და დრამატურგიაში მოვიდა ახალი თაობა, რომელმაც მოიტანა განსხვავებული აზროვნება და მოვლენების, გარემოს (რომელშიც იმ დროს ხალხი ცხოვრობდა) განსაკუთრებული ხედვა და აღქმა. ახალი ქართული დრამატურგიის ლიდერი თამაზ ჭილაძე იყო, რომლის პიესები ინტენსიურად იდგებოდა ქართული თეატრის სცენებზე. ინტერესი ამ დრამატურგის შემოქმედებასადმი დღემდე არ განელებულა, მაგრამ მაშინ ჭილაძის პიესების ნამდვილი ბუმი იყო. საერთო თეატრალურ ტენდენციებში ბათუმის თეატრიც ინტენსიურად იყო ჩართული. ჭილაძის თეატრში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ბათუმის თეატრის სპექტაკლის „ბუდე მეცხრე

სართულზე“, რომელიც რეჟისორმა გურამ აბესაძემ დადგა. სპექტაკლს დიდი წარმატება ხვდა წილად. შესანიშნავად ასრულებდნენ როლებს მანუჩარ შერვაშიძე და ცირა აბზიანიძე. ამ უკანასკნელმა მაკას როლის შესრულებისათვის საქართველოს თეატრალური საზოგადოების სპეციალური პრემია – ქალის როლის საუკეთესო შესრულებისათვის დაიმსახურა. ცირა აბზიანიძემ მანამდე ამავე ავტორის პიესის „როლი დაიწყება მსახიობი გოგონასათვის“ მიხედვით დადგმულ სპექტაკლში გამოიჩინა თავი (ანთ. რეჟ. გ. აბესაძე).

ბათუმის თეატრი „აღორძინაულნი“ აჭარის პერიოდში

საგალალო აღმოჩნდა ბათუმის თეატრისათვის ბოლო ათწლეული. ამ პერიოდში ტრადიციით მიღწეული ინერცია ნელ-ნელა შეჩველდა და საბოლოოდ გაქრობის საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. თეატრი არათუ აკმაყოფილებდა თანამედროვეობის მოთხოვნებს, არამედ შემოქმედებითად სულს დაფავდა. დასმა დაქსაქსვა და დაშლა დაიწყო. თეატრი სამხატვრო ხელმძღვანელს საქაროვდა. სწორედ ასეთ რთულ პერიოდში გამოჩნდა ვამოსავალი, – ბათუმის თეატრში გიგა ლორთქიფანიძის რეკომენდაციით რეჟისორი ლევან მარცხუღავა ჩავიდა. ეს იმდროინდელი ხელისუფლების ინციპტივაც იყო. ამან ერთხანს პოზიტორი შედეგი მოუტანა თეატრს. რეჟისორმა გაითავისა რა შემოქმედებითი კრიზისის მიზეზები, ერთდროულად ორ სპექტაკლზე (გრ. რობაქიძის „ლაპარა“ და ფ. ანუის „ტიროლია“) დაიწყო მუშაობა. სპექტაკლებში ყველა თაობის მსახიობი იყო დაკავებული, რამაც დაქსაქსული დახის კვლავ შერწყმა შეძლო, სწორედ დასის





გამოლიანება იყო რეჟისორის უმნიშვნელოვანესი ამოცანა. ზედმედ გამართულმა პრემიერებმა მხოლოდ დასის სიცოცხლისუნარიანობა წარმოაჩინა. „ტოროლაში“ ერთდროულად გამოიჩინა ინდა ორი ახალგაზრდა მსახიობი – მიაა ცეცხლიძე და მალხაზ აბულაძე, მათ წინ პერსპექტივა გადაიშალა, რომელიც, სამწუხაროდ, დიდხანს არ გაგრძელებულა. აქარის ხელისუფლების ინციატივა, რომ ბათუმის თეატრში შემოქმედებითი სული განახლებულიყო, მონგენებითი აღმოჩნდა. ყოველივე ეს პოლიტიკური ინტერესები უფრო იყო, ვიდრე თეატრის განახლების მცდელობა და გულწრფელი სურვილი. სცენიდან მართალი ხატყვის მოსმენა ხელისუფლებამ არა ისურვა და თეატრს საბოლოოდ შეაქცია ზურგი. მისი პოლიტიკური ინტერესების არეალში ჯერ საოპერო სელონება, შემდეგ კი ბავშვთა ოპერა მოექცა, რამაც საბოლოოდ გამოაცალა ასპარეზი ბათუმის დრამატულ თეატრს, თუმცა რა დასამალა და ამ პროცესებში დასაც აქტიურ მონაწილეობას იღებდა და შინაურმა დაპირისპირებამ დღემდე გამოუსწორებელი დაღი დაასვა ბათუმის თეატრს.

პოსტრამპოლუციური
გათუვის თეატრი

„ვარდების რევოლუციის“ შემდეგ გაჩნდა უკეთესი მომავლის იმედი, ბათუმის თეატრს მიეცა უნიკალური შანსი აღედგინა ძველი დიდება, მაგრამ წლების განმავლობაში დამკვიდრებული უმუშევრობის და ნიპილიზმის ფესვები არც ისე იოლი აღმოსაფხვრელი აღმოჩნდა...

ხელისუფლების ცვლასთან ერთად, ბათუმის თეატრშიც გატარდა საკადრო ცვლილება. მთავარ რეჟისორად (რომელიც საერთოდ არ ჰყოლია თეატრს წლების მანძილზე) დაინიშნა მერაბ ლუბანიძე. მას ერთხელ უკვე ექირა

ბათუმის თეატრში ეს პოსტრამპოლუციურობას თეატრმცოდნე მადონა მიჭაფანაძე ასე აფასებდა: „სასოწარკვეთილი დასი თავის გასაჭირს რეჟისორებს აბრალეებს, რეჟისორები – მსახიობებს. გაუთავებელ შეკრებებზე, შეხვედრებზე თეატრის გამოჩენილ მოღვაწეებთან, უმაღლესი რანგის მოხელეებთან, არა და არ გაიჩვენებ, რა ხდება თეატრში. ერთი ნაწილი ძველ თაობას და აღმოსტრაცას უკეთებებს, მეორენა – ახალგაზრდებს. კინკლაობაში, ვადამბრალეობაში, საქმეების ვარჩევაში ვაფიქსირებოდა ბოლო ხეობი... თეატრის დირექცია ანალიზს უკეთებს უკანასკნელ პერიოდში დადგმულ სპექტაკლებს და არკვევა, რომ ბოლო ხუთი წლის განმავლობაში დადგმული სპექტაკლებიდან არცერთი არ აღმოჩნდა სიცოცხლისუნარიანი. მთავარ რეჟისორს სამი აუცილებელი თვისებიდან ორი ზმირად აკლია – პედაგოგურ-აღმზრდელობითი უნარი და ორგანიზატორული თვისებები. ამიტომაც, მისი ამ პოსტზე ყოფნა ძალზე ხანმოკლე აღმოჩნდა...“ („მარჯი“, 1993, №1, გვ. 14-15). ასეთი „გამოცდილები“ რეჟისორი ერთმეტი წლის შემდეგ კვლავ დაუბრუნდა ბათუმის თეატრს. პროცესები, რომელიც ბათუმის თეატრში მისი მოღვაწეობის პერიოდში წარიმართა, წააგავდა წინანდელს. მის მიერ დადგმული სპექტაკლები – ა. ბუშინის „ოქროს თევზი“ და სოფოკლეს „ელექტრა“ (თუმცა, მასში ყოველგვარი ლოგიკის ვარსებ „შეკაზმული“ იყო სოფოკლე. ჟ. სარტრი და ფროიდუ. დრამატურგები, რომლებიც თავისი კონცეფციებით უპირობოდ გამოირიცხავენ ერთმანეთს!) მარცხით დასრულდა. თანამედროვე მაყურებელი გულგრილობას მიენს კლასიკისამდვი (თუნდაც თანამედროვე ინტერპრეტაციით), მით უმეტეს, თუ იგი უინტერესოდა განმორცხვებული სცენაზე, მას თანამედროვე დრამატურგების ყოფი-



თი და ყოველდღიური თეატრიკა, კომიკური სიტუაციები და მქოლადრამები უფრო აინტერესებს, ახიდავს, სიხლავს, ვიდრე რომელიმე კონკრეტული ისტორიულ ფაქტში „ჩადებულ“ დღევანდელიობა, რომლის ამოკითხვასაც ცოტა დაფიქრება მაინც უნდა. ამისთვის დღევანდელი მაყურებელი ვეღარ იცლის. სარეპერტუარო პოლიტიკა, რომლებიც მ. ლებანიძემ მთავარი რეჟისორობისას შეიმუშავა, არ ითვალისწინებდა თეატრის გარშემო არსებულ რეალობას, ამ სიციუმის ინტერესებს, ვისთანაც უწევდა თავისი პროდუქციის წარდგენა, რის გამოც მაყურებელი თეატრს კიდევ უფრო მოწყდა. სპექტაკლები, რომლებიც მაშინ ჩაეშვა წარმოებაში, ვერ აკმაყოფილებდა მაყურებლის მითხოვნებს. თეატრმა მაყურებლის დაბრუნება კლასიკით სცადა და შეცდა, თუმცა მის მიერ არჩეული ვხით სარეპერტუარო პოლიტიკის წარმართვა პრინციპულად პქონდა გადაწყვეტილი მაშინდელ ხელმძღვანელს. ვერც რიბერტ სტურუას რეკომენდაციამ ვაჭრა, რომელიც არწმუნებდა მთავარ რეჟისორს, ეს სპექტაკლები არ „ვაიყიდებათ“. სტურუა კომპრომისზე წასვლას ურჩევდა მას, თუმცა მისმა ავტორიტეტმა ვერ ვაჭრა, რომ არაფერი ვთქვათ, მისი დიდი გამოცდილების ვაზიარებაზე. ვ. დონანაშვილის „ვატერ(პო)ლოს“ პრემიერაზე მისული მცირერიცხოვანი მაყურებელი, რომელსაც თეატრის გადარჩენა სპექტაკლზე დასწრებით სურდა, გაოცებული დარჩა, როცა თეატრის სცენიდან პოლიტიკური განცხადებები მოისმინა, დაბნეული მაყურებელი ხაერთოდ ჩაშოსცდიდა თეატრს...

მდგომარეობის გამოსწორების პასუხისმგებლობა თავის თავზე აიღო რობერტ სტურუამ; რაკი თავად ვერ შეძლებდა მუდმივად ბათუმში ყოფნას, მის ნამოწაფარ ვიორჯი თავაქმეს რეკომენ-

დაცია ვაუწია, დაბნეული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის თანამდებობაზე და მას საბატო, მაგრამ ამავედროულად, ძალზე სამასუხისმგებლო, ისტორიული მისიაც კი დააკისრა: წაქეული თეატრის განახლება, ახალი ესთეტიკის ჩამოყალიბება და დამკვიდრება, დასის რეორგანიზაცია... თეატრს, რომელსაც ანშეტულის პრემიის ლაურეატი რეჟისორი ჩაუდგა სთავაშე, ფაქტობრივად არ აქვს მოქმედი რეპერტუარი. სპექტაკლები, რომელიც მას დახვდა, შხატვრული დონის სხვაობის მოუხედავად, სხვადასხვა მიზეზით ვერ ცოცხლობენ სცენაზე. მკკვიდრეობა, რომელიც რეჟისორს დახვდა, მძიმეა, თუმცა მაინც საიმედო და გამოსწორებადი. დასი მას იმედის თვალით უყურებს, სჯერათ, რომ თეატრის გადარჩენა უამრავი დაბრკოლებების მოუხედავად, შესაძლებელია. ვიორჯი თავაქმე უკვე იცის, რისი ხილვა სურს სცენაზე ბათუმელ მაყურებელს. პირველ პრემიერად ვიორჯი თავაქმე მაყურებელს ირაკლი სამსონაძის პიესა „სადამოს ბაღში, როგორც ფერად სიზმარში“ შესთავაზა. ფანრობრივად აგი კომიკური ფანტასიზორიაა, მოქმედება ჩვენი დროის საქართველოში, საპრივტიზაციო ნუსხაში შეტანილი თეატრის შენობაში ხდება, თუმცა პიესის წამყვანი ხაზი ეს პრობლემა სულაც არ განლაგო. დრამატურგი თანამედროვე საქართველოს წინაშე წამოჭრილ ვლობალურ პრობლემებს ეხმარება... აღსანიშნავია, რომ პიესა ვერ არ გამოქვეყნებულია და მისი პირველად დადგმის საავტორო უფლება ბათუმის თეატრმა მოიბოგა.

რაც იყო გუშინ, ყველამ კარგად იცის. ვინც არ იცის, ის უფრო აინტერესებს, დღეს რა პერსპექტივა აქვს ბათუმის თეატრს და რა იქნება უახლოეს მომავალში. თეატრის ხელმძღვანელობას ვერ დააბრალებ დასში თაობათა შეცუ-



ლის პროცესისთვის ხელშეშლას, ხელ-
ლოვნების ინსტიტუტის სამსახიობო
ფაქულტეტის კურსდამთავრებულთა უმ-
რავლესობას საშუალება მიეცა თავიან-
თი შესაძლებლობების გამოვლენისა.
თეატრმა მათ ფართოდ გაუღო კარი,
მაგრამ ჯერ რაიმე მნიშვნელოვანი, ვან-
საკუთრებული ვერ შექმნა... მხოლოდ
რამდენიმეს აქვს პერსპექტივა დადგეს
კარგი მსახიობი. იმდენიმეც კი ნაპერ-
წკალი მათში ნამდვილად არსებობს.
შემოქმედებითი ძალები, რომელიც ბა-
თუმის თეატრის ჰეაგუს, სრულ მობილი-
ზაციას და გამოფხიზლებას საქარობს.
აუცილებელია დასის ფსიქოლოგიური
გარდატეხა და განახლება, რათა აღდგ-
ეს თეატრის ყოველდღიური ცხოვრების
რიტმი. ის რეზერვი, რომელიც თეატრს
აშკარად ვაძინა, თვისობრივად ახალი
ნაშთი უნდა გამოვლინდეს.

ცუდ დროს მოუწიათ ჩვენს მსახიობებს
მოღვაწეობა. ჯერ იყო და უაშრავმა
პოლიტიკურმა ქარიშხალმა გადაიარა,
შემდეგ „აღორძინებულმა“ „გამყინარე-
ბამ“. უმუშევრობის ფონზე თეატრში
იმატა დაუსრულებელი კინკლაობამ,
დაქაქურობამ. ახალგაზრდების უფროს
თაობასთან დაძაბულობა და კონფლიქ-
ტურმა დამოკიდებულებამ თავისი
გარკვეული ასახვა თეატრის შემოქმედებ-
ით იმოჯზე უკვე ჰმოცა. უფროსი თაო-
ბიდან, ყველას თუ არა, ნაწილს მანც,
ხელით ვარკვეული ბიოგრაფია აქვს. ერთ
დროს, ისინი წარმოადგენდნენ ბათუმის
თეატრს, ისინი ქმნიდნენ და ვან-
საზღვრავდნენ შემოქმედებით ატმოსფ-
ეროს. ახალგაზრდები კი, ამ შროვი, ხე-
ლმოცარულები აღმოჩნდნენ. ერთ-ერთ
ბიზად საუბარში, ბათუმელთათვის საყ-
ვარელმა მსახიობმა და კოლორიტულ-
მა პიროვნებამ ბურღია ინსკარველმა ნახ-

ევრად ხუმრობით მითხრა: ჩვენ უნდა
მსახიობები ვართ, როცა ქაღალქში (საქვანს
წევრების გარდა ვერაინ გცნობსო.
ადვილი მისახვედრია, ყის გულისხმობ-
და ბატონი ბურღია. იყო მის სიტყვებში
დიდი სიძაროლეც და დანანების ვანც-
დაც, გულისტკივილიც, რადგან მათ კარ-
ვად იციან მაყურებლის სიყვარული. ამ
თაობას სურს მეგობრობა მის „მემკვი-
დრებთან“, თავად ვებენ გზებს საერ-
თო ენის გამოსახად. დაალოვი კი
არცთუ ხშირად იძართება. ამის მიზეზი
ისიცაა, რომ რადიკალურად შეიცვალა
დამოკიდებულება გარკვეული ფსიქოლო-
ბისადმი, ადამიანები გაუცხოვდნენ ერთ-
მანეთის მიძართ. იმლაგრა ნიშილიზმ-
მა.

სწორედ ამ რთულ პერიოდში მოუ-
წია მოღვაწეობის დაწყება გიორგი
თავაძეს. სპექტაკლით „საღამოს ბაღში“,
როგორც ფერად სიზმარში“ მან შეძ-
ლო გარდატეხის დაწყება ბათუმის თე-
ატრში, რეჟისორი თავისი სპექტაკლით
გვესაუბრება ჩვენს ერთგულ ტკივილე-
ბზე, ფასეულობებზე, მანკურ შიარებებსა
და ღირსებებზე. სადა და ლაღმა, იუ-
მორით სასვე, ტკივილითა და სევდით
შეფარულმა სპექტაკლმა შეძლო მაყ-
ურებლის დაბრუნება თეატრში, მისთვის
მივიწყებული ესთეტიკური ტკობის
მინიჭება.

გიორგი თავაძის ხელმძღვანელობით,
ბათუმის თეატრი ნელ-ნელა იწყებს
გამოცოცხლებას, ბირველი სპექტაკლი
იყო მისი ერთგვარი მანიფესტი ახალი
გზის დასაწყისისა, ახალი ესთეტიკის
დამკვიდრებისა. ეს გზა ძალიან რთუ-
ლი და წინააღმდეგობებით აღსავსე გზაა...

ბათუმის თეატრს აქვს ზეაღინდელი
დღე, მომავალი ისევ და ისევ გიორგი
თავაძის და მისი გუნდის ხელთაა.



როგორ უყვარდათ საქართველოში წიგნი და მწერლობა

საქართველოს რადიოს „ოქროს ფონდის“ ორი ჩანაწერი

საქართველოს პირველი რადიოს იმეიათი ჩანაწერების ფონდს „ოქროს ფონდი“ ბატონმა აკაკი ძიძგურმა შეარქვა – რადიოს მხატვრული გადაცემების მაშინდელმა მთავარმა რედაქტორმა მას შემდეგ, რაც ამ ფონდის საბირველში პირველი აგური თეთონივე ჩაღო: მოიფიქრა და აღასრულა სამომავლო და საქართველოში – უმანვი ჩხეიძის მიერ ქართული პოეზიისა და პროზის შედგენებისა და მისივე მონაწილეობით რამდენიმე სცენისა და მონოლოგის მაგნიტოფონზე ჩაწერა. ამ ჩანაწერებს უმანვი ჩხეიძის თაობის სხვა მსახიობთა ჩანაწერებაც მიემატა. ეს მოხდა წინა საუკუნის 40-იანი წლების მიწურულს.

„ოქროს ფონდის“ დაარსებამ საფუძველი ჩაუყარა „შხატვრული შეტყვევების“, თუ შეიძლება ასე თქვათ, „სკოლასაც“ საქართველოს რადიოს ლიტერატურულ-დრამატულ რედაქციასთან. ვინა სკოლა არ იყო, რაც გააკეთეს ამ რედაქციასთან თანამშრომლობით სერგო ზაქარაიძემ, ვახო გომიაშვილმა, ვერიკო ანჯაფარიძემ, თამარ ქავჭავაძემ, ცაცა ამირჯიანმა, აკაკი ხორავამ, აკაკი ვასაძემ და მათმა მომდევნო თაობამ – ერთი მანჯავაძემ, გიორგი გუგუშვილმა, ნოდარ ჩხეიძემ, გურამ საღარაძემ, ზინა კვეციანი-ხილაძემ, გიორგი ხარაბაძემ, თენგიზ არაგაძემ, თორე მელიქიანი-უცუასმა, ვოცო ხარაბაძემ, ლაშქარაძე ჩხეიძემ, თათია ხანდრავამ, სხვებმა და სხვებმა... ყველას ჩამოთვლა შეუძლებელია. ამ სკოლის კეთილი მოღვაწეობის კიდევ ერთი დინამოს-

ოვარი შედეგია „რადიოთეატრი“, 50-იანი წლების დასაწყისში რომ შეიქმნა საქართველოს პირველ რადიოში, დღემდე ერთადერთია ქართულ რადიოსივრცეში და წარმატებით მონაწილეობს საზენიტარო-რადიოტელევიზიულ სფეროში.

რადიოს „ოქროს ფონდი“ მერე და მერე კიდევ უფრო ვაფართოვდა და მისი სახით დღეს ვაკეის ქართული კულტურის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საგანძური. ამჯერად შეიკრებოდა ამ საგანძურის ორ ექსპონატს გაეცინებ (ბეგრისთვის, ცხადია, ეს მხოლოდ ვახსენება იქნება)... და ეს ორივე ექსპონატი გურამ საღარაძის სახელს უკავშირდება.

1975 წლის ოქტომბრის ერთი საღამო. მაყურებლებით გადაჭედილი ფილარმონიის დიდი დარბაზი – გაჩაღებული, გაბრწყინებული. სადაც არის, უნდა დაიწყოს გურამ საღარაძის ლიტერატურული საღამო, მაყურებელი ელოდება. მაყურებელი ელის დიდ ამბავს – მან იცის, რომ უნდა შეხვედეს უწმინდეს სახელებს, მათს უწმინდეს შემოქმედებას... და შუამავალი ამ უწმინდეს სახელებსა და მას შორის არის გურამ საღარაძე – მსახიობი, რომელსაც დიდი ხანია, უნდობა, ვისთვისაც ბეგრავერ მოუხმენია. მაგრამ აქ, ცოტა სხვაგვარ გარემოში – გრანდიოზულ დარბაზში, ხალხის



უჩვეულო სიმრავლეში განხედება კი ეს ნაპურწყალი, მსახიობისა და მაყურებლის, მსახიობისა და მსმენელის შეხვედრასა და თანხვედრას რომ შექმნის?... და ელის, ელის და დღელავს... ეს სასიამოვნო დღეღვა და მოლოდინი, მშვენიერთან შეხვედრის მოლოდინი.

სცენის მიღმა ვაისმა ხმა:

*ო, ენაე ჩემო,
დუღაო ენაე,
შენ ჩემო ნიჟო,
სრბოლიაე და ფრენაე,
შენ, ჩემი სუნთქვის დიდი აღაშო,
შენ, ჭირთა ჩვენთა ტკბილიო მღაშო,
შენ, კართი ჩვენთა ქვათა და კართა,
შენ ერთი დამრწია სამარის პართან...*

ჯერ სცენის მიღმა ვაისმა-მეთქი მისი ხმა და მერე სცენაზე გურამ საღარაძე გამოჩნდა. არაკლი აბაშიძის „ხმა კატამონთან“ სპექტაკლის პროლოგი იყო.

შემდეგ კი, ცხადია, რუსთაველი – თავი და თავი, ამოსავალი, დასაბამი გურამ საღარაძის ლიტერატურული საღაშოებისა:

*ილიოკავს, იტყვის: მღაღალო ღმერთო,
ხმელთა და ცათათა,
ზოგჯერ მოსცემო პატაეთა,
ზოგჯერ კეთილია მშათათა,
უცნაურთ და უთქმელო, უფალო
უფლებათათა,
მოთვე დათმობა სურვილითა,
მფლობელი ვუღმობქმათათა.*

საქართველოს რადიოს „ოქროს ფონდიში“ ამ ლიტერატურული საღაშის სრული ჩანაწერის არსებობას დღესაც დიდი შინაგნებლობა აქვს არა მარტო იმიტომ, რომ თავხებავად, ეს დაუვიწყარი და, მართლაც, სამახსოვრო საღაშო იყო, არამედ იმიტომაც, რომ ამ ჩანაწერს ახსოვს, როგორ გვეყვარდა ჩვენ ყველას, თუნდაც, ამ ოცდაათი წლის წინ ქართული მწერლობა და ლიტერატურა, როგორ ვცემდით თავყვას ქართულ სიტყვას, როგორ ვცქვიამდა, როგორ ვგაღებდებოდა და ვგაფიქრებდა მისი მომავალი.

ჩანაწერში იგრძნობა, იგრძნობა კი არა, ძმის მაყურებლის, მსმენელის ვანცდა – ხანგრძლივი ტაში და ოვაციები. ზოგჯერ შექაზილუბიც კი იგრძნობა თითონ მსახიობის – გურამ სა-

ღარაძის რეაგირებაც ამ ტაშისა და ოვაციებზე. რა თანხვედრა იყო! აზრთან და განუღბათა თანაზიარობა, ერთ სულ უოღნა სცენისა და დარბაზისა! თეატრი სხვა არაფერია, თუ არა ამ ერთ სულ ყოფნის სიბარული! როგორ გვეყვარდა ჩვენ ყველას ერთად ქართული მწერლობა – ჩვენი დიდი, მრავალსაუკუნოვანი ლიტერატურა, ჩვენი ხაშაყე, ჩვენი არსის გამოიმთქმელი, გამოშატყელი, „ჩვენი ერთგნული თავისთავადობის საფუძველი“ (თამაზ ჭილაძე).

ნიკოლოზ ბარათაშვილი – წერილი მაიკო თრბელიანს, „სული თბილი“, „ფიქრნი მტკერის ბრად“...

გურამ საღარაძემ ერთ დროს რუსთაველის თეატრის სცენაზეც თამაშა ბარათაშვილი და რასაც ახლა ვისმენთ, იქნებ მაშინდელი განცდების გამოძახილაც არის, რადიოშიც კითხულობს ბარათაშვილს, მიერთფონთან. მაგრამ ეს სხვაა, იქ თითოეულს გვეკითხავს და გვეანდობს ბარათაშვილის ფიქრებს. აქ – ამდენ ხალხს ერთად! და ეს ვეფერთელა დარბაზი (ეს არ იყო სანახაობის სახელგულად მოსული დარბაზი) როგორც ერთი, ისე ვგრძნობს ბარათაშვილის ღირსეულ სულს. ეს თეატრია, სპექტაკლია, მონილოვია... და, სხვათა შორის, სანახაობაც... და როგორ სდებდა ეს ყველაფერი, იცის ღმერთმა, იცის თეატრმა, იცის სცენამ და იცის გურამ საღარაძემ...

თითქმის უკვე თქვა, რომ ამ ოცდაათი წლის წინ ფილარმონიის დიდ დარბაზში გამართულ გურამ საღარაძის ლიტერატურულ საღაშის თავისუფლების, ერთგნული სულის გამოღვიძების და ურთიერთსიყვარულის იდეა წარმართავდა. სწორედ მაშინ დაიწყო ილია ქავჭავაძის ამღვლევა, მისი იდეების გამოოცხლებვა, მაგრამ ჯერ კიდევ არ იყო ადგილი ილია ქავჭავაძის ისეთი პუბლიცისტური წერილის წაკითხვა სცენიდან, როგორც არის დღეს უკვე ფართე მკითხველისა და მსმენელისათვის კარგად ცნობილი „რა ვითხრათ, რით ვაგზხართი“. ეს იყო გურამ საღარაძის იმ საღაშის ყველაზე დასამახსოვრებელი ნაწილი, მარტო დასამახსოვრებელი კი არა, წარმშართველი, საღაშის სულის ვეფერების გამოშატყელი:

...ხმლიანმა მტერმა ვერ დაგვათმობინა, ვერ წაგვართვა ჩვენი მიწა-წყალი, ჩვენი



ქვეყანა. ხმლიანს მტკერს გაგუძელოთ, ვადა-
ვრსით, ქვეყანა და სახელი შევიანხოეთ, სახ-
სენებელი არ ამოვიკვეთოთ, შეკენარსუნეთ,
საქოლაფი არაფის აგაგებნეთ. ხმლით მო-
სულმა ვერა დაგვაკლორა. შრომით და ვარ-
ჯით, ცოდნით და ხერხით მოსული კი თან
გავგვტანს, ფუტქვეშადან მიწას გამოვგაცდოს,
სახელს ვაგვექრობს, ვაგვეწვევტს, სახსენებუ-
ლი ქართლმა ამოიკვეთეთ და ჩვენს მშენი-
ვრ ქვეყანას, როგორც უბატრონი საყდარს,
სხეანი დაუბატრონებინა... უზარმაზარი თხრო-
ლი ჩვენ, ქართველებს წინ და აინუნსიც არ
მოვდის. ამ თხროლის პირას ვდგავართ და,
საკმაოა, ხელი ვგვრან - და შიგ ვადავქუხუ-
ბით დედა-ბუდიანად. ორბი, არწივც კი ვეღ-
არ გვიპოვებს, ვეღარ დასწევდება ჩვენს ძე-
ლებს, რომ ვამოხრან, ვამოსწიქნან. ვდგვე-
ართ და უღონოდ ვბზუით - „მე ვარ და
ჩემი ნაბადი“ და ამ ბზუილიდან არა ვამო-
დის-რა. იქნება იმიტომ, რომ ყველა ბუზი კი
ბზუის, მაგრამ ფუტქართან კი ყველა ტყუის.
ახალი წელიწადი, თუ რამ შეგადლოა, თვალი
გავგვინდე, ყურებიდან ბაბამ გამოვგაცადე,
ფუტქრისაგან ვვასწავლე დროთა შესაფერი
სამამაკონი ზენა, რომ ჩვენმა შემდეგმა მანც
აღარა თქვას: რა ვთხროთ, რით ვაგებართ?“.
აი, ასეთმა საღამოებმაკ მოამზადა ჩვენი
ერთგული მოძრაობა, ჩვენი თავებულება და
დამოუკიდებლობა.

და ეს იყო ოცდაათი (და ცოტა მეტი)
წლის წინ.

ვაჭა-ფშავებლა - „დაგვიანებული პახუნი
აკაკის“.

აქ არ იმის სხვადასხვა პოზიციაზე მდ-
ვარ მოკამათოთა თუ მობაქრეთა ხმა. ეს არის
ორი ბუმბერაზის, ქართული პოეტური ენის,
ქართული პოეტური სიტყვის ორი დიდი შემო-
ქმედის, ქართული სალიტერატურო ენის მო-
მაგლისათვის მზრუნველი ორი დიდი პოეტის
დიადლოვი და ამ დიადლოვის მიზანი ერთია -
სწორი ვაზს მონახვა მომავლისკენ სახარუ-
ლიდ - ქართული სალიტერატურო ენის მო-
მაგლისკენ...

და ბოლოს: ეს არის მწერადღობა მიერ
ურთიერთობისკენ და ურთიერთდაფისე-
ბის საუკეთესო მაგალითი.

ახე წაიკითხა ვურამ ხალარაძემ ეს ლექსი
იმ საღამოს. წაიკითხა ქართული ენის, ჩვენი

ერთ-ერთი მთავარი სიწმინდის მარტირების
პათოსითა და სულსკვეთებით: თხროც ეს თ-
ტონაციაში უკვე იფრინობოდა ის განგაშიცა
და მღელვარებაც, რის წინაშეც ორიბაში წლის
შემდეგ დაედქით - 1978 წლის აბრილში,
როცა ქართველი სტრუქტორობა (და მახთან
ერთად მთელი ერი) საკუთარი ენის უფლება-
თა დასაცავად ერთად დადგა, მტკაცედ და
ურყევად გამოხატა თავისი პოზიცია და გაიმ-
არყვია კოდეც.

ამ გამარჯვებას წინ უძღოდა ბევრზე ბევრი
რამ და მით შორის ზემოხსენებული ლიტერ-
ატურული საღამოც.

მაგრამ ერთია ვურამ ხალარაძის, როგორც
მკითხველის ოსტატობა და მეთორეა მთელი
ლიტერატურული მასალის ერთ კომპოზიცად
გააზრება და წარმოდგენა, ამ კომპოზიციით
საკუთარი სათქმელის თქმა, დროის შესაფერ-
ისად აღქრება. ამასაც ოსტატობა სჭირდ-
ება.

ვურამმა მოახერხა, ისეთი ლიტერატურ-
ული მასალა შეკრნია და დაგვაგმინებინა
ერთმანეთთან, რომ შემდგომთა დროთა შესაფ-
ერისიც ყოფილიყო. იმიტომ არის, ოცდაათი
წლის წინანდელი საღამოს ჩანაწერს დღესაც
რომ არ დაუკარგავს მნიშვნელობა, დღევან-
დელ სატკივარსაც გამოხატავს და მჯერა,
რადიომსმენელი დღესაც ინტერესით მოუს-
მენს, თუკი ეს ჩანაწერი თერში მოხვდება.

სწორი ინტონაცია აქვს ნაბოენი ვალაკ-
ტიონის კითხვისასაც. რუსთაველთან ერთად
ვალაკტიონი მისი ლიტერატურული თვატ-
რის, ლიტერატურული საღამოების ამოსავა-
ლია. უხდება ვალაკტიონის მისი ხმის ხლებო-
ის თრთოლვით შეგრძნობის ყოველ ფრაზას,
ყოველ სტრიქონს და ამ თრთოლვარებისა
და მღელვარების ფონზე შეგრძნობა ვალაკ-
ტიონის უწყველო ვანცდები და სახეები, მისი
ლექსის მუსიკა, მთელი სამყარო ვალაკტიონ-
ის პოეზიისა...

*ქარმა ბუდიდან ყვავის ბახალა
ზაფხულის ტყეებს ვადაახალა,
ამსოდა ხმები ახლო-ახალი,
ტყე ტაძრისით იყო მაღალი.
ველადა ბალახი იყო კეკელი,
როგორც ხომწვიდე და ხარუცკელი.
ტაროდა მწარედ ყვავის ბახალა,
ქარმა ტყეებს რომ ვადაახალა.*



ქართული
საზოგადოებრივი
„მატერული მატერია“ - ჩემი მთავარი
პროფესია...
გურამ ხაღარაძე

მის საღამოს, ვიდრე გალაკტიონის კითხვის დაიწყებდა, გურამმა წინ წაიმძღვარა თვით გალაკტიონის მიერ წაკითხული (ვანსაცვიფრებლად წაკითხული!) „მთაწმინდის მიგრაცი“ ყველადათვის ცნობილი ჩანაწერი, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია, მკვლევარებით მოვლესმინა გურამისთვისაც, რადგან ის ლექსის ავტორის უსმენს. „განა მარტო ყურიოთა, გულთაოცა...“ ალბათ შევექვე გრძნობით ხედვება მთავარს და უმთავრესს და ჩვენამდე ასე მოაქვს ეს მთავარი და უმთავრესი.

ცხადია, ჩვენ ყველას ჩვენი გალაკტიონი ვგვაგებს, ჩვენი რუსთაველი, ბარათაშვილი, ვაჟა-ფშაველა და ნიკო ლორთქიფანიძე, მაგრამ როცა მათი ნაწარმოებებს მკითხველი ჩვენს გულისთქმისაც ამოცნობს, ეს უკვე სხვაა.

ნიკო ლორთქიფანიძის „საშობაო მინიატურებს“ გურამმა სწორი ინტონაცია მოუტანა, რაც მთავარია, მწერლის ტკიფელი ჩვენც გვაგრძნობინა.

შემდეგ იყო ლადო ასათიანის „საღაღადობო“, მუხრან მაჭავარიანის „აბრწ“ (მ წლებში ყველას გულზე რომ ხედებოდა)... და ბოლოს, იყო ვოთუქს „ეკიმონტი“ ფრაგმენტები ბეთპოეზიის მუსიკის თანხლებით.

ყველაფერი კი იმით დაკვირვებინდა, რომ ძალიან ძალე ეს მშვენიერი საღამო, მშვენიერი ხანახაობა, აზრისა და პოეზიის დღესასწაული და, საერთოდ, გურამ საღარაძის ერთგული მსახურება პოეტური სიტყვისადმი შეფასდა უმაღლესი დიდებითი - რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიით.

აი, როგორ უყვარდათ საქართველოში ამ ოცდაათიდე წლის წინ მწერლობა და ლიტერატურა... რა კარგად იცოდნენ სულიერ ფასეულობათა მნიშვნელობა, როგორ აფასებდნენ დიდ ქართულ პოეზიას, დიდ ქართულ მწერლობას, იცოდნენ, რომ აქ იყო ვაშლისაგვარი სული ჩვენი და არსი ჩვენი.

მე კი ისიც ვიცი და მწამს, რომ იაკობ გოგებაშვილის ბავშვობიდან დაუფასვარი ერთი მთხრობის არ იყოს, ჩვენს თავს, ჩვენს საყვარელს მშობლებსა და ხამშიბილისადმი ისევე ჩვენი მრავალსაუკუნოვანი დედა-მწერლობა და ლიტერატურა გვაპოვნინებს და დაგვიბრუნებს.

მატერული მატერია (მატერული კითხვა) - ერთობ რთული და საძიებური მატერიალი საქმე, ცხადია, ყველა მახლობლად არ ვაუხდია თავის პროფესიად... და ეს მატერული მატერია ვანსაკუთრებულად იყო დაკავშირებული რადიოსა და ტელევიზიისთან, რადიოსა და ტელევიზიის ლიტერატურულ რედაქციებთან, ესე იგი ჩემს პროფესიასთანაც.

ჩემი რადიოში ყოფნის წლებში იყო რამდენიმე მახლობი, რომელთა გარეშე ჩვენს რედაქციას არსებობა არ შეუძლო. ვიქცათ, ერთის მინჯვადი, ჩვენი თითქმის ყოველდღიური საქმიანობის მინაწილე, ჩვენი კუთხილი და ვანუყრელი მკვობარი, ჩვენი უმნიშვნელოვანესი ვადაცემების დამამშვენიებელი. ასეთები სხვებაც იყვნენ და მათ შორის იყო გურამ ხაღარაძე. არც უმიხოდ ვაგვეძიებოდა და გურამსაც, ვფიქრობ, უყვარდა რადიო, რადიოს ლიტერატურულ-დრამატულ ვადაცემათა რედაქცია და ხშირად იყო ჩვენთან.

ის ჩემამდეც მოღვაწეობდა რადიოში და ჩემს შემდეგაც, როცა მე ტელევიზიაში ვადაცევი, ალბათ, შეიძლება, თქვას, რომ მისი ლიტერატურული თეატრის რეპერტუარი რადიოში მუშაობის საფუძველზე ჩამოყალიბდა, ან იქნებ პირიქითაც - მისი ლიტერატურული თეატრის რეპერტუარი მთლიანად ვამოიყენა რადიოში. და ბევრი რამ, თითქმის ყველაფერი, რადიოს „ოქროს ფონდში“ შენახული. ბევრის ვახსენება შეიძლება, მაგრამ ახლა იმ დღეს ვახსენებ, როცა გურამი პროგრამა „სახსივარის“ სტუმარი ვახლდათ...

გურამმა მამამბო: „დრამატულ წრეში დაყვანიდი ყოფილ პირიქითა სახსილეთში. იქ იყვნენ შესანიშნავი რეპორაჟები. მსახიობები. მახსოვს თედო წეროძე - ფინტიკურად მოსიყვარულე, თეატრალური ხელოვნების... ბაქაიკო მსვიძე - ჩვენი ნოდარ მსვიძე, რომელიც ჩემი უფროსი მკვობარი ვანდა და მერე თითქმის მთელი ცხოვრება ერთად ვაგატარეთ. იმასთან დავიწყებ პირველად ლექსებს კითხვა. კონკურტები, შეხვედრები დიდ მსახიობებთან - ვიორჯი



დავითაშვილითან, ვანტანე ჭაბუკიანთან, რა ფიც... იქ დავიწყე ჩემი თეატრალური ცხოვრება... თუ დაითხი სათი იქ ვიყავი, სკოლაში ვაკვთივლებს ვაცდენდი ხოლმე. თეატრალურ ინსტიტუტში იქიდან მოვედი, დავამთავრე და მას მერე თეატრში ვარ, სხვაგან არსად წავსულვარ, მხოლოდ რუსთაველის თეატრში... რუსთაველის თეატრის ერთგული და ვარ...

პროფესიული თვალსაზრისით, ყოველთვის მიზიდავდა და მანტრერესებდა ის საიდუმლოება, რომელსაც ფლობდა სურგო ზაქარიძე... ძალიან მიყვარდა როგორც მსახიობი და როგორც პროფესიონალი. სხვათა შორის, ბატონი სურგო ცოტათი ვვითსტაც კი იყო, მაგრამ ჰქონდა ამის უფლება - უდიდესი მსახიობი ვახლდით! მე მისი პროფესიული მხარე მანტრერესებდა, მისი საიდუმლოებანი...

უდიდესი პროფესიონალი იყო ბატონი აკაკი ვასიძე, რამდენიმე მსახიობზე განაწილდებოდა მისი ცოდნა და ვამოცდივება.

პროფესიული თვალსაზრისით, მოხვდა ვეზული, ხალასი ტალანტი იყო აკაკი ხორავა, რადაც სხვა კატეგორიის... ამბობენ, ცოტას მისიზარმაცებდა... მაგრამ ისეთი ბრწყინვალე მწვერვალები აქვს დასწრებლი, რომ ვბატობა... ამას თავისი საოცარი ნიჭიერებით მიაღწია. უდიდესი მსახიობები იყვნენ მარჯანიშვილის თეატრში, ბრწყინვალე მსახიობები... უმანგი ჩხეიძე სცენაზე არ მინახავს, მაგრამ მისი მხატვრული კითხვა უმადლესი მწვერვალია. ნიჭიერებით აღსავსე ვასო ვიძიაშვილი? შევეუბლი? ესენი ყველანი იყვნენ მასწავლებლები, ამით რომ ვეყურებდით, თეატრში ყოფნა გვინდოდა, მსახიობობა გვინდოდა, ჩვენი პროფესიის დაუფლება გვინდოდა... ძირითადი სკოლა ეს იყო, ეს პლეადა უდიდესი მსახიობებისა... კონკრეტულად, უკვე ვთქვი, ვინც იყო მასწავლებელი - დოღო აღექვსიძე, მერე მხეიღო თუმანიშვილი...

მე მშაკაცებისა და მეგობრების გარეშე ცხოვრება არ შემიძლია. აი, მე და რამაზი... პოსტერთა სახსელიდან მოვეყვართ ერთად. სხვებაც, დანარჩენებაც... ვმშაკაცობი, ვმეგობრობი... ნაწყენი როგორ არ ვყოფილვარ, მაგრამ გულში რომ ჩამრჩენოდა ეს, არა! კი არ ვტრაბახობ, მაგრამ ასეთი რამ არასოდეს მქონდა. ჩუნი კი, ვიცო ხოლმე, კამათი, ზედმე-

ტი ყვირილიც, ყველაფერი, მაგრამ გულში არ ჩავიდებ... ჩვენი შორის ზოგმა შეტყობა ადწია, ზოგმა ნაკლებს, ზოგს შეეძლო, მეტისთვისაც მიეღწია, მაგრამ მოხდა ასე... ამიტომ არ უნდა ვაბიორთდევ, არ უნდა დიბოჯიბო, აი, ეს არის მთავარი და ასე ვცხოვრე მეც. სხვათაგან ბევრს უცხოვრია ასე და ბევრიც ცხოვრობს.

ადამიანები ვართ, შეკდომები ყველას მოგვლის - მთავარია, ვადარწმუნო არ მოხედვ, სადინაც ვამოსავალი აღარ არის, მიმხვდები?

ლიტერატურას ყოველი ჩვენგანისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს - განათლები-სათვის, სულის ზრდისათვის. რომ ვითხრა, დიდად განათლებული კაცს ვარ-შეოქი, არა... ნორმალური ადამიანი ვარ, არაფერი მაქვს განსაკუთრებული. რაც მიყვარდა, იმას ვეთაყვანებოდი ლიტერატურაში, რა თქმა უნდა, ქართულ ლიტერატურაში უპირველესად ყოვლისა. ამან ჩემზედაც იმოქმედა და... მერე მოლაღ დავეუფლე ჩემს მთავრ პროფესიას - მხატვრულ მეტყველებას... ეს მთავრ იმდენად ძლიერია, რომ ხანდახან მეტოქეობასაც უწევს ჩემს ძირითად პროფესიას - მსახიობობას ვეულისხმობ. ამან მომიტანა რუსთაველის პრემია, უდიდესი ჯილდო და ეს ერთერთმა პირველმა მე მივიღე მსახიობთა შორის. ამან მომიტანა კიდევ ბევრი რამ, თუნდაც, უ დ ი ე ს ი ვ ა ნ შ ა რ ტ ი ე ბ ა... ხშირად, საკუთარ თავთან რომ დარჩები და კითხულობ, უფრო მეტს განიცდი ხოლმე, ვიდრე მაშინ, მაყურებელის წინაშე რომ დგახარ. უდიდესი პოეზია გვაქვს და მეც თავს უფლება მივეცი, რაღაცა ფორმით ეს ვამომეხატა და ვამომეტანა სცენაზე.

ახლა... შენ ჩემი რეპერტუარი იცი და ეს მაყურებელმაც იცის - რუსთაველიდან დაწყებული დღევანდელ პოეტებამდე, მაგრამ დღეს შემიძლია ვთქვა, ჩემთვის ამოსავალი ვადაკტიონია. არა მარტო პოეზიაში, სხვათა შორის... აი, წუედან მკითხე, მასწავლებელიო. არ მინდა, სიტყვა „მასწავლებელი“ ვთქვა, მაგრამ - იდეალთა ცნობიერებისათვის, ვინებ-მას და გულისათვის, გრძობისათვის. ვადაკტიონია თავისი ხილრეუბით და ყველაფერი... ვადაკტიონი ბიჭიკო ჩხეიძის კარის მეზობლად ცხოვრობდა. ბიჭიკოს მამა - გიორგი ქუჩიშვილი და ვადაკტიონი მეგობრები იყვნენ.



გალაკტიონს ვიციანდით ისე, როგორც შეიძლება და სცნობოდათ პატარა ბიჭებს ეს უდიდესი პიეტე და ბოლომდე არც გვექონდა გაცნობიერებული, ვისთანა ვექონდა საქმე... მაგრამ ახლა, როცა ვარჯვეულ ასაკს მივალწვი და ვაინაღვიზებ ყველაფერს, გალაკტიონი ჩემთვის არის ამოსავალი წერტილი ცხოვრებისაკ, პოეზიისაკ, გრძნობისაკ, განწყობილებებისაკ, სიყვარულისაკ...

კიდევ ერთი რამ: როდესაც რომელიმე ნაწარმოებს ვკითხულობ (გალაკტიონს, ილიას, ვაჟას...), მინდა, ამით ჩემი სათქმელიც ვიქნა. მინდა მსმენელმაც სწორად გაიგოს. ეს ბუმბერაზები ჩემთვის მასალაა, ჩემს გულსა და გონებაში გაატარებ და ისე მივაწვდი მაყურებელსა და მსმენელს - ეს არის ჩემი პროფესია... თუ არა და, დაჯექი შენ და რამდენიც ვინდა, იკითხე წამოწოლილმა, ვინ ვიშლის? თუ ჩემს მოსახსენად მოდებარ თვატრში, მომხმინე, ჩემი სათქმელი ვაჟე“.

შახიობის პროფესია შატერულ ნაწარმოებში თავისებური შრეების აღმოჩენას გულისხმობს. შახიობმა ეს თავისი აღმოჩენები უნდა გააგრძნობინოს და ისეთ სიღრმეებში ჩაგვახედოს, რაც, იქნებ, ჩვენ ვერ შევამჩნივთ, თავისი დანახული ფერები უნდა შევავინჩვიყინოს, თავისი ვანცდა, თავისი დამოკიდებულება გამოხატოს. მაგრამ ეს ყველაფერი ამ ნაწარმოებებთან უნდა მოდიოდეს, წამკითხველმა მსმენელს თავს იხეთი რამ არ უნდა მოახვიოს, რაც შატერულ ნაწარმოებში არ დევს.

და ბოლოს:

- როგორ აფასებს გურამ სანჯარაძე თავის ხანგრძლივ მოღვაწეობას რადიოში...

- როგორ ვაფასებ და... ძალიან დიდი როლი ითამაშა რადიოში. სად იყო ჯერ მაშინ ტელევიზია - მახსოვს პატარა სტუდია კავშირგაბმულობის ხანის მუქქესე ხართულზე, ჯერ ერთი, სკენიდან ყველაფერს წაკითხვის საშუალება არა მქონდა - პოეზიას ვეულისძმობ, ლიტერატურის. რადიოში შექმნილი, სმარად მკითხა, მემუშავა, ჩამეწერა... სხვათა შორის, უნდა ვითხრა, რომ რადიოს ლიტერატურულ რედაქციაში თავიდანვე მაღალი გემოვნების, პროფესიონალი ხალხი იყო, კარგი ლიტერატორები, თავისი საქმე რომ უყვარდეთ და იცოდნენ... მეც დიდი სიყვარულით და სიხარულით ვთანამშრომლობდი...

- ჩანაწერებაც ბევრი გაქვს.
- ბევრი... თუ არ წაშლილა.
- არა, რადიოში არა...

- სამწუხაროდ, ტელევიზიაში ბევრი რამ წაიშალა და გული მეთოუქება. ჩემი კი არა მართო - სერგო ზაქარაიძის „ანტიფონე“ წაიშალა! ერთი მანჯგალაძის ჩანაწერები წაიშალა. როგორ შეიძლება მაგისთანა რამ! ეს ისტორიაა ჩვენი კულტურისა.

გული მტკივა, ძალიან მტკივა. რადიოში კი არის... ეს ხაუბარაც მერე ვაგვახსენებს დიკეანდელ ტკივლებს. ვიციკას გაახსენებს...

მთავარი კი ის არის, რომ გურამი ასეთი დღესაც - ცხოვრებაშიც და შემოქმედებაშიც...



ბენიკის ლიტერატურული ორიენტაციისათვის

ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში, ალბათ, არ მოიხსენიება ორი ისეთი ურთიერთგამომრიცხავი შეხედულება ჩვენი მხატვრული სიტყვის რომელიმე წარმომადგენელზე, როგორც ეს ითქმის მე-18 საუკუნის ლირიკოსის ბესარიონ გაბაშვილის – ბესიკის ლიტერატურულ ორიენტაციაზე.

ორი, პოლარულად განსხვავებული თვალსაზრისია გამოყენებული. ერთნი ბესიკს აღმოსავლური პოეტური კულტურის მიმდევრად, მეორენი წმინდა წყლის ეროვნული ტრადიციების გამგებლებად მიიჩნევენ. სამწუხაროდ, ამ მოსაზრებათა პირველ ნაწილს არ ახლავს კონკრეტული მასალის ანალიზზე ჩამოყალიბებული დასკვნები, ზოგადი მსჯელობითა და ფრაზეოლოგიით კმაყოფილდება. ზოგიერთი მათგანისათვის აღმოსავლეთის ლიტერატურული კულტურა, თავისი უძველესი და უმდიდრესი ტრადიციების, მნიშვნელოვანი აკადემიური კონცეფციების მიუხედავად რაღაც ფრივოლური, მსუბუქი სიძვევიერი ხელოვნებაა და მათ მიერ გამოტანილი მსჯავრიც ემოციური თუ პათეტიკური შემახილები უფროა!

ალბათ ამის გამო, ჯერ კიდევ 1925 წელს ვახტანგ კოტეტიშვილი თავის „ქართული ლიტერატურის ისტორიის“ პირველ წიგნში აღნიშნავდა, ჩვენში ის აზრია გატარებული, თითქოს ბესიკი სპარსული პოეზიის გავლენას განიცდისო, მაგრამ გვგონია, რომ ეს აზრი ზეპირი აზრი უნდა იყოს, რადგან ამ გავლენის კონკრეტული ჩვენება არავის უცლიაო.

მას შემდეგ რვა ათეული წელი გავიდა, ბევრი რამ ითქვა და დაიწერა ბესიკის შესახებ,

ზოგი იმ ზეპირი აზრის ანალოგიური, ზოგიც საწინააღმდეგო, სამწუხაროდ, ტრადიცია არ დარღვეულა და არავის უცდია, გაეკვია, რა ედო საფუძვლად იმ გაბატონებულ შეხედულებას, არავის უცდია, მაგალითებით ეჩვენებინა, თუ რა იყო ის აღმოსავლურ-სპარსული, რაც განსაზღვრავდა ბესიკის ლიტერატურულ ორიენტაციას, ან უარყო გაბატონებული მოსაზრება ასევე კონკრეტული საილუსტრაციო მასალის საფუძველზე. როგორც ერთი, ისე მეორე მხარე არსებითად განყენებული მსჯელობით კმაყოფილდებოდა.

ბესიკის ეპიგონად მონათვლის საბაბს მისი სატრფიალო ლირიკა იძლეოდა, თორემ ჩვენი პოეტის ეპიკური, სატირული თუ ეპისტოლარული ლიტერატურული მემკვიდრეობა ნაკლებად აღმრავდა ზემოაღნიშნულის ასოციაციას. მართლაც, მისი სატრფიალო ლირიკის უმეტესი ნაწილი აღმოსავლური ვერსიფიკაციული სისტემით იყო გაწყობილი. მაგრამ ამ შემთხვევაშიც კი ეს ფაქტორი საკმარისი არ უნდა ყოფილიყო, რათა ბესიკი სპარსული მხატვრული სიტყვის ქართულენოვან წარმომადგენლად ეცნოთ.

პრობლემა რომ ნათელი იყოს, უნდა ვიცოდეთ, თუ ვინ იყვნენ ის მკვლევარები, რომლებიც ასე ურთიერთსაწინააღმდეგო აზრს გამოთქვამდნენ და წერდნენ.

პირველი საინტერესო და მნიშვნელოვანი ცნობები ეკუთვნით დავით რეჭტორს (1745–1824), იოანე (1768–1830) და თეიმურაზ (1780–1846) ბატონიშვილებს. დავით რეჭტორი და თეიმურაზ ბატონიშვილი არსებითად ბიოგრაფიული ცნობების გადმოცემით კმაყოფილდებოდნენ.



ოფილდებოდნენ, იოანემ ბესიკის ლიტერატურული ორიენტაციის დადგენა სცადა, ბესიკმა ერთ-ერთმა პირველთაგანმა სპარსულ ზმებზე გააწყობა ქართული ლექსები.

შემდგომი პერიოდის ქართული ლიტერატურათმცოდნეობისა ასე გამოიყურება.

„ბესიკი სპარსული ლიტერატურის ეპიგონია“.

ეს ფრაზა ეკუთვნის ალექსანდრე ხახანაშვილს, მე-19 საუკუნის მოღვაწეს, მოსკოვის ლაზარევის აღმოსავლური ენების ინსტიტუტის პროფესორს. სამწუხაროდ, სწორედ მან სულ ორი-სამი წინადადებით ისე გამოუტანა ეპიგონობის განაწინი ბესიკს, რომ არც კი განუმარტავს, თუ რას გულისხმობდა ამ ტერმინით. „ვანაჩენში“ არაერთი უზუსტობაა. ამ არასწორმა, ყოველ შემთხვევაში, დაუსაბუთებელმა თვალსაზრისმა, გარკვეულწილად იმოქმედა შემდეგი პერიოდის ქართულ ფილოლოგიურ მეცნიერებაზე.

სამწუხარო გაცემებს იწვევს კორნელი კეკელიძის შეხედულება ბესიკის პოეზიაზე. მისი აზრით, ბესიკი არა მარტო აღმოსავლური სიტყვიერი კულტურის ეპიგონი, არამედ რამდენადმე აშუღური პოეზიის წარმომადგენელია.

ძნელია, პაიპარად შეხედო და ჩვენს ლიტერატურათმცოდნეობის პატრიარქის მოსაზრება უარყო, მაგრამ არც უამისობა ივარგებს. აშუღური, თურქულენოვანი ხალხების ნახევრადფოკლორული, სპეციფიკური, სოფლის მოედნების, ყვანანების, ქალაქის ოკრო-ბოკრო ქუჩების ე.წ. მინიზინგერული ხასიათის ხელოვნებას არ შეეძლო, არა თუ ზეგაეღენა, არამედ ყურადღება მიეჭვია ბესიკისა, ამ დახვეწილი არისტოკრატის, ნათიფი სტილის, ლექსის უჩვეულო პლასტიკის, არტისტიზმის, მწიგნობრული პათოსის მქონე პოეტისა. როგორც ჩანს, არც თუ დასაბუთებულმა ცნობებმა – ბესიკს კავშირი ჰქონდა ქალაქის დაბალი ფენების მოსახლეობასთან და მათ მეჭლიებში მონაწილეობადა, ცნობებმა, რომელიც ზაქარია ჭიჭინაძის მცდელობით ვრცელდებოდა, თავისი შედეგი გამოიღო და ბესიკი აშუღური ხელოვნების მიმდევრად აქცია. სამწუხაროდ, დღესაც კი აღმოსავლური ხელოვნების, მხატვრული სი-

ტყვისა თუ მუსიკალური ფორმების უფლები ვარი გამოვლინება, რომელიც მხოლოდ მისი შინიშნებოდა, აშუღურ კულტურად არის მიჩნეული. ალბათ, ამ მოვლენის გამოძახილი უნდა იყოს კორნელი კეკელიძის განცხადებები.

არანაკლებ უცნაურია აკაკი გაწერელის თვალსაზრისი:

ბესიკის გამოჩენამ სპარსული უღარდლობა და სიტყვის იშვიათი კულტურა მოიტანაო.

როგორც ჩანს, აკაკი გაწერელია ომარ ხაიამისა თუ ჰაფეზის პოეზიის ასოციაციით (ისიც რაღაც ექსტაზური ასოციაციით) მსჯელობდა, თორემ უღარდლობის პათოსი ბესიკის მხოლოდ ეპისტოლარულ-საოხუნგო ლექსებს ახლავს, რომელსაც სპარსულ სამყაროსთან არაფერი აკავშირებს. მისი სატრფიალო ლირიკა კი, პირიქით, დარდისა და სევდის სტიქიაა.

სამწუხაროდ, ამგვარ გააზრებას ვერ ასცდა ბესიკის შემოქმედების ერთ-ერთი საუკეთესო მკვლევარი გიორგი ლეონიძე. თავის ცნობილ ნაშრომში – „მგოსანი სათნავა“ წერდა, რომ ბესიკი თავისი შემოქმედების პირველ პერიოდში არ არის მოკლებული საიათნოვას მხატვრულ მანერებს (გვ. 3).

„...ბესიკი თავის შემოქმედების პირველ პერიოდში არ არის მოკლებული საიათნოვას მხატვრულ მანერებს“.

საიათნოვას საკუთარი მხატვრული მანერა არა ჰქონია. საიათნოვა აშუღური პოეზიის ტიპური წარმომადგენელი იყო, ხოლო ამ პოეზიას აღმოსავლური კლასიკური მწერლობის სტილი და მანერა ჰქონდა შეთვისებული. ბესიკის პოეზიაში ასეთი რამ თუ შეინიშნება (ის ხომ ზედმიწევნით იცნობდა აღმოსავლურსა თუ სპარსულ კულტურას), აქ საიათნოვა არაფერი შუაშია.

იმ მკვლევართა შორის, ვისაც ბესიკი აღმოსავლურ-სპარსული ლიტერატურული ორიენტაციის შემოქმედად მიაჩნია და ვინც სცადა, თავისი პოზიცია გარკვეულ წილად კონკრეტული მასალის საფუძველზე ეჩვენებინა, მთარგმნელი დავით წერედიაძეცაა.

მან 1987 წლის „ლიტერატურული ძიებანი“ №1 (16)-ში გამოაქვეყნა შრომა – „ახ-



ალი ქართული ლირიკის ჩამოყალიბების გზები" და აღნიშნა აღორძინების ხანის ლიტერატურაზე ტოტალური ზეგავლენა იქონია აღმოსავლურმა მხატვრულმა სიტყვამ. ძირითად თემად იქცა სოფლის სამეღურავი და სატრფიალო მოტივი, რომელშიც პიროვნულისა და კონკრეტული „მეს“ ადგილი ზოგადობამ, აბსტრაქტობამ დაიკავა. მხატვრული აზროვნება ერთგვაროვნებას, ზოლო პოეტრეკა რუტინას დაემორჩილა. შემოქმედის ინდივიდუალობა ტიპოლოგიურობამ შესცვალა და სინამდვილის ასახვის მცდელობაც კი აღარ შეინიშნებოდა. ბესიკი ამ ლიტერატურის ტიპური და უკანასკნელი წარმომადგენელი იყო, რომლის იქით ჩიხი იწყებოდა.

ეს ყოველივე თითქმის სრული ჰემმარიტებაა, გარდა აღმოსავლური მხატვრული სიტყვის აქტიური როლისა. საქმე ის გაბლავთ, რომ:

1. მოვლენა მხოლოდ აღმოსავლური კულტურისათვის არ ყოფილა ნიშნული. იგი ეპოქალურია და დამახასიათებელია ქრისტიანული კულტურისთვისაც.

2. ამ მოდელის თეორიულ სისტემას წარმართავდა ე.წ. „იგივეობის ესთეტიკის“ კონსტიტუციური ძალის მქონე კანონი.

3. ეს მოდელი სრულად აკმაყოფილებდა იმ დროის მკითხველის ესთეტიკურ მოთხოვნილებას, მისი დარღვევა შემოქმედისთვის კრახის ტოლფასი იყო.

4. ბესიკი ვერც ახალ თემატიკას შემოიტანდა, ვერც რეალურობის ასახვას შეეცდებოდა. ჩვენს მკვლევარს თუ მამუკა ბარათაშვილისა და დავით გურამიშვილის ლიტერატურული პრინციპები აქვს მხედველობაში, რომლითაც „იგივეობის ესთეტიკის“ კანონიკური სტრუქტურაა უაკყოფილა. ეს სრულიად სხვა პრობლემაა. გათვალისწინებული უნდა იქნას ის ფაქტორიც, რომ მათი ლიტერატურულ-ესთეტიკური მსოფლმხედველობა არა „აღორძინების ხანის“ საქართველოში, არამედ მის გარეთ ჩამოყალიბდა.

5. ის მოთხოვნებიანი, რომელთაც დავით წერდიანი აყენებს ბესიკის წინაშე, არც სამართლიანია და არც რეალური. ბესიკის პოეტური მემკვიდრეობა არ შეიძლება შეფასდეს „დაპირისპირებულობის ესთეტიკის“ პრინციპებითა და პოსტულატებით.

განსაკუთრებით არასასურველი აღმოჩნდა პუბლიცისტური ლიტერატურის, რომელიც უფრო თავისუფალია, ვიდრე პოეტური თავშეკავებულობისაგან. იგი პათეტიკურ სტილსა და პათოსში შეზავებულ არასწორ შეხედულებებს ნერგავდა. საუბარია გრ. გარელის პუბლიკაციაზე, რომელიც 1911 წელს გაზეთ „За Кавказье“-ს ორ ნომერში (275, 276) დაიბეჭდა. აი, რამდენიმე ამონარიდი:

„...ბესიკი სისხლითა და სულით შევილია ცეცხლოვანი აღმოსავლეთისა“.

„...ბესიკი მღეროდა, როგორც უზრუნველი ჩიტი, არ ადარდებდა საზოგადოებრივი მღელვარება“.

„...ბესიკის პოეზია გადაცემულია გრაციულ-პეროვან აღმოსავლურ სამოსელში – ღვინო და ქალი“.

მოურიდებლად უნდა ითქვას, რამდენი სიტყვაც არის, იმდენივე უზუსტობა და შეცდომა.

ამ მასზარებდათა ნაწილი ზ. ჭიჭინაძის წიგნის გავლენაა.

მართალია, პუბლიცისტკამ უფრო მეტად უნდა გამოიყენოს პათეტიკა, ელემენტური ლექსიკა და ა.შ., მაგრამ ფაქტების სიზუსტეს უნდა იცავენ.

„ცეცხლოვანი აღმოსავლეთი“... მეტყველი სტრიქონია, მაგრამ ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ ცეცხლოვანი აღმოსავლეთის პოეზიას არ წარმართავდა უზრუნველობა. განა ომარ ხაიამის პოეზია უზრუნველობის შეგრძნების მატარებელია? განა ამ პოეზიიდან არ ისმის ადამის ძის ტყვილი და უსუსურობა წუთისოფლის წუთიერებით გამოწვეული? გრ. გარელის წერილი ბესიკის პოეზიაზე არასერიოზულია.

თურმე ბესიკს საზოგადოებრივი მღელვარება არ აწუხებდა და უზრუნველი ჩიტივით გლობდა. ბესიკს, ისევე, როგორც ყველა ნორმალურ ადამიანს ყველაფერი შემაწუხებელი შეაწუხებდა, მაგრამ მხატვრული სიტყვა არ იყო გამიზნული საზოგადოებრივი ტყვილების ამსახველად. ეს პრობლემა განმანათლებლურმა ეპოქამ და მოძრაობამ წამოაყენა.

რაც შეეხება ღვინოს, ბესიკს იგი ერთხელ აქვს მოხსენიებული და არა იმ კონტექსტში, როგორც ეს გრ. გარეის ჰგონია.



თითქმის ანალოგიურია აკაკი პაპავას წერილი, დაბეჭდილი გაზეთ „ლომისში“ 1922 წლის №26-სა და 27-ში. სრულიად საკმარისია ამ წერილიდან ერთი-ორი წინადადების გაცნობა, მკითხველი მაშინვე მიხვდება სტატიის პათოსს:

„...აღმოსავლეთის სატრფიალო-სასიყვარულო ლირიკას ორი მხარე აქვს – ორივე შიში-რი ღრმა აზრით, ფაბულით, ვით აღმოსავლეთის მძინარე უდაბნოში ჭის ძირი და უხვი ფერებით, ვით სპარსული ხალიჩა“.

„...ბესიკიც ხომ აღმოსავლეთის ლირიკოსია, მისი მწერე ცრემლებით დაწურვის მქონი“.

„...მან ლამაზი ტანჯვა იცოდა.“

წინამდებარე წერილში აღარაფერია ნათქვამი ზ.კიკნაძის თვალსაზრისზე. მის მიხედვით ბესიკის პოეზია უნდა შეფასდეს მხოლოდ სოციალური პრინციპებიდან.

მოყვანილი მასალა მხოლოდ ნაწილია იმისა, რომლითაც განსაზღვრულია ბესიკის ლიტერატურული ორიენტაცია, როგორც სპარსულ-აღმოსავლური.

ზემოთ ნათქვამი იყო, არსებობს საწინააღმდეგო პოზიციაცო. ყველაზე ფასეული ალექსანდრე ბარამიძის, სარგის ცაიშვილის, ასევე დავით ლაშქარაძისა და ალექსანდრე კალანდაძის შეხედულებანია და აქ მათზე იქნება საუბარი.

მოღვაწეობის ადრეულ პერიოდში ალ. ბარამიძე იზიარებდა გავრცელებულ მოსაზრებას, თუმცა ერთგვარად ორჭოფობდა, იგი წერდა: ბესიკის ლიტერატურული ინტერესები ძირითადად განსაზღვრული იყო ქართული საზოგადოების ცხოვრების პირობებით. ამასთან ერთად მას ბესიკის ლირიკის ეროტიკული ნაეადი აშკარად სპარსული კულტურის საკუთრებად, იქიდან ნასესხებად მიაჩნდა.

სამწუხაროდ, არ ვიცი, ჩვენს ლიტერატურათმცოდნეობაში შესწავლილია თუ არა ეროტიკა, როგორც ლიტერატურული ფაქტურა, მაგრამ ნუთუ ისე უცხოა ქართული მხატვრული სიტყვისათვის, რომ მისთვისაც სპარსეთში გვიწევს სირბილი? აი, ეს

სტრიქონები განა ანგელოზივით, დაბეჭდვებული კაცის ნათქვამია: **ბიზნესი საქართველოში**

*პოე, მდადო, მდადო,
თევზს გადაუვღვე მადო,
ეს ჩემი საწყალი თავი
შენს ძუძუებში ჩაეღო!*

შემდგომ აღბარამიძემ დიამეტრალურად შეიცვალა შეხედულება და განაცხადა, რომ ბესიკის პოეზიაში არ იგრძობა აღმოსავლური პოეზიისთვის ნიშნეული თავისებურებანი და მათ შორის უმთავრესი – განყენებული პირობითობა.

გაკვეთილწილად სწორი შენიშვნაა, მაგრამ რაში და როგორ ვლინდება იგი, გამოკვლევაში არ არის ნათქვამი. ამიტომ მკითხველისათვის ეს თვალსაზრისი გაურკვეველი და ძველად სარწმუნო აღმოჩნდება.

უფრო ენერგიულია სარგის ცაიშვილი. იგიც სპეციალურად მუშაობდა ბესიკის შემოქმედების შესასწავლად და არა ერთი საინტერესო და მნიშვნელოვანი თვალსაზრისი შესთავაზა ქართულ ფილოლოგიას. მისი აზრით, „ბესიკის პოეტიზირებული ბიოგრაფია და სიყვარულის კონკრეტულ სახეში წარმოდგენა აშორებს მას აღმოსავლური პოეზიის სამყაროსაგან“.

ესეც სრული ჰემარიტება გახლავთ, მაგრამ რა არის „პოეტიზირებული ბიოგრაფია“, ან სიყვარულის არაკონკრეტულ სახეში წარმოდგენამ როგორ უნდა დააშოროს ბესიკი აღმოსავლური პოეზიის სამყაროს, განა გაუგებარი არ არის?

კიდევ უფრო რადიკალურია დ.ლაშქარაძე. მისი თქმით, ბესიკის სატრფიალო ლირიკა თემის გააზრებითა და მოტივებით უპირისპირდება აღმოსავლურ პოეზიას. მკვლევარი იშველიება ს.ცაიშვილის თვალსაზრისს, რომ ბესიკთან ტრფობა რეალურია და არა აბსტრაქტული, როგორც ეს აღმოსავლურ ლიტერატურაშია. ეს მეტად რთული და მნიშვნელოვანი პრობლემა მოითხოვს სერიოზულ კვლევას და საილუსტრაციო მასალას, რაც არც სარგის ცაიშვილს და არც დავით ლაშქარაძეს არ გამოუყენებიათ.



ალექსანდრე კლანდაისათვის ბესიკის შემოქმედება კლასიციზმის ნიმუშია. რაც შეეხება სატრფიალო ლირიკას, ავტორის აზრით მასში უხვადაა როგორც ეროვნულ-ნატურალისტური სულის, ისე სპარსული პოეზიის მოტივები, თუმცა ეს ყოველივე არ ეწინააღმდეგება კლასიციზმის ესთეტიკასა და მსოფლგაგებას.

მოცემული ინფორმაციიდან ნათელია, რომ ბესიკის ლიტერატურული ორიენტაციის გამოსაკვეთად ჭერ კიდევ ბევრია საფიქრალი „და შესასწავლი. პირველყოფილია ბესიკის სატრფიალო ლირიკა მთელი თავისი თეორიული თუ პრაქტიკული ფაქტურით უნდა შეუჯერდეს აღმოსავლური, ევროპული და ეროვნული მხატვრული სიტყვის მასალას, უნდა გაიკვეს, სად ემთხვევა და სად შორდება მათს იდეურსა თუ პოეტურ-ესთეტიკურ სამყაროს, რაც მთავარია, გარეგნულ მსგავსებას არ უნდა მიეცეს უპირატესობა, მხედველობიდან არ უნდა იქნას გაშვებული მე-19 საუკუნის ერთ-ერთი ინტელექტუალური მონაპოვარი — თეორია კულტურათა ტიპოლოგიურობის შესახებ. ცნობილი ორიენტალისტის ვიქტორ ჟირმუნსკის თქმით „ტიპოლოგიურობა განსხვავდება ლიტერატურული გაჯენისაგან“².

წინამდებარე სტატიაში ზემოხსენებულ პრობლემათაგან ერთი, შედარებით მცირე, მაგრამ მნიშვნელოვანი საკითხია დაფიქრებული, ვცადეთ იმის გარკვევა, თუ რამდენად იდენტურია ბესიკის სატრფიალო ლირიკის სიუჟეტური დინამიკა აღმოსავლური სატრფიალო ლირიკასა და ექვემდებარება თუ არა ამ რეგიონის მხატვრული სიტყვის თეორიულსა და პრაქტიკულ პრინციპებს. ფილოლოგიურ მეცნიერებაში საყოველთაოდ მიღებული პრინციპით, ლირიკის ეანრი შეზღუდულია, მხოლოდ შემოქმედის შინაგანი, სულიერი აფეთქების შედეგად აღძრულ შთაბეჭდილებებს ასახავს, რომელიც შემდგომ ლექსში იმპულსურად განსხვავდება. ამისდა მიუხედავად, მას შესაძლოა ჰქონდეს

დასაწყისი და დასასრულიც, შეიძლება ამბავი გადმოსცეს.

ეს ზოგადი დებულებაა. ბესიკის ლიტერატურული ორიენტაციის გასარკვევად აუცილებელია, ვიცოდეთ, თუ როგორ არის ასახული ეს პრინციპი ერთი მხრივ შუა საუკუნეების მახლობელი აღმოსავლეთის, ხოლო მეორე მხრივ — ბესიკის ლირიკაში.

შუა საუკუნეების მხატვრული სიტყვის ბევრი ლიტერატურული კომპონენტი, მათ შორის სიუჟეტიც თავისებურებებით გამოირჩევა. მას ეპოქის ესთეტიკურ-იდეოლოგიური სინამდვილე განსაზღვრავდა, ხოლო ე.წ. კლიშეობრივი კანონი მკაცრად იცავდა. ფაქტიურად არ არსებობდა თვით უკიდურესად შეზღუდული დინამიურობა სატრფიალო ლექსისა. დავიმოწმებ სპარსული ლიტერატურის ცნობილი მკვლევარის მ.-ნ. ოსმანოვის სიტყვებს: „...სიუჟეტის მჭონე ლირიკული ლექსი არ არის დამახასიათებელი IX-X და შემდგომი საუკუნეების სპარსულ-ტაჯიკური პოეზიისთვის“.

თუ კი შუა საუკუნეების მახლობელი აღმოსავლეთის რეგიონის მხატვრული სიტყვის სატრფიალო ლირიკისათვის უცხოა დინამიკა, მაშ, რა სასუფალებით არის გადმოცემული ის ადამიანური განცდები ტრფიალისა, რომელიც იმ ეპოქის აღნიშნული ლიტერატურის უდიდეს ნაწილს მოიცავს?

ცნობილია, ამ რეგიონის სატრფიალო ლირიკის უმნიშვნელოვანესი წილი ლაზელის ფორმით არის დაწერილი. მისი თავისებურება კი ის არის, რომ ყოველი ორკარედინი ბეითი შინაარსობრივად დასრულებულია, იმდენად დამოუკიდებელია მეზობელი ბეითებისაგან, რომ მათი გადაადგილება არ არღვევს ლექსის შინაარსსა და განწყობილებას. ლაზელი თავისი ბეითებით ერთი თემის მეტნიკურ ნაკრებს წარმოადგენს. რუსი ორიენტალისტის ედუარდ ბერთელსის თქმით, „შემაკავშირებელი შინაარსი ლაზელისთვის იმ პერიოდისა (XIV-XVII სს.) არ იყო სავალდებულო, კავშირი იქმნებოდა მხოლოდ

2. В. Жирмунский. Сравнительное литературоведение, Л., 1974, 83-45



ერთიანი განწყობილებით, ერთი საზომითა და რითმით”³.

ლაზელის სტრუქტურა იტყუა ლექსის კონცეფციას, რამდენადაც მკითხველის წინაშე გამოტანილი განცდები არ წარმოადგენდა მოულოდნელ, ავტორისეულ ინდივიდუალურ განწყობილებას. „იგივეობის ესთეტიკის“ საფუძველზე შემუშავებული მოდელი სატრფოსი და მეტრფესი არ ითხოვდა დროის დინამიკას. ამიტომ ორკარედიანი ბეითური სტრუქტურა ლაზელისა აღარ საჭიროებდა სიუჟეტს.

ყოველივე ზემოაღნიშნული ტიპური ფორმულაა შუა საუკუნეების აღმოსავლური სატრფიალო ლირიკისა.

თუ ბესიკი ეპიგონია, მაშინ, ბუნებრივია, ტიპოლოგიურად უნდა იმოკრებდეს აღნიშნულ მოდელს.

ერთი რამ კიდევ: ბესიკის სატრფიალო ლირიკის უმეტესი ნაწილი არა ლაზელი, არამედ მუხამბაზია.

გასაკვეთია, ლაზელის შეცვლა მუხამბაზური ლექსით ხომ არ იმოქმედებს შედარების შედეგზე?

არ შეცვლის, არ იმოქმედებს და აი, რატომ:

მუხამბაზი, ისევე, როგორც მისი საწყისი მუსამათი, პოეტური ფიგურის თავზანის საშუალებით ლაზელთან არის დაკავშირებული – უკვე დაწერილ ბეითს შესატყვისი რითმითა და რიტმით სამი კარედი ემატება.⁴ მუხამბაზის ზოგადი ვერსიფიკაციული სტემა და რითმული კონსტრუქცია ლაზელის სრული ანალოგია. ამიტომ მუხამბაზური ლექსის სტროფთა გადაადგილება შინაარსსა და განწყობილებაში ცვლილებებს ვერ გამოიწვევს. მუხამბაზის ყოველი სტროფი ისევე, როგორც ლაზელის ყოველი ბეითი, დასრულებულია, ისევე, როგორც ლაზელში, მუხამბაზშიც სტატკურია. აღწერილია მხოლოდ ტრფიალის შედეგი, სატრფოს მომზიბვლეობა. გამორიცხულია ამბის დინამიკა, თუნდაც მარტივი სიუჟეტური განვითარება.

ბესიკის სატრფიალო 19 ლექსიდან (სასრულბლომ აღ.ბარამიძისა და ვარკამ. თოფჩიას რიას რედაქციით დასტამბულ თხზულებათა სრული კრებულით. მხედველობაში არ არის მიღებული სადავო ლექსები), სამი მათგანი „სევდის ბაღს შეველ“, „მე მივხვდი მავას შენსა ბრალეებსა“, „ბუღბუღი მოდის მწყობარებით“, სიუჟეტის თვალსაზრისით, რადიკალურად განსხვავდება აღმოსავლური ლაზელურ-მუხამბაზური სატრფიალო ლექსებისაგან. ფაქტიურად მთელი ციკლია, რომელშიც მოთხრობილია პოეტის სასიყვარულო ისტორია, რომელიც დროის გარკვეულ მონაკვეთს მოიცავს. ამიტომ მას სიუჟეტური განვითარება ახასიათებს.

იმის გამო, რომ ეს ე.წ. „სევდის ბაღის“ ციკლი დიდი მოცულობისაა და მისი ილუსტრირება გარკვეულწილად უხერხულია, მოკლე შინაარსს შევახსენებ მკითხველს.

1. „სევდის ბაღს შეველ შენალონები“

ლექსის პერსონაჟი, დამწუხრებული პოეტი, სევდის ბაღს მიაშურებს „ვარდის კონების საკრეფად“, მაგრამ მოულოდნელად ვარდი მას არ შეუშვებს და ცივი ურით გამოაძეგებს ბალიდან. ყარიბი პოეტი ვერ მიხვდა ვარდის მრისხანების მიზეზს და ამბის გასაგებად მიუბრუნდა იქვე მდგარ იას. იაც „მწყრალად გამოშხირალი“ შეხვდა პოეტს და ამცნო, რომ იგი მოლაღატა.

ლირიკული გმირისთვის ვითარება მინც გაურკვეველია. მან ახლა ნარგიზს შესთხოვა, მიეგზავნოს ვარდთან და აუხსნან საქმის ვითარება. ნარგიზი უფრო ლომბიერი აღმოჩნდა და აუწყა, რომ ვარდი შენი თავდადებული მეგობარი იყო. შენ კი სხვაზე გასცვალე, ეს არის მისი მრისხანების მიზეზიო.

ვარდისგან ზელნაკრავი პოეტი დაჭდება ბაღის შესასვლელთან. მას სიკვდილისთვის აღარ ებრალვის თავი.

ეს არის პირველი ლექსის მარტივი სიუჟეტი, მარტივი, მაგრამ მინც ამბავი, მინც მონათხრობი, მინც შინაარსი. მაგრამ ადვილი შესამჩნევია, რომ ლექსი და ამბავიც

3. Е. Бертельс. Избранные труды. Навой и Джами, М., 1965, გვ. 62

4. Б. შაველიძე, სპარსული მუსამათი, „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, 1989, №3, გვ. 78-87



შეწყვეტილია, არ არის დასრულებული, მკითხველმა იცის ბრალდების არსი, მაგრამ არ იცის ლექსის პერსონაჟის დამოკიდებულება მისადმი. მოსალოდნელია, რომ ამბავი უნდა გაგრძელდეს.

2. „მე მივხვდი მაგას შენსა ბრალდება“

ღიახ, ამბავი ამ მეორე ლექსში გრძელდება, მეორე ლექსი პირველის უშუალო და ორგანული გაგრძელებაა. სხვათა შორის, ეს ფაქტი აღნიშნული დავით რექტორსაც ჰქონდა.

ლირიკული გმირი ბოლოს და ბოლოს გაერკვევა საქმის ვითარებაში და ბრალდებულისგან ბრალმდებლად იქცევა, რადგანაც ეს ყოველივე არ ახალი და ვიდაცის შეთხზულია. ნარაგის აქ განსაზღვრული ფუნქცია ეკისრება, იგი მფარველად უნდა მოველინოს ყარბ პოეტს. მაშასადამე, მეორე ლექსში იხსნება ის კვანძი, რომელიც პირველში შეიკრა.

მეორე ლექსშიც გარკვეული ამბავია გადმოცემული და საინტერესო კი ის არის, რომ ლირიკული გმირის სევდიანი ისტორია არ სრულდება. მკითხველმა არ იცის, ვარდისგან ზღვანაკრავ პოეტს რა ბედი ეწევა. მაგრამ მეორე ლექსში არის მინიშნება, რომ აუცილებლად გაგრძელდება...

3. „ბუღბუღი მოდის მწუხარებით“

მესამე ლექსში მკაფიოდ გამოჩნდა კავშირი წინა ორ ლექსთან, გამოჩნდა კონფლიქტის დასასრულიც.

ლირიკული გმირი თავს დამნაშავედ სცნობს. მან ნარაგის დახმარებით უნდა შეაღწიოს სევდის ბაღში და თავისი დანაშაული აღიაროს ვარდთან. აქ დასრულდა პოეტის სატრფიალო სევდიანი ისტორია. ამ მესამე ლექსსაც თავისი სიუჟეტი გააჩნია. უფრო მნიშვნელოვანი ის არის, რომ მეორე ლექსში „მე მივხვდი მაგას შენსა ბრალდება“ პირველის გაგრძელებაა, ხოლო მესამე ლექსი – მეორე ლექსის შედეგია.

რით არის გამოარჩეული ეს ციკლი როგორც ბესიკისვე, ასევე აღმოსავლურ ლირიკაში?

ჩვენი პოეტი ამ სამ მუხამბაზში ყურადღებას არ აქცევს პოეტის იმ კანონებს, რომლის იგნორირება აღმოსავლური ორი-

ენტაციის პოეტისათვის მარცხად იქნებოდა ველისგან მისი ტალანტის უპროფიტო ნადა.

აქვს თუ არა რაიმე მნიშვნელობა და ღირებულება იმ უცილობელ ფაქტს, რომ ბესიკის ამ სამ ლექსში სრულიად უკუგდებულია აღმოსავლური პოეზიის კანონიკური პრინციპი?

აღნიშნული ქმედება „რიტუალიზირებული ხელოვნების“ ესთეტიკასა და პრინციპებზე უარის თქმას, ე.წ. „დაპირისპირების ესთეტიკისკენ“ გადახრას ნიშნავდა. ეს ფაქტორი კი ბესიკის, როგორც შემოქმედის, ნოვატორობაზე მიუთითებს.

კიდევ ერთი აუცილებელი ინფორმაცია. როგორ უნდა აიხსნას პოეტის საქციელი – შემთხვევითია, წინასწარ განზრახულია თუ უბრალოდ არცოდნის შედეგია?

ერთი რამ ცხადია, ამ მოქმედებას უკონფორმობას ვერ დავარქმევთ. ბესიკი ვირტუოზულად ფლობდა როგორც აღმოსავლური ვერსიფიკაციის ურთულეს სისტემას, ისე ლექსის სხვა კომპონენტებს. მის მიერ აღმოსავლური ლიტერატურული შაბლონების უარყოფა (ასეთი კი არაერთია) წინასწარ განზრახული ქმედება თუ არა, ეროვნული ლიტერატურული პრინციპების გამოყენება კი ნამდვილად იყო.

სტატიაში მხოლოდ ერთი საკითხი განიხილეთა – კონკრეტულად როგორია სიუჟეტის პრობლემა აღმოსავლურსა და ბესიკის სატრფიალო პოეზიაში. აღმოჩნდა, რომ ზემოაღნიშნული ციკლის სამი ლექსი ღიაშტრალურად განსხვავდება, როგორც აღმოსავლური სატრფიალო ლირიკის მყარ, კანონიკურ უსიუჟეტო ნიმუშთან, ისე თვით ბესიკის უსიუჟეტო ლექსებისგანაც (მაგ., „ტანო ტატანო“, „მე შენმა ფიჭვმა მიმარინდა“, მე შენი მგონე“ და სხვ.).

რაც უნებება ამ სტატიის დასკვნით ნაწილს, შენდა გარკვევით ითქვას, რომ ბესიკის ორიენტაციის დასადგენად ეს ერთი ელემენტი საკმარისი არ არის. ამისთვის ჯერ კიდევ დიდზე დიდი სამუშაოა ჩასატარებელი, თუმცა იმ „ზეპირი აზრის“ გამაბათილებელი პერსპექტივის კონტურები უთუოდ იკვეთება.

ზურაბ პასლაძე

ძრისტიანობა და ევროპული მეცნიერების განეზისი

უპირველესად ის უნდა აღვნიშნოთ, რომ თვით ტერმინი „ევროპული მეცნიერება“, – თავისთავად მოუთხოვს იმაზე, რომ ცნება „მეცნიერებაში“ ვგულისხმობთ ბუნების-მეცნიერებას, რომელიც ევროპულ, და აქედან გამომდინარე – ქრისტიანულ წიად-ში შეიქმნა. სწორედ ევროპულ გარემო-ში, თავისთავად კატაკლიზმებით აღსავსე ეპოქაში ჩამოყალიბდა ის უმთავრესი დებულებები, რამაც სათავე დაუდო ფიზიკის, ასტრონომიის (რომელიც ამ დროიდან გაემიჯნა ასტროლოგიას), ქიმიის, ბიოლოგიის, ჰუმანიტარულ მეცნიერებებად ქცე-ვას. მოუხედავად იმისა, რომ ამ ეპოქამდე დიდი ხნით ადრე სხვა ცივილიზაციები არსებობდნენ დედამიწაზე, რომელთაც გააჩნდათ საკუთარი რელიგიაც, და მის-გან გამომდინარე ნატურფილოსოფია (ან-ტიკური საბერძნეთიც კმარა ამის დას-ტურად) და მათემატიკაც (ბოლოს და ბო-ლოს დღევანდელი ციფრთა სისტემა ინ-დოელებმა შექმნეს, რომელიც არაბული სამყაროდან გავრცელდა ევროპაში). მაინც დღეს არსებული ბუნებისმეცნიერება, რომელიც წარმართავს ყოველგვარ ტე-ქნიკურ, და შეიძლება ითქვას, საზოგა-დოებრივ პროცესს, და რომლის გვერდის ავლა ფაქტურად შეუძლებელია ადამი-ანისათვის, სწორედ ქრისტიანული მსოფ-ლმხედველობის მქონე ადამიანთა მიერ შეიქმნა. ადამიანთა, რომელნიც საკუთარ თავში რწმუნასა და ცოდნას აერთიანებდ-ნენ. საკმარისია გავიხსენოთ ფრენსის

ბეკონის სიტყვები: „მცირე ცოდნა გვა-შორებს ღმერთს, ხოლო ღრმა ცოდნა – გვაახლოებს“. XX საუკუნეში ჩ. ტაუნსი და ნ. ვინერი პირდაპირ აცხადებდნენ, რომ მეცნიერება რწმენის გარეშე შეუძლებე-ლია. ა. აინშტაინი კი ამბობდა, რომ ჩვენს მატერიალისტურ საუკუნეში ნამდვილი მეცნიერი მხოლოდ ღრმად რელიგიური ადამიანი შეიძლება იყოს.

რატომღაც გაბატონებულია აზრი, რომ თანამედროვე მეცნიერება წარმოიშვა ემ-პირიული მონაცემების დაგროვებისა და აბსტრაქტულ-მეტაფიზიკურ თეორიებზე ცდის უპირატესობის აღიარების შედე-გად. სინამდვილეში საქმე პირიქითაა, – ფაქტების ჯამი, რომელსაც ევროპული მეცნიერება ფლობდა ახალი დროების ზღვრულზე, პრინციპულად არ განსხვავდე-ბოდა ცოდნის იმ მარაგისაგან, რომელიც ანტიკური ხანის ინდოელ, ჩინელ ან არაბ ბუნებისმეტყველებს გააჩნდათ. კლასიკური მეცნიერება წარმოიშვა მაშინ, როდესაც მან მატერიალურ ობიექტებზე დაკვირვ-ების ნაცვლად იდეალური ობიექტების მათემატიკურ არსთა ურთიერთმიმართე-ბის შესწავლა დაიწყო. ვ. პაიუნბერგი წერს: „მათემატიკური სტრუქტურები ბუნე-ბის კანონებად მაშინ იქნა აღიარებული, როდესაც გალილეიმ არისტოტელეს დესკრიპციული მეცნიერება პლატონის სტრუქტურული მეცნიერებით შეცვალა“. საფუძველი, რომელმაც უზიბა კოპერნიკს, გალილეისა და კეპლერს ახალი მეც-



ნიერული გზისადმი ნდობისაკენ, თეოლოგიური საფუძველი იყო. მათემატიკური კანონები ღვთაებრივი ნების ხილულ გამოხატულებას წარმოადგენენო, წერდა იოჰან კეპლერი.

მაინც რა იყო ახალგვაროებული მეცნიერების თეოლოგიური საფუძველი? მეცნიერების წარმოშობა შესაძლებელი გახდა იმიტომ, რომ მეცნიერებმა აღიარეს სამი, ერთი შეხედვით არც თუ ცხადი მტკიცებულება. პირველი მტკიცებულება იმაში მდგომარეობს, რომ უმთავრესია უხილავი სამყარო, რომლის კვლევა გაცილებით მნიშვნელოვანია, ვიდრე საგნებზე უბრალო დაკვირვება. ეს შეგნებლური სამართლიანად აღნიშნავს იმ მსჯელობათა მსგავსების შესახებ, რომელნიც წარმოიშობიან ერთი მხრივ, ქრისტიანულად პრობლემებისა და მეორე მხრივ, აღქმის ისეთების საინტერესო საკითხების განხილვის შედეგად. მართლაც, ორივე შემთხვევაში საქმე გვაქვს იმის აღიარებასთან, რომ ხილული მოვლენის მიღმა უხილავი არსებობს (არსია) დაფარული. აღქმისას არ ხჯერა ბერძნული კოსმოსის სკულპტურული წყობისა, მისი ცხადი გამოვლინებებისა და მის მიღმა უხილავ სუბსტანციას ეძიებს. ახალი შუასაუკუნეობრივი თეოლოგიაც იმით განსხვავდება წარმართულისაგან, რომ ანტიკურობაში არავის აინტერესებდა ზევსისა თუ აფროდიტეს სუბსტანციურობა, ქრისტიანობაში კი მოძღვრება ერთი ღმერთის შესახებ, რომლის უხილავი არსი ხილული სამყაროს შესწავლით ცნაურდება, ხელს უწყობდა მსოფლალქმის განვითარებას საგანთა უხილავი არსის შესწავლის მიმართულებით. მაშასადამე, მეცნიერული აზროვნების ჩასახვის პირველი პირობა იყო იმის აღიარება, რომ საგანთა გარეგნული თვისებების მიღმა არსებობს ინტელიგიბელური სამყარო. მედრე - სამყაროს რაციონალური წვდომის მცდელობის გასამართლებლად საჭირო იყო იმის

რწმენა, რომ სამყაროს უხილავი მხარე არა მარტო არსებობს, არამედ შექმენბადია აღამიანური გონებისათვის, და რომ კოსმოსის კანონები ამ გონების „ენაზეა დაწერილი“. ამასთან, გონით სარწლოში სამყაროს შეცნობა ყველა მეტაფიზიკურ სისტემას არ ხელეწიფება. მეცნიერულ კვლევას ექვემდებარება მხოლოდ ის სამყარო, რომელიც თავიდან ბოლომდე გონიერულადაა მოწყობილი. ასეთად კი სამყარო მხოლოდ მონოთეისტური მსოფლმხედველობის წიაღში აღიქმება. მართლაც, თუკი ბუნების ყოველი მოვლენის უკან ცალკეული ნება დგას, რომელიც თავის მხრივ თანხმობაში არაა სხვა სულის (ღვთაების) ნებასთან, მაშინ ამგვარ კოსმოურ ძღურალიზმში არავითარი იმედი არ უნდა გექონდეს სამყაროს მოწყობის ერთიანი, მუდმივი და გასაგები პრინციპის პოვნისა. პოლითეიზმს რომ თავი დავებნოთ, გასაგებია, თუ რატომ არ შეიძლებოდა სამყაროს მეცნიერული სურათი იუდაურ კაბალისტკაში ჩასახულიყო. რაბი სიმონი ასწავლის, რომ ყოველ ბაღასს თავისი მფარველი ანგელოზი ჰყავს, რომელიც უბრძანებს ბაღასს, გაიზარდოს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ბაღასის ზრდისა და მოძრაობის გაგება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ გამოვიცნობთ მისი მფარველი ანგელოზის ნებას. ბაღახები მიღიარდობითაა, ანგელოზთა რიცხვიც შესაბამისად არანაკლები. რაც შეეხება ისლამს, მიუხედავად მკაცრი მონოთეიზმისა, მეცნიერება იმ მიმართულებით, როგორც ევროპაში ჰქონდა აღგილი, ვერც იქ განვითარდა, და აი რატომ: ისლამში შემოქმედი ღმერთი მოიზრება, უპირველეს ყოვლისა, როგორც ნება, აბსოლუტური ნება. ამგვარი ცალმხრივი ვოლუნტარიზმი კი მეტად არაჯანსაღ წანამძღვრებს უქმნის მეცნიერულ აზროვნებას. ისლამი ბუნების კანონებში მხოლოდ ერთგვარ „ჩვევებს“ ხედავს, რომლებსაც ქალაქში მოსიერე



მეფის წესჩვეულებებს ადარებს. ისევე როგორც მეფეს საკუთარი ნებით შეუძლია შეცვალოს გადაადგილების უწინდელი წესი, ასევე ალაპს ნებისმიერ მომენტში ძალუძს, შეცვალოს სამყაროს ნებისმიერ ნაწილში არსებული კანონები. მუსლიმანმა მისტიკოსებმა უარყვეს მეცნიერული კანონის ცნება, როგორც ღვთისმგმობლური, რადგან იგი თურმე ღმერთს თავისუფლებას ართმევს. ამის შედეგად ისლამის მთელი ენერგია კომენტარებში დაიხარჯა. ვ. როზანოვი წერდა, რომ „ის მალალი წარმოადგენა, რომელიც შუა საუკუნეებში არაბული მეცნიერების შესახებ შეიქმნა, საქმის ვითარების ახლის და უკეთ გაცნობის შემდეგ არასწორი გამოდგა. ისინი ყოველთვის ან გამგრძელებლობის ან კომენტარების როლში გვევლინებიან და არასოდეს არიან რაიმე ახლის დაშწყებნი, შემოქმედნი. აღფარაბი სიამაყით აცხადებდა, რომ მან 40-ჯერ წაიკითხა არისტოტელს „ფიზიკა“ და 200-ჯერ „რიტორიკა“. არაბები ამბობდნენ, რომ „არისტოტელე განმარტავს ბუნებას, ხოლო ავეროესი განმარტავს არისტოტელეს“. ასე რომ, მეცნიერების აღმოცენებისათვის საჭიროა არა მარტო ერთი შემოქმედი ღმერთის რწმენა, მისი აღქმა არა ნებად, არამედ სიყვარულად, იმ სიყვარულად, რომელიც ანიჭებს სამყაროს თავისუფლებას და უწესებს იმგვარ კანონებს, რომელთა შეცნობაც შესაძლებელია შემოქმედის მიერ საკუთარ ხატად და მსგავსად შექმნილი ადამიანისათვის. ქრისტიანული დებულება, რომ სამყარო შექმნილია ღვთისაგან და არა შობილი — ემანირებული, როგორც ეს პანთეისტურ სისტემებშია, იმას ნიშნავს, რომ სამყარო არ არის ღმერთი. მონოთეიზმი ახდენს სამყაროს დემითოლოგიზაციას, რითაც საშუალებას იძლევა მისი არამისტიკური, რაციონალისტური შეცნობისა. თუ გავიხსენებთ, რომ გალილეი ექსპერიმენტს წამებას ადარებდა, გავიგებთ, თუ რატომ ვერ

წარმოიშობოდა ექსპერიმენტული მეცნიერება წარმართულ სამყაროში, როგორც ქრისტიანს არ მოუვა ახრად ქმიური ანალიზი ჩაუტაროს წმ. ძღვენს, ასევე წარმართიც, რომელიც სამყაროს, ბუნებას ღვთაების უშუალო გამოვლინებად აღიქვამს, თავს ნებას არ მისცემს მისთვის საკრალურ ბუნებაზე ექსპერიმენტი ჩაატაროს. ქრისტიანული მონოთეიზმი ათავისუფლებს ბუნებას მეცნიერებისათვის, აქ ღვთის ხატი არის ადამიანი და არა კოსმოსი, ღვთის მხოლოდ შობილი არის ძე და არა სამყარო. არაფრისგან სამყაროს შექმნის (ექს ნიკილო) ღოგმატა, რომელსაც აზრობრივი აქტენტი ბუნებიდან ზებუნებრივ საწყისზე გადააქვს. ბუნებას ართმევს იმ თავისთავადობას, თვითმყოფადობას, რომელიც მას ძველი ბერძნების წარმოდგენაში გააჩნდა. სწორედ ბუნების ამგვარი საკრალიზაცია იყო იმის მიზეზი, რომ ანტიკურობაში პრინციპულად შეუძლებელი იყო ბუნებისმეცნიერების აღმოცენება.

სამართლისპირა ტენდენციასთან გვაქვს საქმი აღმოსავლურ რელიგიებში. ინდუისისათვის სამყარო უპიროვნო აბსოლუტის, ბრაჰმას ემანაციაა, მისი ზმანება, თვით ადამიანის „მე“, მისი სული — ატმანი კი ბრაჰმას იგივეობრივია, მატერიალური სამყარო ილუზიაა, მირაფია (მაია), ბოროტებაა (მარა), რომელიც ბრაჰმას ღამის დადგომისას ქრება და ბრაჰმას დღის დადგომისას კვლავ წარმოიშობა და ასე გრძელდება დაუსრულებლად. ასეთი მენტალიტეტისათვის კი ამგვარი ილუზირებული რეალობის შესწავლა და მასში რაიმე ბუნებისმეტყველური კანონების აღმოჩენა აბსურდია. რაც შეეხება ბუდიზმს, იგი საერთოდ ძნელია რელიგიად იწოდებოდეს, ის უფრო ფილოსოფიური აგნოსტიციზმია, რომელიც არ აღიარებს არც შემოქმედს და არც ქმნილებას, ერთადერთ ღირებულებად ნირვანას მიიჩნევს, რაც სიცოცხლის სურვილის და



მასთან ერთად ყველა სურვილის ჩახშობასა და უკიდურეს პასიურობას ნიშნავს და ცხადია, ამგვარი წინამძღვრებიდან გამომდინარე რაიმე მეცნიერებაზე დაბარაკაც ზედმეტია. დღევანდელი სისტემების (ხორაოსტრუქციის, მანქინის, ვნოსტრუქციის) თანახმად სამყაროს შექმნაში ორი, კეთილი და ბოროტი საწყისი მონაწილეობს და მთელი სამყარული ისტორიაც, მათ შორის მიმდინარე ბრძოლა, ამასთან ბოროტი ძალის მიერ შექმნილი სამყაროს ნაწილის (რომელიც ასევე ბოროტებას ემსახურება) გამოკვლევა და შესწავლა მკრეხელობაა, ასე რომ სამყაროს მეცნიერული სურათის აღწერისთვის ადგილი არც დუალიტურ რელიგიურ-ფილოსოფიურ სისტემებში მოიპოვება. ბუნებისმეტყველების განვითარებისათვის საჭირო გარემოს არც წინააღმდეგობრივად იძლევა, კერძოდ, დაღმასთან თვისი პანთეისტური ბუნებისა და უმოქმედობის კულტის (ვეფ) ქადაგების გამო, ხოლო კონფუციანელობა უპირატესად ეთიკური და სოციალური მოძღვრებაა და ბუნების შესწავლა ფაქტობრივად არ აინტერესებს. არადა ჩინური მეცნიერება ვითარდებოდა მანამ, სანამ ჩინელთა წარმოდგენა ინარჩუნებდა ხსოვნას ერთი შემოქმედისას, მანამ, ვიდრე არ იზიარებდა ადამიანისა და საზოგადოების ბუნებასთან კვანძპანთეისტურმა გაიკვებამ.

და ბოლოს მესამე პირობა, რომელიც მეცნიერების ჩამოსაყალიბებლად იყო საჭირო, არის იმის აღიარება, რომ უხილავი, იდეალური სამყაროს უშუალო ურთიერთობა უნდა პქონდეს ხილულ საგანთა სამყაროსთან. მეცნიერს არა მარტო უნდა სწამდეს უხილავი სამყაროს არსებობისა და მისი შემეცნების შესაძლებლობისა, არამედ იგი იმაშიც უნდა იყოს დარწმუნებული, რომ როდესაც მათემატიკის უხილავ კანონებს სწავლობს, იგი იმავედროულად ხილულ სამყაროსაც იკვლევს. არსობრივად ეს არის რწმენა იმ-

ისა, რომ იდეალური სამყარო ხილულ სამყაროშია განხორციელებული. ატიკა იყო საბერძნეთშიც, მაგრამ იქ იგი ფიზიკოსათვის არ გამოუყენებიათ. ამისათვის შუა საუკუნეების უცნაური ქურთა იყო საჭირო, საჭირო იყო სამყაროს ასკეტური დაყვანა ბიბლიაზე, რათა ვარსკვლავებისათვის საკრალურობის სტატუსი ჩამოერთმიათ, ელაპარაკათ მათზე, როგორც ქვებზე, ისე რომ აღშფოთებულ ქურთმა ხელით სიკვდილის არ შინებოდათ (ამისთვის გააბეჭვეს ათინიდან ანაქსაგორა). იგივე ხვედრი რომ აეცილებინა, კოპერნიკოსათვის იოანე დამასკელი იყო საჭირო: „ნუაგინ იფიქრებს, რომ მნათობები განსულოერებულნი არიან – წერდა იგი – ისინი უსულო და უგრძობულ სხეულებს წარმოადგენენ“. ამასთანავე დამასკელი ძალზე ცხადად ხსნიდა მთვარის დაბნელების მიზეზს. რატომ ვერ აღმოაჩინეს ძველმა ბერძენებმა პელიოცენტრული სისტემა. გენიოსები ისტორიაში მათაც ბევრი ჰყავდათ. რა იყო კოპერნიკის არისტოტელესთან პოლემიკის მოტივი – შეექმნა კოსმოლოგია, რომელიც თანხმობაში იქნებოდა რწმენასთან. კოპერნიკმა დაამხო არა საეკლესიო დოგმატი, არამედ სამყაროს არისტოტელესეული სურათი, რომელიც აშკარად ეწინააღმდეგებოდა ქმნადობის დოგმატს.

ანტიკური ფილოსოფიის დმერთი ესაა უძრავი გონება, რომელიც „ამოძრავებს“ შესაქმის სამყაროს, არა როგორც საკუთარ ქმნილებაზე ზნობრივი პასუხისმგებელი შემოქმედი, არამედ როგორც უპიროვნო ნიმუში, ფორმათა ფორმა, იდეათა იდეა, როგორც ყველა საგნის სრულყოფილების ზღვარი. XI-XIII სს-ში მომხდარი მეცნიერების რაციონალიზაცია შეუძლებელი იქნებოდა, 1000 წლის წინ რომ ადგილი არ პქონოდა რადიკალურ მსოფლმხედველობრივ შემობრუნებას, რომელმაც შეცვალა როგორც ადამიანის ბუნებასთან მიმართება, ისე საკუთარი



თავისადმი დამოკიდებულება. სამყაროს რეალურობა და შექმენებადობა არ შეიძლება მეცნიერულად იქნენ ვერიფიცირებულნი. შუასაუკუნეების კულტურამ გამოიმუშავა ამ მტკიცებულებათა არამეცნიერული მოტივები. სწორედ მაშინ მომხადდა ყველაზე საჭირო მეცნიერული აღმოჩენა, ბუნების რაციონალური სტრუქტურის აღმოჩენა, რომელიც თანამედროვე ექსპერიმენტული მეცნიერების აპრიორულ საფუძვლად იქცა.

ასე რომ, სამყაროს მეცნიერული სურათის ჩამოყალიბება არანაირად არ შეესაბამება იმ ფართოდ გავრცელებულ წარმოდგენას, რომლის მიხედვითაც სამყაროზე რელიგიური აღქმის შესუსტებამ წარმოშვა

ბუნებისმეცნიერება. მეცნიერულად რეალუციის პარადოქსი ისაა, რომ ყველაზე დიდი მეცნიერ-ნოვატორები (კოპერნიკი, ნიუტონი) ყველაზე კონსერვატიული იყვნენ თავისი რელიგიური და ფილოსოფიური აზროვნებით. მეტიც, მრავალი ბუნებისმეტყველი თავს ღრმადმორწმუნედ თვლიდა, ხოლო ბევრი მათგანი სასულიერო პირი იყო.

ჩარლზ ტაუნსი წერდა: „მეცნიერი წინასწარ უნდა განიმსჭვალოს იმის რწმენით, რომ სამყაროში არსებობს წესრიგი, და რომ ადამიანის გონებას ძალუძს, შეიცნოს იგი“, ხოლო ნორბერტ ვინერი აღნიშნავს: „ვერანაირი მეცნიერება ვერ წარმოიშობა იმის რწმენის გარეშე, რომ ბუნება კანონებს ემორჩილება“.



დაპიცვათ ქართული ეკლესიები

ამ ბოლო ხანებში სომხური სამეცნიერო და სასულიერო საზოგადოება ძალიან გააქტიურდა და მოითხოვს საქართველოში არსებული სომხური ეკლესიების გადაცემას. გადაცემის წინააღმდეგი არაფერია არის, მაგრამ ჯერ გასარკვევია, სამართლიანია თუ არა მათი პრეტენზიები. ამის გარკვევა აუცილებელია, რადგან სომეხი მეცნიერები, ძველი ქართული ეკლესიების მითვისების ხარჯზე, ხელოვნურად მრდიან სომხური ეკლესიების რაოდენობას საქართველოში.

ამგვარი ნაშრომის ნიმუშია პროფ. სამველ კარაპეტიაჩის მიერ 1995 წელს ერევანში, სომხურ ენაზე გამოცემული რუკაცინობარი „სომხური ეკლესიები საქართველოში“. მასში 650-მდე სომხური ეკლესიაა დაფიქსირებული საქართველოში. აქედან თითქმის ნახევარზე მეტი ქართული ეკლესიაა გატანილი სომხურად. 1998 წელს ერევანში გამოიცა სომხურ ენაზე ამავე ავტორის წიგნი – „საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკა და სომხური ეკლესიების ძეგლები 1988-1998 წწ“. მასში ქართველ მეცნიერებს და ხალხს ბრალს სდებს, თითქოს საქართველოში სომხური ეკლესიების ძეგლებს ანადგურებდნენ. ქართველები ცივილიზაციის დამანგრეველ ვერად, ე.ი. ბარბაროსებად მოიხსენიებიან. ახლა „გამოდმა გვედავებიან, გაღმა რომ დარჩეთ“ და სომხური ეკლესიების მითვისებას გვაბრალევენ. თუ რამდენად უსაფუძვლოა მათი მოთხოვნა, მოგახსენებთ ჩვენს მოსაზრებას.

საქართველოს თავმჯდომარეობის ლეგიონის სომხები ეკონომიურად ცოტა მოითქვამდნენ თუ არა სულს, ძნელბედობის ვაშს ქართველთა მიერ მიტოვებულ ხარაბა ეკლესიებს ეპაგრონიობდნენ და სომხ-

ურ საკულტო ნაგებობად გადააქცივდნენ ხოლმე. ასე მოამრავლეს „სომხური“ ეკლესიები საქართველოში. ამ პროცესის ორ პერიოდად დაყოფა შეიძლება. პირველია უძველესი დროიდან 1801 წლამდე – მეფის რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიამდე. მეორე პერიოდი მოიცავს XIX-XX საუკუნეებს. ისინი გარკვეული ნიშნით განსხვავდებიან ერთმანეთისგან. პირველ პერიოდში, საქართველოს სამეფოს გაუქმებამდე, ქართველი მეფის, ქართველთა კათალიკოს-პატრიარქის ნებართვის გარეშე რაიმე საკულტო ნაგებობის აშენება არ შეიძლებოდა, მით უმეტეს, სომხური გრიგორიანული ეკლესიის, რომელიც ჯერ კიდევ VII ს-დან მწვევად იყო დაპირისპირებული ქართულ სამოციქულო ეკლესიასთან. ამ თვალსაზრისით, გადავისჩვე საარქივო მასალები, საისტორიო წყაროები, მაგრამ ამგვარ ნებართვას ვერ მივაგენი. არის რამდენიმე ცნობა, მაგრამ მთლიან სურათს ვერ ცვლის. ის კი არა და, შევამოწმე მოარული ხმები, თითქოს ქართველი მეფეები შეჭირვების ვაშს ყიდდნენ ეკლესიებს მდიდარ სომხებზე, მაგრამ ყიდვა-გაყიდვის საბუთი ვერ ვნახე, თუ მხედველობაში არ მივიღებთ კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში შ. ჭიჭინაძის ფონდში დაკულტ ცნობას: „სომხებმა ქართველებისაგან მოგყუებით და ცდუნებით თვით ქართველების საყდრებიც კი შეიძინეს. ასე მაგალითად, ფეთხაინის (იგულისხმება თბილისის ბეთლემის ეკლესია. ბ.ა.) საყდრის შეძენის საქმე... ასევე შეისყიდეს სომხებმა ოქრომჭედლის ქუჩაზე ქართველების დიდი საყდარი – წმ. ნიკოლოზისა, რომელსაც დღეს სომხები სურბ-ნმანს უწოდებენ. ასევე შეისყიდეს სომხ-



ებმა წმ. გიორგის საყდარი ტფილისისად წოდებული. ამას გარდა, მაიდანის თავზედ დღეს სომეხი სურბ-გეგორჩის საყდარიც ქართველებისა იყო, სომეხთ დაიხუმეს. ასევე დაიხუმეს მათ მეგობის აღმართზედ ავლაბრის შეყოლებით პატარა საყდარი“ (ცამ-413, 8. ჰიჭინაძის არქივი, მუშეუმს გადასცა მიგროფანე ლადიძემ 23.V. 36 წ. გვ. 7-8).

ეს ცნობები წმ. ნიკოლოზის (სომხურად ქეკელ სურბ-ნშანის) და სხვა ეკლესიების გაყიდვის შესახებ საარქივო დოკუმენტებით არ დასტურდება.

მართალია, სომხური ეკლესიების არსებობა საქართველოში ფაქტია, მაგრამ საკითხავია, სამართლებრივად კანონიერი იყო თუ არა მათი აშენება თავის დროზე. თუ არ არის რაიმე სიგელი, ან წერილობითი ნებართვა ამა თუ იმ სომხური ეკლესიის აშენების შესახებ, მაშინ 1801 წლამდე აშენებული ყოველი სომხური ეკლესია საქართველოში უკანონოა, კანონის დარღვევით არის აგებული. ეს ერთი, მეორე – საქართველოს უმაღლეს ხელისუფალთა ნების გარეშე მგრისაგან გავერანებული რომელიმე ქართული ეკლესიის გადაკეთება-გადმოკეთება, მასზე დაშენება, მიშენება და სომხურ ეკლესიად ქცევა ასევე არასამართლებრივი აქტია და მიიჩნევა ძალადობრივ ქმედებად, მიტაცებად. ამდენად, საქართველოს საპატრიარქო უფლებამოსილია ასეთი „სომხური“ ეკლესიები შეხედულებისამებრ განკარგოს, აღადგინოს მათზე თავისი კანონიერი იურიდიული უფლება.

თუ პირველ პერიოდში ქართველთა შეჭირვებით ისარგებლა ზოგიერთმა სომეხმა საერო და სასულიერო პირმა და უცერემონიოდ მოახდინა ქართული ეკლესიების მითვისება, მეორე პერიოდში – XIX ს-ში ეს პროცესი სავაჭრო კაპიტალის განვითარების ფონზე მიმდინარეობდა (XX ს-შიც გაგრძელდა). მეფის რუსეთმა უნაშუსოდ დაარღვია 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატი და ქართლ-კახეთის სამეფო გააუქმა (1801). ესეც არ იკმარა და საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის

ანულირება მოახდინა (1811). ქართულ ეკლესიას რუსი ეგზარქოსები ჩაუკეტეს საფრთვეში. მათ კი საქართველოს ეკლესიის ქონება დაიგაცეს და გაიგანეს რუსეთში. ქართული წირვა-ლოცვა აკრძალეს და ქართველთათვის გაუგებარ, რუსულ ენაზე დაიწყო მღვდელმსახურება. კიდევ მეტი, ქართულ ეკლესიებს თვითნებურად გადასცემდნენ საქართველოს სომხურ ეპარქიას. ამ დროს, მართალია, ენშიაძინს ერთხანს შეეზღუდა გარკვეულწილად უფლებანი და მის საეკლესიო სიმდიდრესაც წაუპოგინა, მაგრამ სომეხთა უმაღლესმა სამღვდლოებამ უფლებები ჩქარა აღიდგინა. მათ მეფის რუსეთის ხელისუფალთ შეახსენეს თავიანთი ღმრის წილი საქართველოს სამეფოს გაუქმების და დამოუკიდებლობის დაკარგვის საქმეში. ერთი სიტყვით, ენშიაძინმა ფრთხილ შეისხა და გააქტიურდა. პირველ რიგში, ქართველი ხალხის ბეჩავი მღვდომარეობა ოსტატურად გამოიყენა და მასშტაბური კამპანია გააჩაღა ქართველთა სომხურ გრიგორიანულ სარწმუნოებაზე გადასაყვანად. ენშიაძინის ემისრები, გერგერები, უკადრისი ხერხებით ჯერ ქართულ ეკლესიას ჩაიგდებდნენ ხელში, შემდეგ ეწეოდნენ მისი მრევლის გასომხებას. ამ გზით ენშიაძინმა მართლაც მაღალი გარკვეულ წარმატებას, განსაკუთრებით 1801-1860 წწ. ამ მოვლენამ ისეთი სისტემური, თავხელური ხასიათი მიიღო, რომ მეფის მთავრობაც კი შეშფოთდა და 1860 წელს სპეციალური კანონი გამოსცა, რომლის ძალით ქართველს სომხურ სარწმუნოებაზე გადასვლა აკრძალა. მაგრამ სომხის გერგერები კანონს არ დაგიდევდნენ და ჩუმად, მოსყიდვით და სხვა ხრიკებით აგრძელებდნენ თავიანთ ბნელ საქმიანობას. მათ მოქმედებაში ერთი კანონზომიერება შეიმჩნევა. საქართველოს თავზე დამტკლარი ყოველი უბედურების შემდეგ სომეხები, როგორც წესი, ქართულ ეკლესიებს განსაკუთრებული აქტიურობით ისაკუთრებდნენ, ახე მოხდა თელეთის წმ. გიორგის ქართული ეკლესიის შემთხვევაშიც. აღა-მაჰმად ხანის მიერ თბილისის დაქვევის (1795) მომდევნო 1796 წელს



ისარგებლეს ქართველთა გრაგვლით და თელეთის წმ. გიორგის, მასთან ერთად თბილისის და მისი შემოგარენის – შავნაბადას, წაქეისის, ნახშირგორას და სხვა ქართული ეკლესიები მიისაკუთრეს. მეტი, გასომხებული თელეთის წმ. გიორგის ეკლესია ქართველთა გრიგორიანულ სარმწუნოებაზე მოგვრებით გადაყვანის ერთ-ერთ ცენტრად აქციეს. მ. ჭიჭინაძე წერდა:

„თელეთის წმ. გიორგის საყდარი, რომელიც ადრე ქართველების იყო და სომხებმა ჩაიგდეს ხელში, 1796 წელს იგი სომხების ვახდა. ამ საყდრის სომხის ტერგერებს 1820 წელს გუილისში პყავდათ დაქირავებული ექვსი მკითხავი, კახეთში ათი მკითხავი. სომხის მკითხავები ეუბნებოდნენ გაჭირვებულ ქართველებს, თქვენი შეიღო თუ თელეთში არ მონათლეთ, უამისოდ ის არ იყოცხლებს და არ გაიმრდება, ამიგომაც ქართველი თავის შეიღს ნათლავდა აწ უკვე სომხის საყდარში და ამგვარად იგი ეკარგებოდა ქართველობას. მისი ბავშვი სომეხად იმრდებოდა. ასე და ამგვარად, ამ მკითხავების დახმარებით 1801 წლის შემდეგ 1860 წლამდის ქართველი ერის, უფრო მეტად ვლესკაცობის, გასომხებული არის 200 ათასზე მეტი ქართველი. მარტო გუილისის სომხის მკითხავების დახმარებით, ისიც მარტო ერთადერთ თელეთში“ (იხ. „სომხის სამღვდლოების გველური საჯულის ოსტატური ეშმაკობა ქართველი ერის გასომხებისათვის“, კ. კეკელიძის სახელობის ქართულ ხელნაწერთა ინსტიტუტი, მ. ჭიჭინაძის ფონდი). თელეთის წმ. გიორგის სომხურად ქცეული ეკლესიის მოკლე ისტორია გიპურია XIX ს-ში ემილიძის აგრესიული საეკლესიო პოლიტიკისა ქართული ეკლესია-მონასტრების და ერის მიმართ.

აქვე შევნიშნავთ – თუ არსებობს და მართლაც არის რუსეთის რომელიმე იმპერატორის ნებართვა ამა თუ იმ სომხური ეკლესიის ამუშების შესახებ საქართველოში, ეს ნებართვა, ფაქტიურად, ძალადაკარგულია და მისი კანონიერება ბათილია, რადგან საქართველო გამოეხდა რუსეთის, არ აქვს მნიშვნელობა, მეფის თუ საბჭოთა

იმპერიის. შემაღვლენობიდან და დამოუკიდებელი სახელმწიფო საქართველოს რესპუბლიკა რუსეთის იმპერიის სამართალმემკვიდრედ არ მიიჩნევა. ამდენად, რუსეთის ბატონობის პერიოდში ამუშებული ყველა სომხური ეკლესია კანონიერად ეკუთვნის საქართველოს საპატრიარქოს და შეუძლია განკარგოს შეხედულებისამებრ.

სხენებული რუკა-ცნობარის მიხედვით სამცხე-ჯავახეთში 127 სომხური ეკლესიაა. აქედან, 1800 წლამდე ორმოცია ამუშებული. 1800-1900 წლებში, ასი წლის განმავლობაში, სომხებს სამცხე-ჯავახეთში 87 ეკლესია აუშენებიათ. გამოდის – თითქმის ერთი საუკუნის განმავლობაში ახალქალაქის, ახალციხის, აღიგუნის, ასპინძის და ბორჯომის რაიონებში სომხები წელიწადში სულ ცოგა ერთ ეკლესიას ამუშენდნენ. შედეგობაშია მისაღები ისიც, ეს ეკლესიები უწინდამენგური, მკვიდრად ნაგები საკულტო ძეგლებია და არა ნაჩქარევად აგებული ხუხულები. ამდენი ეკლესიის ამუშენება იმ დროის ჩონჩაღა ურმით და მიშველი ხელებით წარმოუდგენელია. XIX ს-ში კი არა, დღესაც, შექანიშებული მშენებლობის ეპოქაში, დროის ამ მონაკვეთში ამდენი შენობის, მით უმეტეს ეკლესიის აგება შეუძლებელია.

თუ გავიხსენებთ იმასაც, რომ სომხური საეკლესიო კანონის თანახმად სომხური ეკლესია შეიღი წლის განმავლობაში უნდა შენდებოდეს, მაშინ ს. კარაპეტიანის მონაცემები კიდევ ერთხელ ხდება საეჭვო.

გარდა ამისა, საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო არქივში ენახეთ საქართველოში სომხური ეკლესიების სია რაიონების მიხედვით. აი, ისიც: ბოგდანოვკა (ნიწოწმიდა) – 16 (1911-1916), ახალციხე – 10 (1911-1916), ახალქალაქი – 31 (1911-1916), გურჯაანი – 5 (1911-1915), ხაშური-ქარელი – 4 (1911-1918), თელავი – 8 (1911-1918), გორი – 10 (1911-1913), წალკა – 10 (1911-1918), გარდაბანი – 10 (1911-1920), სიღნაღი – 5 (1911-1921), თეთრიწყარო – 11 (1911-1918) (სინოდალური ჩანაწერები, ფონდი – 489, აღწერა – 12).

აქ ჩამოთვლილი სომხური ეკლესიები XX საუკუნის 10-იანი წლების მიხედვით არის წარმოდგენილი. მათი ჯამია - 128. ს. კარაპეტციანმა ეს რიცხვი ამავე საუკუნის ბოლოს ხუთი-ექვსი ათეულით გაზარდა ქართული ეკლესიების სომხურად მიწერის ხარჯზე.

ანალოგიური ვითარებაა ქვემო ქართლშიც. რამდენიმე ათეული ქართული ეკლესია ს. კარაპეტციანის ხსენებულ რუკა-ცნობარში უცერემონიოდ არის გატანილი სომხურ საკულტო ძეგლად. სიგვეას აღარ გავაგრძელებ, ქართლ-კახეთსა და დსაფლეთ საქართველოში კარაპეტციანის მიერ „აღმოჩენილ“ სომხური ეკლესიების შესახებ. მხოლოდ ორ ფაქტს მოვიგან. რუკა-ცნობარში აღნიშნულია IX ს-ის სომხური ეკლესია სოფ. ჩაილურში. აქ არის მხოლოდ გვიანი ხანის წმ. გიორგის ქართული ეკლესია. ს. კარაპეტციანმა საიდან „აღმოაჩინა“ ადრეული ხანის (849) სომხური ეკლესია ჩაილურში, გაუგებარია. კარაპეტციანი XIX ს-ის 80-იან წლებში სომხურ ეკლესიას აფიქსირებს მუგდღიში. საისტორიო და საარქივო დოკუმენტების მიხედვით კი მტკიცდება, რომ ამ წლებში მუგდღიში სომეხს არ უცხოვრია და სომხური ეკლესია საიდან იქნებოდა. აი, ამგვარი, „მეცნიერული პატიოსნებით“ არის შედგენილი კარაპეტციანის რუკა-ცნობარი „სომხური ეკლესიები საქართველოში“.

ბოლო ორი საუკუნეა, სომხები ქართული ეკლესია-მონასტრების კედლებსა და საფლავის ქვებზე ქართულ წარწერებს სეციალურად ამგვრევენ და შლიან. ამ ბარბაროსობის შესახებ თავის დროზე ხმა აიმაღლეს - ივ. გვარამაძემ, მ. თამარაშვილმა, ივ. როსტომაშვილმა, ექ. თაყაიშვილმა, ნ. ბერძენიშვილმა, გ. ბოჭორიძემ და სხვებმა.

ეს სამარცხვინო მოვლენა, სამწუხაროდ, დღესაც გრძელდება. არაფერს შეცვლილა იმ დროიდან, როცა ილია ჭავჭავაძე გულისტკივლით წერდა - „ესეთი ოსტატობა და ოინბამობა არ დაეფიციებათ იმათ, ვინც ძველს ქვებს აცლის ძველს ნახაგებს, ან ქართულის წარწერას პფხეკს და სომხური ასოებით გამოჰყავს, ან თვით ქვას იპარავს და ეშმაკმა იცის, სად ჰკარავს“. ახლა კი სომხები მეცნიერნი აქეთ გველავეზიან და გვაბრალებენ იმას, რა ბოროტებასაც თვითონ სჩადიან - სადაც კი მოახვლებენ, ქართულ ეპიგრაფიკას და ისტორიულ ძეგლს ანადგურებენ.

რუკა-ცნობარში წარმოდგენილი ეკლესიები არქიტექტურული თვალსაზრისით მნიშვნელოვან ძეგლებს არ წარმოადგენენ. რა თქმა უნდა, ეს არ ითქმის ყველაზე. ეს იცის კარაპეტციანმა, მაგრამ მას სხვა ჩანაფიქრი აქვს. მისი მიზანია, საქართველოში რაც შეიძლება მეტი სომხური საკულტო ძეგლი „აღმოაჩინოს“, მათი რიცხვი გაზარდოს, გააბევროს და ამით მკითხველი მიიყვანოს მისთვის სანუკვარ დასკვნამდე - თუ ამდენი სომხური ეკლესია არის საქართველოში, მაშინ მთლიანად თუ არა, აღმოსავლეთ საქართველო მაინც ისტორიული სომხეთი ყოფილაო.

ძნელბედობის ეამს ქართული ეკლესია ყოველთვის იყო ბურჯი ქართული ხალხის ეროვნული ცნობიერებისა და თუ დღემდე ეროვნული გადაგვარება არ მოხდა ქართველი ერისა, ამაში ღომის წილი მიუძღვის ეკლესიას. ასეთი მოვალეობა დააკისრა განგებამ ქართულ ეკლესიას დღესაც, როცა ქართული ეროვნული ცნობიერების მიმანმიმართული გაუფასურება მიმდინარეობს. ამიგომ, საჭიროა, თვალისმინებით გავუფრთხილდეთ ქართულ ეკლესიას!



კნუტ ჰამსუნი საქართველოში*

ვისაც ბრწყინვალე ნორვეგიელის — კნუტ ჰამსუნის რომანი „შიმშილი“ „ბანი“ ან „მისტურიები“ წაუკითხავს, ის, რაღა თქმა უნდა, გულგრილად ვერ გადაფურცლავს ამ მწერლის სხვა წიგნებსაც. ჩვენს ხელთაა საკმაოდ ვახშაურებული წიგნი „ვანცდელი და ნაიქრალი კავკასიაში“. ძველი წარმოსადგენია ქართველი მკითხველი, რომელიც ცხოველი ინტერესით არ შეხედება ამ წიგნს. ჰამსუნის შთაბეჭდილებათა გამოთხზილი ორ ნაწილად გაერთიანდა, პირველია „ზღაპრული ქვეყანა“, მეორე — „დედოფალი თამარა“.

ზღაპრულ ქვეყანაში მოთხრობილია ნორვეგიელი მწერლის მოგზაურობა რუსეთსა და კავკასიაში. ცხადია, ჩვენთვის უმნიშვნელოვანესია საქართველოს მონაკვეთი.

აღუქხანდრეს ბაღის მოპირდაპირე მხარეს, იქ, სადაც მშრალი ხიდისკენ მიმავალი გზა იწყება, ძველი შენობის კედელზე გაკრული დაფა გვამცნობს, რომ ამ შენობაში იყო სასტუმრო „დონდონი“, რომელშიც 1899 წელს ცხოვრობდა საქართველოში ჩამოსული დიდი ნორვეგიელი მწერალი კნუტ ჰამსუნი.

მწერალი კავკასიაში მოგზაურობდა თავის ცოლიან ბერგლოტ ბესთან ერთად, რომელზეც ის ერთი წლის დაქორწინებული იყო. 1899 წელს, როცა ჰამსუნი თბილისის ქუჩებში დადიოდა, ცოცხლები იყვნენ ილიაძე, ვაჟაძე და აკაკიძე, მაგრამ მათთან შეხვედრა ნორვეგიელ მწერალს არ ღირსებია. საქმე ისაა, რომ უკრთვითონ ჰამსუნსაც არ ჰქონდა საყოველთაო სახელი მოსვეჭილი. ეს, ალბათ, მერე მოხდა, რაც მან ნობელის პრემია მიიღო, ე.ი. 1920 წელს.

მანამდე კი რუსეთსა და საქართველოში მას არ იცნობდნენ.

ჰამსუნი, ბუნებრივია, ვლადიკავკაზის გაგებით მოუპართება საქართველოსკენ. და აი, ის უკვე სტეფანწმინდაშია, ცხერის უკუპრიველს მწვადს და წვნიანს მიირთმევს. „ქაროზად — ასევე გუმიოვ“ ნამცხვრებს. მასმინძელი ფანჯრიდან „ღრუბლებში გახვეულ ყაზბეგს“ აჩვენებს. მყინვარწყერი წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს მწერალზე.

შემდეგ ძალზე საინტერესო პასაჟია: „არცერთი კავკასიელი თავს რუსად არ მიიჩნევს და მიუხედავად ამისა, რომ კავკასიის დაპყრობიდან ამდენი წელია გასული, კიდევ შეხედება გულბრყვილო, საომრად განწყობილ მთიელს, რომელიც ვიშტიკიცებს: რუსი მხოლოდ მაშინ გაბედავს ჩვენს მიწაზე ფეხის დადგმას, თავაზიანად თუ მოიქცევაო“.

ეს „მთიელი“, რა თქმა უნდა, ქართველია, ალბათ, მოსვევე, მაგრამ ჰამსუნმა ამის შესახებ არაფერი იცის, არა! მან იცის, რომ საქართველოში მოემგზავრება, ეს საქართველო კი რა არის, რა ქვეყანაა, როგორც ამ წიგნიდან ჩანს, მისთვის მთლად ვარკვეული არ უნდა იყოს.

ჰამსუნი დაწვრილებით აღწერს ცველაფურს: ბუნების სურათებს, მოგზაურობის უმნიშვნელო პერაპეტოებს, ცალკეულ დეტალებს. ამ დაწვრილობიდან კარგად ჩანს, რომ ის ნამდვილი მწერალია, არა მხოლოდ ხატვის, არამედ ქუშმარტიების შეცნობის თვალსაზრისით. უზრალოდ, სამწუხაროა ერთი რამ: მან მოგზაურობის დასაწყისიდანვე თითქმის არაფერი იცოდა საქართველოს შესახებ. მან არ იცოდა,

* კნუტ ჰამსუნი. „ვანცდელი და ნაიქრალი კავკასიაში“. გამომცემლობა „ანტელექტა“, 2006 წ.



რომ ეს არის უძველესი ქრისტიანული კულტურის კერა, რომელსაც უმდიდრესი სამწერლო ტრადიციები აქვს. კარგი იქნებოდა, ვინმე მეგზური მაინც მყოფოდა კნუტ პამსუნს, რათა თბილისის მაინც დაეთავალიერებინა სერიანად, ან საქართველოს შესახებ მცირეოდენი ინფორმაცია მაინც მიეღო, მაგრამ არც ეს მოხდა. მწერლის ცნობისწადილის მიუხედავად, ერთხელ დადგენილი და ჩამოყალიბებული სტერეოტიპი, თავიდანვე შექმნილი ზერულე წარმოდგენა არ დარღვეულა...

პამსუნი წერს: „ტფილისის რომაელების, სპარსელების და თურქების ხელქვეითი იყო, ახლა კი რუსეთის ხელქვეითია. ბოლო წლებში ტფილისის აყვავება მის მოხერხებულ გეოგრაფიულ მდებარეობას მიეწერება — ტფილისის სავაჭრო გზაჯვარედინზე მდებარეობს, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს შოას, კასპიის ზღვას, რუსეთსა და სომხეთს. ქალაქში დიდებული მუზეუმები, თეატრები და ფერწერული ნამუშევრების დარბაზებია. აქ არის ბოტანიკური ბაღი, ციხე-სიმაგრე, ქართველ მეფეთა სასახლეც, რომელსაც ამჟამად სამყარობილედ იყენებენ, და ბილოს, აქ რომელიმაც რუსი გენერლის ქანდაკებაც დგას... მაღლა კი შთის კაღთაზე წმ. დავითის მონასტერია, ის ქართველებისთვის წმინდა მთაზე, შთაწმინდაზე მდებარეობს. ამ მონასტერში გრიბოედოვის ძეგლია“.

ამ მონაკვეთიდან ნათლად გამოსჭვივის, რომ ნორვეგიელმა მწერალმა თავისი ფეხით გაიარა თბილისი, მაგრამ მიუხედავად ამისა, ერთხელ შეუშავებული სტერეოტიპი ვერ დაარღვია.

ნორვეგიელი მწერალი ლაპარაკობს ქართულ კლესიებზე, ქართველ ადამიანებზე, ქართულ ლანდშაფტზე, თბილისში არსებულ მრავალფეროვან სავაჭრო დარბაზებზე, მაგრამ ყოველივე ამას ნებისით თუ უნებლიეთ რუსეთის კონტექსტში განიხილავს. მაღზე ნიშანდობლივია ჩემს მიერ მოტანილი ციტატა. აქ თითქმის ქართულ კულტურაზე უნდა დიპლომატიკური მსჯელობა, მაგრამ როგორც კი გრიბოედოვს ახსენებენ, იწყება ვრცელი განხილვა კლასიკურ რუსულ ლიტერატურაზე — ბუშინზე, ლერმონტოვზე, ტოლსტოიზე, ტურგენეზე, დოსტოევსკიზე, პარადოქსია, მაგრამ

ფაქტია, მოაწმინდაზე საუბარს პამსუნი უკავშირებს რუსულ ლიტერატურას.

რაც შეეხება რუსულ ლიტერატურაზე მსჯელობას, უნდა ითქვას, რომ ეს სასაზი ნამდვილად საინტერესოა, ოდონდ ყოველგვარი კავკასიისა და საქართველოს ვარეშე. დიდი ნორვეგიელი მწერალი კნუტ პამსუნი, „შომილის“ და „მისტერიების“ ავტორია, საუბრობს უზარმაზარ რუს მწერლებზე. ეს ნახაზბრევი, წერილობითი სახით შემორჩენილი სამუდამოდ აღიპქდება ლიტერატურის ისტორიაში. კარგი იქნებოდა, პამსუნს ესაუბრა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანზე“, მაგრამ, სამწუხაროდ, მას რუსთველის სახელი არცკი ვაგონა. პამსუნი წერს: „ქალაქს ვათავლიერებდით. მეგზურად არც მოლაყებ შევიცარი წამოვყოყანია და არც არაიან. ქალაქი მაინცდამაინც საინტერესო არ არის, მაგრამ მისმა ერთმა უბანმა ისე მოგვსიბოდა, რომ მრავალჯერ ვეწვიეთ — ეს აზური უბანია. ტფილისში არის სარკიანი ვიტრინები, კონკები, თეატრი — ვარიეტე, ბატონები და ქალბატონები, ვეროხულად ჩიცმულ-დახურული, მაგრამ აზური უბანი სხვა არის. აქაურ ქუჩებს, კაცმა რომ თქვას, ქუჩებს ვერ დაარქმევ: შესახვევი, ჩიხი, კიბე, ესაა და ეს“.

რა გასაკვირია, რომ ნორვეგიიდან ჩამოსულმა კაცმა თბილისში აზური კოლონიტის ვარდა, სხვა ვერაფერი შენიშნა, როცა რუსეთიდან ჩამოსული პოეტებიც (ვთქვათ, მანდელშტამი, აღარაფერს ვამბობ ბუშინზე). ამ კოლონიტის იქით ვეღარ მიდიოდნენ და ყოველივე ამას ზოგადად იმ ქართულ კულტურასაც უკავშირებდნენ, რომელზეც ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდათ.

პამსუნს ფრანგულად მოსაუბრე სახტუმრო „დონდონის“ შევიცარმა შესთავაზა მეგზურობა, მაგრამ მწერალმა უარი ვანუცხადა, არადა, კარგი იქნებოდა ისეთი მეგზური, რომელიც არა მარტო ქალაქს დაათავლიერებინებდა მწერალს, არამედ, ვთქვათ, ერთ მშვენიერ ქართულ სუფრაზე მოახვედრებდა მას. ვფიქრობ აქ, წერილობით დეტალების მოყვარული პამსუნი უამრავ საინტერესო რამზე, „მოსივლეთობა“ თუ იმასაც ვაეთავლიისწინეთი, რომ პამსუნი აღკომოლისადმი გულგრილი არ იყო, ცხადი ვახდება, რომ ქართველების სუფრაზე,



მართლაც, საბარაკოდ მოიღვნენ და საქართველოსკენ მომავალი მწერალი ლუდს და კონიაკს სვამდა, თბილისში ჩამოსულს კი ერთი წვეთი ქართული ღვინოც კი არ გაუსინჯავს. არადა, თბილისში მაშინ კარგი კახური ღვინო თითქმის ყოველ ნაბიჯზე იყო. ვაჟაფშაველას რომ გაეცნო კნუტ ჰამსუნი, ალბათ, ქოსების დუქანში დაბატოვებდა. ადგილი წარმოსადგენია, როგორ დატრიალდებოდნენ ქოსები, კნუტ ჰამსუნს რომ დაინახავდნენ, კნუტ ჰამსუნი ქოსების დუქანში! — ასეთი რამ, ასეთი ხეტიალი „შიშხილის“ მოხეტიალე გმირსაც კი არ დაესიზმრებოდა. ნორვეგიიდან, სადღაც კონტინენტის ბოლოდან ჩამოსული ჰამსუნი, გენიალური „შიშხილის“ ავტორი (უკვე „მისტერიებიც“ შექმნილი ჰქონდა) ზის, სადღაც ქოსების სარდაფში და კახურ ღვინოს აჭაშნიკებს! ხუდ ცოტა აკლდა, ეს რომ მომხდარიყო, ილიასთან, ვაჟახთან, აკაკისთან ურთიერთობა მას უკვე სრულ წარმოდგენას შეუქმნიდა საქართველოზე. მაგრამ ეს არ მოხდა. ვრისამ-

ვილი რომ ჩიაოდა, „უპ, ვილა ნახავს ვეღო მრავლტანს, თავის დუქანთან მიბმულ ვაშლითქვეშაჲსი პამსუნმა ეს კი ნახა, მაშასადამე, მოღად უნახავი არ წასულა აქედან ბაქოში, მერე, ბათუმში, მერე კი სტამბოლში, წაყიდა და წაყიდა უკანმოუხედავად. წაყიდა და წაიყვლია ბუნდოვანი წარმოდგენა ქართველებსა და საქართველოზე, რის დასტურადაც მხატვრული ნაწარმოებებიც შექმნა — მიუხედავად იმისა“.

აი რა დაიწერა 1904 წელს „ცნობის ფურცელში“ ჰამსუნის მიხედვით „მორიდება, თავდაპირველობა, სიმშვიდე, დარბაისლური სიტყვაპასუხი — ყველა ის თვისებები, რომლებიც დამახასიათებელი ყოფილა ქართველი ქალისა ძველად, ეტყობა, ჩვენს ავტორს სრულად არ სციოდნა“.

ესეც ჩვენი ქვეყნის ბედუკუღმართობაა, ეწვია მას XIX-XX საუკუნეების ერთ-ერთი უდიდესი მწერალი, ისე ჩამოვიდა და ისე წავიდა, ვერცკი ვაივო, ხად იყო.

ანდრო ბუაჩიძე





ბულვერ-ლიტონის პრემია წელს ამერიკელმა პენსიონერმა მოიპოვა. ეს ორიგინალური პრემია მეცხრამეტე საუკუნის ინგლისელი მწერლის სახელს ატარებს. მისი რომანის „ქოლ კლიფორდის“ პირველი ფრაზა („ღმერთ ჩამოგა ბნელი და წვიმიანი“) დღესდღეობით ინგლისურენოვან ლიტერატურაში ჰრესტომითიღ უვიკობად ითვლება. შესაბამისად პრემია, რომელიც 1982 წელს კალიფორნიის უნივერსიტეტის ინგლისური ლიტერატურის კათედრამ დაარსა, გადაეცემა პირს, ვინც არასრული რომანის ყველაზე უფრო და უგემოვნო პირველ ფრაზას შექმნის. წელს ეს პრემია, როგორც უკვე აღინიშნა, ამერიკელ პენსიონერს, ჯიმ გულის ერგო. ამ კონკურსზე მან სამოცამდე „შედევრი“ წარმოადგინა, მაგრამ ვეღარ, რომელსაც სახელად „სამარცხილო მოხსენიება“ პქვია, მის 63 სიტყვიან წინადადებას ერგო, სადაც ანგელოზის ნიშნის და დევილ „პორტის“ ერთად მოხსენიება ისე მოახერხა, რომ აზრი არ დაურღვევია.

გაღმზიან

ამ ზაფხულს ევროპის უმსხვილესი აეროპორტების მტკაერებს, ჩახსდომის მოლოდინში, ევროპის ხალხთა ზღაპრების მოსმენა შეუძლიათ. ეს „ზღაპრული ტურნი“ საერთაშორისო აეროპორტებში გოგონს ინსტიტუტის პროესკლის ფილოლოგმა მოაწყო. მისი მიზანია, მტკაერებს მრავალენოვანი ევროპის ისტორია და კულტურული მემკვიდრეობა გააცნოს.

„ყო და არა იყო რა“ – ასე იწვევა ყველა ზღაპარი, რომელიც გერმანულ, ფრანგულ, ფინურ და რამდენიმე დიალექტურ, სულ კი რვა ენაზე ფერს. აქვე ვიცით, რომ ევროპაში სამუდამო ენა ინგლისურია, მაგრამ სხვა ენებიც ხომ არსებობენ. ეს პროექტი მშ-

ვენიერი სწორედ იმიტია, რომ ადამიანები ნაკლებად ცნობილ ენებს ისმენენ. – განაცხადა პროექტის ხელმძღვანელმა უილიამ ეტინისონმა. თეატრალური ჰელაგავის გაიის აზრით კი, ზღაპარი უცხო ენაზე შეიძლება მოისმინოს. „ზღაპრები განსაკუთრებული მოვლენაა, – აღნიშნა მან, – ეს წვენი სულიერი საზღვრია. ზღაპარი ვოველიფის იმ ეგზისტენციურ პრობლემებს უტრიალებს, რომელიც ყველას გვაღულებს. თანაც ვოველიფის კარგად მთავრდება. მთავარი გმირები ვოველიფის ბედნიერებას პოულობენ.“

ეს აქცია პრალის, ბუდაპეშტის, ჰელსინკის, ფრანკფურტის, დუბლინისა და კოპენჰაგენის აეროპორტებში მოცილი ზაფხული გავრემლდება.

გერმანია

ავსტრიელ მწერალს, პიტერ პანკეს კაინრის კაინეს სახელობის ლიტერატურული პრემია მიანიჭეს, რაზედაც მან საკუთარი სურვილით განაცხადა უარი. ამ პრემიაზე იგი კრიტიკოსებმა და ლიტერატორებმა წარადგინეს, რასაც საზოგადოების აგრესიულად უარყოფითი დამოკიდებულება მოყვა. საქმე იმამია, რომ პანკე თავისი პროსერბული განწყობილებითაა ცნობილი და მილოსევიჩის დაკრძალვაზედაც კი ჩავედა. ამის გამო მას ევროპაში შემოქმედებითი ბლოკადა მოუწვევს. თავისი უარი პანკემ ასე დაასაბუთა: „დაინდუო ჩემი წიგნები, ხომ არ შეიძლება ვუღვარული პოლიტიკოსების მუღმევი თავდასხმის საგანი გახდეს.“



ბერლინში, პენ-კლუბის სამოცდამოწმეტე კონგრესზე, რომელსაც ოთხმოცი ქვეყნის, ოთხასორმოცდაათი წარმომადგენელი დაესწრა, გერმანელი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი გონტერ ვრასი მძაფრი კრტიკით ვამ-

ოედა. მისი აზრით, „მწერის მწერობებმა მტკაერებსა და დღემა ბრიტანეთმა ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის „სახიფათო და სულელური“ პოლიტიკა აირჩიეს: ვამონტორნი ტერორიზმი მთელ ენებს აღანაშაულებს, ამით ფუნდამენტალიზმის პროვოცირებას ახდენს, შემდეგ კი სამშენდრო მანქანი, მათი პარისაგან მწიფს აფეკას ცდელიობს.“

„ვამონტონმა თავად შვა ბინ ლადენი და ტერორიზმი, ახლა კი სამშენდრო ძალით ლამობს მათ განადგურებას“, – განაცხადა გრასმა. შემდეგ ამერიკის პრეზიდენტსა და ბრიტანეთის პრემიერ მინისტრს „ფარისველები“ უწოდა და იმ მიზინერებას შუადარა, ვინც „არაღს ლოკავდა და უცხო ქვეყნებში ბიბლიასთან ერთად სიკვდილი მიჰქონდა.“

ესპანეთი

ესპანეთის მთავრობამ კატეგორიულად აკრძალა, ქვეყნიდან გაეტანათ ესპანელი მწერლისა და ფილოლოფისის, მიგელ დე უნამუნოს ზენანწერები, რომელიც მადრიდის სავაჭრო სახლს აუქციონზე გასატანად პქონდა გამაშადებული. ეს გახლდათ ეპოქის ცნობილი პიროვნებისათვის მიწერილი პირადი წერილები, რომლის ნაწილი 1926-1930 წლებითაა დათარიღებული, ანუ იმ პერიოდით, როდესაც ფილოლოფისი კანარის კუნძულებზე იყო განახლებული. მიგელ დე უნამუნო იმ ინტელექტუალთა ჯგუფს ეკუთვნის, რომელსაც ესპანეთში „98 წლის თაობას“ ეძახიან. მისი რომანები „ომი მშვიდობის დროს“, „აბელ ხანჩისი“, „დეიდა ტულა“ და ფილოლოფიური ნაშრომები „დონ კიხოტის და სანჩოს ცხოვრება“, თუ „ცხოვრების ტრაგიკული განაღდის შესახებ“ კარგა ხანია ესპანეთის საზღვრებს გასცდა. სწორედ ამიტომ, ეს აკრძალვა ესპანეთის კულტურის სამინისტრომ კულტურული მემკვიდრე-



ობის გადარჩენის აუცილებლობით გამართოდა.

იპაონია

იპაონიაში გამოიცა სადამ ქუხინის უცნობი წიგნი, რომელიც მან სწორედ იმის დაწვევის წინ დაწერა.

წიგნის გამოცემულმა განაცხადა, რომ ეს ნაწარმოები, რომელიც ჯერ არხად გამოქვეყნებულა, არაბულადაა დაწერილი და იმის დროს მის ქალიშვილთან ინახებოდა. მთარგმნელს ეს წიგნი, მამის ადვოკატების თანხლებით, სწორედ მან გადასცა. ნაწარმოებში მოთხრობილია ერთი ტომის ისტორია, რომელსაც თავს მეორე ტომი დაესხმება, მაგრამ საბოლოო ეტაპში, დამარცხდება. მთარგმნელის აზრით, ქუხინი ელოდა ამერიკელთა თავდასხმას, ხალხის სულის გაძლიერება სურდა და წიგნს სათაურად „ღუმინია როკი“ სწორედ ამიტომ დაარქვა.

ინგლისი

ოქსფორდში ებოქის ყველაზე საჭირო სიტყვების ახალი ლექსიკონი მოამზადეს. ამ ახალი გამოცემის მოსამზადებლად სწავლულებმა ინტერნეტის მიმართვის, სადაც მოკლე შერჩევით გეგმში, ჩატებსა და ონლაინ გამოცემებში ყოველდღიური, თანამედროვე ენა უფრო მეტად მონაწილეობს. ებოქის მთავარ სიტყვად აღიარეს „დრო“, რომელიც ყოველ დღეში ნაბიჯზე ხვდებით (დრო არ მატებს, რა დროა). მეორე ადგილზეა სიტყვა „ქრონი“. სიტყვა „მამაკაცი“ მეშვიდე ადგილი დაიკავა, მაშინ, როცა ქალებმა მხოლოდ მეოთხე ადგილი ერგოთ. „იმი“ ორმოცდამეცხრე ადგილზე აღმოჩნდა, „მშვიდობა“ კი ასეულში საერთოდ ვერ მოხვდა. „საქმე“ მეოთხედ ადგილზეა, „დასვენება“ კი პირველ ასეულში ასევე არ ჩანს. „პრობლემა“ ოცდამეოთხე ადგილი დაიკავა, „პრობლემის გადაწყვეტა“ კი

საერთოდ ვერ მოიხვეჭა. „ხელები“ (მეათე ადგილი) წინ უსწრებს „თვალბს“ (მეცამეტე ადგილი), „მოთარობა“ კი აღიარებს ვერაზე გრძელ სიტყვად, ვისთვისაც დრო არაეის რჩება.

ინგლისი

მოულოდნელად აღმოაჩინეს დიდი ინგლისელი პოეტის შეულის პოემა „პოლიტიკური ესე“, რომელიც მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ დაკარგულ ნაწარმოებად ითვლება. სპეციალისტებმა მხოლოდ ის იცოდნენ, რომ შელიმ ეს პოემა 1811 წელს ოქსფორდში, პოლიტიკურ მონაწილესთან ერთად გამოაქვეყნა და ოქსფორდის უნივერსიტეტიდან სწორედ ამის გამო გარიცხეს. დაბეჭდილებით არც ის იცოდა ვინმემ, ამ წიგნის რამდენი კვებმლარი გამოცა; სამაგიეროდ ერთსულოვნად აღასტურებდნენ, რომ მთელი ტირაჟი ხელისუფლებამ განადგურა. 200 წლის მანძილზე შელის თავყანისმცემლები ამ პოემას უშედეგოდ ეძებდნენ და აი, საწაული მოხდა. ანტიკვარული სავაჭრო სახლის „ჟუარინის“ თანამშრომლებმა ფასდაუდებელი პოემის ცებმლარი სრულიად იღუმალ ეთარებაში აღმოაჩინეს.

როგორც გაირკვა, პოემა 172 სტიქინისგან შედგება და ინდოეთში ინგლისის კოლონიურ პოლიტიკას აკრიტიკებს.

ირანი

სპარსული ენის სიწმინდის დასაცავად ირანის პრეზიდენტმა სპეციალური დეკრეტი გამოცა. იგი ცდილობს, სპარსული ენა დასავლეთის გაყენისაგან გაათავისუფლოს და დეკრეტით მოითხოვს, ოფიციალური საბუთებისა და სახელმძღვანელოების შედგენისას ენის საკითხთა სამმართველოს ნორმატივებით იხელმძღვანელოს. ყველა დაწესებულებამ უნდა გამოიყენოს ის სიტყვები, რომლითაც სამმართველომ უცხო სიტყვები

შეცვალა, - ნათქვამია „დოკუმენტში“.

არადა, შემცველი-სიტყვები ხანდახან კომიკურ ელფერასაც კი იძენს. ასე მაგალითად, ვერტმფრენს „ტრიალა ფრთები“ დაერქვა, ჰეცას კი „რბილი კვერი“.

ირლანდია

1904 წლის 16 ივნისს ლიტერატურის ისტორიაში „ბლუმის დღე“ დაერქვა. სწორედ ამ დღეს, ჯეიმს ჯოისის გახმაურებული რომანის მთავარმა გმირმა, ლეოპოლდ ბლუმმა, თავისი ერთდღიანი ოდისეა გაიარა. ჯეიმს ჯოისის თავყანისმცემლები უკვე მრავალი წელია ამ დღეს ხმაურითაი ზეიმით აღნიშნავენ.

რატომ მაინცდამაინც 16 ივნისი და არა ნებისმიერი სხვა დღე? მკვლევართა აზრით, ჯოისის ეს შემთხვევითი არ აურჩევია. სწორედ ამ დღეს პირველი პაემანი ჰქონდა თავის მომავალ მუვლეს, ნორმანსთან, რომელიც ამ პერიოდში ხასტურის დამლაგებლად მუშაობდა. რაც შეეხება 1904 წელს, ამ დროს ჯოისმა სამშობლო დატოვა, მაგრამ სულთი, როგორც ჩანს, თან წაიღო. მთელი მისი შემოქმედება ხომ არსებითად ერთი დღეი მოგონებაა.

„ბლუმის დღე“ 1954 წელს, უკვე მწერლის გარდაცვალების შემდეგ გაჩნდა, როცა რესტორნის მფლობელმა და სალიტერატურო ჟურნალის გამომცემელმა რაინამა მგვიობებს ბლუმის ორმოცდაათი წლისთავის აღნიშვნა და „ლიტერატურული“ ადგილების შემოვლა შესთავაზა. ამის შემდეგ, ყოველი წლის 16 ივნისს, ჯოისის უამრავი თავყანისმცემელი ბლუმის ოდისეას იმეორებს და მის ცნობილ საუბრეს, ღირის შემწერ თირკმელბს მიირთმებს.

ისრაელი

იერუსალიმის უნივერსიტეტმა ალბერტ ეინშტინის სასიყვარულო წერილები გამოაქვეყნა. ეს 1400-ზე მეტი წერილი აშკარად



წარმოადგენს, რომ ამ გენიალურ მოაზროვნეს ქაღები ისევე აინტერესებდა, როგორც ფიზიკა და არა მხოლოდ სამეცნიერო, საკუთარი პირადი ცხოვრების მაქსიმალურად დასაცავად. სასიყვარულო ურთიერთობებს მის ცხოვრებაში, როგორც ჩანს, დიდი ადგილი უჭირა და იგი ერთდროულად სასტიკიც იყო არასასურველი ქალბატონების მიმართ და გმირობის ჩაღწევა შეუძლო საყვარელი ქალისათვის.

მაგალითად, ერთ-ერთ საყვარელს, ბერლინელ მუსტერს მიხედვით, რომელიც მისზე 15 წლით უმცროხი იყო, ასე იხსენიებს: „იო, მარიალია, დიდ ბრიტანეთშიც კი გამოჰყვოდა. ამ ქალის დედა უკვე არანაირ კონტროლს აღარ ექვემდებარებოდა“.

ენმეტის ხანგრძლივი მიმოქრება ჰქონდა მთელი ცოლის ქალიშვილ მარგოსთან და როგორც ჩანს, მგობრული და გულახდილი გრძობებიც აკავშირებდა. ამ წერილებში ათი საყვარელი მაინცა მოხსენიებული და თანაც, არც მარცხდამარცხ კეთილშობილურად. ეს ახირობული გენიოსი, ბავშვობაში მორცხეი და დიდიუკუთის გატანჯულა დაუცემელ მუსუსად ჩამოყალიბდა.

1903 წელს იგი თავის თანაკურსულ, სება მელნა მარინზე დაქორწინდა. თავდაპირველად „მოული ცხოვრება სტუდენტებად დაერწყნით და მიჯიფურთხებია მსოფლიოსთვის“, აცხადებდა. რაღაც ექვსიწლიანი წლის შემდეგ კი ცოლს უკვე „იოტლს“ და „საფროზობელას“ ეძახდა და „მშენიერი, ჭკა“ ელხა შეუფერდა. მისი დალატი იმდენად ხშირი იყო, რომ მიჯიფურთხებთ ელხა ამ კომპარამისი შესთავაზა. ქალი მზად იყო თვალი დაეხუჭა მის კავშირზე პირად მიღიანთან, ოღონდ დანარჩენებისთვის თავი დაენებებინა.

წერილებიდან ისიც ჩანს, ნობელის პრემიის თანხა როგორ გამოიყენა. დიდი ხნის მანძილზე ითვლებოდა, რომ მან ეს თანხა მიღიანსა და მის შვილებს გაუზიარა. არადა, აღმოჩნდა, რომ

ამერიკის ბანკებში დაუბანდებია და 1929 წლის დიდი დეპრესიის დროს ყველაფერი დაუკარგავს.

წერილები თავის დროზე მარგოს შვილობილმა შეაგროვა და ისრაელის უნივერსიტეტს იმ პირობით გადასცა, რომ მხოლოდ მისი სიკვდილიდან ოცი წლის შემდეგ გამოაქვეყნებდა. უნივერსიტეტის განცხადებით, ეს წერილები აბათილებს გაეროებულ აზრს, თითქოს ენმეტისი ცივი კაცია იყო და ახლო ნათესავები არ ედარდებოდა. თავისი ხშირი მოგზაურობის დროს, იგი მათ წერილებს თითქმის ყოველდღე წერდა. ერთ-ერთ წერილში, რომელსაც ელხას უგზავნის, იგი აღიარებს, რომ მეცნიერებისადმი მისი საყვარელი წარმატალი აღმოჩნდა. „აღმათ ამ ფარდობითობის თეორიითაც მალე დავიღლები. ნებისმჭირი ვრება ხომ მაშინვე ჭრება, როგორც კი ზედმეტ ყურადღებას დაუთმობ“.

იტალია

ამ ზაფხულს რომში, კარაკალას თერმებში, თეატრალური წარმოდგენების ტრადიციული სეზონი გაიხსნა. ეს ისტორიული ძეგლი, როგორც ცნობილია 216-235 წლებში აშენდა და რომის უმთავრეს სასწაულად ითვლებოდა. აქ პრეფერულად 1600 კაცს შეუძლო დაბანა, გარდა ამისა, უამრავი ხალხი ვარჯიშობდა ან უბრალოდ საყიდლებზე დადიოდა. ამანზე 537 წელსვე მუსაობდა და მხოლოდ ბარბაროსების შემოტევის პერიოდში დაიხურა, როცა მათ წყალმომარაგება მოშალეს, რათა ქალაქი წყურვილით ამოეხრათ. არქეოლოგიური გათხრების აქ ჯერ კიდევ მოუკვსმეტე საუკუნეში დაიწყო პაპი პავლე III ფარნეზეს ინიციატივით. სწორედ ამ დროს ამოთხარეს ის პორციის აბანა, რომელიც ახლა ქალაქის ცენტრში, ფარნეზეს მოედანზე, შადრევანს მორავს და კიდევ ფარნეზეს პერკლე, რომელიც ნეპოლის მუხუფრმა დაეკულის. XX საუკუნის მთელი ნახ-

ვერიდან კარაკალას თერმები თეატრალურ ცენტრად გადაქცევის და ამისთვის განმარტებული გულში სპეციალური სცენა ააშენეს.

წლებიანდელი ზაფხულის სეზონი ბალეტ „ფესტივლები“ გაიხსნა, შემდეგ კი ოპერები „მადამ ბატერფლია“, „აიდა“ და „ტურანდოტი“ შესრულდა.

საბერძნეთი

ქალაქ სალონიკში რასიზმისა და ქსნოფობიის საწინააღმდეგო მუცხრე ფესტივალი ჩატარდა. ამ ფესტივალში მონაწილეობა ასობით არასამთავრობო ორგანიზაციამ, პროფკავშირებმა, უნივერსიტეტებმა და სტუდენტებმა კავშირებში მიიღო. „სიცილის არა აქვს სამშობლო, ბრძოლას კი საზღვრები“, ასეთი იყო წელს ამ ფესტივალის ორგანიზატორთა დევიზი. სამღიანი დღესასწაულის ფარგლებში უამრავი კონცერტი, ფოტოგამოფენა, კლდინარული კონკრესი თუ მსოფლიო ხალხთა ზღაპრების თემებზე შექმნილი წარმოდგენა გაიმართა და წიგნის ბაზრობაც გაიხსნა. გარდა ამისა, ორგანიზატორებმა დღია დისკუსიაც მოაწვეეს, რომელიც ძირბველ მოსახლეობასა და ემიგრანტებს და საერთოდ ერებს შორის ტოლერანტული ურთიერთობის საკითხს მიუღწენდა.

ფესტივალში მონაწილეობა აგრეთვე აღბანეთის, საქართველოს, ნიგერის, სუდანის და ავღანეთის ემიგრანტთა ადგილობრივმა ორგანიზაციებმა მიიღეს.

ჯერ კიდევ ათიადე წლის წინ საბერძნეთი მორეოპოლიტიკურად იყო (98% ბერძნული მოსახლეობა). უკანასკნელ ათწლეულში დემოგრაფიული ფონი სწრაფად შეიცვალა, ძირითადად აღბანეთიდან, ყოფილი საბჭოთა კავშირის და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნიბიდან მოზღვაკებული ემიგრანტების გარეშე და თუცა დაბარისობების ცალკეული ინციდენტები შეიმჩნევა, ძირითადად ბერძნული საზოგადოება ემიგრანტების მიმართ ლიბერალურადაა განწყობილი.



საზრანგეთი

საფრანგეთის მედიაგუგუმა სასამართლოში სარჩელი შეიტანა ინტერნეტის უმსხვილესი ამერიკელი საძიებო სისტემის, „Google“-ის წინააღმდეგ, როგორც ცნობილია, სულ ცოტა ხნის წინ, „Google“-მა მასობრივად დაიწყო უმსხვილესი ევროპული გამოცემლების პროდუქციის ციფრულ ფორმატში გადაყვანა, რათა მსოფლიოში უმსხვილესი ვირტუალური ბიბლიოთეკა შექმნა. მედიაგუგუის სარჩელს კიდევ შეეცდარიის სამი და ამერიკის ერთი გამოცემლობა შეუერთდა. „გამომცემლობის თანხმობის გარეშე საავტორო ნაშრომების მასობრივად ციფრულ ფორმატში გადაყვანა, თავისუფალი შენარჩუნების პრინციპს და საერთოდ თავისუფლების იდეას წინააღმდეგობა“, – განაცხადა პრეკონფერენციაზე მედიაგუგუის დირექტორმა და მორალური ზიანის

ასანაზღაურებლად ერთი მილიონი ევრო მოითხოვა. 2005 წელს „Google“-მა ინგლისურენოვანი საფაროს საუკეთესო ნიმუშები ციფრულ ფორმატში უკვე გადაიყვანა. „ჩვენ არ ვართ ამის წინააღმდეგი, – განაცხადა მედიაგუგუის დირექტორმა ერვე დელა მარტინმა. – უბრალოდ, არ შეიძლება, გამოცემლობები გამზადებული ფაქტის წინაშე დააყენო. მათ ხომ საავტორო უფლებები აქვთ შეტენილი. საჭიროა კონსტრუქციული დიალოგი.“ პასუხად ამერიკულმა კომპანიამ იმ წიგნთა სია მოითხოვა, რომელიც მონაცემთა ბაზიდან უნდა ამოიღოს. გარდა ამისა, ფრანგ გამოცემლებთან მოსალაპარაკებლად წარმომადგენელი გაგზავნა. ზოგიერთმა გამოცემლობამ, მაგალითად „Gallimard“-მა კატეგორიულად უარყო მისი პროდუქციის ციფრულ ფორმატში გადაყვანის მცდელობა და განაცხადა, რომ თუ მისი მოთხოვნები არ დაკმაყოფილდება, თავისი უფლებების დასაცავად კვლავსაბუ მართილოს მიმართულებით იქცევა.

ჩინეთი

შანხაიში, ფრედერიკ შოპენის მსოფლიოში ყველაზე დიდი ქანდაკება აღიმართება. ცნობილი პოლონელი კომპოზიტორის გიგანტური ფიგურა ჩინელმა მოქანდაკემ ლუ პინმა შექმნა და მას შანხაის ცენტრში, ყველაზე პრესტიჟულ პარკში ამა წლის შემოდგომაზე დადგამენ. ამავე პარკში ერთ-ერთ ზევენს შოპენის სახელს უწოდებენ და აქვე აშენდება მისი მუზეუმიც. ლუ პინი ათი წლის წინ პოლონეთში გაემგზავრა და ვარშაიის სამხატვრო აკადემიის ქანდაკების ფაკულტეტი დაამთავრა. ეს ძველი სწორედ მისი ინიციატივით შეიქმნა, რასაც შხაი ჩინეთისა და პოლონეთის კულტურის სამინისტროებმა დაუჭირეს.

მასალა მოამზადა
მანანა მიქელაძემ



მთავარი რედაქტორი
თამაზ ჭილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილე
ანდრო ბუაჩიძე

პასუხისმგებელი მდივანი
დინარა ჩავეჭავაძე

აკრედიტებული უზრუნველყოფა
შორენა ფარქოსაძე

ქართული მემკვიდრეობის უზრუნველყოფის
ინიციატივა მხარდაჭერის რედაქციის მიერ შექმნილი მასალები
ქართლის წიგნების რედაქციის მიერ შექმნილი რედაქციის

011/17



საქართველოს
ხელნაწილების ეროვნული ბიბლიოთეკა

ფანი ორი წერილი